

# საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო-სამეწარმეო და სხვა კატეგორიის საქმეებზე

2011, №10

## შ ე ს ა ვ ა ლ ი ს ა მ ო ქ ა ლ ა ქ ო ს ა მ ა რ თ ა ლ შ ი

საძიებელი

- 1. პირადი არაქონებრივი უფლების დაცვა**
  - მორალურია ზიანის ანაზღაურება
  - რეპუტაციის შემლახველი ცნობების უარყოფა
  - საავტორო უფლებების დარღვევით მიყენებული ზიანის ანაზღაურება
  - ცილისწამება
- 2. იურიდიული პირი**
  - აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილების ბათილად ცნობა
  - დირექტორის პასუხისმგებლობა შპს-ში
  - კოოპერატივის ლიკვიდაციის ფაქტის რეგისტრაცია
  - მოგების დივიდენდის სახით განაწილება
  - პარტნიორთა კრების გადაწყვეტილება დივიდენდების გაცემის თაობაზე
  - პარტნიორის პასუხისმგებლობა შპს-ში
  - საწარმოს რეგისტრაციის გაუქმება
  - შპს-ის გამგეობის ოქმის გაუქმება
  - შპს-დან წილის გამოყოფა
  - ხელმძღვანელობის უფლება შპს-ში
- 3. გარიგებანი**
  - გარიგების ბათილობა დროებითი ფსიქიკური მოშლილობის გამო
  - გარიგების ხელმოწერა უფლებამოსილი პირის თანდასწრებით
  - მოტყუებით დადებული გარიგებანი
  - მოჩვენებითი და თვალთმაქცური გარიგება
  - ფორმის დაუცველად დადებული გარიგება
  - ცალმხრივი ნების გამოვლენის ნამდვილობა
- 4. ხანდაზმულობის ვადა**
  - სახელმეკურლებო მოთხოვნათა ხანდაზმულობის ვადა
  - ხანდაზმულობის ვადის დენა (შეწყვეტა)
  - სასამართლოს გადაწყვეტილებით დადასტურებული მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა

# 1. პირადი არაქონებრივი უფლების დაცვა

## რეპუტაციის შემლახველი ცნობების უარყოფა და მორალური ზიანის ანაზღაურება

### განჩინება

1ას-131-125-10

6 სექტემბერი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ლ. ლაზარაშვილი,  
თ. თოდრია

**დავის საგანი:** პიროვნებისა და მისი რეპუტაციის შემლახველი ცნობების უარყოფა და მორალური ზიანის ანაზღაურება

#### აღწერილობითი ნაწილი:

2009 წლის 24 ივნისს ქ. გ-მემ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს მოპასუხეების – ტელეკომპანია «...» და ნ. ი-ელის მიმართ და მოითხოვა 2009 წლის 19 მარტს ტელეკომპანია «...» საინფორმაციო პროგრამით გავრცელებული ქ. გ-მის პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახველი ინფორმაციის უარყოფა, ამავე ტელეკომპანიის ამავე პროგრამის საშუალებით მისთვის ზოდიშის მოხდა და მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურება.

მოსარჩელის განცხადებით, 2009 წლის 19 მარტს ტელეკომპანია «...» 20-საათიანი საინფორმაციო პროგრამა დაიწყო ი. გ-მისა და მისი ოჯახის წინააღმდეგ მიმართული სიუჟეტით, რომელშიც ი. გ-მე მოიხსენიეს პირველ ტერორისტად საქართველოში. საუბარია იმის შესახებ, რომ მან შექმნა უცხოეთში ქართველთა ორგანიზაცია. მოსარჩელე მიიჩნევს, რომ ამ წინადადებით შელახულ იქნა მისი პატივი და ღირსება, ანუ დაირღვა კონსტიტუციის მე-17 მუხლის 1-ელი ნაწილი.

სასამართლოს მოსამზადებელ სხდომაზე მოსარჩელის წარმომადგენლის – გ. ნ-შვილის შუამდგომლობა მოპასუხე ნ. ი-ელის ნაწილში სარჩელის გამოხმობის თაობაზე დაკმაყოფილდა – სასამართლომ ქ. გ-მის სარჩელი მოპასუხე ნ. ი-ელის მიმართ განუხილველი დატოვა. ამასთან, მოსარჩელემ უარი თქვა მოთხოვნაზე ზოდიშის მოხდასთან დაკავშირებით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 12 აგვისტოს გადაწყვეტილებით ქ. გ-მის სარჩელი შპს «...» მიმართ არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება მოსარჩელემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 8 დეკემბრის გადაწყვეტილებით ქ. გ-მის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელი დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 12.08.2009 წლის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ დადგინილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

მოსარჩელე ქ. გ-მე ი. გ-მის მეუღლეა. ქ. გ-მე შვილთან ერთად იმყოფებოდა საქართველოში ი. გ-მის მამის - პ. გ-მის დაკრძალვასთან დაკავშირებით.

2009 წლის 19 მარტს ტელეკომპანია «...ს» არხზე 8-საათიანი საინფორმაციო გამოშვებაში გავიდა სიუჟეტი, რომელიც შეეხებოდა ი. გ-მის მიერ ახალი გაერთიანების შექმნას.

საქმის მასალებით არ დასტურდება ჟურნალისტის მიერ არსებითად მცდარი ფაქტების გავრცელება და მოსარჩელის არაქონებრივი უფლებების ხელყოფა. ჟურნალისტმა გონივრულად გადაამოწმა ფაქტის სისწორე, ხოლო მოსარჩელე მხარემ ვერ დაადასტურა რეპორტაჟის უსამართლობა და მცდარობა შესაბამისად, ცილისწამების ფაქტი არ დასტურდება.

სააპელაციო სასამართლომ 2009 წლის 8 დეკემბრის გადაწყვეტილებით მიიჩნია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება ფაქტობრივ-სამართლებრივი თვალსაზრისით დასაბუთებული და კანონიერია.

სააპელაციო სასამართლოს ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება ქ. გ-მემ საკასაციო წესით გაასაჩივრა, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღება.

კასატორის მტკიცებით, გადაწყვეტილება არის უკანონო. მოსარჩელე არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს არც ფაქტობრივ და არც სამართლებრივ შეფასებას და მიიჩნევს, რომ ტელეკომპანიის მიერ ცრუ ინფორმაციის გავრცელებით დაირღვა მისი უფლებები და მიაღდა მორალური ზიანი.

#### სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ განიხილა საკასაციო საჩივრის საფუძვლები, გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლი განსაზღვრავს საკასაციო საჩივრის საფუძვლებს. აღნიშნული ნორმის თანახმად, საკასაციო საჩივარი შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ იმას, რომ გადაწყვეტილება კანონის დარღვევითაა გამოტანილი. სამართლის ნორმები დარღვეულად ითვლება, თუ სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა ან არასწორად განმარტა კანონი. უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ განსახილველი საკასაციო საჩივარი არ შეიცავს ნორმაში მითითებულ საფუძვლებს, რაც შეიძლება განიხილებოდეს სასამართლოს მიერ სამართლის ნორმების დარღვევის დამადასტურებელ არგუმენტად.

კასატორი უთითებს ყველა იმ ნორმატიულ აქტზე, რომელიც გამოიყენა სასამართლომ, მათ შორის, საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლზე, რომლითაც დაცულია ადამიანის უფლება – მიიღოს და გაავრცელოს აზრი ზეპირად, წერილობით ან სხვაგვარი საშუალებებით. საკასაციო საჩივარში ასევე მოხსენიებულია გამოხატვის თავისუფლების შესახებ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-10 მუხლიც, რაც გულისხმობს ადამიანის უფლებას, გააჩნდეს საკუთარი შეხედულება, მიიღოს ან გაავრცელოს ინფორმაცია ან იდეები საჯარო ხელისუფლების ჩაურევლად და სახელმწიფო საზღვრების მიუხედავად. კასატორის ასევე მოჰყავს საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლიც, რომლითაც დაცულია ადამიანის პატივი და ღირსება. საკასაციო საჩივარი შეიცავს მითითებას სამოქალაქო კანონმდებლობაზეც, მაგრამ მსჯელობა იმის თაობაზე, რომ სასამართლოს ეს ნორმები არ უნდა გამოეყენებინა ან უნდა გამოეყენებინა სხვა ნორმატიული აქტები საკასაციო საჩივარში მოცემული არ არის. კასატორი სადავოდ არ ხდის ნორმათა განმარტების საკითხსაც.

მეტად საყურადღებოა ის ფაქტი, რომ კასატორი უთითებს რა «სიტყვისა და გამოხატვის შესახებ» კანონის მე-13 მუხლზე, განმარტავს, რომ, ამ ნორმის თანახმად, ცილისწამების, ანუ არსებითად მცდარი ინფორმაციის გავრცელებისათვის პირს ეკისრება პასუხისმგებლობა. საგულისხმოა, რომ იგი არ უარყოფს (საერთოდ არ მსჯელობს) სასამართლოს მსჯელობას იმის თაობაზე, რომ ამ მუხლის თანახმად პირს მხოლოდ მაშინ ეკისრება პასუხისმგებლობა, თუ მოსარჩელე დაამტკიცებს, რომ მოპასუხის განცხადება შეიცავს არსებითად მცდარ ინფორმაციას უშუალოდ მოსარჩელის შესახებ და ამ განცხადებით მოსარჩელეს ზიანი მიადგა, ანუ ამ ნორმით თვითონ ქ. გ-მა ვალდებული, დაადასტუროს, რომ ჟურნალისტის მიერ მიწოდებული ინფორმაცია არასწორია. ერთი მხრივ, კასატორი არ ეწინააღმდეგება ამ ნორმის გამოყენებას დავის გადაწყვეტისას, მეორე მხრივ კი უარყოფს ამ ნორმის გამოყენების შედეგს. უფრო მეტიც, კასატორი არ უთითებს, თუ რაში მდგომარეობს გადაწყვეტილების უსწორობა და როგორ შეიძლება ამ ნორმის შესაბამისად მისი მოთხოვნის დაკმაყოფილება. მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებს ამ მუხლში მითითებულ ფაქტების არსებობას, საქმეში წარმოდგენილი არ არის. ამასთან, არც კასატორი უთითებს სასამართლოს მიერ კანონის დარღვევაზე მტკიცებულებათა შეფასების ან ფაქტობრივი გარემოებების დადგენის დროს. იმის მითითება, რომ მოპასუხეს არ წარმოუდგენია მის მიერ მიწოდებული ფაქტების უტყუარობის დამადასტურებელი მტკიცებულება, არ შეიძლება მივიჩნიოთ გადაწყვეტილების გაუქმების საფუძვლად, თუნდაც იმის გამო, რომ მას არ მიუთითებია ამ არგუმენტის გაზიარების აუცილებელ სამართლებრივ საფუძვლებზე.

კასატორი ასევე აპელირებს პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გადაწყვეტილებში მოყვანილ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების მოცემულ საქმეში გამოყენების შეუძლებლობის თაობაზე. კასატორი თვლის, რომ სასამართლოს მითითებული გადაწყვეტილება განსხვავდება მოცემული საქმისაგან და მისი გამოყენება მოცემული დავის განხილვისას მიზანშეუწონელია. პალატა თვლის, რომ ამ არგუმენტის გაზიარების შემთხვევაშიც კი შეუძლებელია გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება ამ თვალსაზრისით სამართლებრივი საფუძვლების არარსებობის გამო.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის 1-ელი ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში. აღნიშნული ნორმიდან გამომდინარე, პალატა მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის ფარგლებში შეუძლებელია გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და კასატორის მოთხოვნის დაკმაყოფილება. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება უცვლელად უნდა დარჩეს.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

ქ. გ-მის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;  
უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 8 დეკემბრის განჩინება;  
საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

გავრცელებული ინფორმაციის ცილისწამებად მიჩნევა, მისი უარყოფა,  
მორალურია ზიანის ანაზღაურება

განჩინება

1ას-431-403-2010

18 ოქტომბერი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ლ. ლაზარაშვილი,

პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** გავრცელებული ინფორმაციის ცილისწამებად მიჩნევა, მისი უარყოფა, მორალური ზიანის ანაზღაურება

**აღწერილობითი ნაწილი:**

ფ. ჭ-იამ სარჩელი აღძრა სასამართლოში გაზეთების – «ლ. პ-სა» და «ლ. მ-ს», ასევე ჟურნალისტ ლ. ლ-ძის მიმართ მასობრივი ინფორმაციის საშუალებით გავრცელებული ცნობების საჯაროდ უარყოფის, საგაზეთო გამონათქვამების ცილისწამებად მიჩნევისა და ფულადი კომპენსაციის – 1000 ლარის ანაზღაურების დაკისრების შესახებ შემდეგი საფუძვლებით: შინაგან საქმეთა ... რაიონულ განყოფილებაში გამომძიებლის თანამდებობაზე მუშაობისას მოსარჩელეს სამსახურებრივი სარგებლობის უფლებით გამოეყო საბინაო ფონდში რიცხული ბინა. მოგვიანებით ფ. ჭ-ია სამუშაოდ გადავიდა ... რაიონულ პროკურატურაში, რის შემდეგ შეიტყო, რომ მისთვის გამოყოფილი ბინა სარგებლობის უფლებით მიეკუთვნა პოლიციის გამომძიებელ ა.კ-ძეს. მოცემულ საკითხზე ფ. ჭ-იას სარჩელის გამო გამგეობის მიმართ სასამართლო განჩინებით დამტკიცდა მორიგება, რომლითაც დადგინდა, რომ ბინა პრივატიზაციის წესით უნდა გადასცემოდა მოსარჩელეს. ადგილობრივი თვითმმართველობის მუშაკთა უკანონო ქმედებების გამო აღნიშნული განჩინება ვერ აღსრულდა.

მითითებული საკითხი გააშუქა ჟურნალისტმა ლ. ლ-ძემ გაზეთ «ლ. პ-ში», შემდგომ კი გაზეთ «ლ. მ-ში» გამოქვეყნებულ სტატიებში, სადაც მან სადავო ურთიერთობა წარმოაჩინა მოსარჩელის მიმართ ცილისმწამებლური და მისი პირადი ღირსების შემლახველი საშუალებით.

მოპასუხეებმა სარჩელი არ ცნეს შემდეგი დასაბუთებით: მოსარჩელის მიერ სადავოდ და ცილისწამებლურად მიჩნეული სტატიების გამოქვეყნების შემდეგ გასულია «სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ» კანონის მე-19 მუხლით გათვალისწინებული ხანდაზმულობის ვადა. ამასთან, ინფორმაცია შეურაცხმყოფელი არ არის.

ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 26 ნოემბრის გადაწყვეტილებით ფ. ჭ-იას სარჩელი საგაზეთო მასალებში «ლ. პ-სა» და «ლ. მ-ში» გავრცელებული გამონათქვამების ცილისწამებად მიჩნევის, გავრცელებული ცნობების უარყოფისა და ფულადი კომპენსაციის – 1000 ლარის მოპასუხეებისათვის სოლიდარულად დაკისრების შესახებ არ დაკმაყოფილდა.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება ფ. ჭ-იამ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 4 მარტის განჩინებით ფ. ჭ-იას სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: მხარეთა განმარტებებით ირკვევა, რომ ქ. ... გამგეობის 1995 წლის 4 ივნისის 136 გადაწყვეტილებით ქ. ..., ... ქ. 110-ში მდებარე, საბინაო ფონდზე რიცხული ერთობაჩიანი საცხოვრებელი ბინა სამსახურებრივი სარგებლობის უფლებით გამოეყო შსს ... რაიონული განყოფილების გამომძიებელ ფ. ჭ-იას. 1996 წლის იანვარში ფ. ჭ-ია სამსახურებრივად გადაყვანილ იქნა ... რაიონულ პროკურატურაში. იმ დროისათვის დასახელებულ ბინაში, დროებითი სარგებლობის მიზნით, ცხოვრობდა რაიონული პროკურატურის კანცელარიის გამგე გ. ტ-ძე. ... მერიის 1996 წლის 31 ივლისის 137 გადაწყვეტილებით, ფ. ჭ-იასთვის სამსახურებრივი სარგებლობისათვის გამოყოფილი ბინა, ასევე სამსახურებრივი სარგებლობისათვის გადაეცა პოლიციის მუშაკს ა. კ-ძეს. ... რაიონული სასამართლოს 2006 წლის 27 აპრილის განჩინებითა და მხარეთა განმარტებებით ირკვევა, რომ ფ. ჭ-იამ აღნიშნული აქტის გამოცემით ჩათვალა, რომ დაირღვა მისი უფლება და სარჩელით მიმართა სასამართლოს. ... რაიონული სასამართლოს 2004 წლის 3 დეკემბრის განჩინებით დამტკიცდა მოსარჩელე ფ. ჭ-იასა და მოპასუხე ... რაიონულ გამგეობას შორის მიღწეული მორიგება ბინის პრივატიზაციის შესახებ, ხოლო ამავე სასამართლოს 2006 წლის 27 აპრილის განჩინებით ფ. ჭ-იას განცხადების საფუძველზე განმარტებულ იქნა ამავე სასამართლოს 2004 წლის 3 დეკემბრის განჩინება, რომლის სარეზოლუციო ნაწილში აღინიშნა, რომ სადავო ბინის პრივატიზაციაში იგულისხმებოდა მისი პრივატიზება უსასყიდლოდ. ... მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ 2007 წლის 2 ნოემბერს ფ. ჭ-იას სახელზე გაიცა სადავო ბინის საკუთრების უფლების მოწმობა 124. სასამართლომ საქმეზე წარმოდგენილი გაზეთებით დაადგინა, რომ აღნიშნულ ბინაზე დავის პროცესში, გაზეთ „ლ. პ-ში“ და გაზეთ «ლ. მ-ში» ჟურნალისტ ლ. ლ-ძის მიერ ქვეყნდებოდა საგაზეთო სტატიები. მითითებულ სტატიებში გამოთქმულ მოსაზრებას

და ცალკეულ გამონათქვამებს მოსარჩელე ფ.ჭ-ია მიიჩნევს და აფასებს როგორც ცილისმწამებლურ, პატივისა და ღირსების შემლახველ ქმედებას, კერძოდ:

ა) გაზეთ „ლ. პ-ს« 1997 წლის 18 აგვისტოს ნომერში გამოქვეყნდა ჟურნალისტ ლ. ლ-მის სტატია „ვისია-ვისია?«. ფ. ჭ-იას (მოსარჩელის) მოსაზრებით, მისთვის, როგორც იმ დროისათვის პროკურატურის მუშაკისათვის, შეურაცხყოფელი და სამსახურებრივად საზიანო იყო ჟურნალისტის ინფორმაცია, რომ „ბატონმა ე-მ (საბინაო კომისიის თავმჯდომარე) ისიც აღნიშნა, ამ საკითხთან დაკავშირებით გამოძახებულია ოზურგეთის სამხარეო პროკურატურაში, სხვათა შორის ბატონი ფ. ჭ-ია ამჟამად სწორედ იქ მუშაობს»; ბ) იმავე გაზეთის 1998 წლის 20 აპრილის ნომერში გამოქვეყნდა ლ. ლ-მის წერილი სათაურით: „მორცხვი პოლიცია« და „ნაგლი პროკურატურა«. ფ.ჭ-იას მოსაზრებით, ამ სტატიაში ცილისმწამებლური და სამსახურებრივად ღირსების შემლახველი იყო მისი სახელისა და გვარის ფონზე გამონათქვამი: „პროკურატურამ პოლიციას ბინა დააწერა«, „პოლიცია მორცხვობს, პროკურატურა ნაგლობს»; გ) გაზეთ „ლ. პ-ს« 2008 წლის 13 ნოემბრის ნომერში გამოქვეყნდა ჟურნალისტ ლ. ლ-მის წერილი სათაურით „ერთი ბინის ისტორია«. მოსარჩელის მოსაზრებით, ამ სტატიაში გამოთქმული მოსაზრება – „ბატონი ფ. ბინაში გარკვეულ დღეებში პარასკევიდან კვირის ჩათვლით ცხოვრობს ქალბატონთან ერთად, რომლის სტატუსი გაურკვეველია« სრულად მოიცავს ცილისწამებისათვის დამახასიათებელ, სახელის გამტეხ, განზრახ ქმედებას, რასაც რედაქცია უკომენტაროდ ეთანხმება. იმავე სტატიაში ჟურნალისტი ავრცელებს ყალბ ინფორმაციას სადაც წერს, რომ „ყველაზე საინტერესო და დამაფიქრებელი ბინის ისტორიაში მისი დაკანონების მექანიზმია, რომელიც არც მეტი არც ნაკლები უკანონობაზე აგებული»; დ) იმავე გაზეთში, 2008 წლის 17 ნოემბერს გამოქვეყნდა ჟურნალისტ ლ. ლ-მის სტატია, სათაურით „კოლეგების კოლეგიალობა«, სადაც წერს, რომ „კოლეგების აზრის გათვალისწინება მეც მომიხდა მით უფრო, რომ ზემდგომი უკანონობის დაკანონებით იყო დაინტერესებული«. ამდენად, მოსარჩელე თვლის, რომ ჟურნალისტი ბრალს სდებს სხვისი ქონების მითვისებაში; ე) იმავე გაზეთის 2008 წლის 15 დეკემბრის გამოცემაში ჟურნალისტი წერს: „ჩვენი ინტერესების სფეროში, თქვენს მიერ უკანონოდ მითვისებული ბინა«, რითაც ჟურნალისტი მოსარჩელეს სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენაში სდებს ბრალს; ვ) გაზეთ „ლ. მ-ს« 2008 წლის 24 ნოემბრის გამოცემაში იგივე ჟურნალისტი აქვეყნებს სტატიას სათაურით: „ვინ უფემქა ბინა ჭ-იას«. მოსარჩელის აზრით, ჟურნალისტი საზოგადოებას ახსენებს: „მოქალაქე ფ. ჭ-იასთვის ბინის უკანონოდ გადაცემის ფაქტობრივ უტყუარ მტკიცებულებებს« და სვამს კითხვას: „თუ ბატონი ფ. კანონს არ ემორჩილებოდა, ასეთ შემთხვევაში რატომ არ განხორციელდა მის მიმართ შესატყვისი ღონისძიება? რა, ფ. ჭ-იას ბეჭები „კამერაში« არ შეეტოვდა?« ჟურნალისტი გულისტკივილს გამოთქვამს, რომ კოლეგებმა „პოდნოსით მირთმეულ დანაშაულზე რეაგირება არ მოახდინეს«. ჟურნალისტი იმავე სტატიაში საჯაროდ გამოხატავს სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებისადმი უარყოფით დამოკიდებულებას და არ ერიდება განცხადებას, რომ „ახლად აღმოჩენილი გარემოებების გათვალისწინებით, მიეცემათ საშუალება მოითხოვონ უკანონოდ პრივატიზებული ბინის სახელმწიფოსათვის გადაცემის შესაძლებლობა«. აღნიშნული გამონათქვამები შეიცავს ცილისწამების ნიშნებს; ზ) იმავე გაზეთის 2009 წლის 12 თებერვლის ნომერში ჟურნალისტი წერს: „გაზეთმა ჟურნალისტური კვლევის შედეგად მოიპოვა უტყუარი მტკიცებულება ქალაქის ცენტრში, ოთხსართულიან სახლში, ერთოთახიანი ბინის უკანონო გაჩუქების თაობაზე«. მოსარჩელე მიიჩნევს, რომ ასეთი ფორმით, გაზეთის რედაქციის სახელით გაკეთებული ყალბი ცილისმწამებლური განცხადებით იგი აგრძელებს შეუმოწმებელი, ფალსიფიცირებული მასალის გამოქვეყნებას; თ) გაზეთ „ლ. პ-ს« 2009 წლის 9 მარტის ნომერში აქვეყნებს მის მიმართ რ.ბ-მის ქუჩურ გამონათქვამებსა და უაზრო კომენტარებს, თუ კონკრეტულად რას, მოსარჩელე არ უთითებს; ი) გაზეთ „ლ. მ-ს« 2009 წლის 12 მარტის ნომერში ჟურნალისტმა ლ. ლ-მემ გააკეთა მოწოდება-განცხადება, რომელიც მიზნად ისახავდა რ.ბ-მის მიერ გარკვეული ქმედების განხორციელებას „ისეთ სერიოზულ შეურაცხყოფაზე, სადაც საუბარი იყო გამგობასა და სასამართლოს შორის არსებულ კორუფციულ გარიგებაზე«, რითაც ჟურნალისტი ხელოვნურად ქმნის მისთვის შეურაცხყოფელ, ზიანის მიმყენებელ გარემოებას, რაც ცილისწამებაა.

საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლის 1-ელი და მე-2 ნაწილების, „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ« საქართველოს კანონის პირველი მუხლის პირველი ნაწილის „ე« ქვეპუნქტისა და მე-13 მუხლის შესაბამისად პალატამ მიიჩნია, რომ ცილისწამებისათვის პირს პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის გაავრცელებს არსებითად მცდარ ფაქტებს, რითაც ამ პირს მიადგა ზიანი, ანუ გავრცელებული ფაქტი უნდა იყოს მცდარი, მოგონილი, ყალბი და მან ზიანი უნდა მიაყენოს მოსარჩელეს. პალატის მოსაზრებით, სწორია და სადავოს არ წარმოადგენს გაზეთ „ლ. პ-ში« და გაზეთ „ლ. მ-ში« ჟურნალისტ ლ. ლ-მის მიერ გამოქვეყნებულ სტატიებში მოყვანილი შემდეგი ფაქტები: 1995 წლის 4 ივნისის '36 გადაწყვეტილებით სამსახურებრივი სარგებლობისათვის ფ. ჭ-იას გადაეცა ქ. ..., ... ქ.'110-ში მდებარე სადავო ბინა. სამსახურებრივად მისი ოზურგეთში გადასვლის შემდეგ, ლანჩხუთის მერიის 1996 წლის 31 ივნისის '37 გადაწყვეტილებით, ბინა მიეკუთვნა პოლიციის მუშაკ ა. კ-მეს. ფ. ჭ-იამ აღნიშნულ ბინაზე დაიწყო დავა. ლანჩხუთის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 3 დეკემბრის განჩინებით, ამავე რაიონის გამგობასთან მორიგების მეშვეობით ფ.ჭ-იამ მიიღო ბინის პრივატიზაციის უფლება, ხოლო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2007 წლის 2 ნოემბრის გადაწყვეტილებით გადაეცა ამ ბინაზე საკუთრების უფლება. ამდენად, სასამართლომ დაადგინა, რომ საგაზეთო სტატიებში მოყვანილი ფაქტები მცდარი და მოგონილი არ არის და გაზეთის რედაქციას მცდარი ფაქტების შემცველი განცხადებები არ გაუვრცელებია.

პალატამ თავისი განჩინება დააფუძნა როგორც „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 და მე-7 მუხლებს, ასევე ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლს, რომელიც, ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს პრაქტიკის შესაბამისად, გამოიყენება ფიზიკური, თუ იურიდიული პირების მიმართ. სასამართლოს მითითებით, აზრის გამოხატვის თავისუფლება გულისხმობს ისეთი განმარტებებისა და გამოთქმის უფლებასაც, რომელიც „შეურაცხმყოფელია, აღმამფრთხილებელია და შემაწუხებელია“. სასამართლომ დაუშვებლად ჩათვალა, რომ ჟურნალისტს ან გაზეთის რედაქციას ჩამოერთვას უფლება, გამოხატოს კრიტიკული შეფასებითი მსჯელობები, თუნდაც ვერ შესძლოს მათი ჭეშმარიტების დამტკიცება.

პალატამ აღნიშნა, რომ მოპასუხეები საგაზეთო გამოცემებში პერიოდულად აქვეყნებდნენ ჟურნალისტ ლ. ლ-მის სტატიებს ქ. ..., ... ქ. 1110-ში მდებარე ბინის პრივატიზაციის კანონიერებასთან დაკავშირებით და მიუხედავად იმისა, რომ ლანჩხუთის რაიონულ სასამართლოს 2004 წლის 3 დეკემბრის კანონიერ ძალაში შესული განჩინებით დადგინდა სადავო ბინის პრივატიზაციის წესით ფ.ჭ-იასათვის გადაცემის ფაქტი, ჟურნალისტის მოსაზრება აღნიშნული ბინის პრივატიზებისას „საქართველოს რესპუბლიკაში ბინების პრივატიზაციის“ შესახებ 1992 წლის 1 თებერვლის 1107 დადგენილების დარღვევის თაობაზე წარმოადგენს ჟურნალისტის შეფასებით მსჯელობას, თვალსაზრისს, კომენტარს კონკრეტული ფაქტის მიმართ და ვერ ჩაითვლება „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ცილისწამებად.

პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა, რომ პრესის მეშვეობით ჟურნალისტი ლ. ლ-მე გამოთქვამდა თავის კრიტიკულ მოსაზრებებს არა მხოლოდ ფ.ჭ-იას, როგორც ამ ბინის პრივატიზაციაში ერთ-ერთი მონაწილის, არამედ ადგილობრივი მმართველობის ორგანოების – ... გამგეობის, ... მუნიციპალიტეტის, სასამართლოსა და პროკურატურის ორგანოების მიმართაც, ანუ მოცემულ შემთხვევაში ყველა საგაზეთო სტატია, რომლებიც დავის საგანს წარმოადგენდა, არ შეიცავდა მხოლოდ ფ.ჭ-იას მიმართ კრიტიკას, მათში მოსარჩელე არ იყო ერთმნიშვნელოვნად იდენტიფიცირებული და ეს სტატიები ეხებოდა პირთა განუსაზღვრელ ჯგუფს (ფიზიკურ და იურიდიულ პირებს). შესაბამისად, კონკრეტული პირის მიმართ გამოხატული ცილისწამება არ დადასტურდა, რაც გამორიცხავს მოპასუხეთა სამოქალაქო-სამართლებრივ პასუხისმგებლობას როგორც მორალური, ასევე მატერიალური სახით (საქართველოს კანონის „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ 6-ე მუხლის მე-3 ნაწილი). გაზეთ „ლ. პ-ს“ 2008 წლის 13 ნოემბრის ნომერში გამოქვეყნებული სტატია – „ერთი ბინის ისტორია“ არ შეიცავდა ცილისწამების შემადგენლობას პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობისა და პირადი საიდუმლოების დაცვის მოტივით, რადგან დადგენილია და არც ფ.ჭ-ია უარყოფს იმ ფაქტს, რომ მის საკუთრებაში არსებულ ბინაში ნამდვილად ცხოვრობდა გ. ტ-მე. სასამართლომ გაიზიარა მოწინააღმდეგე მხარის მითითება, რომ გაზეთ „ლ. პ-ში“ 2008 წლის 13 ნოემბრის ნომერში გამოქვეყნებულ სტატიაში – „ერთი ბინის ისტორია“ მოსაზრება გამოთქმულია არა იმგვარად, როგორც მოსარჩელე მიუთითებს, არამედ გამონათქვამი – „გაურკვეველია თუ რა სტატუსით ცხოვრობს ეს ქალბატონი ამ ბინაში“, მოპასუხის განმარტებისა და თავად სტატიის შინაარსის მიხედვით, გულისხმობს უძრავ ნივთთან მიმართებით გ. ტ-მეს სამართლებრივ უფლებამოსილებას და არა ფ.ჭ-იას მიმართ დამოკიდებულებას. ამდენად, ასეთი გამონათქვამი არ შეიცავს ცილისწამების ნიშანს და არ არღვევს ფ.ჭ-იას, როგორც ადამიანის, პირადი ცხოვრებისა და საიდუმლოების ხელშეუხებლობის პრინციპს. პალატამ იხელმძღვანელა „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლით და მიუთითა, რომ ფ.ჭ-იამ სარჩელი სასამართლოში შეიტანა 2009 წლის 4 ივლისს, ანუ გაზეთ „ლ. მ-ში“ 2008 წლის 24 ნოემბერს და 2009 წლის 12 თებერვალს გამოქვეყნებული სტატიების: „ვინ უფეშქაშა ბინა ჭ-იას“ და „რატომ დატოვა გუბერნატორთან შეხვედრამ ნანახი ფილმის შთაბეჭდილება“ გამოქვეყნებიდან 100 დღის შემდეგ, აღნიშნულ სტატიებთან მიმართებით სასარჩელო მოთხოვნა უსაფუძვლობასთან ერთად ხანდაზმულობისა.

პალატამ დამატებით განმარტა, რომ განსახილველი სამართლებრივი ურთიერთობა წარმოიშვა 1997 წლის 18 აგვისტოდან, 2009 წლის 12 მარტის შუალედში, „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონი კი მიღებულია 2004 წლის 24 ივნისს. რადგან „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ კანონს უკუქცევითი ძალა არ მინიჭებია, განსახილველი სამართალურთიერთობა უნდა გადაწყდეს როგორც სამოქალაქო კოდექსის 2004 წლის 24 ივნისამდე მოქმედი რედაქციით, ისე „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე.

პალატამ მიიჩნია, რომ გაზეთ „ლ. პ-ს“ 1997 წლის 18 აგვისტოს ნომერში გამოქვეყნებული სტატიით „ვი-სია-ვისია?“, ასევე, 1998 წლის 20 აპრილის ნომერში გამოქვეყნებული სტატიით „მორცხვი პოლიცია“ და „ნაგლი პროკურატურა“ ცნობების გავრცელების პერიოდისათვის მოქმედი რედაქციის სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, გავრცელებული ცნობების სინამდვილესთან შესაბამისობის მტკიცების ტვირთი ეკისრებოდა ცნობების გამავრცელებელს, ანუ გაზეთის რედაქციამ უნდა დაადასტუროს, რომ მის მიერ გავრცელებული ცნობები სინამდვილეს შეესაბამება. მოსარჩელეს განმარტების საფუძველზე პალატამ მიიჩნია, რომ გაზეთ „ლ. პ-ს“ 1997 წლის 18 აგვისტოს ნომერში გამოქვეყნებულ სტატიაში გავრცელებული ცნობა, რომ 1997 წლისათვის ფ.ჭ-ია ოზურგეთის პროკურატურაში მუშაობდა სიმართლეს შეესაბამება. გარდა ამისა, ლანჩხუთის მერიის 1996 წლის 31 ივლისის 137 გადაწყვეტილებით, ფ.ჭ-იასთვის

სამსახურებრივი სარგებლობისათვის გამოყოფილი ბინა, სამსახურებრივი სარგებლობისათვის გადაეცა პოლიციის მუშაკ ა. კ-ძეს. სასამართლომ ჩათვალა, რომ აღნიშნული ბინის გადაცემასთან დაკავშირებით გაზეთ „ლ. პ-ს“ 1998 წლის 20 აპრილის ნომერში გამოქვეყნებული ლ. ლ-ძის წერილი სათაურით: „მორცხვი პოლიცია“ და «ნაგლი პროკურატურა», სადაც მითითებულია, რომ „პროკურატურამ პოლიციას ბინა დააწერა», „პოლიცია მორცხვობს, პროკურატურა ნაგლობს“ არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს ფ. ჭ-იას პატივისა და ღირსების შეურაცხმყოფელ გამონათქვამად.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება ფ. ჭ-იამ გაასაჩივრა საკასაციო წესით და მოითხოვა მისი გაუქმება შემდეგი საფუძვლებით: პალატამ არასწორად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი გარემოებები. ფაქტობრივად, 1996 წლის 15 იანვრიდან, როდესაც კასატორი გადაყვანილ იქნა ოზურგეთის რაიონულ პროკურატურაში, ბინაში იმყოფებოდა ლანჩხუთის შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების საგამოძიებო სამსახურის უფროსი ვ. ვ-ძე, რომელმაც კასატორის გადასვლის შემდეგ გარკვეული პერიოდი გააგრძელა საქმიანობა და ბინით სარგებლობდა. ამდენად, სრულიად უსაფუძვლოა მითითება, რომ მოქალაქე გ. ტ-ძე ბინაში გადავიდა მას შემდეგ, რაც იგი გამოთავისუფლდა. სადავო ბინა ირიცხებოდა ფ. ჭ-იას სახელზე გაცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის საფუძველზე, რაც მხარეს ბინის შენარჩუნების უფლებას აძლევდა. საფუძველს მოკლებულია სასამართლოს მიერ ლანჩხუთის მერიის 1996 წლის 31 ივლისის 137 გადაწყვეტილების განმარტება, რომ «ფ. ჭ-იასათვის სამსახურებრივი სარგებლობისათვის გამოყოფილი ბინა, ასევე სამსახურებრივი სარგებლობისათვის გადაეცა პოლიციის მუშაკ ა. კ-ძეს». აღნიშნული გადაწყვეტილებით ა. კ-ძეს ბინა გამოეყო საკუთრების უფლებით, რაზედაც, იმ დროისათვის მოქმედი საბინაო კოდექსის შესაბამისად, უნდა გაცემულიყო ბინის ორდერი. ორდერი გაიცემოდა მხოლოდ თავისუფალ, იზოლირებულ საცხოვრებელ ფართზე, ამდენად, საგაზეთო ინფორმაცია იმთავითვე უკანონო იყო და პოლიციას არ შეიძლებოდა სადავო ბინასთან კავშირი ჰქონოდა, რადგან იგი წარმოადგენდა ქალაქის საბინაო ფონდზე რიცხულ სახელმწიფო საკუთრებას. საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების განმარტებისას სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებათა შეზღუდვა ხორციელდება დემოკრატიულ საზოგადოებაში სხვათა უფლებებისა და ღირსებების დასაცავად, რაც გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის საერთაშორისო დებულებების ანალოგიურია. „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ კანონი ერთმანეთისაგან მიჯნავს ფაქტებსა და მოსაზრებებს. მოცემულ შემთხვევაში მედიასაშუალებით ჟურნალისტის მიერ გავრცელებული განცხადებები ერთმნიშვნელოვნად შეიცავს მხოლოდ დადასტურებად ან უარყოფად ფაქტს და იგი წარმოდგენილია მხოლოდ მტკიცებითი ფორმით. «სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ» საქართველოს კანონის მე-13 მუხლის თანახმად, პალატამ სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს დაუსაბუთებელი მსჯელობა, რომ განსახილველ შემთხვევაში ჟურნალისტ ლ. ლ-ძის მიერ მედიასაშუალებით გამოქვეყნებულ მასალებში მოყვანილი ფაქტები ნამდვილია, შესაბამისად, გაზეთის რედაქციას მცდარი ფაქტის შემცველი განცხადება არ გაუვრცელებია. განსახილველ სარჩელსა და სააპელაციო საჩივარში აღნიშნულია და დადასტურებული, რომ სადავო ბინის ფ. ჭ-იას საკუთრებაში გადაეცა მოხდა კანონმდებლობის სრული დაცვით. არსებითად მცდარი ფაქტის შემცველია ამ მონაცემების შემდგომ გამოხატვის საგნის მიმართ მტკიცებითი ფორმით, მედიასაშუალებით გავრცელებული განცხადებები – „ჩვენი ინტერესების სფეროში თქვენს მიერ უკანონოდ მითვისებული ბინაა», «თქვენ იგნორირება გაუკეთეთ ქალაქის მერიის გადაწყვეტილებას და ფართი კოლეგას არ დაუთმეთ», «მოქალაქე ფ. ჭ-იას ბინის უკანონოდ გადაცემის ფაქტობრივი უტყუარი მასალები», «რატომ არ დადგა ჭ-იას სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი, მისი ბეჭები კამერაში არ შეეტეოდა?!», «კორუფციული გარიგება» და სხვა, რაც კასატორისათვის უაღრესად შეურაცხმყოფელი, ცილისწამებლური, ღირსების და პატივის შემლახველია. სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ აღნიშნულით ზიანი მიადგა მის რეპუტაციას, ღირსებასა და ჯანმრთელობას. სამართლებრივად დაუსაბუთებელია პალატის შეფასება, რომ „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის თანახმად, ჟურნალისტის მიერ საგაზეთო მასალებში გაშვებული გამონათქვამი „საქართველოს რესპუბლიკაში ბინების პრივატიზაციის შესახებ“ 1992 წლის 1 თებერვლის 1107 დადგენილების მიხედვით სამსახურებრივი დანიშნულების ბინების უსასყიდლოდ პრივატიზების აკრძალვასთან დაკავშირებით წარმოადგენს ჟურნალისტის მოსაზრებას, შეფასებით მსჯელობას, რის გამოც იგი ვერ ჩაითვლება კერძო პირის ცილისწამებად. სადავო ბინა არ იყო სამსახურებრივი დანიშნულების. იგი წარმოადგენდა სახელმწიფო საკუთრებას. ამდენად, ჟურნალისტის მტკიცებითი ფორმით კანონის დარღვევაზე ბრალდება მართლსაწინააღმდეგო და დაუსაბუთებელია. „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ფაქტობრივ და სამართლებრივ საფუძველს მოკლებულია პალატის მსჯელობა, რომ ჟურნალისტი პრესის მეშვეობით გამოთქვამს თავის მოსაზრებებს არა მხოლოდ ფ. ჭ-იას, როგორც ამ ბინის პრივატიზაციის ერთ-ერთი მონაწილის, არამედ – ადგილობრივი მმართველობის ორგანოების მიმართაც. უდავო ფაქტია, რომ ხსენებული ბინა კასატორს საკუთრებაში გადაეცა კანონის შესაბამისობით, სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე. ამდენად, მედიასაშუალებების მიერ გავრცელებული ინფორმაცია სათაურით – „ერთი ბინის ისტორია, ან განცხადება კორუფციული გარიგებით ბინის დაკანონებაზე“ არის არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი და მოგონილი. ჟურნალისტის მიერ მედიასაშუალებით

გამოქვეყნებული ყველა საგაზეთო მასალა გამოხატვის საგნის მიმართ შეიცავს კასატორისადმი ბრალდებას და მისი პიროვნება ცალსახად იდენტიფიცირებულია.

სასამართლომ არასწორად გაიზიარა მოწინააღმდეგე მხარის პოზიცია გაზეთ „ლ. პ.-ს“ 2008 წლის 13 ნოემბრის გამოცემაში გამოქვეყნებულ სტატია „ერთი ბინის ისტორიასთან“ დაკავშირებით, რომელიც მასში მითითებული ცილისწამებლურია, ლახავს კასატორის პატივსა და ღირსებას და მისი ოჯახისათვის საზიანოა. მცდარია პალატის დასკვნა სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობასთან დაკავშირებით, რადგან განსახილველი სარჩელი სასამართლოს წარედგინა არა 2009 წლის 4 ივლისს, არამედ – 4 ივნისს, კანონით დადგენილ 100 დღის ვადაში. სააპელაციო პალატამ არ გაითვალისწინა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოში დაირღვა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლით გათვალისწინებული საპროცესო ვადა და საქმე სასამართლოში განხილულ იქნა სამ თვეზე მეტი ვადის დაგვიანებით. ასევე დაუსაბუთებელია სასამართლოს მსჯელობა სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლთან დაკავშირებით.

### **სამოტივიციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძველბის შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ფ. ჭ-იას საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება უნდა დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის პირველი ნაწილის «ა» და «ბ» ქვეპუნქტების თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი და სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძველად არ უდევს კანონის დარღვევა. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინების გაუქმების ზემოხსენებული ნორმით გათვალისწინებული საფუძველები მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს.

უპირველესად, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინებით არასწორად იქნა დადგენილი გარემოება განსახილველ საქმეზე სარჩელის სასამართლოში 2009 წლის 4 ივლისს წარდგენის თაობაზე, ვინაიდან ფ. ჭ-იას სარჩელი სასამართლოში შეტანილი აქვს 2009 წლის 4 ივნისს, თუმცა განჩინებაში ასახული ეს უსწორობა არ ქმნის მისი გაუქმების იურიდიულ საფუძველს, კერძოდ:

სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებული განჩინებით დაადგინა, რომ ვინაიდან ფ. ჭ-იამ სარჩელი სასამართლოში შეიტანა 2009 წლის 4 ივლისს, ანუ გაზეთ „ლ. მ-ში“ 2008 წლის 24 ნოემბერს და 2009 წლის 12 თებერვალს გამოქვეყნებული სტატიების: „ვინ უფეშქაშა ბინა ჭ-იას“ და „რატომ დატოვა გუბერნატორთან შეხვედრამ ნანახი ფილმის შთაბეჭდილება“ გამოქვეყნებიდან 100 დღის შემდეგ, აღნიშნულ სტატიებთან მიმართებაში სასარჩელო მოთხოვნა უსაფუძველობასთან ერთად ხანდაზმულიცაა. „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლით, ცილისწამების შესახებ სარჩელი სასამართლოში წარდგენილი უნდა იქნეს 100 დღის განმავლობაში მას შემდეგ, რაც პირი გაეცნო ან შეეძლო, რომ გასცნობოდა განცხადებას.

მოცემულ შემთხვევაში საკასაციო სასამართლო სრულად ეთანხმება სააპელაციო პალატის დასკვნას, კანონის დროში მოქმედებასთან მიმართებით და თვლის, რომ «სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ» საქართველოს კანონის ძალაში შესვლიდან მოდღვე მხარეთა შორის წარმოშობილი ურთიერთობა უნდა დარეგულირდეს მითითებული ნორმატიული აქტით, კერძოდ, გაზეთ «ლ. პ.-სა» და გაზეთ «ლ. მ-ში» 2008 წლის 13 ნოემბერს გამოქვეყნებული სტატიის – «ერთი ბინის ისტორია», 2008 წლის 17 ნოემბერს გამოქვეყნებული სტატიის – «კოლეგების კოლეგიალობა», 2008 წლის 15 დეკემბრის სტატიის – «ახალი ტალღის იმედი მაქვს და კარგა ხანია ამ ტალღაზე ვარ ჩართული», 2008 წლის 24 ნოემბრის სტატიის «ვინ უფეშქაშა ბინა ჭ-იას», 2009 წლის 12 თებერვლის სტატიის – «რატომ დატოვა გუბერნატორთან შეხვედრამ ნანახი ფილმის შთაბეჭდილება» მიმართ მოქმედებს კანონით დადგენილი ხანდაზმულობის სპეციალური ვადა, რომელიც განსახილველ სტატიებთან მიმართებით დარღვეულია. გამოცემაში სადავო სტატიების გამოქვეყნებიდან 2009 წლის 4 ივნისამდე – სარჩელის შეტანამდე კანონით გათვალისწინებული ასდღიანი გასაჩივრების ვადა გასულია, ამდენად, კასატორის მითითება, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად შეაფასა ხანდაზმულობის საკითხი უსაფუძველოა.

რაც შეეხება 2009 წლის 9 მარტის სტატიას – «ჩახუთული გამგეობა და თვალბნაბია საკრებულო», ასევე 2009 წლის 12 მარტის სტატიას – «შეშინებულზე პრესკონფერენციის მოწვევას გამოლოცვა სჯობს», საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მიუხედავად მოცემულ სტატიებთან მიმართებით მოსარჩელის მიერ კანონით დადგენილი 100-დღიანი ხანდაზმულობის ვადის დაცვით სარჩელის შეტანისა, აღნიშნული მაინც არ წარმოადგენს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველს.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ მოსარჩელე ფ.ჭ-ია 2009 წლის 9 მარტის საგაზეთო სტატიიდან სადავოდ ხდის «რ. ბ-მის ქუჩურ გამონათქვამებსა და უაზრო კომენტარებს». ამასთან მოსარჩელე არ აკონკრეტებს მისი მოთხოვნის საფუძველებს, კერძოდ, არ აზუსტებს, მოცემული საგაზეთო სტატიით რა სახით ირღვევა მოსარჩელის პირადი არაქონებრივი უფლებები, რაც «სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ» საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილისა და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად სწორედ მოსარჩელის მტკიცების ტვირთს წარმოადგენს, სასამართლო



კი ყოველი კონკრეტული შემთხვევისას არკვევს მოდავე მხარის პრეტენზიის მართებულობასა და მის კანონთან შესაბამისობას.

რაც შეეხება 2009 წლის 12 მარტის სტატიას, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ არც მოცემულ ნაწილში წარმოდგენია ფ.ჭ-იას დასაშვები და დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის დანაწესი), რადგანაც 12 მარტის სადავო სტატიამი მოხსენიებულია ასევე გამგეობა და სასამართლო. «სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ» საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ცილისწამების თაობაზე სასამართლო დავის საგანი არ შეიძლება იყოს ისეთი განცხადება, რომელიც ეხება პირთა განსაზღვრულ ჯგუფს ან/და რომელშიც მოსარჩელე არ არის ერთმნიშვნელოვნად იდენტიფიცირებული. მოცემულ შემთხვევაში ფ.ჭ-ია სადავოდ მიიჩნევს რა 2009 წლის 12 მარტის სტატიას – «შემინებულზე პრესკონფერენციის მოწვევას გამოლოცვა სჯობს» და მოითხოვს სიტყვის თავისუფლების შეზღუდვას, იგი მოცემულ სტატიამი არ არის იდენტიფიცირებული და არც უშუალოდ მის წინააღმდეგაა მიმართული აღნიშნული სტატია, რის გამოც საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ აღნიშნული სტატიით ფ.ჭ-იას უფლების დარღვევის საკითხი არ წარმოადგენს სასამართლოს განსჯად დავის საგანს.

დაუსაბუთებელია კასატორის მოსაზრება, რომ სასამართლომ არასწორად დაადგინა, რომ სადავო საგანზე სტატიებში მოყვანილი ფაქტები არ არის მცდარი და მოგონილი, რაც გამორიცხავს ცილისწამების ფაქტს. კასატორი მიიჩნევს, რომ ამ ფაქტების მიმართ მედიასაშუალებით მტკიცებითი ფორმით გავრცელებული განცხადებები ცილისწამებლურია, კერძოდ, «ჩვენი ინტერესების სფეროში თქვენს მიერ უკანონოდ მითვისებული ბინაა»; «თქვენ იგნორირება გაუკეთეთ ქალაქის მერიის გადაწყვეტილებას და ფართი კოლეგას არ დაუთმეთ»; «მოქალაქე ფ.ჭ-იასთვის ბინის უკანონოდ გადაცემის ფატობრივი მასალები»; «რატომ არ დადგა ჭ-იას სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი, მისი ბეჭები კამერაში არ შეეტეოდა». აღნიშნულ გამონათქვამებთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო სრულად ეთანხმება სააპელაციო პალატის დასკვნას, რომ ჟურნალისტის მიერ გამოთქმული ეს მოსაზრებები არის მისივე შეფასებითი მსჯელობა და იგი ცილისწამებად ვერ ჩაითვლება. აღნიშნული გამონათქვამები აშკარად გამოხატავს ჟურნალისტის თვალსაზრისს, შეხედულებას და მის დამოკიდებულებას კონკრეტული გარემოებისა და პიროვნებისადმი.

„სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ» საქართველოს კანონის 1-ელი მუხლის «ე» ქვეპუნქტის თანახმად, ცილისწამება ეს არის არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი და პირისთვის ზიანის მიმყენებელი, მისი სახელის გამტეხი განცხადება, ხოლო ამავე მუხლის «ბ» ქვეპუნქტის მიხედვით, აზრი არის შეფასებითი მსჯელობა, თვალსაზრისი, კომენტარი, აგრეთვე, ნებისმიერი სახით ისეთი შეხედულების გამოხატვა, რომელიც ასახავს რომელიმე პიროვნების, მოვლენის ან საგნის მიმართ დამოკიდებულებას და არ შეიცავს დადასტურებად ან უარყოფად ფაქტს.

ამ კანონის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილის «ა» ქვეპუნქტისა და მე-4 მუხლის 1-ელი ნაწილის თანახმად, დაცულია აზრის თავისუფლება და აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით.

აღნიშნული კანონი კონკრეტულად განსაზღვრავს რა მტკიცებულებათა სტანდარტსა და ტვირთს, მე-7 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად იმპერატიულად ადგენს, რომ აზრის ან ფაქტის სტატუსის მინიჭების საკითხის განხილვისას ყოველგვარი გონივრული ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს განცხადებაში მოყვანილი ცნობებისათვის აზრის სტატუსის მინიჭების სასარგებლოდ.

სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ კასატორის მიერ სადავოდ მიჩნეული ჟურნალისტის გამონათქვამები არის ჟურნალისტის შეფასებითი მსჯელობა, თვალსაზრისი მომხდარის მიმართ და ასახავს მოპასუხეთა დამოკიდებულებას კონკრეტული ფაქტის მიმართ. კასატორმა ვერ შესძლო, დაედასტურებინა სასამართლოს ზემოაღნიშნული დასკვნის საწინააღმდეგო, ხოლო სიტყვის თავისუფლების შეზღუდვისას მტკიცების ტვირთი ეკისრება რა შეზღუდვის ინიციატორს და კანონით დადგენილი წესით დაუდასტურებელი ეჭვი კი უნდა გადაწყდეს სიტყვის თავსუფლების შეზღუდვის საწინააღმდეგოდ («სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ» საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მეექვსე ნაწილი).

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას 1997 წლის 18 აგვისტოსა და 1998 წლის 20 აპრილის საგაზეთო სტატიებთან მიმართებით, და თვლის, რომ პალატამ სწორად გამოიყენა კანონი – სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მეორე ნაწილის დანაწესი, ასევე სწორად განმარტა კანონი, რომლის თანახმადაც სტატიებში – «ვისია-ვისია?» და «მორცხვი პროკურატურა» და «ნაგლი პოლიცია» სწორად გაანაწილა მითითებული ფაქტების მტკიცების ტვირთი. პალატამ დაადგინა, რომ სწორედ მოსარჩელის განმარტების საფუძველზე დასტურდებოდა 1997 წლის 18 აგვისტოს ნომერში მითითებული ცნობა იმის შესახებ, რომ 1997 წლისათვის ფ.ჭ-ია ოზურგეთის პროკურატურაში მუშაობდა, ასევე, არსებითად სწორია გასაჩივრებული განჩინების დასკვნა, რომ 1998 წლის 20 აპრილს საგაზეთო ნომერში მითითებული ფრაზა «პროკურატურამ პოლიციას ბინა დააწერა», «პოლიცია მორცხვობს, პროკურატურა ნაგლობს» არ შეიძლება მოცემული ფრაზების ანალიზის საფუძველზე მიჩნეულ იქნას მოსარჩელის შეურაცხმყოფელ გამონათქვამად. თავად სტატიამი გამოთქმული მოსაზრება არ არის მიმართული უშუალოდ ფ.ჭ-იას მიმართ, რაც თავისმხრივ მის ცილისწამებად მიჩნევის შესაძლებლობას გამორიცხავს.

საკასაციო სასამართლო ასევე ვერ გაიზიარებს ფ. ჭ-ის საკასაციო პრეტენზიას სასამართლოს მიერ საქმის განხილის ვადის დარღვევასთან მიმართებით, რადგანაც აღნიშნული საკითხი, დადასტურების შემთხვევაშიც კი, გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველი ვერ გახდება. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის არც ერთი დანაწესი სასამართლოში საქმის განხილისა და გადაწყვეტილების გამოტანისათვის დადგენილი ვადის დარღვევას გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველად არ მიიჩნევს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, ფ. ჭ-ის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ ხანდაზმულია, ასევე, არ არის დასაბუთებული, რის გამოც არ უნდა დაკმაყოფილდეს

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

**და ა დ გ ი ნ ა:**

ფ. ჭ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.  
ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 4 მარტის განჩინება დარჩეს უცვლელად.  
საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**საავტორო უფლებების დარღვევით მიყენებული ზიანის ანაზღაურება**

**გადაწყვეტილება  
საქართველოს სახელით**

1ას-353-329-2010

26 ოქტომბერი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ლ. ლაზარაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. კვანტალიანი,  
ვ. როინიშვილი

**დავის საგანი:** საავტორო უფლებების დარღვევით მიყენებული ზიანის ანაზღაურება

**აღწერილობითი ნაწილი:**

2004 წლის 10 ნოემბერს თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგიას სარჩელით მიმართა გ. კ-ავამ მოპასუხე ტელეკომპანია «ტ-ს» მიმართ საავტორო უფლებების დარღვევის გამო ქონებრივი და არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით, კერძოდ, მოსარჩელემ მოითხოვა:

მოპასუხე შპს «ტ-ს» მიერ გ. კ-ავას თანხმობის გარეშე ტელესერიალ «...» გასხვისების გამო ჰონორარის ანაზღაურება კომპენსაციის სახით 20 000 აშშ დოლარის ოდენობით;

მოპასუხე შპს «ტ-ს» მიერ გ. კ-ავას თანხმობის გარეშე ტელესერიალ «...» განმეორებითი ჩვენების გამო ჰონორარის – 5 000 აშშ დოლარის ანაზღაურება;

მოპასუხე შპს «ტ-ს» მიერ ტელესერიალ «...» განმეორებითი ჩვენების დროს სცენარის ავტორის – გ. კ-ავას მიუთითებლობის გამო ჰონორარის ანაზღაურება 5 000 აშშ დოლარის ოდენობით;

რუსეთის ტელევიზიით ტელესერიალ «...» ჩვენებისას გ. კ-ავას, როგორც სცენარის ავტორის სახელის არასწორად გახმოვანების გამო 5 000 აშშ დოლარის ანაზღაურება;

მისი გვარის არასწორად გახმოვანების შედეგად საქმიანი მოლაპარაკებების ჩაშლის გამო მიუღებელი შემოსავლის – 5000 აშშ დოლარი ანაზღაურება;

ზემოაღნიშნული უფლებების დარღვევის გამო მორალური ზიანის – 5000 აშშ დოლარის ანაზღაურება.

სარჩელის თანახმად, 2003 წელს მოსარჩელემ მოპასუხე ტელეკომპანიისათვის დაწერა სატელევიზიო სერიალის «...» სცენარი, რისთვისაც მოსარჩელეს გადაუხადეს შეთანხმებული საფასური. სერიალი 2003-2004 წლებში გადაიკა მოპასუხე ტელეკომპანიის საშუალებით. 2004 წელს მოსარჩელემ შეიტყო, რომ «ტ-მ» გაასხვისა ტელესერიალი, რის შესახებაც მისთვის მოპასუხეს არაფერი უცნობებია, ასევე არ მიუღია კუთვნილი ჰონორარი, როგორც სცენარის ავტორს. 2004 წელს სერიალი განმეორებით აჩვენეს საქართველოში. ამასთან დაკავშირებით მოსარჩელეს მოპასუხისგან ასევე არ მიუღია რაიმე ინფორმაცია ან კუთვნილი ჰონორარი. გარდა ამისა, საქართველოში სერიალის განმეორებითი ჩვენების დროს მოპასუხემ არ მიუთითა მოსარჩელის, როგორც სცენარის ავტორის სახელი, რითაც დაარღვია მისი კანონმდებლობით გარანტირებული უფლება. რუსეთის ერთ-ერთ ტელეარხზე სერიალის ჩვენებისას მოსარჩელე მითითებული იყო ტიტრებში, მაგრამ ტიტრების კითხვის დროს, რომლის რუსული თარგმანი შესრულებულია მოპასუხის მიერ, გამოცხადდა

არა გ. კ-ავა, არამედ სულ სხვა გვარი, რაც გამეორდა ყველა სერიაში. აღნიშნულით კვლავ დაირღვა გ. კ-ავას კანონმდებლობით გარანტირებული უფლებები.

მოსარჩელის განმარტებით, **2002** წლიდან იგი მოლაპარაკებას აწარმოებდა ბრაზილიურ კომპანია «კ-სთან» სრულმეტრაჟიანი ფილმის სცენარის დაკვეთასთან დაკავშირებით. **2004** წლის სექტემბრის თვეში ამ უკანასკნელმა უარი განაცხადა მოსარჩელესთან საქმიანი ურთიერთობის გაგრძელებაზე. გ. კ-ავას დაჟინებული მოთხოვნით მიღებულ იქნა პასუხი, საიდანაც ირკვევა, რომ სწორედ მოპასუხის მიერ მოსარჩელის ზემომითითებული უფლების დარღვევასთან (ტიტრებში გვარის მიუთითებლობა) უშუალო მიზეზობრივ კავშირშია მოსარჩელის შეუმდგარი საქმიანი ურთიერთობები, ანუ არსებობს ფაქტობრივად მიუღებელი შესაძლებლობა.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ მისი, როგორც ავტორის, უფლებების არაერთგზისი დარღვევით და იგნორირებით შეილახა მისი პატივი და მიაღდა მორალური ზიანი, რომელიც ანაზღაურებას ექვემდებარება.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და შესაგებელში განმარტა შემდეგი:

შპს «ტ-მ» გ. კ-ავას მართლაც დაუკვეთა ტელესერიალ «...» რამდენიმე სერიის შექმნა. ამის შედეგად მოსარჩელემ მიიღო შესაბამისი ანაზღაურება. სამუშაოს შესრულების პროცესში და მისი დამთავრების შემდეგ მოპასუხემ არაერთხელ მიმართა მოსარჩელეს, გაეფორმებინათ ხელშეკრულება აღნიშნულ სცენართან დაკავშირებით და ამით დაედგინათ სამომავლო ურთიერთობების პირობები და ფარგლები. მოსარჩელეს წარედგინა ხელშეკრულების ფორმა, რაზეც მან ყოველგვარი მიზეზის მითითების გარეშე ხელი არ მოაწერა. აქედან გამომდინარე, გაურკვეველი დარჩა სცენარის გამოყენების უფლებების პირობები.

მოპასუხის მითითებით, «ტ-მ» მიიღო გადაწყვეტილება, თავისი წვლილი შეეტანა ქართული სატელევიზიო კონენტოგრაფიის განვითარებაში და განიზრახა ქართული სატელევიზიო ფილმების (სერიალები, ტელეფილმები და სხვა) შექმნა. პარალელურად «ტ-ს» ქართული აუდიოვიზუალური ნაწარმოებების, ქართველ ავტორთა და შემსრულებელთა პოპულარიზაციის მიზნით აწარმოებდა მოლაპარაკებებს და ყველა საშუალებით ცდილობდა შექმნილი პროექტი გაეტანა მსოფლიო ბაზარზე. აღნიშნულმა მცდელობამ გამოიღო შედეგი და უცხოური კომპანიისგან მიიღო წინადადება მათ მიერ წარმოებული აუდიოვიზუალური ნაწარმოებების გამოყენების უფლებების შეძენასთან დაკავშირებით. სხვა ნაწარმოებებთან ერთად გადაეცა ტელესერიალ «...» გამოყენების უფლება. მოპასუხე ვერ შეაყოვნებდა აღნიშნულ პროცესს იმის გამო, რომ მოსარჩელესთან არ იყო საბოლოო ურთიერთობები გარკვეული. «ტ-ს» არ დაურღვევია მოსარჩელის, როგორც სცენარის ავტორის უფლებები.

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგიის **2005** წლის **30** მარტის გადაწყვეტილებით გ. კ-ავას სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის **2005** წლის **8** ნოემბრის განჩინებით, გ. კ-ავას საკასაციო საჩივრის განხილვის შედეგად გაუქმდა თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგიის **2005** წლის **30** მარტის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად გადაეგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის **2009** წლის **15** ივლისის გადაწყვეტილებით გ. კ-ავას სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა ჰონორარის – **4 500** ლარის გადახდა; ამავე გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა მოსარჩელის მოთხოვნა მორალური ზიანის (**25 000** აშშ დოლარის) ანაზღაურებასთან დაკავშირებით.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა საქმის მასალებით დადგენილ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე:

მოსარჩელემ შექმნა **7** სცენარი სერიალისათვის «...», რომლის მიხედვითაც გადაღებულ იქნა «...» სერიები **მე-13** სერიის ჩათვლით;

მხარეთა შორის ხელშეკრულება არ გაფორმებულა;

მოსარჩელეს სცენარის შექმნისათვის მიღებული აქვს საფასური – **5 600** ლარი (თითოეული სცენარისათვის – **800** ლარი);

**2004** წლის **4** ოქტომბრიდან **30** ოქტომბრის ჩათვლით სერიალი «...» გადიოდა რუსულ არხზე «...»;

მოპასუხემ **2004** წლის **30** ივლისს სალიცენზიო ხელშეკრულება გააფორმა კომპანია «ნ-სთან» ნაწარმოებების გამოყენებაზე, მათ შორის, ტელესერიალზე «...» განსაკუთრებული უფლებების შეძენასთან დაკავშირებით. ტიტრების რუსულ ენაზე თარგმნა განახორციელა მოპასუხემ. მან აღნიშნული დაადასტურა სასამართლო პროცესზე. აღნიშნულს ადასტურებდა მოსარჩელეც;

«...-ის» სცენარები პირველი **5** სერიისთვის შესრულებული იყო გ. კ-ავას მიერ. მოსარჩელის სცენარების მიხედვით გადაღებული სერიების შემდეგ შესაბამის სერიათა (სულ გადაღებულია **80** სერია) სცენარები იწერებოდა სხვა პირთა მიერ.

საქალაქო სასამართლოს მითითებით, მოსარჩელემ ვერ დაადასტურა ის გარემოება, რომ რუსულ არხზე «...» რუსულ ენაზე ფილმის ჩვენებისას მისი გვარი გახმოვანდა შეცდომით, კერძოდ, მისი გვარის ნაცვლად გახმოვანდა სხვა გვარი, ასევე, რომ ქართულ არხ «ტ-ზე» სერიალის განმეორებით ჩვენებისას ტიტრები იყო მოჭრილი. მოსარჩელის მიერ წარდგენილი მტკიცებულებებით – ა. ტ-ოვის წერილით და ვიდეოკასეტით აღნიშნული ვერ დასტურდებოდა.

საქალაქო სასამართლოს მითითებით, მხარეთა შორის შრომითი ურთიერთობა არ არსებობდა. სადავო სცენარი არ შექმნილა სამსახურებრივი დავალების წესით, იგი შეიქმნა შეკვეთით ანუ სახეზე იყო მხარეთა შორის ნაწარმოების შექმნასთან დაკავშირებული ურთიერთობა («საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ» კანონის 43-ე მუხლი). მოპასუხეს მოსარჩელესთან შრომითი ურთიერთობის არსებობის დამადასტურებელი მტკიცებულება არ წარუდგენია. ამასთან, იმ შემთხვევაშიც კი, თუ მხარეთა შორის იარსებებდა შრომითი ურთიერთობა, ნაწარმოების შექმნასთან დაკავშირებული ურთიერთობები უნდა დარეგულირებულიყო წერილობითი ფორმით, რომელიც გაითვალისწინებდა როგორც ჰონორარის, ისე ნაწარმოების გამოყენების განსაკუთრებულ უფლებასთან დაკავშირებულ საკითხებს. ასეთი ხელშეკრულების შექმნის ვალდებულება, პირველ რიგში, ეკისრებოდა მოპასუხეს, რაც მას არ განუხორციელებია. იგი აღნიშნავდა, რომ აუცილებლად მიაჩნდა ხელშეკრულების საფუძველზე მხარესთან ნაწარმოების სამომავლო გამოყენების პირობების დარეგულირება, მაგრამ ეს ვერ მოხერხდა. საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ, როგორც მიზეზიც არ უნდა ჰქონოდა მოპასუხეს შესაბამისი ნაწარმოების გამოყენებისათვის, ამის უფლება არ ჰქონდა მოსარჩელესთან შეთანხმების გარეშე და მოსარჩელის საავტორო უფლებების დარღვევის სანაცვლოდ. ამიტომ საქალაქო სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხის განმარტება, რომ იგი შესაბამის პროცესებს ვერ ჩაშლიდა იმის გამო, რომ მოსარჩელესთან არ იყო საბოლოო ურთიერთობა გარკვეული.

საქალაქო სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის განმარტება იმის თაობაზე, რომ რუსულ არხზე «...» სერიალის ჩვენებისას მისი გვარის არასწორად გახმოვანების გამო მას ჩაეშალა შესაბამისი კონტრაქტები, რის გამოც განიცადა ზიანი მიუღებელი შემოსავლის სახით. ამასთან დაკავშირებით მოსარჩელემ ვერ წარადგინა იმის დამადასტურებელი მტკიცებულება, რომ არასწორად მოხდა სერიალის გახმოვანება და რომ მოპასუხემ არასწორი თარგმანი მიაწოდა. მხოლოდ მოსარჩელის განმარტება და ა. ტ-ოვის წერილი სასამართლომ არ მიიჩნია საკმარისად ასეთი გარემოების დასადასტურებლად. საქალაქო სასამართლომ ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ, მოსარჩელის განმარტებით, მოლაპარაკებები ჩაიშალა 2004 წლის სექტემბრის თვეში, მაშინ როდესაც წარდგენილი დოკუმენტებით (სატელევიზიო ტელეპროგრამები) დასტურდებოდა, რომ რუსულ არხზე სერიალი გადაიცემოდა ოქტომბრის 4 რიცხვიდან 30 რიცხვამდე. შესაბამისად, თუნდაც ყოფილიყო არასწორი გახმოვანება, ამის გამო მოსარჩელეს სექტემბერში საქმიანი მოლაპარაკებები ვერ ჩაეშალებოდა. საქალაქო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა ასევე იმ გარემოებაზე, რომ ა. ტ-ოვი, რომელიც მოსკოვში 23 ოქტომბერს ჩაფრინდა, მოსარჩელის სცენარების მიხედვით გადაღებულ სერიებს ტელევიზიით ვერ ნახავდა, ვინაიდან ეს სერიები ეთერში გადიოდა 11-17 ოქტომბერს. ამასთან, საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ მხოლოდ აღნიშნული ვერ გახდებოდა იმ მოლაპარაკებების ჩაშლის მიზეზი, რომელიც 2 წლის მანძილზე მიმდინარეობდა. ეს მოსარჩელემაც დაადასტურა თავის ახსნა-განმარტებაში.

საქალაქო სასამართლომ საქმეზე დადგენილად მიიჩნია, რომ მოპასუხემ მოსარჩელის თანხმობის გარეშე გაყიდა სერიალი რუსეთში, ასევე, მოსარჩელის თანხმობის გარეშე მოხდა სერიალის განმეორებითი ჩვენება საქართველოში. მოპასუხემ თავად დაადასტურა, რომ სერიალის გაყიდვასთან დაკავშირებით წარმოებულ მოლაპარაკებებს ვერ ჩაშლიდა მოსარჩელის თანხმობის არარსებობის გამო. მოპასუხეს სადავოდ არც ის გარემოება გაუხდია, რომ საქართველოში სერიალი განმეორებით ორჯერ აჩვენეს. საქმეზე დგინდებოდა, რომ მოსარჩელეს არ მიუღია ჰონორარი სერიალის საქართველოში ორჯერ განმეორებით ჩვენებისა და რუსეთში მისი გასხვისებისათვის. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ დაირღვა მოსარჩელის უფლება ჰონორარის მიღებაზე, ვინაიდან აუცილებელი იყო მისი თანხმობა სერიალის გასხვისებასა და განმეორებით ჩვენებაზე.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ «საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ» კანონის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, აუდიოვიზუალური ნაწარმოების შექმნის თაობაზე ხელშეკრულების დადება იწვევს ავტორის მიერ ამ ნაწარმოების გამოყენების განსაკუთრებული უფლების გადაცემას აუდიოვიზუალური ნაწარმოების დამამზადებლისათვის, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. ამ ნაწარმოების ავტორებს უნარჩუნდებათ უფლება, მიიღონ ჰონორარი მოსარჩელისაგან ნაწარმოების ნებისმიერი სახით გამოყენებისათვის. ხელშეკრულებით სხვაგვარი შეთანხმება აუდიოვიზუალური ნაწარმოების დამამზადებლებსა და ავტორებს შორის ბათილია. ამასთან, ასეთი ხელშეკრულების წერილობით დადება იწვევს ავტორთა მიერ ამ ნაწარმოების გამოყენების განსაკუთრებული უფლების გადაცემას დამამზადებლისათვის მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. მოცემულ შემთხვევაში დგინდებოდა, რომ მხარეთა შორის სცენარის გამოყენების პირობები გარკვეული არ ყოფილა, აღნიშნული დაადასტურა მოპასუხემაც. ასეთ პირობებში, დამამზადებლისათვის ნაწარმოების გამოყენების განსაკუთრებული უფლების გადაცემის შემთხვევაშიც კი, კანონი ცალსახად ითვალისწინებს ავტორის უფლებას, მიიღოს ჰონორარი მოსარჩელისაგან (მაუწყებლობის ორგანიზაციისაგან) ნაწარმოების ნებისმიერი სახით გამოყენებისათვის. ხელშეკრულებით სხვაგვარი შეთანხმება ბათილია.

საქალაქო სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის განმარტება, რომ იგი თითოეული სერიის გასხვისებისათვის მიიღებდა 3 000 აშშ დოლარს, ვინაიდან მას აღნიშნულის დამადასტურებელი მტკიცებულება არ წარუდგენია. საქალაქო სასამართლომ გაითვალისწინა მოპასუხის განმარტება, რომ მან სერიალის 80 სერია რუსულ კომპანიაზე გაასხვისა 800 აშშ დოლარად. საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსარჩელეს საწინააღმდეგოს დამადასტურებელი მტკიცებულება არ წარუდგენია და სარწმუნოდაც არ მიუთითებია ჰონო-

რარის გონივრულ ოდენობაზე. უფრო მეტიც, მოსარჩელემ აღნიშნა, რომ მას არ შეუძლია განმარტოს, თუ როგორ გაიანგარიშა ჰონორარის ოდენობა, ვინაიდან იგი კინოსცენარისტია და ამ საკითხზე ზუსტად არ შეუძლია რაიმეს თქმა (24 ივნისის სხდომის ოქმი).

საქალაქო სასამართლომ ჰონორარის ოდენობის განსაზღვრისას გაითვალისწინა ის გარემოება, რომ მოსარჩელემ თავდაპირველად ჰონორარის სახით თითო სცენარის შექმნისათვის მიიღო 800 ლარი, ასევე ის გარემოება, რომ აღნიშნული სერიალი მართლაც იყო პირველი ქართული სერიალი და რომ მისი საზღვარგარეთ გასხვისება ემსახურებოდა სერიალის პოპულარიზაციას და გარკვეულ პოპულარობას მოუტანდა სცენარის ავტორებსაც. საქალაქო სასამართლომ გაითვალისწინა ასევე ის გარემოება, რომ მოსარჩელეს ფაქტობრივად შემდგომი შრომა აღარ განუხორციელებია სცენართან დაკავშირებით. ამასთან, მან ვერ დაასაბუთა, თუ რა შემოსავალი შეიძლებოდა მიეღო მის მიერ შექმნილი სცენარის მართლზომიერად გამოყენებით ან რა ქონებრივი ზიანი მიიღო აღნიშნული დარღვევების გამო. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით საქალაქო სასამართლომ გონივრულად მიიჩნია, რომ თითოეული სცენარის მიხედვით გადაღებული სერიის გასხვისებისათვის ჰონორარის სახით მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ უნდა დაკისრებოდა 500 ლარის გადახდა, სულ – 3500 ლარი.

საქალაქო სასამართლოს მითითებით, მოსარჩელე მისი თანხმობის გარეშე საქართველოში სერიალის ორჯერ განმეორებით ჩვენებისათვის ითხოვდა ზიანის ანაზღაურებას თითოეული შემთხვევისთვის 5 000 აშშ დოლარის ოდენობით, სულ – 10 000 აშშ დოლარს. საქალაქო სასამართლომ თანხმობის გარეშე საქართველოში სერიალის ორჯერ განმეორებით ჩვენება მოსარჩელის უფლების დარღვევად მიიჩნია, მაგრამ იქვე აღნიშნა, რომ მოსარჩელემ ვერ დაასაბუთა, თუ რატომ ითხოვდა იგი თითოეული ასეთი დარღვევისათვის 5 000 აშშ დოლარს. მოსარჩელემ სასამართლოს ვერ წარუდგინა იმის დამადასტურებელი მტკიცებულება, რომ სერიალის თითოეული განმეორებითი ჩვენებისთვის მას შეიძლებოდა მიეღო 5 000 აშშ დოლარი. მოსარჩელემ სასამართლოს იმის დამადასტურებელი მტკიცებულებაც ვერ წარუდგინა, თუ რა შემოსავალს იღებდა მოპასუხე სერიალის განმეორებით ჩვენებისას. აქედან გამომდინარე, საქალაქო სასამართლომ გონივრულად მიიჩნია მოპასუხისათვის მოსარჩელის სასარგებლოდ სერიალის განმეორებითი ჩვენებისთვის 500 ლარის, მთლიანობაში – 1 000 ლარის დაკისრება.

რაც შეეხებოდა მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნას, საქალაქო სასამართლოს მითითებით, მართალია, დაირღვა მოსარჩელის საავტორო უფლება, რაც მისი თანხმობის გარეშე სერიალის გასხვისებასა და ორჯერ განმეორებით ჩვენებაში გამოიხატა, მაგრამ მხოლოდ აღნიშნული გარემოება არ იყო საკმარისი საფუძველი მორალური ზიანის ასანაზღაურებლად.

სასამართლოს მითითებით, მოსარჩელემ იმის დამადასტურებელი, რომ რუსულ არხზე რუსულ ენაზე ფილმის ჩვენებისას მისი გვარის ნაცვლად ხმოვანდებოდა სხვა გვარი, ვერ წარადგინა, ისევე როგორც ვერ დაადასტურა, რომ ფილმის საქართველოში განმეორებითი ჩვენებისას ტიტრები იყო ამოჭრილი. მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებით (ვიდეოკასეტა) აღნიშნული ვერ იქნა დადასტურებული. სასამართლომ გაითვალისწინა მოპასუხის განმარტება, რომ მის მიერ შესრულებული თარგმანის წარმოდგენა, რაც სასამართლოს შესაბამისი ფაქტობრივი გარემოებების დადგენის საშუალებას მისცემდა, შეუძლებელია დროის ხანგრძლივი პერიოდის გავლის გამო. აქედან გამომდინარე, სასამართლომ ვერ მიიჩნია დადასტურებულად მოსარჩელის განმარტება, რომ რუსულ არხზე სერიალის ჩვენებისას მისი გვარის გახმოვანება ხდებოდა შეცდომით და რომ ქართულ არხ «ტ-ზე» სერიალის განმეორებით ჩვენებისას ტიტრები იყო მოჭრილი. მიუხედავად იმისა, რომ რუსულ არხზე შესაბამისი სერიის გადაცემას არასწორი გახმოვანებით მოპასუხის წარმომადგენელი ადასტურებდა, შემდგომში მას აღნიშნული გარემოება აღარ დაუდასტურებია, პირქით, უარყოფდა კიდევ. სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ მოსარჩელის წარმომადგენლის განმარტებით, ისინი მოპასუხეს ედავებოდნენ იმის გამო, რომ მათ რუსულ არხს მიაწოდეს არასწორი თარგმანი. აღნიშნულის დამადასტურებელი კი მოსარჩელეს სასამართლოსთვის არ წარმოუდგენია. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელის მოთხოვნა მოპასუხისათვის შესაბამისი პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ დაუსაბუთებელია და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სარჩელის დაუკმაყოფილებელ ნაწილში სააპელაციო წესით გასაჩივრა გ. კ-ავამ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება.

აღნიშნული გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებულ ნაწილში სააპელაციო წესით ასევე გასაჩივრა შპს «ტ-მა», რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებულ ნაწილში გადაწყვეტილების გაუქმება და ამ ნაწილში ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 16 დეკემბრის განჩინებით გ. კ-ავასა და შპს «ტ-ს» სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 15 ივლისის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნები საქმის ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით, აგრეთვე მათი სამართლებრივი შეფასება.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება სკასაციო წესით გასაჩივრა ორივე მხარემ.

გ. კ-ავამ მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება სარჩელის დაუკმაყოფილებლობის შესახებ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების ნაწილში და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება.

კასატორი გ. კ-ავა აღნიშნავს, რომ სასამართლომ არასწორად გაანაწილა მტკიცების ტვირთი, არასწორად შეაფასა მტკიცებულებები, არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა. ამასთან, სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში სასამართლომ სწორად დაადგინა ფაქტობრივი გარემოებები, სწორი სამართლებრივი შეფასება მისცა მათ, თუმცა არასწორად განსაზღვრა მოპასუხეზე დაკისრებული თანხის ოდენობა.

კასატორის მითითებით, იმ ფაქტობრივ გარემოებას, რომ რუსეთში სერიალის ჩვენებისას მოსარჩელის, როგორც სცენარის ავტორის, გვარი არ გამოცხადდა, თავად მოპასუხეც ადასტურებდა. ეს უკანასკნელი არ უარყოფდა, რომ მათ არასწორი ინფორმაცია მიაწოდეს რუსულ მხარეს.

კასატორის მოსაზრებით, რომ არ დასტურდებოდა ის ფაქტი, რომ რუსეთის ტელევიზიით სერიალის გაშვება ხდებოდა გ. კ-ავას გვარის მიუთითებლად, მოხდა მოსარჩელის უფლების ხელყოფა, რამდენადაც სასამართლომ მიერ საქმეზე დადგენილად და მიჩნეული, რომ ნაწარმოები რუსეთში გაიყიდა ავტორთან (მოსარჩელე) შეუთანხმებლად.

კასატორი უსაფუძვლოდ მიიჩნევს გასაჩივრებული გადაწყვეტილების იმ ნაწილსაც, რომლითაც მას უარი ეთქვა მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე. აღნიშნულის დასასაბუთებლად მან მიუთითა სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლი.

შპს «ტ-ს» საკასაციო საჩივრის მოთხოვნას წარმოადგენს გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და სააპელაციო სასამართლოში საქმის ხელახალი განხილვისათვის დაბრუნება. საკასაციო საჩივარი ეფუძნება შემდეგ მოტივებს:

შპს «ტ-მ» მიიწვია გ. კ-ავა სატელევიზიო სერიალ «...-ის» რამდენიმე სერიის სცენარის შესაქმნელად. გარდა მოსარჩელისა, მითითებულ პროექტში ჩართული იყო 23 პირი, მათ შორის: რეჟისორი, სცენარისტები, მსახიობები და სხვა, რომლებთანაც გაფორმდა შრომითი კონტრაქტები. კონტრაქტების მიხედვით, განსაკუთრებული ქონებრივი უფლებები გადასულია შპს «ტ-ზე». ეს განპირობებული იყო იმით, რომ მოპასუხეს სურდა შეექმნა სატელევიზიო სერიალი, რისი გამოცდილებაც საქართველოში ძალიან მწირი იყო და შემდგომში მოეხდინა ამ და სხვა სერიალების პოპულარიზაცია საზღვრებს გარეთ. ამ შემთხვევაში კომერციული დატვირთვა ნაკლები იყო. შესაბამისად, შპს «ტ-მ» შრომითი ურთიერთობები დამყარა შემოქმედებით ჯგუფთან და ერთჯერადი ანაზღაურებით შექმნა სერიალი «...».

კასატორი შპს «ტ.» განმარტავს, რომ «საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ» კანონი თანამშრომლის მიერ შრომითსამართლებრივი ურთიერთობების საფუძველზე შექმნილ ნაწარმოებს უწოდებს სამსახურებრივ ნაწარმოებს. ამავე კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით (ძველი რედაქცია), სამსახურებრივი ნაწარმოების ისეთი გამოყენების განსაკუთრებული უფლება, რომელიც შეპირობებულია დავალების შინაარსითა და მიზნით, ეკუთვნის პირს, რომელთანაც ავტორს აქვს შრომითი ურთიერთობა, თუ მასა და ავტორს შორის ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

კასატორის მითითებით, მოსარჩელისათვის «ტ-ს» ოფიციალურად არ შეუთავაზებია რაიმე ჰონორარი ნაწარმოების ნებისმიერი სახით გამოყენებისათვის. ასეთი ჰონორარი არც მოსარჩელეს მოუთხოვია მისგან. ამდენად, მხარეებს შორის არ არსებობს შეთანხმება საავტორო ჰონორარის ოდენობისა და მისი გადახდის წესის შესახებ. შესაბამისად, რაიმე დამატებითი ჰონორარის მოთხოვნის უფლება მოსარჩელეს არ გააჩნია.

კასატორისათვის გაურკვეველია, თუ რატომ მიიჩნია სააპელაციო სასამართლომ 500 ლარი გონივრულ ოდენობად თითოეული სერიის გასხვისებისთვის და ფილმის განმეორებითი ჩვენებისთვის, მაშინ როდესაც ისეთ ცნობილ სერიალებზე, როგორცაა «.....», «.....», «.....» და სხვა, ცნობილი კომპანიები ერთ სერიაზე ითხოვენ დაახლოებით 100 აშშ დოლარს, ხოლო ასეთი სერიალების შექმნა კოლოსალურ თანხებთან არის დაკავშირებული. აგრეთვე, ისეთი პოპულარული ფილმის ჩვენების უფლებისთვის, როგორც არის «დ. თ.», ტ-მ რეჟისორებს და ავტორს გადაუხადა თითოეულს დაახლოებით 100 აშშ დოლარი. კასატორი აღნიშნავს, რომ პირველი ინსტანციის სასამართლო მიუთითებს და სააპელაციო სასამართლომაც გაიზიარა ის გარემოება, რომ სერიალის ჩვენების განსაკუთრებული უფლების გადაცემისთვის «ტ-ს» 800 აშშ დოლარი ჰქონდა მიღებული, საიდან გამომდინარე სცენარის ავტორის ჰონორარის 500 ლარის ოდენობით განსაზღვრა ასევე არაგონივრულია.

### **სამოტივციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივრების საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ შპს «ტ-ს» საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, გ. კ-ავას საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოპასუხე შპს «ტ-ს» მიერ ტელესერიალ «...-ის» განმეორებითი ჩვენების დროს სცენარის ავტორად გ. კ-ავას მიუთითებლობის, ასევე რუსეთის ტელევიზიით მისი გვარის არასწორად გახმოვანების შედეგად საქმიანი მოლაპარაკებების ჩაშლის გამო მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურების მოთხოვნის ნაწილში, ასევე ამ ნაწილებში მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნებთან დაკავშირებით არ არსებობს სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საპროცესო სა-

ფუძველი და ამ საკითხზე კასატორ გ. კ-ავას მიერ არ არის წარმოდგენილი დასაბუთებული და დამატებითი საკასაციო პრეტენზია. საქმის მასალებით არ დასტურდება შპს «ტ-ს» მიერ ტელესერიალ «...-ის» განმეორებითი ჩვენების დროს სცენარის ავტორის – გ. კ-ავას მიუთითებლობის, ასევე რუსეთის ტელევიზიით მისი გვარის არასწორად გახმოვანების შედეგად საქმიანი მოლაპარაკებების ჩაშლისა და ამ თვალსაზრისით მიუღებელი შემოსავლის არსებობის ფაქტები. შესაბამისად, მოთხოვნის ფაქტობრივი საფუძვლების დაუდასტურებლობა გამორიცხავს მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლიანობას.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება სწორია შპს «ტ-სათვის» გ. კ-ავას თანხმობის გარეშე ტელესერიალ «...-ის» გასხვისებისა და განმეორებითი ჩვენების გამო 4500 ლარის დაკისრების ნაწილში. ამასთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კასატორ შპს «ტ-ს» მსჯელობას, რომ სერიალის სცენარის შექმნასთან დაკავშირებით გ. კ-ავასთან მისი ურთიერთობა განხილულ უნდა იქნეს შრომითსამართლებრივ ურთიერთობად. ამ საკითხზე საკასაციო სასამართლო სრულად იზიარებს სააპელაციო სასამართლოს განჩინების მოტივებს, რომ გ. კ-ავას მიერ სცენარი არ შექმნილა სამსახურებრივი დავალების წესით, იგი შეიქმნა შეკვეთით («საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ» კანონის 43-ე მუხლი); საქმის მასალებით არ დასტურდება მოსარჩელესთან შრომითსამართლებრივი ურთიერთობის არსებობა და არც კასატორ შპს «ტ-ს» აქვს წარმოდგენილი ამ საკითხზე დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია. თანხის ოდენობასთან დაკავშირებით კასატორ შპს «ტ-ს» და თავად გ. კ-ავას პრეტენზიის თაობაზე საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ აღნიშნული თანხის ოდენობის განსაზღვრა გონივრულია საქმის კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით «საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ» კანონის 44-ე მუხლის საფუძველზე. რაც შეეხება საავტორო უფლების აღნიშნული დარღვევისათვის არაქონებრივი ზიანის ანაზღაურებას, ასეთს «საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ» კანონის მე-17 მუხლი არ ითვალისწინებს.

გ. კ-ავას სარჩელის დანარჩენ მოთხოვნებთან დაკავშირებით რუსეთის ტელევიზიით გ. კ-ავას გვარის არასწორად წაკითხვის გამო ქონებრივი და არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების თაობაზე საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ამ ნაწილში სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება დაუსაბუთებელია.

საქმეზე დადგენილია, რომ ტელესერიალ «...-ის» ტიტრების თარგმანი შეასრულა მოპასუხემ და მიაწოდა რუსულ მხარეს. ამასთან, პირველი ინსტანციის სასამართლომ აღნიშნა და სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა, რომ მოსარჩელემ ვერ წარადგინა მოპასუხის მიერ არასწორი თარგმანის მიწოდების დამადასტურებელი მტკიცებულება. ამდენად, სასამართლომ, ერთი მხრივ, დაადგინა, რომ ტიტრების თარგმანი მოპასუხემ შეასრულა, ხოლო, მეორე მხრივ, იმის მტკიცების ტვირთი, რომ მოპასუხემ რუსულ კომპანიას არასწორი თარგმანი მიაწოდა და სერიალი ამის გამო არასწორად გახმოვანდა, მოსარჩელეს დააკისრა. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს აღნიშნული მსჯელობა დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებთან მიმართებით წინააღმდეგობრივია და მტკიცების ტვირთის არასწორ გადანაწილებას ეფუძნება. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის 1-ელი ნაწილის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზეც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. მოცემულ შემთხვევაში სწორედ მოპასუხეს, რომელმაც თარგმანი შეასრულა და მიაწოდა, ეკისრებოდა იმ გარემოების მტკიცების ტვირთი, რომ მის მიერ შესრულებული თარგმანი სწორია. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ასევე წინააღმდეგობრივია სასამართლოს მსჯელობა არასწორად გახმოვანების ფაქტის დადგენასთან მიმართებით, რაც არ ჩაითვალა დადგენილად იმის გამო, რომ ეს ფაქტიც ვერ დაამტკიცა მოსარჩელემ, ხოლო აღინიშნა, რომ მოპასუხე ადასტურებდა ამ ფაქტს.

მოსარჩელეს მართლაც არ აქვს წარმოდგენილი აღნიშნული ფაქტის დამადასტურებელი მტკიცებულება, მის მიერ წარმოდგენილი ვიდეოკასეტა ვერ გამოდგა ვარგისი ქვემდგომი ინსტანციების სასამართლოების მიერ აღნიშნული ფაქტის დასადგენად. მიუხედავად ამისა, საქმის მასალებში მართლაც წარმოდგენილია მოპასუხის შემდეგ განმარტება: «ჩვენ ვადასტურებთ, რომ კონკრეტულ ერთ სერიაში, რომელიც მტკიცებულების სახით წარმოადგინა მოსარჩელემ, შეცდომით იქნა გვარი წაკითხული, მაგრამ მთელ სერიალზე არ ვიცით». ამდენად, მოპასუხე უდავოდ ადასტურებს მოსარჩელის გვარის არასწორად გახმოვანებას ერთ სერიაზე. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 131-ე მუხლის თანახმად, ერთი მხარის მიერ ისეთი გარემოების არსებობის ან არარსებობის დადასტურება (აღიარება), რომელზეც მეორე მხარე ამყარებს თავის მოთხოვნებსა თუ შესაგებელს, სასამართლომ შეიძლება საკმარის მტკიცებულებად ჩათვალოს და საფუძვლად დაუდოს სასამართლო გადაწყვეტილებას. მოპასუხის მიერ დადასტურების გამო, საქმეზე უდავოდ დადგენილად მიიჩნევა ერთი სერიის გახმოვანებისას მოსარჩელის გვარის არასწორად მიუთითებლობა. როგორც აღინიშნა, ასევე უდავოდ დასტურდება, რომ ტელესერიალის ტიტრების თარგმანი შეასრულა შპს «ტ-მ» და მიაწოდა რუსულ მხარეს. იმასთან დაკავშირებით, რომ არასწორი გახმოვანება არ იყო გამოწვეული შპს «ტ-ს» მიერ შესრულებული და მიწოდებული თარგმანის შედეგად, შპს «ტ-მ» ვერ დაადასტურა. «საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ» კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სცენარის ავტორი ითვლება აუდიოვიზუალური ნაწარმოების ავტორად. ამავე კანონის მე-17 მუხლის პირველი პუნქტის «ა» ქვეპუნქტის თანახმად, ნაწარმოების ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებაა, აღიარებულ იქნეს ნაწარმოების ავტორად და მოითხოვოს ასეთი აღიარება ნაწარმოების ნებისმიერი სახით გამოყენებისას, სათანადო წესით, ავ-

ტორის სახელის მითითების მოთხოვნის უფლების ჩათვლით. ამდენად, მოცემულ შემთხვევაში დარღვეულია გ. კ-ავას, როგორც ავტორის, არაქონებრივი უფლება. რაც შეეხება არაქონებრივი ზიანის ანაზღაურებას, საქმის ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო გონივრულ ოდენობად მას განსაზღვრავს 200 ლარით. აღნიშნულ შემთხვევაში კასატორი გ. კ-ავა ვერ ადასტურებს, თუ რა ქონებრივი ზიანი განიცადა მან აღნიშნული არაქონებრივი უფლების დარღვევით. იგი მიუთითებს მიუღებელ შემოსავალზე საქმიანი ურთიერთობების ჩაშლის გამო, თუმცა, როგორც ზემოთ აღინიშნა, ამ ნაწილში მისი მოთხოვნა სწორად არ დაკმაყოფილდა მოთხოვნის ფაქტობრივი საფუძვლის დაუდასტურებლობის გამო.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ნაწილში არსებობს საკასაციო სასამართლოს მიერ საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღების საპროცესო საფუძველი.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-411-ე მუხლებით და

#### **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

შპს «ტ-ს» საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;  
გ. კ-ავას საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;  
გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 16 დეკემბრის განჩინება გ. კ-ავასათვის არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე უარის თქმის ნაწილში და ამ ნაწილში საკასაციო სასამართლოს მიერ მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;  
გ. კ-ავას სარჩელის მოთხოვნა არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების შესახებ ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს: შპს «ტ-ს» გ. კ-ავასათვის არაქონებრივი ზიანის ასანაზღაურებლად დაეკისროს 200 ლარი;  
დანარჩენ ნაწილში თბილისის სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება დარჩეს უცვლელად;  
საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## **2. იურიდიული პირი**

### **საწარმოს რეგისტრაციის გაუქმება**

#### **გადაწყვეტილება საქართველოს სახელით**

1ას-799-1121-07

27 თებერვალი, 2008 წ., ქ.თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა  
შემდგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
რ. ნადირიანი,  
თ. თოდრია**

**დავის საგანი:** რეგისტრაციის გაუქმება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

ფოთის საქალაქო სასამართლოში შპს «კ-ის» დამფუძნებელმა შ. მ-შვილმა სარჩელი აღძრა შპს «კ-ის» წინააღმდეგ და მოითხოვა მისი რეგისტრაციის გაუქმება.

ფოთის საქალაქო სასამართლოს 2005 წლის 11 ივლისის განჩინებით შ. მ-შვილის მოთხოვნა ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და შპს «კ-ში» ლიკვიდატორად დაინიშნა ზ. ჩ-ია, რომელსაც დაევა სალიკვიდაციო პროცესის წარმართვა და ამის შესახებ სასამართლოს ინფორმირება.

აღნიშნული განჩინება სააპელაციო საჩივრით გასაჩივრა შპს «კ-ის» დირექტორმა მ. კ-ძემ და მოითხოვა მისი გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 21 ივნისის განჩინებით შპს «კ-ის» სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. უცვლელად დარჩა ფოთის საქალაქო სასამართლოს 2005 წლის 11 ივლისის განჩინება.

პალატამ დაადგენილად მიიჩნია, რომ ფოთის საქალაქო სასამართლოს 2005 წლის 11 ივლისის განჩინება შპს „კ-ის“ უფლებებსა და კანონით გათვალისწინებულ ინტერესს არ შეხება.



პალატამ მიიჩნია, რომ 1991 წლის 16 ივლისის დაფუძნებული შპს „კ-ი“ და 1997 წლის 17 ივნისის დაფუძნებული შპს „კ-ი“ არის ორი დამოუკიდებელი სუბიექტი, რომელთაც ერთმანეთთან სამართლებრივი კავშირი არ გააჩნიათ, ანუ 1997 წლის 17 ივნისის დაფუძნებული შპს „კ-ი“ არ არის 1991 წლის 16 ივლისის დაფუძნებული შპს „კ-ის“ სამართალმემკვიდრე.

პალატამ ასევე მიიჩნია, რომ 1997 წლის 17 ივნისის დაფუძნებული შპს „კ-ის“ წესდების შეცვლილ ვარიანტში მითითებულ იქნა, რომ იგი წარმოადგენს 1991 წლის 26 ივნისის დაფუძნებული შპს „კ-ის“ სამართალმემკვიდრეს, თუმცა ეს ჩანაწერი არ წარმოშობს სამართლებრივ შედეგებს.

სააპელაციო პალატის აზრით, აპელანტი მხოლოდ მაშინ იქნებოდა 1991 წელს დაფუძნებული საწარმოს სამართალმემკვიდრე, თუ 1991 წელს რეგისტრირებული საწარმო, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის თაობაზე საქართველოს პარლამენტის დადგენილების მე-2 მუხლის შესაბამისად, 1996 წლის 31 დეკემბრამდე ხელახლა გატარდებოდა რეგისტრაციაში, ვინაიდან შპს „კ-მა“ ეს ვადა გაუშვა, მან დაკარგა ხელახალი რეგისტრაციის მოთხოვნის უფლება, შესაბამისად 1997 წლის 17 ივნისის რეგისტრირებული შპს „კ-ი“ არის ახალი, დამოუკიდებელი საწარმო.

პალატამ ასევე მიიჩნია, რომ ვინაიდან ფოთის საქალაქო სასამართლოს 2005 წლის 11 ივლისის განჩინებით საქმის წარმოება მოსარჩელის მიერ გაზრდილ სასარჩელო მოთხოვნაზე შეწყდა და ეს განჩინება ძალაში შევიდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2006 წლის 28 თებერვლის განჩინების საფუძველზე და სხვა მოთხოვნა 1997 წლის 17 ივნისის რეგისტრირებული შპს „კ-ის“ მიმართ მოსარჩელეს არ დაუყენებია, შესაბამისად არსებულ დავაში მოსარჩელეს აპელანტის მიმართ მოთხოვნა არ ჰქონია.

აღნიშნული განჩინება საკასაციო საჩივრით გაასაჩივრა შპს „კ-ის“ გენერალურმა დირექტორმა მ. კ-აძემ.

კასატორის განმარტებით, 1991 წლის 26 ივნისის საქართველოს მთავრობის 117 დადგენილებით შეიქმნა ერთობლივი საზოგადოება „კ-ი“, რომელიც რეგისტრაციაში გატარდა საქართველოს ეკონომიკის და ფინანსთა სამინისტროს მიერ (რეესტრი 119). ერთობლივი საწარმო „კ-ის“ დამფუძნებლები გახდნენ: საქართველოს საზღვაო სანაოსნო – 17%, ფოთის საზღვაო ვაჭრობა – 24%, ფოთის საზღვაო ნავსადგური – 12%, საფრანგეთის ფირმა „დ-ი“ – 30%, რუსეთის საზღვაო გაერთიანება მორინტორგი – 17%-იანი წილით. შ. მ-შვილი დამფუძნებელი არ არის. 1996 წლის 11 სექტემბერს 2 დამფუძნებელს შეეცვალათ სამართლებრივი ფორმა და სახელწოდება, რუსეთის მორინტორგი და საქართველოს საზღვაო სანაოსნო საერთოდ გაუქმდა. შესაბამისად ერთობლივი საწარმო „კ-ის“ გამგეობის გადაწყვეტილებით (ოქმი 11) ცვლილებები გატარდა უკვე იმჟამად მოქმედი ახალი კანონის შესაბამისად სამეწარმეო რეესტრში. საზოგადოების დამფუძნებლები და წილები განაწილდა შემდეგნაირად: ს\ს ფოთის საზღვაო ნავსადგური – 5%, საფრანგეთის ფირმა „დ-ი“ – 55%, ს\ს „ი. ვ-ა“ – 40%. აქაც დამფუძნებელი შ. მ-შვილი არ არის. აღნიშნული არ გაითვალისწინა სასამართლომ.

კასატორის განმარტებით, მომსახურე ბანკების მიერ ისინი აღიარებული არიან 1991 წლის 16 ივლისის დაფუძნებული შპს „კ-ის“ უფლებამონაცვლედ.

ასევე კასატორის განმარტებით, 2002 წლის 25 ოქტომბერს ფოთის სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება, რომლითაც ქ. ფოთის საქალაქო საგადასახადო ინსპექციის სასარგებლოდ შპს „კ-ს“ დაეკისრა 38012 ლარი. აღნიშნული განჩინება ძალაში იქნა დატოვებული ქუთაისის საოლქო სასამართლოსა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განჩინებით.

კასატორის აზრით, ფოთის საგადასახადო ინსპექციამ, ფოთის სასამართლომ, ქუთაისის საოლქო სასამართლომ და საქართველოს უზენაეს სასამართლომ შპს „კ-ზე“ იმსჯელა, როგორც 1991 წლის 16 ივლისის დაფუძნებული შპს „კ-ის“ უფლებამონაცვლეზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე კასატორმა მოითხოვა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 21 ივნისის განჩინების გაუქმება.

### სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ განიხილა საქმის მასალები, გაეცნო საკასაციო საჩივარს და თვლის, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ სააპელაციო პალატის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ შპს „კ-ს“ ინტერესს 2005 წლის 11 ივლისის განჩინება არ შეხებია უსაფუძვლოა. იმ პირობებში, როდესაც შპს „კ-ის“ წესდების 1-ელ მუხლში მითითებულია, რომ 1997 წლის 17 ივნისის რეგისტრირებული შპს „კ-ი“ შექმნილია შპს „კ-ის“ რეორგანიზაციის შედეგად „მეწარმეთა შესახებ“ კანონის საფუძველზე და წარმოადგენს აღნიშნული საწარმოს სამართალმემკვიდრეს, შეუძლებელია ვისაუბროთ იმის თაობაზე, რომ 1997 წელს რეგისტრირებულ შპს „კ-ს“ არ გააჩნია ინტერესი მოცემულ დავასთან მიმართებაში.

„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის თაობაზე საქართველოს პარლამენტის 1994 წლის 28 ოქტომბრის დადგენილების მე-2 მუხლის თანახმად, ამ კანონის ამოქმედებამდე კერძო სამართლებრივი წესით შექმნილი საწარმოები დაექვემდებარა ხელახალ რეგისტრაციას 1996 წლის 1 იანვრამდე. ამ მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში ასეთ საწარმოთა მიმართ გავრცელდა „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 5.8 მუხლით გათვალისწინებული დებულებანი, კერძოდ კი ამ ნორმის საფუძველზე დაიშვა საწარმოთა რეგისტრაციის გაუქმება საზოგადოების ნებისმიერი პარტნიორის ან ნებისმიერი მესამე პირის მიერ

სარჩელის საფუძველზე, სწორედ აღნიშნულ ნორმას იყენებს ფოთის რაიონული სასამართლო აღნიშნული დავის განხილვისას. მაგრამ უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ ამ ნორმაში მითითებულ მესამე პირთა წრე არ არის განუსაზღვრელი და არ შეიძლება საწარმოთა რეგისტრაციის გაუქმებაზე ნებისმიერმა პირმა შეიტანოს სარჩელი. აღნიშნული გამომდინარეობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის 1-ელი ნაწილის დანაწესიდან, რომლის თანახმად, ყოველი პირისათვის უზრუნველყოფილია უფლების სასამართლო წესით დაცვა. საქმის განხილვას სასამართლო შეუდგება იმ პირთა განცხადებით, რომელიც მიმართავს მას თავისი უფლების ან კანონით გათვალისწინებული ინტერესის დასაცავად. აღნიშნული ნორმიდან გამომდინარე სასამართლო განიხილავს იმ პირის სარჩელს, რომელიც მიიჩნევს, რომ მისი უფლება ან კანონიერი ინტერესი დაირღვა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე პირველ რიგში სასამართლოს უნდა ემსჯელოს იმის თაობაზე თუ რომელი უფლების ან კანონიერი ინტერესის დასაცავადაა მიმართული შ. მ-შვილის სარჩელი.

გარდა ამისა, იმ შემთხვევაში, როდესაც სასამართლო აცხადებს ამა თუ იმ არარეგისტრირებული საზოგადოების ლიკვიდაციას, გამოკვლეული უნდა იქნას ამ საზოგადოების როგორც სამართლებრივი, ასევე ფაქტობრივი მდგომარეობა, კერძოდ, რა სახით არსებობს იგი, ხომ არ ფუნქციონირებს იგი როგორც არარეგისტრირებული იურიდიული პირი, ხომ არ არის ეს საზოგადოება დაშლილი („მეწარმეთა შესახებ“ კანონის 14.12 მუხლი), როგორია საზოგადოების პარტნიორთა დამოკიდებულება ამ პროცესისადმი და შემოწმდეს საზოგადოების დირექტორის უფლებამოსილება მოცემული ეტაპისათვის?

ზემოაღნიშნულ გარემოებათა გამოკვლევა-შემოწმების გარეშე შეუძლებელია საწარმოში გამოცხადდეს ლიკვიდაცია და შესაბამისად მოხდეს საზოგადოების რეგისტრაციის გაუქმება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს განჩინების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია, რის გამოც განჩინება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის საფუძველზე უნდა გაუქმდეს და საქმე განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

შპს «კ-ის» გენერალური დირექტორის მ. კ-აძის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ; გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 21 ივნისის განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს. განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

#### **ხელმძღვანელობის უფლება შპს-ში**

#### **განჩინება**

1 ა-361-ა-7-08

31 მარტი, 2008 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა**  
**შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),**  
**ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),**  
**ლ. ლაზარაშვილი**

**დავის საგანი:** ზიანის ანაზღაურება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატას გამცხადებით მიმართა სს «ს. ბ-ის» ლიკვიდატორმა მ. ტ-შვილმა, მოითხოვა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო ამავე სასამართლოს 2004 წლის 23 მარტის განჩინების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება შემდეგ გარემოებათა გამო: გასაჩივრებული განჩინებით დამტკიცდა მორიგება, ერთი მხრივ, სს «ს. ბ-ს», ხოლო, მეორე მხრივ, სს «ე-სა» და შპს «ქ-ს» შორის შემდეგი პირობებით: 1. სს «ს. ბ-ი» თანახმაა, ამ მორიგების სანაცვლოდ, აგრეთვე, სს «ე-სა» და შპს «ქ-ის» კუთვნილი სს «ს. ბ-ის» 98 259 ცალი აქციის ღირებულების სანაცვლოდ, სს «ე-სა» და შპს «ქ-ს» საკუთრების უფლებით მიეკუთვნოს და საჯარო რეესტრში მათ საკუთრებად აღირიცხოს ამჟამად სს «ს. ბ-ის» საკუთრებად აღირიცხული 500 კვ.მ არასაცხოვრებელი გაურემონტებელი ფართი, რომელიც მდებარეობს ქ.თბილისში, ... 112-ში შენობის მეორე სართულზე. მითითებული ფართიდან 250 კვ.მ აღირიცხოს სს «ე-ის» საკუთრებად, ხოლო 250 კვ.მ შპს «ქ-ის» საკუთრებად (ამ ფართის სს «ს. ბ-ის»

საკუთრებად აღრიცხვის ფაქტი დასტურდება ქ.თბილისის მერიის ტექნიკური აღრიცხვის სამსახურის მიერ 2003 წლის 15 აპრილს გაცემული ტექნიკური პასპორტით და ქ.თბილისის სახელმწიფო ქონების დამადასტურებელი მოწმობით). სს «ს. ბ-ი» თანხმობას აცხადებს სს «ე-მა» და შპს «ქ-მა» მითითებულ ფართში შესასვლელი მოაწიონ ... გამზირის მხრიდან არსებულ სადარბაზო შესასვლელიდან კედელში კარის გაჭრით და ისარგებლონ ამ სადარბაზოს შესასვლელით. სს «ს. ბ-ი», აგრეთვე, თანახმაა სს «ე-მა» და შპს «ქ-მა» ისარგებლონ მითითებული შენობის ეზოს მხრიდან არსებული შესასვლელითაც; 2. სს «ს. ბ-ი» თანახმაა, შპს «ქ-ს» გადასცეს საკუთრებად და მის სახელზე აღრიცხოს ქ.თბილისში, ... I შესახვევის 131-ში მდებარე ინდემნაშენეთა «ამხანაგობა ... 1-31-ის» სახელზე რიცხულ სახლში მე-4 სართულზე არსებული 263 კვ.მ 115 ბინა კუთვნილი ავტოფარეხით (ამჟამად სს «ს. ბ-სადმი» აღნიშნული საცხოვრებელი ბინისა და ავტოფარეხის კუთვნილების ფაქტი დასტურდება საჯარო რეესტრის 2003 წლის 4 ივნისის ამონაწერით); 3. სს «ე-ი» და შპს «ქ-ი» თანახმა არიან, ამჟამად მათ საკუთრებაში არსებული სს «ს. ბ-ის» 98259 ცალი აქცია გამოსყიდულად ჩაეთვალოს სს «ს. ბ-ს», სს «ე-სა» და შპს «ქ-ს» ამ სააქციო საზოგადოების საქმიანობის, მისი სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის ან წევრის მიმართ არავითარი პრეტენზია არ გააჩნიათ და არც ექნებათ მომავალში; 4. მხარეები თანახმა არიან, რომ ამ მორიგების აქტში მითითებულ – ქ.თბილისში, ... გამზირ 112-ში არსებული შენობის ის ნაწილი, რომელიც ტექნიკური აღრიცხვის სამსახურში ირიცხება სს «ს. ბ-ის» სახელზე და დაყადაღებულია შპს «ქ-ის» მოთხოვნით, თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგიის 2002 წლის 18 იანვრის განჩინებით, ამავე სახით (დაყადაღებული) იქნეს საჯარო რეესტრში რეგისტრირებული სს «ს. ბ-ის» საკუთრებად; 5. მხარეები შეთანხმდნენ, რომ ამ მორიგების აქტის სასამართლოს მიერ დამტკიცების თაობაზე სასამართლოს განჩინების ძალაში შესვლისთანავე ყადაღა მოეხსნას ქ.თბილისში, ... გამზირის 112-ში მდებარე შენობის მეორე სართულზე არსებულ, სს «ს. ბ-ის» კუთვნილ არასაცხოვრებელ 500 კვ.მ-ს (ე.ი. ქ.თბილისში, ... გამზირის 112-ში ... გამზირის მხრიდან არსებულ სს «ს. ბ-ის» კუთვნილი ფართის ნაწილს). დანარჩენ ფართზე ყადაღა დარჩეს მორიგების პირობების შესრულებამდე.

განმცხადებლის მოთხოვნა ემყარება შემდეგ საფუძველებს: საკასაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინებით დამტკიცებული მორიგების შესაბამისად, სს «ს. ბ-მა» მოწინააღმდეგე მხარისათვის უძრავი ქონების გადაცემის სანაცვლოდ, გამოისყიდა საზოგადოების აქციები, თუმცა მორიგების დამტკიცების მომენტი-სათვის ბანკს ჰქონდა უარყოფითი სალდო 6289884 ლარის ზარალის სახით, რაც მომდევნო ორ თვეში გაიზარდა და 2004 წლის მაისში შეადგინა 9290647 ლარი. აღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ მორიგების შედეგად მოხდა მნიშვნელოვნად არაადეკვატური ქონების გაცვლა. ამასთან, სს «ს. ბ-ის» მხრიდან მორიგების აქტს ხელი მოაწერა არაუფლებამოსილმა პირმა, კერძოდ, მორიგებით საზოგადოების აქციები გამოისყიდა თავად საზოგადოებამ, რაც დასაშვებია გამოსყიდული აქციების ნაწილში სააქციო საზოგადოების საწესდებო კაპიტალის შემცირების გზით. «მეწარმეთა შესახებ» კანონის 54-ე მუხლის მე-6 პუნქტის «ა» ქვეპუნქტის თანახმად, აღნიშნული სახის გადაწყვეტილება მიიღება საერთო კრების მიერ, განსახილველ შემთხვევაში კი მითითებული განხორციელდა სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობის საფუძველზე, რაც კანონსაწინააღმდეგოა. ასევე აღსანიშნავია, რომ მორიგების გაფორმებამდე სს «ს. ბ-ის» გენერალურ დირექტორს «კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ» კანონის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საწესდებო კაპიტალის შესამცირებლად უნდა მიეღო ეროვნული ბანკის თანხმობა, რაც არ მიუღია.

#### **სამოტივები ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სს «ს. ბ-ის» განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაცოტრების საქმეთა პალატის 2004 წლის 23 მარტის განჩინების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს განმცხადებლის მოსაზრებას, რომ სს «ს. ბ-ის» გენერალურ დირექტორს სადავო მორიგების აქტის ხელმოწერის უფლებამოსილება არ გააჩნდა. განმცხადებლის აღნიშნული პოზიცია ეფუძნება იმ გარემოებას, რომ მორიგების პირობების შესაბამისად, ბანკი გამოისყიდა რა მოწინააღმდეგე მხარისაგან თავის აქციებს, გამოსყიდული აქციების ნაწილში საწესდებო კაპიტალი უნდა შემცირებულიყო, რაც კანონდარღვევით განხორციელდა არა სააქციო საზოგადოების საერთო კრების, არამედ სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე.

სადავო მორიგების გაფორმებისას – 2004 წლის 23 მარტისათვის მოქმედი «მეწარმეთა შესახებ» კანონის 55.9 მუხლის «ნ» ქვეპუნქტის თანახმად, მხოლოდ სამეთვალყურეო საბჭოს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება საზოგადოების მიერ გამოშვებული აქციების ამ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში გამოსყიდვის შესახებ, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი. დასახელებული ნორმის შინაარსი მიუთითებს, რომ საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭო უფლებამოსილი იყო, მიეღო გადაწყვეტილება საზოგადოების აქციების გამოსყიდვის თაობაზე სათანადო სამართლებრივი შედეგების გათვალისწინებით, შესაბამისად, სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე სს «ს. ბ-ის» გენერალურმა დირექტორმა სავსებით მართლზომიერად გააფორმა სადავო მორიგება და მის უფლებამოსილებაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ არსებობს.

ამასთან, «მეწარმეთა შესახებ» საქართველოს კანონის 9.1 და 9.4 მუხლების მიხედვით, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში ხელმძღვანელობის უფლება აქვთ დირექტორებს, რომლებიც საზოგადოებას წარმოადგენენ მესამე პირებთან სამართლებრივ ურთიერთობაში. წარმომადგენლობითი უფლებამოსილება მესამე პირებთან ურთიერთობაში არ შეიძლება შეიზღუდოს. ამავე კანონის 9.7 მუხლით დირექტორები საზოგადოების საქმეებს უნდა გაუმდგნენ კეთილსინდისიერად. თუ ისინი არ შეასრულებენ ამ მოვალეობას, წარმოშობილი ზიანისათვის საზოგადოების წინაშე სოლიდარულად აგებენ პასუხს.

დასახელებული ნორმების ანალიზი ცხადყოფს, რომ საზოგადოების წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირის მიერ თავისი ვალდებულებების არამართლზომიერი და ბრალეული ქმედებებით შეუსრულებლობა გავლენას არ ახდენს გარე სამართლებრივ ურთიერთობებზე. საზოგადოებასთან ურთიერთობაში დირექტორი ვალდებულია, მოქმედებდეს თავისი უფლება-მოვალეობების ფარგლებში ანუ მისი კომპეტენცია შეზღუდულია კანონით, წესდებით ან მასთან დადებული შეთანხმებით. ამ წესების დარღვევა წარმოადგენს მხოლოდ დირექტორის საზოგადოებასთან მიმართებაში არსებული შიდა ვალდებულებების დარღვევას და წარმოშობს საზოგადოების მხრიდან დირექტორისაგან ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას.

ამდენად, საზოგადოების დირექტორის მიერ სამეწარმეო საქმიანობის სფეროში უფლებამოსილების გადაჭარბებით მიღებული გადაწყვეტილება გავლენას არ ახდენს მესამე პირებთან დადებული გარიგების ნამდვილობაზე და გარიგება ყოველთვის ნამდვილი რჩება, თუნდაც საზოგადოების წესდება ამ ტიპის გარიგებისათვის ითვალისწინებდეს საზოგადოების მართვის ორგანოების სავალდებულო თანხმობას.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის პირველი ნაწილის «ვ» ქვეპუნქტის თანახმად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით, თუ მხარისათვის ცნობილი გახდა ისეთი გარემოებები და მტკიცებულებები, რომლებიც, ადრე რომ ყოფილიყო წარდგენილი სასამართლოში საქმის განხილვის დროს, გამოიწვევდა მისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანას. მითითებული ნორმიდან გამომდინარეობს, რომ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებისა თუ განჩინების გაუქმების მოთხოვნისას მხარემ სათანადოდ უნდა დაადასტუროს, რომ გარემოება, რომელსაც იგი ახლად აღმოჩენილად მიიჩნევს, არ იყო და ვერც იქნებოდა ცნობილი მისთვის საქმის განხილვისას.

განსახილველ შემთხვევაში საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სს «ს. ბ-ის» ლიკვიდატორი წარმოადგენს რა სააქციო საზოგადოების წინამორბედი ხელმძღვანელობის უფლებამონაცვლეს, ვერ ასაბუთებს, რომ 2004 წლის 23 მარტის მორიგების აქტის გაფორმებისას კასატორი მხარისათვის განსახილველ განცხადებაში დასახელებული გარემოებანი ცნობილი არ იყო.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 430-ე მუხლის მეორე ნაწილით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

სს «ს. ბ-ის» განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2004 წლის 23 მარტის განჩინების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ არ დაკმაყოფილდეს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2004 წლის 23 მარტის განჩინება დარჩეს უცვლელი.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

#### **პარტნიორის პასუხისმგებლობა შპს-ში**

#### **განჩინება**

1ას-448-690-08

5 დეკემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
რ. ნადირიანი,  
თ. თოდრია

დავის საგანი: თანხის დაკისრება

### აღწერილობითი ნაწილი:

შპს «ა. ე-ამ» (სამართალმემკვიდრეა სს ენერჯია 21) სარჩელით მიმართა სასამართლოს და აღნიშნა, რომ 2002 წლის 30 ივნისის 1347 საკრედიტო ხელშეკრულება, დადებული შპს «ა. ე-ასა» და სს «ს. ბ-ს» შორის 770 000 აშშ დოლარზე 15 წლის ვადით, წლიური 14%-ის დარიცხვით და 2002 წლის 30 ივნისის საინვესტიციო ხელშეკრულება, დადებული შპს «ა. ე-ასა» და შპს «უ. ც-ს» შორის 770 000 აშშ დოლარზე უკანონოა. მოგვიანებით მოსარჩელემ დააზუსტა სარჩელი და მოითხოვა შპს «ა. ე-ასა» და შპს «უ. ც-ს» შორის 2002 წლის 30 ივნისის დადებული საინვესტიციო ხელშეკრულების შეწყვეტა. ასევე მოითხოვა შპს «უ. ც-სა» და სს «ს. ბ-ს» სოლიდარულად დაეკისროს მის სასარგებლოდ 770 000 აშშ დოლარი და ერთი წლის პროცენტის – 77 000 აშშ დოლარი.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 19 მარტის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრა სს «ს. ბ-მა».

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 21 მარტის გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა სს «ს. ბ-ის» სააპელაციო საჩივარი. ახალი გადაწყვეტილებით შპს «ა. ე-ის» (მისი უფლებამონაცვლე სს «ე-21») სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

პალატამ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

შპს «უ. ც-ის» დამფუძნებელია სს «ს. ბ-ის» 100%-იანი წილით.

2002 წლის 30 ივნისს «ს. ბ-ს» და შპს «ა. ე-ას» შორის დაიდო საკრედიტო ხელშეკრულება, რომლის მიხედვით, სს «ს. ბ-მა» შპს «ა. ე-ას» ასესხა 770 000 აშშ დოლარი შპს «უ. ც-ში» ინვესტიციის განხორციელების მიზნით. კრედიტი გაიცა 2017 წლის 30 ივნისამდე ვადით 15 წლის წლიური 14 პროცენტის დარიცხვა

აღნიშნული საკრედიტო ხელშეკრულების საფუძველზე 2002 წლის 30 ივნისს შპს «ა. ე-ამ» დაუდო შპს «უ. ც-ს» საინვესტიციო ხელშეკრულება, რომლის მიხედვით «ა. ენერჯო კომპანია» მოახდინა 20 წლის ვადით 770 000 აშშ დოლარის ინვესტიცია 10% დარიცხვით.

«ა. ე-ის» მიერ გადარიცხულია 700 000 აშშ დოლარი.

პალატამ მიიჩნია, რომ საინვესტიციო ხელშეკრულება დაიდო 2002 წლის 30 ივნისს. ამ ხელშეკრულების 2.1 პუნქტის მიხედვით, მოვალეს თანხის გადახდა უნდა დაეწყო ორი წლის შემდეგ, სარჩელი სასამართლოში შეტანილია ამ პირობის დადგომიდან ერთ კვირაში. შესაბამისად, არ ყოფილა დაცული სამოქალაქო კოდექსის 399-ე მუხლის მე-2 ნაწილით და 405-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დამატებითი ვადა ან გაფრთხილება.

პალატამ განმარტა, რომ საქმის მასალებით არ დადასტურდა შპს «უ. ც-ის» გადახდისუუნარობა. ლიკვიდაციაში იმყოფება არა «უ. ც-ი», რომელიც სადავო ხელშეკრულების მხარეა, არამედ ს/ს «ს. ბ-ი», რომლის გადახდისუუნარობა არ შეიძლება შეერაცხოს შპს «უ. ც-ს».

პალატამ მიიჩნია, რომ მართალია საზღვაო ბანკი არის 100%-იანი წილის მფლობელი სავაჭრო ცენტრში, მაგრამ სავაჭრო ცენტრი არის კერძო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც სამართლებრივ ურთიერთობებში თავისი სახელით გამოდის და მისი პასუხისმგებლობა კრედიტორების წინაშე შემოიფარგლება მთელი მისი ქონებით, შესაბამისად საზღვაო ბანკი არ შეიძლება ყოფილიყო შპს «უ. ც-ის» ვალდებულებებზე პასუხისმგებელი, მათ შორის, ცხადია, არც სოლიდარულად საინვესტიციო ხელშეკრულების მხარე არ არის საზღვაო ბანკი.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 21 მარტის გადაწყვეტილება საკასაციო საჩივრით გაასაჩივრა სს «ე-21».

კასატორის აზრით, სასამართლოს არ უნდა გამოეყენებინა „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 4.4.-ე მუხლის დებულებები და პასუხისმგებლობის ტვირთი არ უნდა შემოეფარგლა მხოლოდ შპს-ს მთელი ქონებით.

ასევე კასატორის განმარტებით, სასამართლომ არასწორად განმარტა „მეწარმეთა შესახებ“ კანონის დებულებები. ამასთან სააპელაციო სასამართლომ თავი აარიდა შპს დამფუძნებელი – ს/ს «ს. ბ-ის» მიერ პასუხისმგებლობის შეზღუდვის სამართლებრივი ფორმების ბოროტად გამოყენების ფაქტზე მსჯელობას. სასამართლომ არ გამოიკვლია და არც გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მოტივაცია იმასთან დაკავშირებით, რომ საგადასახადო ინსპექციიდან გამოთხოვილ იქნა ინფორმაცია შპს „უ. ც-ის“ შესახებ, რომლის თანახმადაც, მას საგადასახადო ინსპექციაში არ აქვს წარდგენილი საგადასახადო დეკლარაციები. დაარსებიდან მოყოლებული მას არ მოუხდენია ანგარიშსწორება ბიუჯეტთან და არ არსებობს მისი დაბეგვრის საქმე.

კასატორის განმარტებით, მოცემულ შემთხვევაში უდავოა, რომ შპს „უ. ც-სათვის“ ვალდებულების შესრულებისათვის რაიმე ვადის დაწესებას არავითარი შედეგი არ მოყვება, ვინაიდან იგი სრულიადაც არ ფუნქციონირებს და წარმოადგენს ფაქტობრივ ფიქციას, რაც ადასტურებს გარემოებებს, რომ იგი შექმნილი იყო ფიქტიურად – ცრუ სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების მიზნით. ამასთან გასათვალისწინებელია, რომ ს/ს «ს. ბ-მა» ვერ შეძლო წერილობითი მტკიცებულებათა მიღება იმ პირისაგან, ვისთანაც ეს მტკიცებულებები იმყოფებოდა. ენერჯოკომპანიის მოთხოვნის გასაბათილებლად მოპასუხის მხრიდან არანაირი მტკიცებულება წარმოდგენილი არ ყოფილა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორმა მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღება.

### სამოტივიციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ განიხილა საქმის მასალები, გაეცნო საკასაციო საჩივრის საფუძვლებს და თვლის, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

2002 წლის 30 ივნისის ხელშეკრულების საფუძველზე სს „ს. ბ-მა“ შპს „ა. ე-სა“ ასესხა 770 000 აშშ დოლარი 15 წლის ვადით სს „უ. ც-ში“ ინვესტიციის განხორციელების მიზნით. ამავე დღეს შპს „ა. ე-სა“ და შპს „უ. ც-ს“ შორის დაიდო საინვესტიციო ხელშეკრულება, რომლითაც მოხდა 770 000 აშშ დოლარის ინვესტირება შპს „უ. ც-ში“. შპს „ა. ე-სა“ 2004 წლის 29 თებერვლამდე იხდიდა ხელშეკრულებით განსაზღვრულ თანხას, ხოლო შპს „უ. ც-ს“ გადახდა უნდა დაეწყო 18 თვის განმავლობაში. კასატორი ითხოვს აღნიშნული ხელშეკრულების შეწყვეტას და 770 000 აშშ დოლარის და მასზე დარიცხული 77 000 აშშ დოლარის დაბრუნებას შპს „უ. ც-დან“ და მისი დამფუძნებელი სს „ს. ბ-იდან“, თანახმად მეწარმეთა შესახებ კანონის 44-ე და 46-ე მუხლებისა.

აღნიშნული დავის წარმოშობისას მოქმედი „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 44-ე მუხლის თანახმად, საზოგადოების პარტნიორი არ არის პასუხისმგებელი საზოგადოების ვალდებულებებზე გარდა 3.4 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. მე-3.4 მუხლის თანახმად, შესატანის სრულად შეტანა არ ათავისუფლებს პასუხისმგებლობისაგან იმ პირს, რომელმაც პასუხისმგებლობის შეზღუდვის ფორმები ბოროტად გამოიყენა. ბოროტად გამოყენებად ჩაითვლება, თუ არ იქნება უზრუნველყოფილი საბუღალტრო წიგნების ისეთი წარმოება, საიდანაც ცალსახად გამომდინარეობს, თუ რომელი ქონება ეკუთვნის და რა ვალდებულებები აკისრია საზოგადოებას და რომელი არა. აღნიშნული ნორმის ანალიზი ცხადყოფს, რომ პასუხისმგებლობის შეზღუდვის ფორმების გამოყენება დაკავშირებულია საზოგადოების ქონებისა და პარტნიორთა შესატანის აღრევასთან. მოცემულ შემთხვევაში მხარე პასუხისმგებლობის შეზღუდვის ბოროტად გამოყენებად მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ საზოგადოების საბუღალტრო წიგნები ვერ იქნა მოძიებული და საერთოდ უცნობია ხდებოდა თუ არა საბუღალტრო წარმოება საზოგადოებაში. პალატა განმარტავს, რომ აღნიშნული ნორმის გამოყენება დაკავშირებულია საზოგადოებაში პარტნიორის მიერ შესატანის შეტანასთან და ამ შესატანის არასწორად აღრიცხვასთან საბუღალტრო წიგნებში. „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 44-ე მუხლის თანახმად, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების პასუხისმგებლობა შემოსაზღვრება კრედიტორების წინაშე საზოგადოების მთელი ქონებით და იგი არ შეიძლება გავრცელდეს პარტნიორის საკუთრებაში არსებული მთელ ქონებაზე, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ პარტნიორმა საზოგადოებაში შეიტანა ქონება, მაგრამ იგი არ აღირიცხა საზოგადოების ქონებად და დარჩა პარტნიორის საკუთრებაში, (თუნდაც საჯარო რეესტრის ჩაანაწერის მიხედვით) ეს ჩაითვლება სადავო ნორმაში მითითებული შეზღუდვის ბოროტად გამოყენებად და ასეთ შემთხვევაში ვალდებულების შესრულება შეიძლება მოხდეს საზოგადოებაში შეტანილი, მაგრამ საზოგადოების საკუთრებად არ აღრიცხული ქონებიდანაც.

როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, ინვესტირებისათვის განკუთვნილი თანხა გადაეცა საზოგადოებას და არანაირად პარტნიორის საკუთრებაში არ გადასულა. ამდენად არ შეიძლება იმაზე საუბარი, რომ მოცემულ შემთხვევაში მოხდა საზოგადოებაში პასუხისმგებლობის შეზღუდვის ბოროტად გამოყენება. ამდენად, პალატა მიიჩნევს, რომ „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 34-ე მუხლის თანახმად, შეუძლებელია სს „ს. ბ-ს“ დაეკისროს შპს „უ. ც-ის“ ვალდებულებათა შესრულება, მითუმეტეს, რომ დღეისათვის მოქმედი „მეწარმეთა შესახებ“ კანონის მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორები საზოგადოების ვალდებულებისათვის კრედიტორების წინაშე პასუხს არ აგებენ.

რაც შეეხება შპს „უ. ც-ის“ მიმართ მოთხოვნას, პალატა მიიჩნევს, რომ გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია. მოცემულ შემთხვევაში შპს „ა. ე-სა“ და შპს „უ. ც-ს“ შორის დადებული გრძელვადიანი ხელშეკრულება. სამოქალაქო კოდექსის 399-ე მუხლის 1-ელი ნაწილის თანახმად, ხელშეკრულების ნებისმიერ მხარეს შეუძლია, პატივსადები საფუძვლიდან გამომდინარე, უარი თქვას გრძელვადიან ვალდებულებით ურთიერთობაზე ხელშეკრულების მოშლისათვის დაწესებული ვადის დაუცველად. იგივე მუხლი განსაზღვრავს პატივსადებ საფუძვლებს, რომელთა შორისაც მოიაზრება დაუძლეველი ძალა და ორმხრივი ინტერესი, მაგრამ აღნიშნული გამორიცხავს სხვა მიზეზებსაც, რომელთა საფუძველზეც ხელშეკრულების მხარეს კონკრეტული ვითარებიდან გამომდინარე შეუძლია მოშალოს ხელშეკრულება. ასეთი მიზეზი შეიძლება იყოს სამოქალაქო კოდექსის 627-ე მუხლით გათვალისწინებული მსესხებლის ქონებრივი მდგომარეობის არსებითი გაუარესება, რითაც საფრთხე ექმნება ვალდებულების შესრულებას. აღნიშნული არ გულისხმობს მხოლოდდა მხოლოდ გადახდისუუნაროდ მხარის გადაქცევას, რაც მითითებული აქვს სააპელაციო სასამართლოს. პალატა მიიჩნევს, რომ სასამართლომ უნდა შეაფასოს შპს „უ. ც-ის“ ქონებრივი მდგომარეობა და საქმეში არსებული მტკიცებულებების საფუძველზე იმსჯელოს იმის თაობაზე შესაძლებელია თუ არა მხარეთა შორის ხელშეკრულების მოშლა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე პალატა მიიჩნევს, რომ შპს „ე-21“-ის მოთხოვნა სს „ს. ბ-ის“ მიმართ უსაფუძვლოა, ხოლო შპს „უ. ც-ის“ მიმართ ხელახლა უნდა იქნეს განხილული. საქმის ხელახალი განხილვისას უნდა დადგინდეს შპს „უ. ც-ის“ ქონებრივი მდგომარეობა და განისაზღვროს აღნიშნულიდან გამომდინარე, არსებობს თუ არა ხელშეკრულების მოშლის საფუძვლები

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე, 412-ე მუხლებით და

**დაადგინა:**

„ე-21-ის» საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 21 მარტის გადაწყვეტილება გაუქმდეს შპს „ა. ე-ის» (მისი უფლებამონაცვლის – სს „ე-21») სარჩელის შპს „უ. ც-ის» დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში და ამ ნაწილში საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

დანარჩენ ნაწილში გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელი.

სასამართლო ხარჯების საკითხი განიხილება საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას.

განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება

**აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილების ბათილად ცნობა**

**განჩინება**

<sup>1</sup>ას-860-1074-08

20 იანვარი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),  
ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),  
ნ. კვანტალიანი

**დავის საგანი:** აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილების ბათილად ცნობა

**აღწერილობითი ნაწილი:**

2005 წლის 21 მარტს თბილისის გლდან-ნაძალადევის რაიონულ სასამართლოს სასარჩელო განცხადებით მიმართა მ. ც-მემ მოპასუხეების – სს «თ. ს-ისა» და ვ. კ-მის მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა სს «თ. ს-ის» 2000 წლის 15 მაისის აქციონერთა კრებაზე მიღებული გადაწყვეტილებებისა და სააქციო საზოგადოების წესდების ნაწილის ბათილად ცნობა.

მოსარჩელის მოთხოვნის საფუძვლები მდგომარეობდა შემდეგში:

1995 წლის 18 ოქტომბერს რეგისტრაციაში გატარდა სს «თ. ს-ი». მ. ც-მე წარმოადგენდა აღნიშნული სააქციო საზოგადოების საწესდებო კაპიტალის 10% აქციათა მფლობელ აქციონერს. 2005 წლის 18 იანვარს მისთვის ცნობილი გახდა, რომ კუთვნილი 10% აქციების ნაცვლად გააჩნია მხოლოდ 1.54%. აღნიშნულთან დაკავშირებით გაირკვა, რომ 2000 წლის 15 მაისს ჩატარებულა სს «თ. ს-ის» აქციონერთა კრება, რომელზეც მიუღიათ გადაწყვეტილება საზოგადოების საწესდებო კაპიტალის გაზრდის შესახებ. კერძოდ, საწესდებო კაპიტალი გაიზარდა 110 000 ლარით, ერთი აქციის ნომინალური ღირებულება განისაზღვრა 40 ლარით და გამოშვებულ იქნა 3 250 ცალი აქცია. აღნიშნულის შედეგად 94.83%-ით გაიზარდა აქციონერ ვ. კ-მის წილი, რომელსაც თავდაპირველად ჰქონდა 65.4% და, იმავდროულად, განხორციელდა ყველა აქციონერის წილის კორექტირება. შესაბამისად, ცვლილებები შევიდა საზოგადოების წესდებაში.

მოსარჩელის მოსაზრებით, 2000 წლის 15 მაისის აქციონერთა კრებაზე მიღებული გადაწყვეტილება კანონსაწინააღმდეგო იყო, რამდენადაც აქციების ემისია უნდა მომხდარიყო აქციების გამოშვების და არა მათი რაოდენობის ხელახალი ფორმირების გზით. კონკრეტულ შემთხვევაში განხორციელდა მხოლოდ აქციების ხელახალი გადანაწილება და არა საწესდებო კაპიტალის გაზრდა. სს «თ. ს-ში» სულ გამოშვებულია 3 250 აქცია, საიდანაც 94.83% (3 081.975 აქცია) ეკუთვნის ვ. კ-მეს, რაც დაუშვებელია. «მეწარმეთა შესახებ» კანონის 51.1 პუნქტის თანახმად, სააქციო საზოგადოება არის საზოგადოება, რომლის საწესდებო კაპიტალი დაყოფილია ერთი და იმავე ღირებულების აქციებად. აქცია არის ფასიანი ქაღალდი და არ შეიძლება არსებობდეს აქციის მეათასედი, მეასედი და ა.შ.

2005 წლის 15 მაისის აქციონერთა კრება მოწვეულ იქნა «მეწარმეთა შესახებ» საქართველოს კანონით დადგენილი წესების დარღვევით. მ. ც-მე, როგორც საზოგადოების აქციათა 10%-ის მესაკუთრე, საერთო კრებაზე უნდა მიეწვიათ დაზღვეული წერილით, რაც არ განხორციელდა. მოსარჩელეს საერთოდ არ გააჩნდა ინფორმაცია კრების გამართვისა და მასზე განსახილველი საკითხების შესახებ.

სადავო 2000 წლის 15 მაისის კრების ოქმიდან ირკვევა, თითქოსდა დირექტორმა ვ. კ-მემ აქციონერებთან წინასწარი შეთანხმების საფუძველზე საზოგადოების ანგარიშზე 1999 წლის აგვისტოდან შეიტანა საკუთარი

თანხა – 36 216 ლარი; მასვე უახლოეს დროში შესატანი აქვს კიდეც 73 784 ლარი; სულ მისი შენატანი შეადგენს 110 000 ლარს, რომლითაც მიზანშეწონილია გაიზარდოს საწესდებო კაპიტალი. ამდენად, ამ შემთხვევაში საწესდებო კაპიტალი გაიზარდა იმ თანხით (36 216 ლარით), რომელსაც უკვე ფლობდა საზოგადოება და იმ თანხით (73 784 ლარით), რომლის საზოგადოებისათვის გადაცემაც მოხდებოდა გაურკვეველ დროს. მოსარჩელე მიუთითებდა, რომ ამ სახით ნებისმიერ აქციონერს შეეძლო გაეკეთებინა განცხადება, რომ იგი უახლოეს მომავალში საზოგადოებაში შეიტანდა სოლიდურ თანხას და ამ გზით მოახდენდა საზოგადოებაში საკუთარი წილის გაზრდას, რაც არ ემსახურებოდა საზოგადოების ინტერესებს. ამასთან, საწესდებო კაპიტალის გაზრდისას არ ყოფილა გათვალისწინებული ის გარემოება, თუ რეალურად რა ოდენობის თანხა ესაჭიროებოდა საზოგადოებას და მიზანშეწონილი იყო თუ არა კაპიტალის გაზრდა.

აქციონერთა კრებაზე მიღებული გადაწყვეტილებებით შეილახა მ. ც-მის ძირეული უფლებები: წილის შემცირების პროპორციულად მას შეუმცირდა საზოგადოების საქმიანობის შედეგად მისაღები დივიდენდების ოდენობა, დაირღვა კონსტიტუციის 21-ე მუხლით გარანტირებული საკუთრების უფლება. გარდა ამისა, დაირღვა «მეწარმეთა შესახებ» კანონის 59.1 მუხლი, რომლის თანახმად, საწესდებო კაპიტალის მომატებისას უნდა განისაზღვროს აქციათა მაქსიმალური გასაყიდი ფასი, ასევე ვადები, თუ როდის უნდა გაიცეს აქციები. საწესდებო კაპიტალის გაზრდა უნდა ემსახურებოდეს საზოგადოებისათვის საჭირო თანხის მოზიდვას, ამ შემთხვევაში კი მოხდა არა საზოგადოების ქონებრივი მდგომარეობის გაუმჯობესების მცდელობა, არამედ ერთ-ერთი აქციონერის ქონება გაიზარდა საზოგადოების აქციების საბაზრო ღირებულებასთან შედარებით ბევრად უფრო ნაკლებ ფასად შეძენის გზით.

მოსარჩელემ ყურადღება გაამახვილა «მეწარმეთა შესახებ» კანონის 59.7 მუხლზე, რომლის მიხედვით, სააქციო საზოგადოების კაპიტალის მომატების ან აღნიშნული კანონის 52.4 მუხლით განსაზღვრული კაპიტალის შეძენის ღონისძიებების მეშვეობით კაპიტალის შეძენის ყველა შემთხვევაში აქციონერებს გააჩნდათ აქციების უპირატესი შესყიდვის უფლება მათ საკუთრებაში არსებულ აქციათა ნომინალური ღირებულების პროპორციულად. სადავო შემთხვევაში მოსარჩელისათვის არ უცნობებიათ კაპიტალის გაზრდის შესახებ და არ შეუთავაზებიათ აქციათა შესყიდვა, რაც ეწინააღმდეგებოდა როგორც კანონის ზემოთ დასახელებული ნორმების, ასევე სამოქალაქო კოდექსის 516-ე, 517-ე მუხლების მოთხოვნებს.

მოსარჩელე ასევე აღნიშნავდა, რომ საზოგადოების წესდების არსებული რედაქციის 4.6 პუნქტის თანახმად, წესდებს თან ერთვოდა დანართი 1, რომელშიც მოცემული იყო აქციონერთა სია, მათი კუთვნილი აქციების რაოდენობა, შესატანი და წილი საწესდებო კაპიტალში. სინამდვილეში ასეთი დანართი საზოგადოების წესდებს არ ერთვოდა. ამავე მიზეზით წესდების მეოთხე თავის შინაარსის დადგენა შეუძლებელი იყო, რაც სამოქალაქო კოდექსის 53-ე მუხლით გათვალისწინებულ შედეგებს იწვევდა.

სს «თ. ს-მა» და ვ. კ-მემ სარჩელი არ ცნეს და განმარტეს, რომ აქციონერებს საზოგადოების დაფუძნებისა და საწესდებო კაპიტალის გაზრდისას თავისუფლად შეეძლოთ განესაზღვრათ თითოეული აქციონერის წილობრივი მონაწილეობა.

გარდა ამისა, მოპასუხეებმა სარჩელი ხანდაზმულად მიიჩნიეს «მეწარმეთა შესახებ» კანონის 15.2 მუხლის საფუძველზე, რომელიც კრების ოქმის გასაჩივრების ორთვიან ვადას ადგენს ოქმის შედგენიდან. მოცემულ შემთხვევაში აქციონერთა კრების ოქმი 2000 წლის 15 მაისს შედგა, ხოლო მოსარჩელემ მისი ბათილობის მოთხოვნით სასამართლოს 2005 წლის 22 მარტს მიმართა. შესაბამისად, მოსარჩელის მოთხოვნა ხანდაზმული იყო.

სს «თ. ს-ის» წესდების მე-4 თავის ბათილად ცნობის მოთხოვნის ხანდაზმულობას მოპასუხეები იმით ასაბუთებდნენ, რომ წესდება თავისი არსით მრავალმხრივ გარიგებას წარმოადგენდა, რომლის ბათილობაც შესაძლებელი იყო მხოლოდ კანონით დადგენილი ბათილობის საფუძველების არსებობისას. მოცემულ შემთხვევაში წესდების მე-4 თავში ცვლილება განხორციელდა 2000 წელს, ხოლო მ. ც-მემ სარჩელი აღძრა 2005 წელს, მაშინ როდესაც, სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სახელშეკრულებო მოთხოვნების ხანდაზმულობის ვადა სამ წელს შეადგენდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 1 ოქტომბრის გადაწყვეტილებით მ. ც-მის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა «მეწარმეთა შესახებ» კანონის 51.1 მუხლზე, რომლის თანახმად, სააქციო საზოგადოება არის საზოგადოება, რომლის საწესდებო კაპიტალი დაყოფილია ერთი და იმავე ნომინალური ღირებულების აქციებად. ამავე კანონის 59-ე მუხლის მიხედვით, ნებადართულია სააქციო საზოგადოების კაპიტალის გაზრდა, რომლის ყველაზე გავრცელებულ ფორმას წარმოადგენს ახალი აქციების გამოშვება. 54.6 მუხლის «ა» ქვეპუნქტის შესაბამისად, გადაწყვეტილება დამატებითი აქციების გზით საწესდებო კაპიტალის გაზრდის შესახებ მიიღება აქციონერთა საერთო კრების მიერ. ამგვარი გადაწყვეტილება იწვევს საზოგადოების წესდების შეცვლას და იგი უნდა წარედგინოს სამეწარმეო რეესტრს რეგისტრაციისათვის.

საქალაქო სასამართლოს მოსაზრებით, კონკრეტულ შემთხვევაში გადაწყვეტილება სს «თ. ს-ის» საწესდებო კაპიტალის გაზრდის შესახებ მიღებული იყო აქციონერთა საერთო კრების მიერ და «მეწარმეთა შესახებ» კანონის ზემოთ დასახელებული ნორმების დაცვით. სასამართლომ საქმეზე დადგენილად მიიჩნია, რომ 2000 წლის 15 მაისის აქციონერთა საერთო კრების მუშაობაში მონაწილეობდნენ საზოგადოების საწესდებო



კაპიტალის 71.6%-ის შესაბამისი რაოდენობის აქციების მესაკუთრეები, რის გამოც, «მეწარმეთა შესახებ» კანონის 54.5 მუხლის თანახმად, საერთო კრება გადაწყვეტილებათანაირი იყო.

საქალაქო სასამართლომ გაიზიარა მოპასუხეთა მსჯელობა სარჩელის ხანდაზმულობასთან მიმართებაში და აღნიშნა, რომ მ. ც-ძის მიერ სარჩელი აღმრული იყო საერთო კრების ჩატარებიდან ოთხი წლისა და ორი თვის გასვლის შემდეგ. სასამართლომ მიუთითა «მეწარმეთა შესახებ» კანონის 53-ე, 54.1 და 52.3 მუხლებზე, აქციონერთა უფლებებზე, რომ ფასიანი ქაღალდის მესაკუთრეს (აქციონერს) ნებისმიერ დროს შეეძლო, მიეღო ინფორმაცია მის აქციათა დასახელების, კლასის ან რაოდენობის შესახებ. ამგვარი ინფორმაციის მიღება შეეძლო მოსარჩელესაც, რომელიც, იმავდროულად, შრომით ურთიერთობაში იმყოფებოდა მოპასუხე საწარმოსთან. სასამართლომ მიიჩნია, რომ მ. ც-ძემ იცოდა ან უნდა სცოდნოდა 2000 წლის 15 მაისს მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ, რის შესაბამისადაც სარჩელი ხანდაზმული იყო.

საქალაქო სასამართლომ ასევე მიუთითა, რომ საერთო კრების მუშაობაში მონაწილეობის შემთხვევაშიც მ. ც-ძე მიღებულ გადაწყვეტილებებზე გავლენას ვერ მოახდენდა, რამდენადაც 2000 წლის 15 მაისს გამართულ აქციონერთა საერთო კრებას ესწრებოდნენ საწესდებო კაპიტალის 71.6%-ის შესაბამისი რაოდენობის აქციების მესაკუთრე პარტნიორები, რომლებმაც კრებაზე მიღებულ გადაწყვეტილებას ერთხმად დაუჭირეს მხარი.

საქალაქო სასამართლოს მითითებით, სს «თ. ს-ის» საწესდებო კაპიტალის გაზრდით მოსარჩელის საკუთრების უფლების (აქციების) შემცირება არ მომხდარა. მოსარჩელეს ეკუთვნოდა 50 ცალი აქცია, რომელიც ამჟამადაც მის საკუთრებაშია. ასევე უცვლელი დარჩა მოსარჩელის მიერ საზოგადოების დაფუძნებისას შესრულებული შენატანი, რომელიც საწესდებო კაპიტალის გაზრდის შედეგად 10%-ის ნაცვლად 1.54%-ს შეადგენდა.

მითითებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მ. ც-ძემ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

აპელანტიმ არ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს დასკვნა სარჩელის ხანდაზმულობის შესახებ და აღნიშნა, რომ მოცემული დასკვნის სისწორის შემთხვევაშიც გადაწყვეტილებიდან არ ირკვეოდა, როდის შეიტყო მან უფლების დარღვევის შესახებ. ასეთ ვითარებაში სარჩელის ხანდაზმულობაზე მსჯელობა ყოველგვარ აზრს კარგავდა. ამასთან, აპელანტი საგულისხმოდ მიიჩნევდა იმ გარემოებას, რომ «მეწარმეთა შესახებ» კანონი მას აქციონერთა სამეწარმეო რეესტრის გაცნობის ვალდებულებას არ აკისრებდა. სადავო შემთხვევაში არსებითი იყო ის, რომ სს «თ. ს-ის» 2000 წლის 15 მაისის აქციონერთა საერთო კრების მოწვევისას მას, როგორც საზოგადოების აქციათა 10%-ის მფლობელ აქციონერს, კრების მოწვევის შესახებ დაზღვეული წერილი არ გაგზავნიდა. აქედან გამომდინარე, მოსარჩელეს არ შეეძლო ევარაუდა, რომ საერთო კრება მისთვის შეუტყობინებლად ჩატარდებოდა და ამ კრებაზე მიღებული გადაწყვეტილებით საწესდებო კაპიტალში კუთვნილი წილი უკანონოდ შეუმცირდებოდა. შესაბამისად, საქალაქო სასამართლოს მსჯელობა იმის შესახებ, რომ მ. ც-ძემ გასაჩივრებული კრების ოქმი ბრალეული ქმედების (დაუდევრობის) შედეგად ვერ მოიპოვა, საფუძველს მოკლებული იყო.

გარდა ამისა, აპელანტი მიუთითებდა, რომ აქციონერთა კრების გასაჩივრებული გადაწყვეტილებებით დაირღვა კონსტიტუციის 21-ე მუხლით დაცული მისი საკუთრების უფლება, კერძოდ, კანონსაწინააღმდეგოდ შეუმცირდა საკუთრების ობიექტი, ისე, რომ ამის შესახებ არ შეუტყობინებიათ.

აპელანტი მიიჩნევდა, რომ ყოველივე ზემოაღნიშნული საქალაქო სასამართლომ სათანადოდ არ შეაფასა, რის გამოც გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმებას ექვემდებარებოდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 26 ივნისის გადაწყვეტილებით მ. ც-ძის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 1 ოქტომბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება: მ. ც-ძის სარჩელი დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი სს «თ. ს-ის» 2000 წლის 15 მაისს ჩატარებული საერთო კრების გადაწყვეტილების შესაბამისად აქციების გამოსყიდვა; ბათილად იქნა ცნობილი სს «თ. ს-ის» წესდების IV თავი.

სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმეზე დადგენილად იქნა მიჩნეული შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

სს «თ. ს-ი» რეგისტრაციაში გატარდა 1995 წლის 18 ოქტომბერს და მის ერთ-ერთ აქციონერს წარმოადგენდა მ. ც-ძე.

საწესდებო კაპიტალის გაზრდამდე საწარმოს აქციების ოდენობა შეადგენდა 500 ერთეულს და მოსარჩელე ფლობდა 50 ცალ აქციას, რომელიც შეესაბამებოდა საზოგადოების მთლიანი საწესდებო კაპიტალის 10%-ს.

2000 წლის 15 მაისს ჩატარდა სს «თ. ს-ის» აქციონერთა საერთო კრება. საერთო კრებას ესწრებოდა ექვსი აქციონერი, რომლებიც ფლობდნენ საწესდებო კაპიტალის 71.6%-ის შესაბამისი რაოდენობის აქციებს. საზოგადოების საერთო კრებაზე მიღებული გადაწყვეტილებების შედეგად სს «თ. ს-ის» საწესდებო კაპიტალი, რომელიც შეადგენდა 20 000 ლარს, ფულადი შესატანების საფუძველზე გაიზარდა 110 000 ლარით და შეადგინა 130 000 ლარი. ერთი აქციის ნომინალური ღირებულება განისაზღვრა 40 ლარის ოდენობით და გადაწ-

ყდა **3 250** ცალი სახელობითი ჩვეულებრივი აქციის გამოშვება. შეტანილი ფულადი შესატანების შედეგად აქციონერ ვ. კ-მის წილი საწესდებო კაპიტალში გაიზარდა და შეადგინა **94.83%**.

საზოგადოების კრებაზე ასევე დადგინდა მიღებული გადაწყვეტილებების შესაბამისად სამეწარმეო რეესტრში და საზოგადოების წესდებაში სათანადო ცვლილებების შეტანა.

სააპელაციო სასამართლომ საქმეზე დადგენილად მიიჩნია, რომ კრების მოწვევისას დაირღვა კანონით დადგენილი წესი. კერძოდ, «მეწარმეთა შესახებ» კანონის **54.2** პუნქტის მე-3 აბზაცის შესაბამისად, მ. ც-მეს საერთო კრებაზე მოსაწვევი უნდა გაგზავნოდა დაზღვეული წერილით, რაც არ განხორციელებულა. ასევე არ ყოფილა გათვალისწინებული **531**-ე მუხლის მეორე ნაწილის მოთხოვნები, რომელიც ავალდებულებდა საზოგადოებას კრების მოწვევის შეტყობინებაში დეტალურად აღწერა გადასაწყვეტი საკითხი.

«მეწარმეთა შესახებ» კანონის **59.7** მუხლით სააქციო საზოგადოების კაპიტალის მომატების ან კაპიტალის შემცირების ყველა შემთხვევაში აქციონერებს გააჩნდათ აქციების შემცირების უპირატესი შესყიდვის უფლება, მათ საკუთრებაში არსებულ აქციათა ნომინალური ღირებულების პროპორციულად. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, სადავო შემთხვევაში უგულებელყოფილი იყო კანონის დასახელებული ნორმით მ. ც-მისათვის მინიჭებული უფლება და მის იურიდიულ ინტერესს კრების გადაწყვეტილების ბათილად ცნობაზე წარმოადგინდა სწორედ ამ უფლების განხორციელება.

ხემოაღნიშნული საფუძველით სააპელაციო სასამართლომ ასევე უკანონოდ მიიჩნია სს «თ. ს-ის» მიერ **2000 წლის 15** მაისს ჩატარებულ აქციონერთა კრებაზე მიღებული გადაწყვეტილება საზოგადოების წესდებაში ცვლილებების შეტანის შესახებ.

რაც შეეხებოდა სარჩელის ხანდაზმულობას, სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, მოთხოვნის წარმომოხმობის მომენტის დადგენისათვის აუცილებელი იყო ობიექტური და სუბიექტური მომენტების არსებობა. კონკრეტულ შემთხვევაში ობიექტურ მომენტად, ანუ უფლების შესაძლო დარღვევის ფაქტად, მოსარჩელის მიერ მიიჩნეოდა **2000 წლის 15** მაისს ჩატარებული აქციონერთა კრება. აღნიშნული თავისთავად არ შეიძლება მიჩნეულიყო მოთხოვნის წარმომოხმობის მომენტად. აუცილებელი იყო სუბიექტური მომენტის არსებობა, ანუ მოთხოვნის წარმომოხმობის მომენტის დადგენისათვის მნიშვნელობა ჰქონდა, როცა მხარემ გაიგო ან უნდა გაეგო ამ ფაქტის შესახებ. კანონმდებელი ამ შემთხვევაში ყურადღებას ამახვილებდა პირის ბრალზე, რომლის თანახმად, მან დაუდევრობის (გულგრილობის) გამო ვერ გაიგო უფლების დარღვევის შესახებ. დამოუკიდებელი რეგისტრატორის მიერ ოქმის საფუძველზე განხორციელებული რეგისტრაცია წარმოადგენდა ობიექტურ მომენტს, უფლების ფაქტის რეგისტრაცია თავისთავად არ შეიძლება მიჩნეულიყო სუბიექტურ მომენტად.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის **102-ე** მუხლიდან გამომდინარე, იმ ფაქტის მტკიცების ტვირთი, როდესაც მოსარჩელეს შეეძლო გაეგო ან უნდა გაეგო უფლების დარღვევის შესახებ, ეკისრებოდა მოპასუხეს, რომელმაც აღნიშნული ვერ დაადასტურა.

სააპელაციო სასამართლომ სადავო სამართალურთიერთობის მოსაწესრიგებლად მიზანშეწონილად მიიჩნია «მეწარმეთა შესახებ» კანონის **15.1** მუხლის გამოყენება, ნაცვლად ამავე კანონის **15.2** მუხლისა, რამდენადაც **15.2** მუხლით დადგენილი ვადის დენა იწყებოდა იმ პირებისათვის ვინც მონაწილეობდა და კანონის შესაბამისად მიწვეული იყო კრების მუშაობაში. ამასთან, სასამართლოს მოსაზრებით, გასაჩივრების ვადის ათვლა უნდა დაწყებულიყო მოსარჩელის მიერ მითითებული ვადიდან – **2005 წლის 27** იანვრიდან, რის შესაბამისადაც სარჩელი ხანდაზმული არ იყო (ს.ფ. **229-237**).

სააპელაციო სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა სს «თ. ს-მა» (წარმომადგენელი ვ. ნ-შვილი), რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

კასატორის მოსაზრებით, სადავო შემთხვევაში მ. ც-მის საკუთრების უფლების შელახვის ფაქტს ადგილი არ ჰქონია. სს «თ. ს-ი» ჩამოყალიბდა საკუთარი სახსრებით, აქციონერების მიერ ფულადი შენატანების საფუძველზე. დაფუძნებისას საწესდებო კაპიტალიდან – **10 000** აშშ დოლარიდან (იმ დროისათვის არსებული კურსის შესაბამისად **20 000** ლარი) – მ. ც-მის კუთვნილი წილი შეადგენდა **1000** აშშ დოლარს ანუ საწესდებო კაპიტალის **10%-ს**. **2000 წლის 15** მაისს საზოგადოების აქციონერთა საერთო კრებაზე მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად აქციონერ ვ. კ-მის მიერ საკუთარი სახსრებით განხორციელდა საწესდებო კაპიტალის გაზრდა **20 000** ლარიდან **130 000** ლარამდე, ანუ აღნიშნულმა აქციონერმა საწესდებო კაპიტალი გაზარდა **110 000** ლარით. შედეგად, მ. ც-მის შენატანი სააქციო საზოგადოებაში უცვლელი დარჩა და იგი კვლავ **2000** ლარს შეადგენს, რაც პროცენტულად უკვე საზოგადოების მთლიანი საწესდებო კაპიტალის არა **10%**, არამედ **1.54%-ია**. ამდენად, მოსარჩელის საკუთრების ობიექტის (აქციების რაოდენობის) შემცირება არ მომხდარა, სააქციო საზოგადოების საწესდებო კაპიტალის გაზრდამდე მ. ც-მეს გააჩნდა **50** ცალი აქცია და დღეის მდგომარეობითაც ამავე რაოდენობის აქციაა მის საკუთრებაში. რაც შეეხება პროცენტს, ის არ შეიძლება იყოს საკუთრების ობიექტი.

კასატორი არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას ხანდაზმულობის საკითხთან დაკავშირებით და განმარტავს, რომ «მეწარმეთა შესახებ» კანონის **15.2** მუხლის სადავო პერიოდში მოქმედი რედაქციის მიხედვით, დაუშვებელი იყო პარტნიორთა კრების, საერთო კრების, აგრეთვე სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებათა გასაჩივრება კრების ოქმის შედგენიდან ორი თვის გასვლის შემდეგ. იმის გათვალისწინე-

ბით, რომ სადავოდ გამხდარი აქციონერთა კრების ოქმი შედგენილია 2000 წლის 15 მაისს, ხოლო აღნიშნული სარჩელი სასამართლოში შეტანილია 2005 წლის 22 მარტს, კასატორი სარჩელს ხანდაზმულად მიიჩნევს.

ამასთან, კასატორი ყურადღებას ამახვილებს სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლზე, რომლის თანახმად, კანონმდებელი მოთხოვნის წარმოშობის მომენტს უკავშირებს დროს, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ.

#### **სამოტივით ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების გამოკვლევის შედეგად მიიჩნევს, რომ სს «თ. ს-ის» საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 26 ივნისის გადაწყვეტილება, შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე საკასაციო სასამართლოსათვის სავალდებულოა სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

სს «თ. ს-ი» რეგისტრაციაში გატარდა 1995 წლის 18 ოქტომბერს და მის ერთ-ერთ აქციონერს წარმოადგენდა მ. ც-მე;

საწესდებო კაპიტალის გაზრდამდე საწარმოს აქციების ოდენობა შეადგენდა 500 ერთეულს და მოსარჩელე ფლობდა 50 აქციას, რაც შეესაბამებოდა საზოგადოების საწესდებო კაპიტალის 10%-ს;

2000 წლის 15 მაისს ჩატარდა სს «თ. ს-ის» აქციონერთა საერთო კრება. საერთო კრებას ესწრებოდა ექვსი აქციონერი, რომლებიც ფლობდნენ საწესდებო კაპიტალის 71.6%-ის შესაბამისი რაოდენობის აქციებს. საზოგადოების საერთო კრებაზე მიღებული გადაწყვეტილებების შედეგად სს «თ. ს-ის» საწესდებო კაპიტალი, რომელიც შეადგენდა 20 000 ლარს, ფულადი შესატანების საფუძველზე გაიზარდა 110 000 ლარით და შეადგინა 130 000 ლარი. ერთი აქციის ნომინალური ღირებულება განისაზღვრა 40 ლარით და გადაწყდა 3 250 ცალი სახელობითი ჩვეულებრივი აქციის გამოშვება. ფულადი შესატანის შედეგად აქციონერ ვ. კ-ძის წილი საწესდებო კაპიტალში გაიზარდა და შეადგინა 94.83%. საზოგადოების კრებაზე მიღებული გადაწყვეტილებების საფუძველზე შესაბამისი ცვლილება შევიდა საზოგადოების წესდებაში.

«მეწარმეთა შესახებ» კანონის 15-ე მუხლის 1-ელი პუნქტის თანახმად, ამ კანონის მიხედვით პრეტენზიების ხანდაზმულობის ვადა შეადგენს ხუთ წელს მათი წარმოშობიდან, საზოგადოების ლიკვიდაციიდან ან პარტნიორის გასვლიდან, თუ კანონი სხვა რამეს არ განსაზღვრავს, ხოლო დასახელებული ნორმის მეორე პუნქტის თანახმად (სადავო პერიოდში მოქმედი რედაქცია), დაუშვებელია პარტნიორთა კრების, საერთო კრების, აგრეთვე, სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებათა გასაჩივრება კრების ოქმის შედგენიდან ორი თვის გასვლის შემდეგ.

საქმეზე დადგენილია და სადავო არ არის, რომ მოსარჩელე, როგორც საზოგადოების აქციათა 10%-ის მფლობელი აქციონერი, 2000 წლის 15 მაისის აქციონერთა საერთო კრებაზე არ ყოფილა მიწვეული «მეწარმეთა შესახებ» კანონის 54.2 მუხლით დადგენილი წესით (სადავო პერიოდში მოქმედი რედაქცია), კერძოდ, მას კრებაზე მოსაწვევი არ გაგზავნია დაზღვეული წერილით, რის გამოც სააქციო საზოგადოების მხრიდან უხეშად დაირღვა აქციონერთა საერთო კრების მოწვევის პროცედურა და აქციონერთა კრების თაობაზე ინფორმირების შესახებ აქციონერის უფლება. აღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას, რომ ასეთ შემთხვევაში საერთო კრების ოქმის ხანდაზმულობის მიმართ «მეწარმეთა შესახებ» კანონის 15.2 მუხლით დადგენილი ორთვიანი ვადა (კრების ოქმის შედგენიდან) ვერ გავრცელდება.

მოცემულ შემთხვევაში ხანდაზმულობის ვადის ათვლის მომენტად სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლის საფუძველზე მიჩნეულ უნდა იქნეს მოთხოვნის წარმოშობის დრო, ანუ როდესაც მ. ც-მემ შეიტყო 2000 წლის 15 მაისს სს «თ. ს-ის» აქციონერთა საერთო კრებაზე მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ ან მას აღნიშნულის შესახებ უნდა შეეტყო. საქმეში წარმოდგენილია სს «თ. ს-ის» 18.01.2005წ. წერილი მ. ც-ძისადმი, რომლითაც მოსარჩელეს თავისი მოთხოვნის საფუძველზე გაეგზავნა აღნიშნული დროისათვის მისი კუთვნილი აქციების რაოდენობის, შესატანისა და წილის შესახებ ამონაწერი აქციათა რეესტრიდან. მ. ც-მე აქციონერთა კრებაზე მიღებული გადაწყვეტილებების მისთვის შეტყობის დროდ სწორედ ზემოთთქვეთული წერილით ინფორმირების პერიოდს, კერძოდ, 2005 წლის იანვარს ასახელებს. საქმის მასალებით არ დგინდება და არც კასატორს აქვს წარმოდგენილი დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია იმის თაობაზე, რომ მ. ც-მეს აღნიშნული კრების გადაწყვეტილების შესახებ მანამდე ეცნობა. კასატორი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლით დადგენილი მტკიცების ტვირთის გათვალისწინებით ვერც იმას ასაბუთებს, თუ რატომ უნდა შეეტყო მანამდე მ. ც-მეს აღნიშნული გადაწყვეტილების შესახებ, ხოლო თავისთავად ის ფაქტი, რომ მ. ც-მე წარმოადგენდა საზოგადოების აქციონერს, მას ამის უცილობლად შეტყობის ვალდებულებას არ აკისრებს. აქედან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში სწორად განისაზღვრა ხანდაზმულობის ვადის ათვლის დასაწყისი – 2005 წლის იანვარი, რის შესაბამისადაც სარჩელი ხანდაზმულად ვერ ჩაითვლება «მეწარმეთა შესახებ» კანონის 15.1 მუხლის გათვალისწინებით.

საკასაციო სასამართლო ასევე იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას, რომ აქციონერთა საერთო კრების მოწვევის ზემომითითებულმა პროცედურულმა დარღვევამ, თავის მხრივ, განაპირობა მ. ც-ძის, როგორც საზოგადოების აქციონერის, მიერ «მეწარმეთა შესახებ» კანონის 59.7 მუხლით (სადავო პერიოდში მოქმედი რედაქცია) მინიჭებული არსებითი უფლების – აქციების უპირატესი შესყიდვის უფლების გამოყენების შეუძლებლობა. აღნიშნული ნორმის მიხედვით, საზოგადოების კაპიტალის გაზრდის შემთხვევაში აქციონერებს აქვთ აქციების უპირატესი შეძენის უფლება მათ საკუთრებაში არსებულ აქციათა ნომინალური ღირებულების პროპორციულად. მოცემულ შემთხვევაში აქციონერთა საერთო კრების მ. ც-ძის მოწვევის გარეშე ჩატარებით უხეშად არის დარღვეული მ. ც-ძის, როგორც აქციონერის, აღნიშნული უფლება.

აქციონერთა საერთო კრებაზე მიღებული გადაწყვეტილების ბათილად ცნობის მოთხოვნის ნაწილში სარჩელის საფუძვლიანობა, თავის მხრივ, განაპირობებს სარჩელის მეორე მოთხოვნის – ამავე კრებაზე მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად საზოგადოების წესდებაში შეტანილი ცვლილებების ბათილად ცნობის მოთხოვნის საფუძვლიანობას, რომელიც გამომდინარეობს პირველი მოთხოვნიდან. ამდენად, არ არსებობს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძველი.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

სს «თ. ს-ის» საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;  
უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 26 ივნისის გადაწყვეტილება;  
საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

#### **დირექტორის პასუხისმგებლობა შპს-ში**

#### **განჩინება**

1ას-959-1161-08

24 თებერვალი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ლ. ლაზარაშვილი,

თ. თოდრია

**დავის საგანი:** შპს-ს დირექტორის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

შპს «თ. ც-მა» სარჩელი აღძრა სასამართლოში ვ. ა-ოვას მიმართ ზიანის – 3529 ლარის ანაზღაურების შესახებ შემდეგი საფუძვლებით: 2007 წლის 13 ივლისის 1729 ბრძანების საფუძველზე განხორციელებული რეორგანიზაციის შედეგად შპს «თ. პ-ის» სამართალმემკვიდრეს წარმოადგენს მოსარჩელე. 2000 წლის 25 აპრილის 124 აქტით დასტურდება, რომ ნავთობგადამამუშავებელი ქარხნისაგან პოლიკლინიკამ მიიღო 1640 ლარად ღირებული საპროთეზო ლაბორატორია და 1889 ლარის ღირებულების გამოსაწვავი ღუმელი, რასაც ხელი მოაწერა პოლიკლინიკის იმჟამინდელმა დირექტორმა ვ. ა-ოვამ. 2004 წლის 1 დეკემბერს პოლიკლინიკაში ახალი დირექტორის – დ.ე-ძის დანიშვნისას ჩატარდა ინვენტარიზაცია და შედგა ქონების მიღება-ჩაბარების აქტი, რა დროსაც გამოირკვა, რომ პოლიკლინიკაში ზემოხსენებული სამედიცინო აპარატურა აღარ იყო ადგილზე. «მეწარმეთა შესახებ» კანონის შესაბამისად, ვ. ა-ოვა, როგორც საზოგადოების დირექტორი ვალდებული იყო, საზოგადოების კუთვნილი ქონების დაკარგვისას სათანადო რეაგირება მოეხდინა, რაც არ ნუხორციელებია და აღნიშნულით შპს-ს ზიანი მიაყენა. ამდენად, მოპასუხეს უნდა დაეკისროს დაკარგული ნივთების ღირებულების – 3529 ლარის მოსარჩელისათვის ანაზღაურება.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო შემდეგი დასაბუთებით: ვ. ა-ოვას აპარატურის მიღება-ჩაბარების აქტზე ხელი არ მოუწერია. სადავო დანადგარები მწყობრიდან იყო გამოსული და რამდენჯერმე დააპირეს მათი ჩამოწერაც, თუმცა აღნიშნული ვერ მოხერხდა. სადავო ინვენტარიზაციისას დანადგარების დაკარგვის აღმოჩენის გამო მოპასუხეს პასუხისმგებლობა არ უნდა დაეკისროს, რადგან 2004 წლის 1 დეკემბრის აქტში მითითებულია, რომ საზოგადოების ხელმძღვანელობამ მიმართა პოლიციას ზემოხსენებული აპარატურის ქურდობის

ფაქტის გამო. აღსანიშნავია, რომ სასარჩელო მოთხოვნა, სამოქალაქო კოდექსის 1008-ე მუხლის შესაბამისად, ხანდაზმულია.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 23 აპრილის გადაწყვეტილებით სარჩელი 1156,39 ლარის ანაზღაურების ნაწილში დაკმაყოფილდა, რაც ვ. ა-ოვამ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 9 სექტემბრის გადაწყვეტილებით ვ. ა-ოვას სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა – გაუქმდა გასაჩივრებული გადაწყვეტილება და შპს «თ. ც-ს» უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე შემდეგი საფუძვლებით: სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ ვ. ა-ოვა შპს «თ. ც-ის» დირექტორად მუშაობდა 2000 წლიდან 2004 წლამდე. 2004 წლის 1 დეკემბერს «თ. ც-ის» ახალი დირექტორის, დ. ე-ძის არჩევასთან დაკავშირებით ჩატარდა საწარმოს კუთვნილი ქონების ინვენტარიზაცია და შედგა ყოფილ და ახალ დირექტორებს შორის მიღება-ჩაბარების აქტი, რა დროსაც პოლიკლინიკაში არ აღმოჩნდა საპროთეზო ლაბორატორია და გამოსაწვავი ღუმელი. აღნიშნულ აქტს პოლიკლინიკის დირექტორ დ. ე-ძესთან ერთად ხელს აწერენ სხვა უფლებამოსილი პირებიც. სამოქალაქო კოდექსის 992-ე და 1008-ე მუხლების საფუძველზე პალატამ მიიჩნია, რომ მოცემული სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა უნდა აითვალოს 2004 წლის 1 დეკემბრიდან, როდესაც უფლებამოსილმა პირმა – საწარმოს დირექტორმა დ. ე-ძემ შეიტყო სადავო დანადგარების დანაკლისის თაობაზე, სარჩელი კი მხარემ აღძრა 2007 წლის 28 დეკემბერს, სამწლიანი ხანდაზმულობის ვადის დარღვევით. აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ შპს «თ. ც-ის» სარჩელს უარი უნდა ეთქვას დაკმაყოფილებაზე მოთხოვნის ხანდაზმულობის გამო.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება შპს «თ. ც-მა» გაასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება შემდეგი საფუძვლებით: სააპელაციო სასამართლომ სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის ათვლისას არასწორად იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 1008-ე მუხლით და არ გაითვალისწინა, რომ მოცემულ შემთხვევაში არსებული დავა ეფუძნება «მეწარმეთა შესახებ» კანონის მე-9 მუხლის მე-6 პუნქტითა და 56-ე მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული სამეწარმეო საზოგადოების დირექტორის უფლება-მოვალეობის დარღვევას, ამდენად, სარჩელის ხანდაზმულობის ვადა უნდა აითვალოს «მეწარმეთა შესახებ» კანონის მე-15 მუხლის 1-ელი ნაწილით განსაზღვრული ხუთწლიანი ვადის საფუძველზე. ამასთან, სამოქალაქო კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, «მეწარმეთა შესახებ» კანონი წარმოადგენს სპეციალურ და უფრო ახალ კანონს და სადავო შემთხვევაში სწორედ მისი დანაწესები უნდა იქნეს გამოყენებული.

სააპელაციო სასამართლომ დადგინილად ცნო შემდეგი გარემოებები: ვ. ა-ოვა შპს «თ. ც-ის» დირექტორად მუშაობდა 2000 წლიდან 2004 წლამდე. 2004 წლის 1 დეკემბერს ჩატარდა შპს «თ. ც-ის» კუთვნილი ქონების ინვენტარიზაცია და შედგა ყოფილ და ახალ დირექტორებს შორის მიღება-ჩაბარების აქტი. ინვენტარიზაციის შედეგად პოლიკლინიკაში არ აღმოჩნდა საპროთეზო ლაბორატორია და გამოსაწვავი ღუმელი. აღნიშნულ აქტს პოლიკლინიკის დირექტორ დ. ე-ძესთან ერთად ხელს აწერდნენ სხვა უფლებამოსილი პირებიც.

#### **სამოტივიციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ შპს «თ. ც-ის» საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდეს და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის 1-ელი ნაწილის «ბ» ქვეპუნტის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად დააბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია.

მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ სასარჩელო მოთხოვნაზე უარის თქმის საფუძველად მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 992-ე, 1008-ე მუხლებით გათვალისწინებულ მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის დარღვევაზე.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო პალატამ არასწორი შეფასება მისცა საქმის გარემოებებს, კერძოდ:

მოცემულ საქმეზე სარჩელის საფუძველს წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების დირექტორის მიერ თავისი მოვალეობის დარღვევიდან წარმოშობილი ზიანის ანაზღაურება. მოსარჩელები თავიანთ მოთხოვნას ამყარებენ იმ გარემოებაზე, რომ საწარმოს დირექტორმა საწარმოს ქონების დაკარგვასთან დაკავშირებით სათანადო რეაგირება არ განახორციელა, რაც დირექტორის ფუნქციას წარმოადგენდა.

სამეწარმეო გადაწყვეტილებათა მიღებისას საზოგადოების ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობის საკითხებს აწესრიგებს «მეწარმეთა შესახებ» საქართველოს კანონი (დავის წარმოშობის დროს მოქმედი რედაქცია), რომელიც განსაზღვრავს საზოგადოების საქმეების გაძღოლისას შპს-ს დირექტორთა გულმოდგინე ხელმძღვანელობისა და ერთგულების მოვალეობას (მე-9, 49-ე მუხლები). კორპორაციის დირექტორებს სამართავად გადაცემული აქვთ რა სხვისი (საზოგადოების) ქონება, მათი უპირველესი ვალდებულება სწორედ ამ ქო-

ნების დაცვა და ზიანის თავიდან აცილება. ამ ვალდებულების დარღვევა დირექტორებისათვის წარმოშობს შიდა კორპორაციულ პასუხისმგებლობას ანუ საზოგადოების წინაშე პასუხისმგებლობას, რაც რეგლამენტირებულია კანონით. საზოგადოების ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობას ამ სფეროში იწვევს იმ ნორმების დარღვევა, რომლებიც განსაზღვრავს დირექტორთა (ხელმძღვანელ პირთა) ქცევის წესს, ანუ დირექტორთა პასუხისმგებლობის სამართლებრივი საფუძველი სპეციალური კანონითაა მოწესრიგებული.

საზოგადოებასთან ურთიერთობაში დირექტორი ვალდებულია, მოქმედებდეს თავისი უფლება-მოვალეობების ფარგლებში ანუ მისი კომპეტენცია შეზღუდულია კანონით, წესდებით ან მასთან დადებული შეთანხმებით. ამ წესების დარღვევა წარმოადგენს დირექტორის საზოგადოებასთან მიმართებით არსებული შიდა ვალდებულებების დარღვევას და წარმოშობს საზოგადოების მხრიდან დირექტორისგან ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების დირექტორის მიერ თავისი უფლება-მოვალეობის ჯეროვანი შესრულების საკითხი და საზოგადოებისათვის მიყენებულ ზიანთან მიმართებით დირექტორის ბრალეულობა უნდა შემოწმდეს არა დელიქტიდან წარმოშობილი ვალდებულებების მარეგულირებელი ნორმებით, არამედ – სამეწარმეო საზოგადოებაში ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობის განმსაზღვრელი სპეციალური ნორმებით, რომელიც ასევე ადგენს ამ ურთიერთობიდან გამომდინარე მოთხოვნათა ხანდაზმულობის სპეციალურ ვადებს.

საქმის ხელახლა განმხილველმა სასამართლომ მეწარმეთა შესახებ კანონის ნორმათა გამოყენებით უნდა შეამოწმოს სასარჩელო მოთხოვნის საფუძველიანობა და სააპელაციო საჩივრის ფარგლებში შეამოწმოს პირველი ინსტანციის სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების ფაქტობრივი და სამართლებრივი დასაბუთების კანონიერება.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

შპს «თ. ც-ის» საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 9 სექტემბრის გადაწყვეტილება და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

### **შპს-ის გამგეობის ოქმის გაუქმება**

#### **გადაწყვეტილება საქართველოს სახელით**

1ას-1007-1205-08

28 აპრილი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),

ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),

ლ. ლაზარაშვილი

**დავის საგანი:** შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების გამგეობის ოქმების გაუქმება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

სს «კ-ის» აქციონერთა ნაწილმა სარჩელი აღძრა სასამართლოში სს «კ-ის» დირექტორისა და სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მიმართ შემდეგი საფუძველებით: 1998-1999 წლებში სს «კ-ის» შრომითი კოლექტივის მნიშვნელოვანმა ნაწილმა სარჩელით მიმართა სასამართლოს, ხოლო სასამართლო პროცესზე მათ შეიტყვეს, რომ მოპასუხეები საზოგადოების აქციონერები არიან. მათთვის ასევე ცნობილი გახდა, რომ წლიური ბალანსის შედგენიდან ორი თვის ვადაში უნდა მოწვეულიყო საერთო კრება. დირექტორისა და სამეთვალყურეო საბჭოს მიმართ გაგზავნილი წერილებით ისინი ითხოვდნენ, გარკვეულიყო, თუ რა პრინციპით მოხდა წილების გადანაწილება და რის საფუძველზე გამოეყო აქციები შპს «... 91-ს». შპს «... 91-ისათვის» აქციათა გადაცემის შესახებ 1995 წლის 22 აგვისტოს საერთო კრების ოქმი უნდა გაუქმდეს და საზოგადოების საერთო კრებას დაევალოს აქციათა ხელახლა გადანაწილება.

მოპასუხეებმა სარჩელი არ ცნეს შემდეგი დასაბუთებით: ნამძალადვის რაიონის სასამართლომ 1998 წელს განიხილა მოცემული სარჩელის იდენტური სარჩელი და გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა. დაუსაბუთებელია მოსარჩელეთა არგუმენტი, რომ საზოგადოების აქციონერებად ყოფნის ფაქტი მათთვის

ცნობილი გახდა 1998 წელს სასამართლოში დავის განხილვის დროს, ვინაიდან ისინი იღებდნენ დივიდენ-დებს, რაც უწყისებზე მათი ხელმოწერით დასტურდება. ამ უწყისებში მითითებულია თითოეულის კუთ-ვნილი წილიც. უსაფუძვლოა შპს «...-91-ისათვის» აქციათა გადაცემის კანონიერების გადასინჯვა, ვინაიდან 1995 წელს მოსალოდნელი სიძნელების გადასაწყვეტად, კერძოდ, სახელფასო დავალიანების, ვალებისა და სხვა ხარჯების დასაფარად აქციათა ნაწილი გადაეცა «...-91-ს». თბილისის 17 სამკერვალო ფაბრიკას გაფორ-მებული ჰქონდა საიჯარო ხელშეკრულება გამოსყიდვის უფლებით, რის შემდეგ დარეგისტრირდა შპს და შრომით კოლექტივს უსასყიდლოდ გადაეცა გამოსყიდული ქონების 60%. 1995 წელს შპს გარდაიქმნა სააქ-ციო საზოგადოებად, წილთა განაწილება კი დარჩა უცვლელი. 1998 წელს სასამართლოში საქმის განხილვი-სას მოსარჩელეთათვის აღნიშნული ცნობილი იყო, ხოლო რაც, შეეხება «...-91-სათვის» დარჩენილი 40%-ის გადაცემის კანონიერების გადასინჯვას, ამ ნაწილში მოთხოვნა ხანდაზმულია და ვადის აღდგენის შემთხვე-ვაშიც აქციათა დარჩენილი 40% აქციონერებზე ვერ გადანაწილდება.

ქ. თბილისის გლდანი-ნამალადევის რაიონული სასამართლოს 2001 წლის 26 ნოემბრის გადაწყვეტილე-ბით სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც სს «კ-ის» აქციონერებმა გაასაჩივრეს სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 18 ივნისის გადაწყვეტი-ლებით სს «კ-ის» აქციონერების სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გა-დაწყვეტილება გაუქმდა და სს «კ-ის» აქციონერთა სარჩელი არ დაკმაყოფილდა, ყადაღა მოეხსნა სს «კ-ის» სახელზე რიცხულ შემდეგ უძრავ ქონებას: ქ.თბილისში, ... ქ.187-ში, ... ქ.16-ში, გლდანის ... მ/რ-ის 18 კორპუს-სა და დაბა ... მდებარე შენობა-ნაგებობებს შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო სასამართლომ დაადგინა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებანი: სახელმწიფო საწარმოს პრივატიზაციის შედეგად 1993 წელს შეიქმნა შპს «კ-ი», რომლის წესდება, იმ დროს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, 1993 წლის ოქტომბერში რეგის-ტრაციაში გატარდა ქ.თბილისის გლდანი-ნამალადევის რაიონის გამგეობაში. 1995 წლის 22 აგვისტოს შედგა შპს ფირმა «კ-ის» გამგეობის სხდომა, რომელზეც დადგინდა, რომ ფირმაში შექმნილია მძიმე ფინანსური მდგომარეობა, რისი გაუმჯობესების მიზნით, აგრეთვე, მონაწილეთა სოციალურ-ეკონომიკური პირობების გასაუმჯობესებლად და სხვადასხვა ხარჯის დასაფარად საზოგადოების წილთა გაუნაწილებელი 40%, რო-მელიც გამოიხსნა სწორედ ასეთი შემთხვევებისათვის, გადაეცეს ახალ მოწილეს. შპს ფირმა «კ-ის» გამგე-ობის 1995 წლის 25 სექტემბრის 17 ოქმით ირკვევა, რომ ფირმის საწესდებო ფონდის 40%, რაც 82 250 000 კუ-პონს შეადგენდა, გადაეცა შპს «...-91-ს», რომელიც მიღებულ იქნა შპს ფირმა «კ-ის» მონაწილედ. საქართვე-ლოს პარლამენტის 1994 წლის 28 ოქტომბრის დადგენილებით 1995 წლის 1 მარტიდან ამოქმედდა საქარ-თველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“. ამავე დადგენილების მე-2 პუნქტით „მეწარმეთა შესახებ“ საქართვე-ლოს კანონის ამოქმედებამდე კერძო (სამოქალაქო) სამართლებრივი წესით შექმნილ საწარმოებს მიეცათ ვა-და ამ კანონის მოთხოვნების შესაბამისად ხელახალი რეგისტრაციისათვის 1996 წლის 1 იანვრამდე. აღნიშ-ნულის შესასრულებლად, 1995 წლის 18 დეკემბერს ჩატარდა შპს ფირმა «კ-ის» მონაწილეთა კონფერენცია, სადაც გადაწყდა, რომ შპს გარდაიქმნას სააქციო საზოგადოებად. ამავე კონფერენციაზე მიღებულ იქნა სს «კ-ის» წესდება. შპს «კ-ის» წესდების 1.3 მუხლი თანახმად, ეროვნული და უცხოური კაპიტალის მოზიდვისათ-ვის და ამ საფუძველზე ფირმის ეფექტურად ფუნქციონირების, მეტი მოგების მიღების, ფირმის მონაწილეე-ბისა და მუშაკების საყოფაცხოვრებო და სოციალურ-კულტურული მოთხოვნილებების თანმიმდევრული დაკმაყოფილების მიზნით, საწესდებო ფონდის 30%, ანუ 61660 კუპონი არ ნაწილდება ფირმის მონაწილეთა შორის, გამოიყოფა საინვესტიციო საქმიანობის ობიექტების სახით, ინვესტიციების დაბანდებისათვის. სა-წესდებო ფონდის 10%, ანუ 220590 კუპონი, აგრეთვე, არ ნაწილდება ფირმის მონაწილეთა შორის, გამოიყო-ფა ფირმის გამგეობის განკარგულებაში და გამოიყენება ინტელექტუალური ქონების ობიექტების (ფირმი-სათვის საჭირო სპეციალისტების) ფირმაში მოზიდვისათვის, ახალი მონაწილის მიღებისათვის, ფირმაში მონაწილეობასთან დაკავშირებული ცალკეული სადავო საკითხების რეგულირებისა და გადაწყვეტისათვის, ფირმის მონაწილის წილის (წილის ნაწილის) შექმნისათვის და სხვა. საზოგადოების წესდების 6.1 მუხლის შესაბამისად, ფირმის მართვის ორგანოებს წარმოადგენს ფირმის მონაწილეთა კონფერენცია, ფირმის გამგე-ობა, ფირმის გენერალური დირექტორი. 6.12 მუხლის მიხედვით, ფირმის მიმდინარე საქმიანობის მნიშვნე-ლოვანი საკითხები გამოიტანება განსახილველად ფირმის გამგეობაზე, რომელიც ატარებს თავის სხდომებს და იხილავს საკითხებს ფირმის მონაწილეთა კონფერენციის მიერ დამტკიცებული ფირმის გამგეობის დებუ-ლების შესაბამისად. შპს «კ-ის» დებულების 1.4 მუხლის თანახმად, გამგეობა იხილავს თავის სხდომებზე ფირმის მიმდინარე საქმიანობის მნიშვნელოვან საკითხებს, ხოლო 3.1 მუხლის შესაბამისად, გამგეობის კომ-პეტენციას განეკუთვნებოდა ფირმის მიერ მონაწილის წილის შექმნის, მონაწილის მიერ თავისი წილის (წი-ლის ნაწილის) ფირმის ერთ ან რამდენიმე მონაწილეზე, მესამე პირზე (პირებზე) გადაცემის შესახებ გადაწყ-ვეტილებების მიღება, ფირმის მონაწილის მიღება, ფირმის ფონდების (გარდა გენერალური დირექტორის ფონდისა) შექმნის წყაროების, ოდენობის, შექმნისა და გამოყენების წესის განსაზღვრა, ეროვნული და უცხო-ური კაპიტალის მოზიდვისა და ინვესტიციების დაბანდების შესახებ გადაწყვეტილებების მიღება. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენს შპს «კ-ის» გამგეობის 1995 წლის 22 აგვისტოს და 25 სექტემბრის 17 ოქმები, რომლებითაც გადაწყდა საზოგადოებაში ახალი წევრის მი-ღება ფირმის მძიმე მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით. პალატამ მიუთითა, რომ შპს «კ-ის» გამგეობა მოქმედებდა საზოგადოების წესდებისა და დებულების შესაბამისად, კერძოდ, გამგეობას გააჩნდა უფლება-



მოსილება, განეკარგა საზოგადოების საწესდებოდ ფონდის 40%, ამდენად, სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება, რომ შპს „კ-ის“ გამგეობას საზოგადოების გაუნაწილებელი კაპიტალის აქციონერთა თანხმობის გარეშე განაწილების უფლება არ ჰქონდა, ვინაიდან გამგეობა მოქმედებდა თავისი კომპეტენციის ფარგლებში და ის არ იყო შეზღუდული აქციონერთა ნებართვით. სააპელაციო პალატამ არ იმსჯელა აპელანტის მიერ სადავოდ გამხდარ გარემოებაზე, შპს „...-91-მა“ გაუწია თუ არა ფინანსური დახმარება შპს „კ-ს“ და შეიტანა თუ არა საზოგადოებაში განსაზღვრული თანხა, ვინაიდან მითითებული გარემოება სასამართლოს წარმოებაში არსებულ დავასთან კავშირში არ არის. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ სარჩელი შპს „კ-ის“ გამგეობის 1995 წლის 22 აგვისტოს 16 და 25 სექტემბრის 17 ოქმების ბათილად ცნობის თაობაზე ხანდაზმულია. სასამართლომ დაადგინა, რომ მოსარჩელებმა 2000 წლის 1 დეკემბერს აღძრული სარჩელით მოითხოვეს აქციონერებს შორის აქციათა განაწილება, ასევე დაზუსტებული სასარჩელო განცხადების წარსადგენად – სს „კ-იდან“ წილების განაწილების შესახებ დოკუმენტაციის გამოთხოვა. სადავო ოქმები და სხვა მასალები სს „კ-ის“ აქციონერ ე. თ-ურს ჩაჰბარდა 2001 წლის 4 ივლისს. ამდენად, სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ მოსარჩელეთათვის სადავო ოქმების თაობაზე სწორედ ამ დროს გახდა ცნობილი, ხოლო მოთხოვნა ზემოაღნიშნული ოქმების ბათილად ცნობის შესახებ პირველი ინსტანციის სასამართლოს წარედგინა 2001 წლის 26 ნოემბრის სასამართლო სხდომაზე. სასამართლომ ჩათვალა, რომ მოცემულ შემთხვევაში „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 15.2 მუხლით დადგენილი ხანდაზმულობის ვადა დარღვეულია. პალატამ მიიჩნია, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199<sup>1</sup> მუხლით, სს „კ-ის“ სახელზე რიცხულ უძრავ ქონებას ყადაღა უნდა მოეხსნას.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ე. თ-ურმა გაასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება შემდეგი საფუძვლებით: არასწორია სასამართლოს მითითება შპს „კ-ში“ ახალი წევრის მიღებისათვის წილთა 40%-ის გადაცემაზე, რადგან საზოგადოების წესდების მიხედვით სხვადასხვა მიზნებისათვის, მათ შორის, ახალი მონაწილის მიღებისათვის განსაზღვრული იყო წილთა მხოლოდ 10%, დარჩენილი 30% კი არც ფირმის მონაწილეებს შორის უნდა განაწილებულიყო და არც ახალი წევრის შემოყვანისთვის არ იყო გამიზნული, არამედ, შპს „კ-ის“ წესდების 1.3 მუხლის თანახმად, უნდა მოხმარებოდა საზოგადოების მოგების გაზრდას, ფირმის მონაწილეებისა და მუშაკების საყოფაცხოვრებო და სოციალურ-კულტურული პირობების გაუმჯობესებას. გამგეობას უფლება არ ჰქონდა, თავისი შეხედულებებისამებრ ერთპიროვნულად განეკარგა იგი. გამგეობის განკარგულებაში რჩებოდა მხოლოდ საწესდებო ფონდის 10%, რაც უნდა გამოყენებულიყო ინტელექტუალური ქონების ობიექტების, საჭირო სპეციალისტების მოწვევისათვის, საზოგადოების მონაწილეობასთან დაკავშირებული ცალკეული სადავო საკითხების გადაწყვეტისათვის, მონაწილის მიერ თავისი წილის ან წილის ნაწილის შექცევისთვის, აგრეთვე, ახალი მონაწილის მიღებისთვის, რაც იმას ნიშნავდა, რომ გამგეობას იმის უფლებაც არ ჰქონდა, მთლიანად 10% მხოლოდ ახალი წევრის მიღებისათვის განეკარგა. ამდენად, დაირღვა შპს „კ-ის“ წესდების 1.3 მუხლის მოთხოვნები და საზოგადოების მოწილეთა ინტერესები. შპს „კ-ის“ ხელმძღვანელობამ დაარღვია 1995 წელსა და ამჟამადაც მოქმედი „მეწარმეთა შესახებ“ კანონის მე-9 მუხლის მე-6 პუნქტი და თავისი მოქმედებით გააუარესა საზოგადოებისა და მის მოწილეთა მდგომარეობა. სასამართლომ არასწორად მიუთითა შპს „კ-ის“ დებულებაზე, ვინაიდან დებულება ჰქონდა არა შპს „კ-ს“, არამედ, მის გამგეობას, რომლის 1.4 პუნქტის მიხედვით გამგეობას არ გააჩნდა უფლება, განეხილა ფირმის მონაწილეთა კონფერენციისა და სარევიზიო კომისიის განსაკუთრებულ კომპეტენციაში შემავალი საკითხები. რაც შეეხება 3.1 პუნქტს, რომელზედაც სააპელაციო სასამართლო მიუთითებს, გამგეობისათვის უპირველესი სამართლებრივი დოკუმენტი იყო ფირმის წესდება, რომლის საფუძველზეც შემუშავდა დებულება. მართალია, გამგეობას შეეძლო ახალი მონაწილის მიღება, მაგრამ მხოლოდ საწესდებო ფონდის 10%-ის ფარგლებში და ისიც მთლიანად არა. გაურკვეველია, რა მტკიცებულებების საფუძველზე დაადგინა სასამართლომ შპს „... 91-ის“ შპს „კ-ის“ პარტნიორად მიღების საკითხი, ვინაიდან «მეწარმეთა შესახებ» კანონის მე-3, 3.7, მე-5, 5.4.3 და 46.3 მუხლების დარღვევით, საქმის მასალებში წარმოდგენილი არ არის შპს „... 91-ის“ პარტნიორად რეგისტრაციის დოკუმენტაცია და სასამართლომ მიერ გაცემული ცნობის, ასევე სამეწარმეო რეესტრიდან ამონაწერის მიხედვით, აღნიშნული მასალები არც სს „კ-ის“ სადამფუძნებლო დოკუმენტაციას არ ერთვის. ამდენად, 1995 წლის 22 აგვისტოს 16 ოქმს, ასევე, ამავე წლის 25 სექტემბრის 17 ოქმს იურიდიული შედეგი არ მოჰყოლია და, სამოქალაქო კოდექსის 56-ე მუხლის მიხედვით, გარიგება მოჩვენებითია. შპს „... 91-ს“ 40% წილის სანაცვლოდ შენატანის შპს „კ-ის“ ანგარიშზე ჩარიცხვის დამადასტურებელი მტკიცებულება არ წარმოუდგენია. პალატამ დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 380-ე, 382-ე, 202-ე და მე-5 მუხლები, როდესაც 2008 წლის 28 მაისს საქმის გამოკვლევა დაამთავრა, პროცესი გადადო გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოსაცხადებლად და მტკიცებულებად მიიღო მოპასუხის მიერ წარდგენილი ქვითრები. სასამართლომ არასწორად განმარტა „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 47.3 მუხლის „ვ“ და „ზ“ ქვეპუნქტები და საზოგადოების წესდების 1.3 მუხლი, როდესაც გაუზარდა გამგეობას კომპეტენცია და კანონიერად ჩაუთვალა საწესდებო ფონდის გაუნაწილებელი 40%-ის გასხვისება. ამასთან, შპს „კ-ის“ წესდების 8.1 მუხლი ითვალისწინებს ახალი წევრის შემოყვანის გზით საწესდებო კაპიტალის გაზრდას, რაც არ განხორციელებულა, 8.3 მუხლი კი პარტნიორს ანიჭებდა წილის შესყიდვის უპირატეს უფლებას, რაც უგულებელყოფილ იქნა. 17 ოქმის საფუძველზე გაფორმებული სესხის ხელშეკრულება არ ითვალისწინებდა ინვესტორისათვის წილების



გადანაწილებას, უფრო მეტიც, მისი მე-4 პუნქტის თანახმად, ფინანსური დახმარება რაიმე გარანტიით უზრუნველყოფილი არ ყოფილა. მოწინააღმდეგე მხარის მიერ წარმოდგენილი 1997-1998 წლების დირექტორის საანგარიშო მოხსენებიდან ცნობილი გახდა, რომ სს „კ-მა“ ვალის დაფარვის ანგარიშში «... 91-ს» გადაუფორმა უძრავი ქონება, პანსიონატის შენობა და ვალის გასტუმრების ანგარიშში გადაეცა წყნეთის პიონერთა ბანაკი, რაზეც გაფორმდა ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება. გაურკვეველია, რა შეიტანა შპს „... 91-მა“ მიღებული 40% წილის ანგარიშში. კასატორმა იშუამდგომლა, მოწინააღმდეგე მხარისათვის მტკიცებულებების, კერძოდ, შპს „... 91-ის» სადამფუძნებლო დოკუმენტების, „... 91-ისათვის» აქციებისა და სერტიფიკატის გაცემის საფუძვლის ამსახველი მასალის, წყნეთის დასასვენებელი სახლის გადაცემის დოკუმენტაციის, «მაუდკამ-ვოლთან» და გერმანიის ფირმასთან დადებული ხელშეკრულებების წარმოდგენა, რაც, სასამართლოს მოთხოვნის მიუხედავად, არ წარმოდგენილა. აღნიშნულს ადასტურებს სს „კ-ის» წარმომადგენელი ს. კ-ვიც, რომელმაც განმარტა, რომ «... 91-ის» აქციების გაცემასთან დაკავშირებული საბუთები არ გააჩნია. სასამართლო სხდომაზე მოპასუხემ განაცხადა, რომ სხვა დოკუმენტაცია არ გააჩნია და წარმოადგინა სესხის ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მასალები, რომელთაც არაფერი ჰქონდათ საერთო წილის დათმობასთან და მოწილედ მიღებასთან. ყოველივე ზემოხსენებულთა დასტურდება, რომ ხანდაზმულობის ვადა გაშვებული არ არის, რადგანაც მოპასუხეს იმთავითვე შეეძლო განემარტა, რომ მას აქციონერად ახალი წევრის შემოყვანის სხვა დოკუმენტაცია არ გააჩნდა. სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ შპს «კ-ის» გამგეობამ როგორც საზოგადოებას, ისე მის პარტნიორებს მიაყენა უდიდესი ზიანი. შპს «... 91» აქციონერად დაფიქსირებულია მხოლოდ 1995 წლის 29 დეკემბერს რეგისტრირებულ სს „კ-ის» წესდებაში, თუმცა გაურკვეველია, რის საფუძველზე გაკეთდა ჩანაწერი წესდებაში. აღნიშნული წესდება მიღებულია 1995 წლის 18 დეკემბრის სააქციო საზოგადოების კონფერენციის მიერ, რომლის ოქმით აღნიშნულ საკითხზე კრებას არ უმსჯელია. საზოგადოების წესდება აქციონერთა მიერ ხელმოწერილი არ არის და მისი არსებობა მხოლოდ სარჩელის შეტანის შემდეგ გახდა კასატორისათვის ცნობილი, ამავე დროს შეიტყო შპს „... 91-ის» აქციონერად მიღების თაობაზეც. შპს-ს სარეზერვო ფონდის 40% იყო გამოსყიდული ქონების ნაწილი, რომელიც აქციებში არ განთავსებულა. აღნიშნული მოპასუხემაც დაადასტურა 2001 წლის 9 ნოემბრის სხდომაზე. ფაქტობრივად, მოხდა საწესდებო კაპიტალის 40%-ის ლიკვიდაცია. აღნიშნულს ადასტურებს სს „კ-ის» წესდება, რომელშიც ცვლილება შესულია მხოლოდ 2002 წლის მარტში და იგი ეხება სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა რაოდენობის გაზრდას. შპს „... 91» ვერც 1995 წლის 25 სექტემბერს და 1995 წლის 29 დეკემბერს ვერ გახდებოდა სს-ის დამფუძნებელი და სარეზერვო ფონდის 40%-ის მფლობელი. ამდენად, წესდების 1.2 მუხლი ეწინააღმდეგება იმ დროს მოქმედ კანონს.

სააპელაციო სასამართლომ დაადგინა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებანი: სახელმწიფო საწარმოს პრივატიზაციის შედეგად 1993 წელს შეიქმნა შპს „კ-ი». 1995 წლის 22 აგვისტოს შედგა შპს ფირმა „კ-ის» გამგეობის სხდომა, რომელზეც დადგინდა, რომ ფირმაში შექმნილია მძიმე ფინანსური მდგომარეობა, რისი გაუმჯობესების მიზნით, აგრეთვე, მონაწილეთა სოციალურ-ეკონომიკური პირობების გასაუმჯობესებლად და სხვადასხვა ხარჯის დასაფარად საზოგადოების წილთა გაუნაწილებელი 40%, რომელიც გამიზნულია სწორედ ასეთი შემთხვევებისათვის, გადაეცეს ახალ მოწილეს. შპს ფირმა „კ-ის» გამგეობის 1995 წლის 25 სექტემბრის 17 ოქმით ირკვევა, რომ ფირმის საწესდებო ფონდის 40%, რაც 82 250 000 კუპონს შეადგენდა, გადაეცა შპს „...-91-ს», რომელიც მიღებულ იქნა შპს ფირმა „კ-ის» მონაწილედ. საქართველოს პარლამენტის 1994 წლის 28 ოქტომბრის დადგენილებით 1995 წლის 1 მარტიდან ამოქმედდა საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ». ამავე დადგენილების მე-2 პუნქტით „მეწარმეთა შესახებ» საქართველოს კანონის ამოქმედებამდე კერძო (სამოქალაქო) სამართლებრივი წესით შექმნილ საწარმოებს მიეცათ ვადა ამ კანონის მოთხოვნების შესაბამისად ხელახალი რეგისტრაციისათვის 1996 წლის 1 იანვრამდე. აღნიშნულის შესასრულებლად, 1995 წლის 18 დეკემბერს ჩატარდა შპს ფირმა „კ-ის» მონაწილეთა კონფერენცია, სადაც გადაწყდა, რომ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება გარდაიქმნას სააქციო საზოგადოებად. ამავე კონფერენციაზე მიღებულ იქნა სს „კ-ის» წესდება.

#### **სამოტივეთი ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შემოწმებისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ე. თ-ურის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება ნაწილობრივ – შპს «კ-ის» გამგეობის 1995 წლის 22 აგვისტოსა და 25 სექტემბრის სხდომის ოქმები შპს «... 91-ისათვის» 30% აქციების გადაცემის ნაწილში გაუქმდეს და აღნიშნული აქციები დაუბრუნდეს სს «კ-ს», ხოლო დანარჩენ ნაწილში გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელი შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ დავასთან მიმართებით სააპელაციო პალატამ კანონის დარღვევის გარეშე დაადგინა ფაქტობრივი გარემოებები, თუმცა არასწორი სამართლებრივი შეფასება მისცა მათ, რაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველია.

საკასაციო სასამართლო, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, თვითონ დებულობს გადაწყვეტილებას მოცემულ დავაზე, ვინაიდან არ არსებობს კანონით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი.

დაუსაბუთებელია სააპელაციო პალატის დასკვნა, რომ სარჩელი შპს «კ-ის» გამგეობის 1995 წლის 22 აგვისტოს 16 და 1997 წლის 15 სექტემბრის 17 ოქმების ბათილად ცნობის თაობაზე ხანდაზმულია «მეწარმეთა შესახებ» საქართველოს კანონის 15.2 მუხლის შესაბამისად. აღნიშნული ნორმით დაუშვებელია პარტნიორთა კრების, საერთო კრების, აგრეთვე, სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებათა გასაჩივრება კრების ოქმის შედგენიდან 2 თვის გასვლის შემდეგ. ამ გარემოებასთან დაკავშირებით სასამართლომ დაადგინა, რომ სადავო ოქმები და სხვა მასალები სს «კ-ის» აქციონერ ე. თ-ურს ჩაჰბარდა 2001 წლის 4 ივლისს, ხოლო სარჩელი სასამართლოში წარდგენილ იქნა 2001 წლის 26 ნოემბერს.

უპირველეს ყოვლისა, საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულად მიჩნევისათვის სასამართლოს უნდა დაედგინა ამა თუ იმ მტკიცებულების არა მარტო ერთი, არამედ – ყველა მოსარჩელისათვის ჩაბარების დრო, ვინაიდან, როგორც ცნობილია, სარჩელი და სააპელაციო საჩივარი წარდგენილია ოცი აქციონერის მიერ. ამასთან, სადავო გამგეობის ოქმების გარკვეულ დროში არსებობა არ შეიძლება გახდეს ამ დროიდან მოთხოვნის წარმოშობის საფუძველი.

რაც შეეხება მითითებული გარემოების სამართლებრივ შეფასებას, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელეთა პრეტენზია მიმართულია შპს ფირმა «კ-ის» გამგეობის კრების იმ გადაწყვეტილებებზე, რომლითაც შეილახა მათი, როგორც აქციონერთა ქონებრივი უფლებები, ვინაიდან აქცია წარმოადგენს საკუთრების ობიექტს და, შესაბამისად, მასზე უფლება დაცულია საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლით. ამდენად, აქციონერები პრეტენზიას აცხადებდნენ არა კრების ჩატარების კანონიერებაზე, არამედ ამ კრების მიერ მიღებული გადაწყვეტილებებით მათი უფლებების უხეშ დარღვევაზე. შესაბამისად, ასეთ შემთხვევაში გამოყენებულ უნდა იქნეს «მეწარმეთა შესახებ» საქართველოს კანონის მე-15 მუხლის არა 1-ელი, არამედ მე-2 ნაწილი, როგორც ეს იქნა მითითებული ამავე საქმეზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2003 წლის 17 ივლისის 13კ/1209-02 და 2006 წლის 24 მარტის 1ას-474-788-05 განჩინებებით.

«მეწარმეთა შესახებ» კანონის 1.1 მუხლი განსაზღვრავს ამ კანონის მოქმედების სფეროს. კანონი არ არეგულირებს მთლიანად სამეწარმეო საქმიანობას და მასთან დაკავშირებულ ყველა ურთიერთობას. «მეწარმეთა შესახებ» კანონი შემოიფარგლება მხოლოდ სამეწარმეო საქმიანობის მონაწილეთა მოწყობის, ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების განსაზღვრითა და მასთან დაკავშირებული საკითხებით. აქედან გამომდინარე, მე-15 მუხლის მეორე ნაწილში მითითებული ხანდაზმულობის ვადა ძირითადად დაკავშირებულია «მეწარმეთა შესახებ» კანონის დანაწესების საფუძველზე განსაზღვრული კრების მოწვევისა და ოქმის შედგენის პროცედურულ საკითხებზე პრეტენზიების წარდგენასთან. განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელები სადავოდ მიიჩნევენ არა სამეწარმეო საქმიანობიდან გამომდინარე სამართლებრივ ურთიერთობას, არამედ სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობას, კერძოდ, სარჩელის მოთხოვნა (დავის საგანი) ქონებრივი ხასიათისა და მოსარჩელები – სააქციო საზოგადოების აქციონერები, ითხოვენ დარღვეული ქონებრივი უფლებების აღდგენას – არაუფლებამოსილი პირის (გამგეობის) მიერ დადებული გარიგების (გადაწყვეტილების) საფუძველზე განხორციელებული აქციების არაკანონიერად გადაცემის გაუქმებას. სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლის თანახმად, ხანდაზმულობა იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან. მოთხოვნის წარმოშობის მომენტად ჩაითვლება დრო, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ.

დაუსაბუთებელია სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა, რომ შპს „კ-ის“ დებულების 1.4 და 3.1 მუხლების საფუძველზე გამგეობას უფლება ჰქონდა, განეკარგა წილთა 40%. შპს „კ-ის“ გამგეობის დებულების 1.4 მუხლის თანახმად, გამგეობა იხილავს თავის სხდომებზე ფირმის მიმდინარე საქმიანობის მნიშვნელოვან საკითხებს, ხოლო 3.1 მუხლის შესაბამისად, გამგეობის კომპეტენციას განეკუთვნებოდა ფირმის მიერ მონაწილის წილის შეძენის, მონაწილის მიერ თავისი წილის (წილის ნაწილის) ფირმის ერთ ან რამდენიმე მონაწილეზე, მესამე პირზე (პირებზე) გადაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღება, ფირმის მონაწილის მიღება, ფირმის ფონდების (გარდა გენერალური დირექტორის ფონდისა) შექმნის წყაროების, ოდენობის, შექმნისა და გამოყენების წესის განსაზღვრა, ეროვნული და უცხოური კაპიტალის მოზიდვისა და ინვესტიციების დაბანდების შესახებ გადაწყვეტილების მიღება.

აღნიშნული მუხლები განსაზღვრავენ გამგეობის კომპეტენციას, ხოლო, რაც შეეხება სადავო აქციების ნაწილს, მათი დანიშნულება განსაზღვრულია შპს «კ-ის» წესდების 1.3 მუხლით, რომლის მიხედვითაც ეროვნული და უცხოური კაპიტალის მოზიდვისათვის და ამ საფუძველზე ფირმის ეფექტურად ფუნქციონირების, მეტი მოგების მიღების, ფირმის მონაწილეებისა და მუშაკების საყოფაცხოვრებო და სოციალურ-კულტურული მოთხოვნილებების თანმიმდევრული დაკმაყოფილების მიზნით, საწესდებო ფონდის 30%, ანუ 61660 კუპონი არ ნაწილდება ფირმის მონაწილეთა შორის, გამოიყოფა საინვესტიციო საქმიანობის ობიექტების სახით, ინვესტიციების დაბანდებისათვის. საწესდებო ფონდის 10%, ანუ 220590 კუპონი, აგრეთვე, არ ნაწილდება ფირმის მონაწილეთა შორის, გამოიყოფა ფირმის გამგეობის განკარგულებაში და გამოიყენება ინტელექტუალური ქონების ობიექტების (ფირმისათვის საჭირო სპეციალისტების) ფირმაში მოზიდვისათვის, ახალი მონაწილის მიღებისათვის, ფირმაში მონაწილეობასთან დაკავშირებული ცალკეული სადავო საკითხების რეგულირებისა და გადაწყვეტისათვის, ფირმის მონაწილის წილის (წილის ნაწილის) შეძენისათვის და სხვა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გაუნაწილებელი საწესდებო ფონდის დანიშნულება განსაზღვრულია რა საზოგადოების საქმიანობის მომწესრიგებელი ძირითადი დოკუმენტით – წესდებით, გამგეობის უფლებამოსილება დადგენილია მხოლოდ გაუნაწილებელი ფონდის 10%-ის განკარგვაზე. ამდენად, შპს-ს გამგეობა არ იყო უფლებამოსილი, განეკარგა დარჩენილი 30%. შესაბამისად, ამ ნაწილში სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს, აქციონერთა სასარჩელო მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს და აღნიშნული აქციები დაუბრუნდეს სს «კ-ს». რაც შეეხება საწესდებო ფონდის 10%-ს, გამგეობის მიერ მისი განკარგვა კანონიერია და ამ ნაწილში სასარჩელო მოთხოვნა არ უნდა დაკმაყოფილდეს.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

#### **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:**

ე. თ-ურის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.  
თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 18 ივნისის გადაწყვეტილება ნაწილობრივ გაუქმდეს და მიღებულ იქნას ახალი გადაწყვეტილება შემდეგ ნაწილში:

ე. თ-ურის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.

შპს «კ-ის» გამგეობის 1995 წლის 22 აგვისტოსა და 25 სექტემბრის სხდომის ოქმები შპს «... 91-ისათვის» 30% აქციების გადაცემის ნაწილში გაუქმდეს და აღნიშნული აქციები დაუბრუნდეს სს «კ-ს».

დანარჩენ ნაწილში სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელად.

საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

#### **პარტნიორთა კრების გადაწყვეტილება დივიდენდების გაცემის თაობაზე**

#### **გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა**

<sup>1</sup>ას-1111-1264-08

25 ივნისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

რ. ნადირიანი,

თ. თოდრია

**დავის საგანი:** თანხის დაკისრება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

ბათუმის საქალაქო სასამართლოს სასარჩელო განცხადებით მიმართა – აჭარის ა/რ-ის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრომ, შპს „ბ-ის“ მიმართ და მოპასუხისათვის 1998-2005 წლებში სახელმწიფოს მიერ მიუღებელი დივიდენდის და დარიცხული პროცენტის – სულ 471 132 ლარის დაკისრება მოითხოვა.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 17 დეკემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება შპს «ბ-ის» მიერ გასაჩივრებულ იქნა სააპელაციო საჩივრით და მოითხოვა გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 30 სექტემბრის განჩინებით შპს «ბ-ის» სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

პალატამ არ გაიზიარა აპელანტი მხარის მოსაზრება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს – არასათანადო მოსარჩელობასთან დაკავშირებით, ვიადან მიიჩნია, რომ რეესტრის ჩანაწერების თანახმად, დანარჩენ პარტნიორებთან ერთად 20%-იანი წილის მფლობელი, ნაცვლად მერიისა, ეკონომიკის და ფინანსთა სამინისტროა. რეესტრის ჩანაწერების ცვლილება კი მხარეს სადაოდ არ გაუხდია.

პალატამ ასევე არ გიზიარა მოპასუხის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ წილის ფლობა არ წარმოშობს პარტნიორთა უფლება-მოვალეობებს წილის წინა მფლობელის უფლება-მოვალეობათა მიმართ.

პალატამ მიიჩნია, რომ საზოგადოების საქმიანობით მიღებული მოგებიდან თავისი წილის მიღების უფლება გააჩნია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს, როგორც შპს „ბ-ის“ ახალ პარტნიორს.

პალატამ მიიჩნია, რომ ვინაიდან საქმეში არ არსებობს მტკიცებულება პარტნიორთა შორის მოგების განაწილების შესახებ, შესაბამისად საზოგადოება არის მოცემულ შემთხვევაში ერთადერთი მოპასუხე.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 30 სექტემბრის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა შპს «ბ-ს» დირექტორმა ი. ა-მემ.

კასატორის განმარტებით, სააპელაციო პალატამ უსაფუძვლოდ არ გაიზიარა კანონიერი და დასაბუთებული არგუმენტაცია იმის თაობაზე რომ მოცემულ დავაში შპს «ბ-ი» არ წარმოადგენს სათანადო მოპასუხეს. კერძოდ, სარჩელის თანახმად, შპს „ბ-ის“ ერთ-ერთი პარტნიორი, 20%-იანი წილის მფლობელი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო მოითხოვდა დღიური წმინდა მოგების თანხებს საზოგადოებისაგან.

კასატორს მიაჩნია, რომ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლისა და მე-9<sup>1</sup> მუხლის მე-5 ნაწილის „თ“ ქვეპუნქტის, მე-6 ნაწილის „ე“ პუნქტისა და მე-8 ნაწილის შინაარსიდან გამომდინარე, შპს-ის პარტნიორს უფლება არ აქვს წლიური წმინდა მოგების მოთხოვნა წაუყენოს საზოგადოებას, როცა მას (საზოგადოებას) უკვე შესრულებული აქვს დაკისრებული მოვალეობა წლიური ანგარიშების (თანხების) შედგენის თაობაზე. კანონის აღნიშნული ნორმები იმპერატიულად ადგენენ, რომ წლიური შედეგების დამტკიცებისა და პარტნიორთა შორის მოგების დივიდენდის სახით განაწილების უფლებამოსილება გააჩნია პარტნიორთა კრებას და არა შპს-ის ადმინისტრაციას. დივიდენდის განაწილების უფლებამოსილება, კასატორის განმარტებით, კანონის თანახმად მინიჭებული აქვს პარტნიორთა კრებას და არა შპს-ს.

კასატორის განცხადებით, შპს სავაჭრო ცენტრ „ბ-ში“ ყოველწლიურად დგებოდა წლიური საბალანსო ანგარიშები; ხოლო წლიური წმინდა მოგების პარტნიორებს შორის განაწილების უფლებამოსილება გააჩნია მხოლოდ პარტნიორთა კრებას. კასატორის აზრით, მოცემულ დავაში შპს «ბ-ი» არ წარმოადგენს სათანადო მოპასუხეს, რის შესახებ მათ წერილობითი შუამდგომლობით მიმართეს ორივე ინსტანციის სასამართლოს, მაგრამ მათი მოთხოვნა უსაფუძვლოდ არ იქნა გაზიარებული.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე კასატორმა მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღება.

### **სამოტივიციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ განიხილა საქმის მასალები, გაეცნო საკასაციო საჩივრის საფუძვლებს და თვლის, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

კასატორის მითითებით „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8, მე-9<sup>1</sup> მუხლის მე-5 ნაწილის „თ“ ქვეპუნქტის, მე-6 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტისა და მე-8 ნაწილის შინაარსიდან გამომდინარე, შპს-ს პარტნიორს უფლება არ აქვს, წლიური წმინდა მოგების მოთხოვნა წაუყენოს საზოგადოებას, როცა მას უკვე შესრულებული აქვს წლიური ანგარიში (ბალანსი). აღნიშნული მოსაზრება საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით არ შეიძლება გაზიარებული იქნეს. მე-8 მუხლში მითითებულია პარტნიორთა კრების უფლებამოსილებაზე დაადგინოს წლიური და შუალედური მოგების დივიდენდების სახით განაწილება. მე-9<sup>1</sup> მუხლის მე-5 ნაწილის „თ“ ქვეპუნქტში საუბარია პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებაზე დაამტკიცოს წლიური შედეგები, ხოლო მე-6 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტში პარტნიორთა კრების უფლებამოსილებაზე მიიღოს გადაწყვეტილებები დირექტორების დანიშვნის და გამოწვევის თაობაზე, მათი ანგარიშების დამტკიცებაზე და ა.შ. კასატორის მითითებული ნორმათა ანალიზიდან არ იკვეთება კასატორის მიერ მითითებული მოსაზრება. სწორედ წლიური შედეგების შეჯამების შემდეგ შესაძლებელია იმ ინფორმაციის მიღება, თუ რამდენად მომგებიანი იყო საზოგადოების საქმიანობა გასული წლისათვის და სწორედ აღნიშნულის შემდეგ შეიძლება დაისვას მოგების განაწილების საკითხი. ხოლო რაც შეეხება დივიდენდების განაწილებას, აღნიშნული საკითხი მართლაც პარტნიორთა კრების გადასაწყვეტია. მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ პარტნიორთა კრებამ დივიდენდის გაცემის თაობაზე გადაწყვეტილება მიიღო, ამ გადაწყვეტილების შესრულების უზრუნველყოფა უნდა მოახდინოს საზოგადოებამ და არა პარტნიორებმა, როგორც ამას უთითებს კასატორი. პარტნიორები ახორციელებენ მმართველობით უფლებამოსილებას პარტნიორთა საერთო კრების მეშვეობით „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 47-ე მუხლის თანახმად, საზოგადოების საქმიანობას კი ხელმძღვანელობს დირექტორი ამავე კანონის მე-9 მუხლის თანახმად. ანალოგიურად წესრიგდებოდა აღნიშნული საკითხები დავის არსებობისას ამ ურთიერთობათა მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმებითაც. ამდენად, საზოგადოებისათვის თანხის გადახდის დაკისრება არ გულისხმობს საზოგადოების ადმინისტრაციისათვის თანხის დაკისრებას. როდესაც თანხის გადახდა ეკისრება საზოგადოებას, გადახდევინება ხდება არა ადმინისტრაციის, არამედ საზოგადოების ქონებიდან.

კასატორი არ უარყოფს იმ გარემოებას, რომ წლიური მოგება განაწილებულია პარტნიორთა შორის და აღნიშნულის თაობაზე არ დავობს არცერთი პარტნიორი და თუ რომელიმე პარტნიორმა დივიდენდი ვერ მიიღო, კასატორის აზრით, იგი უნდა ედავოს პარტნიორთა კრებას და არა საზოგადოებას. აღნიშნულ მოსაზრებას პალატა ვერ გაიზიარებს, რადგან სხვა პარტნიორთა მიერ დივიდენდის მიღების ფაქტი გულისხმობს იმას, რომ პარტნიორთა კრებამ მიიღო გადაწყვეტილება განაწილებულიყო დივიდენდი პარტნიორებზე. წინააღმდეგ შემთხვევაში შეუძლებელია განხორციელდეს ასეთი აქტი. პარტნიორთა კრების გადაწყვეტილების შესრულება კი უნდა მოახდინოს საზოგადოებამ, მისი ხელმძღვანელი და სათანადო თანამდებობის პირების მეშვეობით (იგულისხმება ბუღალტერი მოლარე და ა.შ.) იმ შემთხვევაში კი, თუ დივიდენდი გაიცა სხვა პარტნიორებზე, იგი უნდა გაცემულიყო ბათუმის მერიაზეც. თუ პარტნიორთა კრებამ მიიღო სხვაგვარი გადაწყვეტილება ასეთი მტკიცებულება უნდა წარმოედგინა საზოგადოებას, როგორც ამ მტკიცებულებათა ხელთმქონე პირს. ასეთი მტკიცებულება კი საქმის მასალებში არ მოიპოვება. აღნიშნულიდან გამომდინარე

პალატა თვლის, რომ მითითებული საფუძვლებით სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება შეუძლებელია და იგი უცვლელად უნდა დარჩეს.

მოცემულ საქმეზე საქართველოს უზენაეს სასამართლოს 2009 წლის 16 იანვრის განჩინებით, შპს «ბ-ს» დირექტორს ი. ა-ძეს სახელმწიფო ბაჟის სახით დაკისრებული 8000 ლარის გადახდა გადაუვადდა საქმის საბოლოო განხილვამდე. შესაბამისად პალატა თვლის, რომ შპს «ბ-ს» დირექტორს ი. ა-ძეს უნდა დაევალოს სახელმწიფო ბაჟის 8000 ლარის გადახდა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

**და ა დ გ ი ნ ა:**

შპს სავაჭრო ცენტრი „ბ-ის“ საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.  
ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 30 სექტემბრის განჩინება დარჩეს უცვლელი.

შპს «ბ-ს» დირექტორს ი. ა-ძეს დაეკისროს სახელმწიფო ბაჟის 8000 ლარის გადახდა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**შპს-დან წილის გამოყოფა; მოგების დივიდენდის სახით განაწილება**

**განჩინება**

1ას-75-408-09

2 ივლისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

მ. სულხანიშვილი,

რ. ნადირიანი

**დავის საგანი:** შპს «ს-დან» წილის გამოყოფა, დივიდენდების, მიყენებული ქონებრივი და არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება

**აღწერილობითი ნაწილი:**

2008 წლის 13 მაისს დ. ხ-ძემ ზესტაფონის რაიონულ სასამართლოს სასარჩელო განცხადებით მიმართა შპს «ს-ს», შპს «მს-ს», შპს «მ-ისა» და შპს «... 2002-ის» წინააღმდეგ.

მოსარჩელემ განმარტა, რომ 1992 წელს მამასთან – ჟ. ხ-ძესა და თ. მ-შვილთან ერთად, თანაბარი წილის საფუძველზე მცირე საწარმო ს- დაარსა. საწარმოს ქ. ზესტაფონში, ... 1122-ში 0,5 ჰა მიწის ნაკვეთი გამოეყო, რომელიც სილიკო-მანგანუმის ქერქული ნარჩენებით დაფარულ ტერიტორიაზე მდებარეობდა. 1995 წელს პრეზიდენტის ბრძანებულებით, სილიკო-მანგანუმის მოპოვება-რეალიზაცია აიკრძალა, თუმცა აღნიშნულ-მა ამ ნარჩენებით დაინტერესება ვერ შეამცირა. ამ პერიოდში მას დაუკავშირდა ც. მ-ძე, რომელიც დაინტერესებული იყო სილიკო-მანგანუმის ქერქული ნარჩენების მოპოვებით. მოსარჩელის მტკიცებით, ც. მ-ძემ აღუთქვა, რომ არ მოითხოვდა ბაზრობიდან მიღებულ შემოსავალს და საწარმოს 50%-იანი წილის შესყიდვა შესთავაზა.

1997 წელს მცირე საწარმო «ს-ე» შპს «ს-დ» გარდაიქმნა, დ. ხ-ძისა და ა. მ-ძის თანაბარი წილობრივი მონაწილეობით. ც. მ-ძემ არც ერთი დაპირება შეასრულა, უფრო მეტიც, საწარმოდან მოსარჩელის გაძევება მოინდომა. 2001 წლის 23 მარტს იგი აიძულეს თავისი წილის 25% შპს «მს-სათვის» მიეყიდა, თუმცა ამ წილის ღირებულება – 342 144 აშშ დოლარი და 277 517 ლარი დღესაც არ მიუღია. ვინაიდან მოპასუხეების მიზანს შპს «ს-ს» 100%-იანი წილის ხელში ჩაგდება წარმოადგენდა, 2002 წლის 15 ივლისის პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებით, დ. ხ-ძე საზოგადოებიდან გაირიცხა, ხოლო წილები შემდეგნაირად გადანაწილდა: შპს «მს-ს» ერგო 66%, 34% კი – ც. მ-ძეს, თუმცა მოგვიანებით დ. ხ-ძე სასამართლოს გადაწყვეტილებით პარტნიორად აღდგენილ იქნა. პარტნიორთა კრებამ განმეორებით მიიღო მისი გაირიცხვის გადაწყვეტილება, რომელიც სასამართლომ არ დაამტკიცა.

დ. ხ-ძე მიუთითებდა გარკვეულ მოგებაზე, რომელიც, მისი აზრით, საზოგადოებას უნდა მიეღო სილიკო-მანგანუმის ქერქული ნარჩენების რეალიზაციის გზით. მოსარჩელის მტკიცებით, მას, თავისი 25%-იანი წილის შესაბამისად, საზოგადოებიდან უნდა მიეღო დივიდენდი – 3 421 440 აშშ დოლარი და 277 517 ლარი. გარდა ამისა, ხელშეკრულების საფუძველზე შპს «... 2002» ვალდებული იყო, მდინარე ყვირილას გასწვრივ

რკინა-ბეტონის ჯებირი აეგო და ტერიტორიის რეკულტივაცია მოეხდინა, რაც მას არ შეუსრულებია. ამასთან, შპს «... 2002-ს» შპს «ს-ს» მიმართ გააჩნდა 276 053 ლარი დავალიანება, ხოლო შპს «მ-ი 5-ს» – 95 400 ლარი. ც. მ-მ კი ვალის დაბრუნებასა და ვალდებულების შესრულებას არ ითხოვდა, რითაც საწარმო გაკოტრების პირას მიიყვანა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მოსარჩელემ მოითხოვა:

1. შპს «ს-დან» თავისი კუთვნილი წილის პროპორციულად უძრავ-მოძრავი ქონებისა და მიწის ნაკვეთის ნატურით გამოყოფა;

2. 2001-2007 წლებში მიუღებელი დივიდენდების ანაზღაურების მიზნით, შპს «ს-სა» და შპს «მს-სათვის» ბაზრობიდან მიღებული შემოსავლებიდან 130 164 ლარის, ხოლო ქერქული ნარჩენების რეალიზაციის შედეგად მიღებული მოგებიდან 6 842 880 აშშ დოლარისა და 555 034 ლარის, მორალურ-მატერიალური ზიანის საკომპენსაციოდ 100 000 ლარის სოლიდარულად დაკისრება;

3. შპს «მ-ისათვის» შპს «ს-დან» აღებული სესხის – 94 400 ლარის გადახდის დაკისრება, ხოლო ამ თანხის 25%-ის მოსარჩელის ანგარიშზე გადარიცხვა;

4. შპს «მს-სათვის» შპს «ს-დან» აღებული სესხის – 29 800 ლარის გადახდის დაკისრება, ხოლო ამ თანხის 25%-ის მოსარჩელის ანგარიშზე გადარიცხვა;

5. შპს «... 2002-ისათვის» შპს «ს-ს» მიმართ დავალიანების – 276 053 ლარის გადახდის დაკისრება, ხოლო ამ თანხის 25%-ის მოსარჩელის ანგარიშზე გადარიცხვა;

6. შპს «... 2002-ისათვის» ხელშეკრულებით გათვალისწინებული ჯებირგასამაგრი და სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარების დავალება;

7. მოსარჩელის მიერ გაღებული სახელმწიფო ბაჟის, ექსპერტისა და ადვოკატის მომსახურების საფასურის მოსარჩელებსათვის დაკისრება.

შპს «... 2002-მა» თავის შესაგებელში აღნიშნა, რომ დ. ხ-მე ფიზიკური პირი იყო, რომელთანაც საზოგადოებას ურთიერთობა არ ჰქონდა, შესაბამისად, იგი არასათანადო მოსარჩელე იყო.

შპს «ს-ს» დირექტორმა ც. მ-მემ შესაგებელში აღნიშნა, რომ სარჩელი რეალურ ფაქტებს არ ემყარებოდა, დ. ხ-მე კი წლების მანძილზე უკანონო ქმედებებით ზიანს აყენებდა საზოგადოებას.

ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 1 აგვისტოს გადაწყვეტილებით დ. ხ-მის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება დ. ხ-მემ სააპელაციო წესით გაასაჩივრა, მისი გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 18 ნოემბრის განჩინებით დ. ხ-მის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული გადაწყვეტილება უცვლელად დარჩა.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები მიიჩნია:

1992 წელს მცირე საწარმო «ს-ე» დაარსდა, რომელიც 1997 წელს შპს «ს-დ» გარდაიქმნა. შპს «ს-ს» პარტნიორები დ. ხ-მე და ა. მ-მე იყვნენ;

შპს «ს-ს» პარტნიორთა 2001 წლის 23 მარტის კრების ოქმის მიხედვით, დ. ხ-მის კუთვნილი 25% შპს «მს-მ» შეისყიდა და საზოგადოების 50%-იანი წილის მფლობელი გახდა;

შპს «ს-ს» პარტნიორთა კრების 2002 წლის 15 ივლისის დადგენილებით დ. ხ-მე საზოგადოებიდან გაირიცხა, ხოლო ამავე წლის 30 დეკემბრის სასამართლოს დადგენილებით სამეწარმეო რეესტრში შევიდა ცვლილება და წილები დარჩენილ პარტნიორებს შორის გადანაწილდა;

2006 წლის 14 აპრილის კრების ოქმის მიხედვით, შპს «მს-მ» თავისი კუთვნილი წილი ც. მ-მეს დაუთმო და იგი 100%-იანი წილის მფლობელი გახდა;

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 7 ივნისის გადაწყვეტილებით ცვლილება შევიდა შპს «ს-ს» სამეწარმეო რეესტრის სარეგისტრაციო მონაცემებში და დ. ხ-მე აღირიცხა 25%-იანი წილის მესაკუთრედ.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 7 ივნისის გადაწყვეტილებით დ. ხ-მე პარტნიორად კი არ აღდგა, არამედ 25%-იანი წილის მესაკუთრედ აღირიცხა. ამდენად, მას სწორედ ამ მომენტიდან ჰქონდა დივიდენდების მიღების უფლება.

გარდა ამისა, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ დ. ხ-მე შპს «ს-ს» პარტნიორების მიმართ არსებულ მოთხოვნებთან დაკავშირებით არასათანადო მოსარჩელე იყო, ხოლო გასხვისებული წილის საფასურის გადახდის შესახებ მოთხოვნა ხანდაზმულად ჩათვალა. რაც შეეხება წილის პროპორციულად ქონების ნატურით გამოყოფას, სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ ამგვარ პროცედურას კანონმდებლობა არ ითვალისწინებს.

სააპელაციო სასამართლოს აღნიშნული განჩინება დ. ხ-მემ საკასაციო წესით გაასაჩივრა, მისი გაუქმება და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღება მოითხოვა. კასატორის მტკიცებით, სააპელაციო სასამართლოს განაჩინება დაუსაბუთებელია. გარდა ამისა, სასამართლომ არასწორად განმარტა კანონი, უკანონოდ არ გაიზიარა მის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები, რასაც შედეგად არასწორი გადაწყვეტილების მიღება მოჰყვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 28 მაისის განჩინებით დ. ხ-ძის საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა არსებითად განსახილველად.

### სამოტივიციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ განიხილა საკასაციო საჩივარი, შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივი დასაბუთებულობა და მიიჩნია, რომ დ. ხ-ძის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

სააპელაციო სასამართლომ დადგინილად შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები მიიჩნია:

1992 წელს მცირე საწარმო «ს-ე» დაარსდა, რომელიც 1997 წელს შპს «ს-დ» გარდაიქმნა. შპს «ს-ს» პარტნიორები დ. ხ-ძე და ა. მ-ძე იყვნენ;

შპს «ს-ს» პარტნიორთა 2001 წლის 23 მარტის კრების ოქმის მიხედვით, დ. ხ-ძის კუთვნილი 25% შპს «მს-მ» შეისყიდა და საზოგადოების 50%-იანი წილის მფლობელი გახდა;

შპს «ს-ს» პარტნიორთა კრების 2002 წლის 15 ივლისის დადგენილებით დ. ხ-ძე საზოგადოებიდან გაირიცხა, ხოლო ამავე წლის 30 დეკემბრის სასამართლოს დადგენილებით სამეწარმეო რეესტრში შევიდა ცვლილება და წილები დარჩენილ პარტნიორებს შორის გადანაწილდა;

2006 წლის 14 აპრილის კრების ოქმის მიხედვით, შპს «მს-მ» თავისი კუთვნილი წილი ც. მ-ძეს დაუთმო და იგი 100%-იანი წილის მფლობელი გახდა;

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 7 ივნისის გადაწყვეტილებით ცვლილება შევიდა შპს «ს-ს» სამეწარმეო რეესტრის სარეგისტრაციო მონაცემებში და დ. ხ-ძე აღირიცხა 25%-იანი წილის მესაკუთრედ.

საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას, რომ დ. ხ-ძის მოთხოვნა, მისი წილის პროპორციულად შპს «ს-დან» უძრავ-მოძრავი ქონების გამოყოფის თაობაზე, უსაფუძვლოა.

აღნიშნული მოთხოვნის საფუძველად დ. ხ-ძე «მეწარმეთა შესახებ» კანონის მე-14 მუხლის მე-13 პუნქტს მიიჩნევს, რომლის მიხედვითაც, საწარმო შეიძლება გაიყოს ორ ან ორზე მეტ საწარმოდ და მათ საქმიანობა გააგრძელონ, როგორც დამოუკიდებელმა საწარმოებმა საკუთარი სამართლებრივი ფორმით.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ზემოაღნიშნული მუხლი საწარმოს რეორგანიზაციის შემთხვევებს აწესრიგებს და დ. ხ-ძის სასარჩელო მოთხოვნასთან დაკავშირებული არ არის. რაც შეეხება პარტნიორისათვის წილის შესაბამისად საწარმოს საკუთრებიდან უძრავი ქონების გამოყოფას, აღნიშნული კანონმდებლობით გათვალისწინებული არ არის, შესაბამისად, კასატორის ამ მოთხოვნის დაკმაყოფილება შეუძლებელია.

საკასაციო პალატა ასევე ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს, რომ კასატორის მოთხოვნა, მორალური ზიანის საკომპენსაციოდ მოპასუხისათვის 100 000 ლარის დაკისრების შესახებ, უსაფუძვლოა.

სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის 1-ელი ნაწილის მიხედვით არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურება შეიძლება მოთხოვნილ იქნეს მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით. სამოქალაქო კანონმდებლობით არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება გათვალისწინებულია პირადი არაქონებრივი უფლებების დარღვევის ან ჯანმრთელობის დაზიანებისას. დ. ხ-ძე კი, საქმის ქვემდგომ ინსტანციებში განხილვისას, არც ერთ ამ საფუძველზე არ მიუთითებდა.

კასატორის მორიგ სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენდა შპს «მ-ის» შპს «მს-სა» და შპს «...-2002-ისათვის» შპს «ს-ს» სასარგებლოდ დავალიანების გადახდის დაკისრება და თითოეული გადახდილი თანხის 25%-ის მის ანგარიშზე ჩარიცხვა, ასევე, შპს «...-2002-ისათვის» ლიცენზიით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულების დავალება.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, სამეწარმეო საზოგადოება და მისი პარტნიორი სხვადასხვა სუბიექტებს წარმოადგენენ. მოცემულ შემთხვევაში საუბარია შპს «ს-ს» მიმართ არსებულ დავალიანებაზე და შესაბამისად, აღნიშნულ სამართლებრივ ურთიერთობაში კრედიტორი შპს «ს-ა», ამდენად, მან თავად უნდა მოითხოვოს ვალდებულების შესრულება. პარტნიორს კი, როგორც ფიზიკურ პირს, საზოგადოების მიმართ არსებული დავალიანების გადახდის მოთხოვნის უფლება არ გააჩნია.

რაც შეეხება შპს «...-2002-ის» მიერ ჯგუბირგასამართი და სარეაბილიტაციო სამუშაოების შესრულებას, მას აღნიშნული ვალდებულება გარემოს დაცვის სამინისტროს მიერ გაცემული ლიცენზიისა და ქ. ზესტაფონის გამგეობასთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე გააჩნია, შესაბამისად, ვალდებულების შეუსრულებლობისათვის პასუხისმგებლობაც სახელმწიფოს წინაშე ეკისრება. დ. ხ-ძე კი, ამ სამართლებრივი ურთერთობის მონაწილე არაა და გაუგებარია, რა ინტერესი შეიძლება გააჩნდეს შპს «...-2002-ის» მიერ შესაბამისი სამუშაოების განხორციელების მიმართ. ამდენად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ დ. ხ-ძე სარჩელის ამ ნაწილში არასათანადო მოსარჩელედ მართებულად მიიჩნია.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 84-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილების საფუძველზე, თუ არასათანადო მოსარჩელე არ არის თანახმა, შეიცვალოს სათანადო მოსარჩელით, ეს უკანასკნელი შეიძლება ჩაებას საქმეში მესამე პირად, რომელიც განაცხადებს დამოუკიდებელ მოთხოვნას დავის საგანზე, რის შესახებაც სასამარ-

თლო აცნობებს ამ პირს. თუ მესამე პირად საქმეში ჩასაბმელად ნავარაუდევია სათანადო მოსარჩელე უარს იტყვის ჩაებას ამ საქმეში, სასამართლო, თავისი გადაწყვეტილებით უარს ეტყვის არასათანადო მოსარჩელეს სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

როგორც საქმიდან ირკვევა, საქმის პრიველი ინსტანციის სასამართლოში განხილვისას დ. ხ-მემ სათანადო მოსარჩელით შეცვლაზე უარი განცხადა. თავის მხრივ, სათანადო მხარემ, შპს «ს-ს» დირექტორმა გ. მ-მემაც უარი განაცხადა საქმეში ჩაბმაზე. აღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, სასამართლომ მართებულად არ დააკმაყოფილა დ. ხ-მის ზემომითითებული სასარჩელო მოთხოვნები.

რაც შეეხება მოსარჩელის მტკიცებას, რომ მას შპს «მს-საგან» დღემდე არ მიუღია გადაცემული წილის საფასური, ამ საკითხთან დაკავშირებით საკასაციო პალატა ეთანხმება კასატორს, რომ სასამართლოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული ხანდაზმულობის ვადებით უნდა ეხელმძღვანელოს.

«მეწარმეთა შესახებ» კანონის მე-15 მუხლის 1-ელი ნაწილის მიხედვით, პრეტენზიების ხანდაზმულობის ზოგადი ვადა არის ხუთი წელი, რომელიც აითვლება მათი წარმოშობიდან, თუ კანონი სხვა რამეს არ განსაზღვრავს. განსახილველ შემთხვევაში საუბარია ნასყიდობის ხელშეკრულებიდან წარმოშობილი ვალდებულების შესრულებაზე, კერძოდ კი შემძენის მიერ ნასყიდობის საგნის საფასურის გადახდაზე. აღნიშნული კი ვერ ჩაითვლება «მეწარმეთა შესახებ» კანონიდან წარმოშობილ პრეტენზიად. სახელშეკრულებო ურთიერთობები სამოქალაქო კოდექსით წესრიგდება და მათზე ამავე კოდექსით გათვალისწინებული ხანდაზმულობის ვადები ვრცელდება.

როგორც საქმიდან ირკვევა, წილის ნასყიდობის ხელშეკრულება 2001 წლის 5 აპრილსაა დადებული. დ. ხ-მემ კი სარჩელი 2008 წლის 13 მაისს აღძრა, ე.ი. სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული 3-წლიანი ვადის გასვლის შემდეგ. რაც შეეხება კასატორის მტკიცებას, რომ ხანდაზმულობის ვადა ამოწურულად არ უნდა ჩაითვალოს, რადგანაც მან ამ პერიოდში არაერთხელ სცადა მოთხოვნა კომპეტენტური ორგანოების, მათ შორის, სასამართლოსათვის, მიმართვის გზით დაეკმაყოფილებინა, გაზიარებული ვერ იქნება. საქმიდან ირკვევა, რომ დ. ხ-მე ითხოვდა არა გასხვისებული წილის საფასურის გადახდას, არამედ საზოგადოების პარტნიორად აღდგენას, შესაბამისად, ამ სასარჩელო მოთხოვნის მიმართ ხანდაზმულობის ვადის დენა არ შეწყვეტილა.

გარდა ზემოაღნიშნულისა, დ. ხ-მე 2001-2007 წლებში მიუღებელი დივიდენდების შპს «ს-ს» და შპს «მს-სათვის» სოლიდარულად დაკისრებას მოითხოვდა.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ ამ ნაწილში შპს «მს» არასათანადო მოპასუხედ მართებულად მიიჩნია. შპს «მს» შპს «ს-ს» ერთ-ერთ პარტნიორია. საზოგადოების პარტნიორები კი საზოგადოების ვალდებულებებზე ერთმანეთის ან მესამე პირების წინაშე პასუხს არ აგებენ. აღნიშნული გამომდინარეობს «მეწარმეთა შესახებ» კანონის 44-ე მუხლის პირველი ნაწილიდან, რომლის მიხედვითაც, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება არის საზოგადოება, რომლის პასუხისმგებლობა კრედიტორების წინაშე შემოიფარგლება მთელი მისი ქონებით.

რაც შეეხება შპს «ს-ს» მიმართ მოთხოვნას, საკასაციო პალატა არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მტკიცებას, რომ დ. ხ-მეს 2001-2007 წლებში დივიდენდების მიღების უფლება არ გააჩნდა, რადგანაც იგი შპს «ს-ს» პარტნიორად 2007 წელს აღირიცხა.

როგორც საქმიდან ირკვევა, 2002 წლის 15 ივლისს შპს «ს-ს» პარტნიორთა კრებაზე მიღებული იქნა გადაწყვეტილება დ. ხ-მის საზოგადოებიდან გარიცხვის თაობაზე. ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2002 წლის 30 დეკემბრის დადგენილებით სამეწარმეო რეესტრში შევიდა ცვლილება და წილები დარჩენილ პარტნიორებს შორის გადანაწილდა. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 7 ივნისის გადაწყვეტილებით კი, ცვლილება შევიდა შპს «ს-ს» სამეწარმეო რეესტრის სარეგისტრაციო მონაცემებში და დ. ხ-მე აღირიცხა 25%-იანი წილის მესაკუთრედ.

საკასაციო პალატა არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მტკიცებას, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ზემომითითებული გადაწყვეტილებით დ. ხ-მე პარტნიორად კი არ იქნა აღდგენილი, არამედ მხოლოდ 25%-იანი წილის მესაკუთრედ აღირიცხა.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნული გადაწყვეტილებით დ. ხ-მე 25%-იანი წილის მესაკუთრედ იმ საფუძველით აღრიცხა, რომ მისი საზოგადოებიდან გარიცხვა უკანონოდ მოხდა. სასამართლომ სამოტივაციო ნაწილში განმარტა, რომ საზოგადოებიდან პარტნიორის გარიცხვა დასაშვებია მეწარმეთა შესახებ კანონის იმ დროისათვის მოქმედი რედაქციის მე-3.5 მუხლის საფუძველზე. ყველა სხვა შემთხვევაში კი აუცილებელია სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილება. მხოლოდ პარტნიორთა კრების გადაწყვეტილება საკმარისი არ არის. სასამართლოს პოზიციით, ამ შემთხვევაში პარტნიორების სასამართლოსათვის უნდა მიემართათ დ. ხ-მის საზოგადოებიდან გარიცხვის მოთხოვნით, აღნიშნული კი არ განხორციელებულა, ხოლო ვინაიდან არ არსებობდა გადაწყვეტილება პარტნიორის გარიცხვის თაობაზე, დ. ხ-მე სამეწარმეო რეესტრში 25%-იანი წილის მესაკუთრედ უნდა აღრიცხულიყო. ამდენად, ამ გადაწყვეტილების საფუძველზე, მართალია, შპს «ს-ს» პარტნიორთა კრების 2002 წლის 15 ივლისის გადაწყვეტილება ბათილად არ ყოფილა ცნობილი, მაგრამ დადგინდა, რომ მას არ გააჩნდა სამართლებრივი ძალა, შესაბამისად, დ. ხ-მე საზოგადოებიდან გარიცხულად ვერც ჩაითვლება და მას დივიდენდების მიღების უფლება გააჩნია.



აქვე გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ დივიდენდების მოთხოვნის უფლება დ. ხ-ძეს მხოლოდ იმ შემთხვევაში აქვს, თუ სადავო პერიოდისათვის მოგების განაწილება საზოგადოებაში დივიდენდების გაცემის გზით განხორციელდა.

«მეწარმეთა შესახებ» კანონის მე-8 მუხლის მიხედვით, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებასა და სააქციო საზოგადოებაში პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებით შეიძლება დადგინდეს წლიური და შუალედური მოგების დივიდენდების სახით განაწილება. ამდენად, დივიდენდების გაცემა საწარმოს საქმიანობის ჩვეულებრივი პროცესი კი არ არის, არამედ განსაკუთრებული შემთხვევაა, რომელიც შესაბამისი პროცედურის დაცვით ხორციელდება. დივიდენდის გაცემის საფუძველი შეიძლება იყოს საწარმოში მოგების არსებობა და პარტნიორთა კრების გადაწყვეტილება პარტნიორებზე დივიდენდების გაცემის შესახებ. დივიდენდის სავალდებულო რეჟიმში მხოლოდ ერთ პარტნიორზე გაცემა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული არ არის.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, თითოეულმა მხარემ უნდა დამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს.

დ. ხ-ძეს იმის დამასაბუთებელი რაიმე მტკიცებულება, რომ 2001-2007 წლებში შპს «ს-ში» დივიდენდები გაიცა, სასამართლოსათვის არ წარუდგენია. მოსარჩელე ცდილობდა დამტკიცებინა, თუ რა ოდენობის მოგება შეიძლებოდა ჰქონოდა საწარმოს მისი საქმიანობის განხორციელებისას და ამ მოგებიდან დივიდენდები განესაზღვრა, თუმცა ის არ უთითებდა, რომ ამ ოდენობის მოგება რეალურად დაფიქსირდა საწარმოს ბუღალტრულ დოკუმენტებში ან დივიდენდების განაწილება მოხდა პარტნიორთა შორის.

დ. ხ-ძეს დივიდენდის მოთხოვნის უფლება მხოლოდ იმ შემთხვევაში ექნებოდა, თუ დამტკიცდებოდა, რომ შპს «ს-ს» პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებით დივიდენდები განაწილდა და მას, როგორც პარტნიორს, მისი წილის პროპორციული თანხა არ გაუნაწილეს, ან თუ ის მოითხოვს პარტნიორთა კრების მოწვევას და საწარმოს პარტნიორთა კრება მიიღებს გადაწყვეტილებას დივიდენდების განაწილების თაობაზე.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის «გ» ქვეპუნქტის მიხედვით, საკასაციო სასამართლო არ დაკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება არსებითად სწორია და მისი გაუქმების საფუძველი არ არსებობს.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 412-ე მუხლებით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

დ. ხ-ძის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;  
მოცემულ საქმეზე უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 18 ნოემბრის განჩინება;  
საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

### **აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილების ბათილად ცნობა**

#### **განჩინება**

1ას-131-461-09

27 ივლისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),  
ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),  
ნ. კვანტალიანი

**დავის საგანი:** აქციონერთა საერთო კრების ოქმის ბათილად ცნობა

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

2005 წლის 9 სექტემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას სასარჩელო განცხადებით მიმართეს ჯ. ქ-იამ, ე. კ-ძემ, ნ. მ-ძემ, მ. უ-ძემ და ქ. გ-შვილმა მოპასუხეების – ალიანსი «ც-ის» სააქციო საზოგადოება «უ. ბ-ა» და ნოტარიუს გ. გ-შვილის მიმართ. მოსარჩელებმა მოითხოვეს: სს «უ. ბ-ის» 2005 წლის 8 ივლისის აქციონერთა საერთო კრების ოქმის, აგრეთვე ნოტარიუს გ. გ-შვილის 2005 წლის 8 ივლისის 12022 სანოტარო აქტის ბათილად ცნობა.

სასარჩელო განცხადებაში აღნიშნულია, რომ 2005 წლის 3 ივნისს ორმოცდასამმა აქციონერმა განცხადებით მიმართა სს «უ. ბ-ს» რიგგარეშე კრების ჩატარების მოთხოვნით, შემდეგი საკითხების განხილვის მიზნით: ა) სს «უ. ბ-ის» წესდების 4.2 მუხლში მითითებული დარჩენილი აქციების 19%-ის შესყიდვა აქციების 30%-ის მფლობელი საწარმოს შრომითი კოლექტივის წევრების მიერ; ბ) საინიციატივო ჯგუფიდან სპეციალური კომისიის შექმნა, რომელიც დაარეგულირებს შესყიდული აქციების განაწილებას აქციონერთა შორის; გ) შესასყიდი აქციების ნომინალური ღირებულების განსაზღვრა.

ზემოაღნიშნული განცხადების მიუხედავად მოპასუხე სააქციო საზოგადოების დირექტორმა თავისი ინიციატივით დანიშნა რიგგარეშე კრება 2005 წლის 8 ივლისს, რა დროსაც არ გაითვალისწინა და დღის წესრიგში არ შეიტანა აქციონერთა მიერ განცხადებაში მითითებული საკითხები. აღნიშნული კრების შესახებ ინფორმაცია გაზეთ «რეზონანსში» გამოქვეყნდა იმავე წელს. საერთო კრებამ განიხილა საკითხი სააქციო საზოგადოების წესდებაში ცვლილებების შეტანის შესახებ გაუწილებელ 19% აქციებთან დაკავშირებით. კრებას ესწრებოდა ნოტარიუსი გ. გ-შვილი, რომელმაც აღნიშნული კრების ოქმი დაამოწმა სადავო სანოტარო აქტით.

მოსარჩელეთა განმარტებით, სააქციო საზოგადოების წესდების 4.2 მუხლის თანახმად, საზოგადოების საწესდებო კაპიტალი იყოფა აქციებად, რომლის 51% წარმოადგენს ცეკავშირის გამგეობის საკუთრებას, ხოლო 49% ექვემდებარება განაწილებას, მათ შორის, აქციების 30% უფასოდ ეძლევათ (უმკვიდრდებათ) საკუთრების უფლებით საწარმოს შრომითი კოლექტივის წევრებს და ცეკავშირის გამგეობის აპარატის მუშაკთა ნაწილს, ხოლო დანარჩენი 19% მათ ეძლევათ გამოსყიდვის უფლებით. წესდების მითითებული დანაწესი აქციონერთა 2005 წლის 8 ივლისის რიგგარეშე საერთო კრების გადაწყვეტილებით სხვაგვარად ჩამოყალიბდა, კერძოდ, დადგინდა, რომ საზოგადოების საწესდებო კაპიტალი იყოფა აქციებად, რომლის 60% წარმოადგენს ცეკავშირის გამგეობის საკუთრებას, 40% კი სააქციო საზოგადოების შრომითი კოლექტივის წევრებისა და ცეკავშირის გამგეობის მუშაკთა ნაწილის საკუთრებას.

მოსარჩელები 2005 წლის 8 ივლისის აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრებაზე მიღებულ გადაწყვეტილებას არამართლზომიერად მიიჩნევდნენ, რამდენადაც აღნიშნული გადაწყვეტილებით საწარმოს შრომითი კოლექტივის წევრებს არ მიეცათ წესდებით გათვალისწინებული უფლებების რეალიზაციის შესაძლებლობა, კერძოდ, აქციების 19%-ის გამოსყიდვის უფლება.

მოპასუხე სს «უ. ბ-მ» სარჩელი არ ცნო და მის უარსაყოფად შემდეგ არგუმენტებზე მიუთითა:

2005 წლის 3 ივნისის მდგომარეობით, როდესაც აქციონერებმა განცხადებით მიმართეს სააქციო საზოგადოების დირექტორს რიგგარეშე კრების მოწვევის მოთხოვნით, «მეწარმეთა შესახებ» კანონის თანახმად, კრების მოწვევისათვის საჭირო იყო საინიციატივო ჯგუფის შექმნა და ოქმის შედგენა. მიუხედავად ამისა, საზოგადოების დირექციამ გაითვალისწინა აქციონერთა მოთხოვნა და კრების დღის წესრიგში შეიტანა აქციების 19% განაწილების საკითხი, რომელზეც კრებამ იმსჯელა და ღია კენჭისყრით მიიღო გადაწყვეტილება. რაც შეეხებოდა დღის წესრიგში შეტანილ მეორე და მესამე საკითხებს, მათი გაუთვალისწინებლობა იმით იყო განპირობებული, რომ ისინი არ შეესაბამებოდა კანონის მოთხოვნებს. სპეციალური კომისიის შექმნა, ისევე, როგორც აქციათა ნომინალური ღირებულების განსაზღვრა, არ წარმოადგენდა სს «უ. ბ-ის» კომპეტენციას.

მოპასუხის განმარტებით, ცეკავშირის გამგეობის 1998 წლის 13 აპრილის დადგენილებით დამტკიცებული ქონების განაწილების დებულებიდან ირკვეოდა, რომ სს «უ. ბ-ის» თანამშრომლებს აქციები უნდა გამოესყიდათ ქონების განაწილებიდან ერთი წლის ვადაში, ანუ 1999 წლის ბოლოს მანამ, რაც მათ არ განუხორციელებიათ. ამის გამო, ცეკავშირის გამგეობამ, ფაქტობრივად, ქონების განაწილებიდან შვიდი წლის შემდეგ თავისი შეხედულებით უსასყიდლოდ გაასხვისა აქციების 10% ცეკავშირის გამგეობის თანამშრომლებზე, რის უფლებასაც მას აძლევდა დასახელებული დებულების მე-4 პუნქტი, ხოლო დანარჩენი 9% დაიტოვა თავის საკუთრებაში და მისი წილი შეივსო 60%-მდე. საბჭოს კრების 2006 წლის 10 მარტისა და ცეკავშირის გამგეობის 2006 წლის 7 აპრილის დადგენილებებით ცეკავშირის კუთვნილებაში არსებული აქციების 60% გადაეცა სახელმწიფოს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 13 ივლისის საოქმო განჩინებით მ. უ-მის სარჩელის ნაწილში წარმოება შეწყდა მის მიერ სარჩელზე უარის თქმის გამო.

ამავე სასამართლოს 2007 წლის 21 დეკემბრის საოქმო განჩინებით ქ. გ-შვილის სასარჩელო მოთხოვნის ნაწილში სარჩელი დატოვებულ იქნა განუხილველად სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 83' მუხლის საფუძველზე ამ უკანასკნელის მიერ სარჩელის გამოხმობის გამო.

საქალაქო სასამართლოში საქმის განხილვისას სს «უ. ბ-ის» წარმომადგენელმა დამატებით მიუთითა სარჩელის ხანდაზმულობაზე. მისი განმარტებით, 2005 წლის 8 ივლისის სადავო კრების ოქმის შედგენიდან სარჩელის აღძვრამდე – 2005 წლის 9 სექტემბრამდე გასული იყო «მეწარმეთა შესახებ» კანონის 15.2 მუხლით დადგენილი ხანდაზმულობის ორთვიანი ვადა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილებით ჯ. ქ-იას, ე. კ-მისა და ნ. მ-მის სარჩელი დაკმაყოფილდა: ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს კოოპერატივების კავშირის – ეროვნული ალიანსი «ც-ის» სააქციო საზოგადოება «უ. ბ-ის» აქციონერთა 2005

წლის 8 ივლისის რიგგარეშე საერთო კრების ოქმი და თბილისის ნოტარიუს გ. გ-შვილის 2005 წლის 8 ივლისის 12022 სანოტარო აქტი.

საქალაქო სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხის წარმომადგენლის არგუმენტი იმის თაობაზე, რომ სასარჩელო მოთხოვნა იყო ხანდაზმული. აღნიშნულთან დაკავშირებით სასამართლომ მიუთითა «მეწარმეთა შესახებ» კანონის 15.2 მუხლზე, რომლის თანახმად, დაუშვებელია პარტნიორთა კრების, საერთო კრების, აგრეთვე სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებათა გასაჩივრება კრების ოქმის შედგენიდან ორი თვის გასვლის შემდეგ. სამოქალაქო კოდექსის 121-ე, 122-ე მუხლებიდან გამომდინარე, რომლებიც ვრცელდებოდა «მეწარმეთა შესახებ» კანონზეც (რამდენადაც აღნიშნული კანონი, კერძოდ, მისი მე-15 მუხლი, არ ითვალისწინებდა მასში მითითებული ვადის ათვლის რაიმე განსაკუთრებულ წესს) განსახილველ შემთხვევაში ორთვიანი ვადის დასაწყისად აღებული უნდა ყოფილიყო კრების ოქმის შედგენა, რომლის გასაჩივრების ვადის ათვლა უნდა დაწყებულიყო მომდევნო დღიდან – 2005 წლის 9 ივლისიდან. სამოქალაქო კოდექსის 123-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ვადა, რომელიც განსაზღვრულია თვეების შემცველი დროით, მთავრდება ბოლო თვის იმ დღის დამთავრებისთანავე, რომელიც შეესაბამება მოვლენის დადგომის დღეს. მოცემულ შემთხვევაში 2005 წლის 9 ივლისის დაწყებული ორთვიანი ვადა ამოიწურა იმავე წლის 9 სექტემბერს, რაც ნიშნავდა იმას, რომ სარჩელი სასამართლოში შეტანილ იქნა საერთო კრების ოქმის გასაჩივრებისათვის დადგენილი ორთვიანი ვადის უკანასკნელ დღეს, ვადაში, რის გამოც სასარჩელო მოთხოვნა ვერ მიიჩნეოდა ხანდაზმულად.

საქალაქო სასამართლომ საქმეზე დადგენილად მიიჩნია შემდეგი გარემოებები:

2005 წლის 3 ივნისს ორმოცდასამმა აქციონერმა განცხადებით მიმართა სს «უ. ბ-ის» დირექტორს რიგგარეშე კრების ჩატარების მოთხოვნით შემდეგი საკითხების განხილვის მიზნით: 1. სს «უ. ბ-ის» წესდების 4.2 მუხლში მითითებული დარჩენილი 19% აქციების შესყიდვა 30% აქციების მფლობელ საწარმოს შრომითი კოლექტივის წევრების მიერ; 2. საინიციატივო ჯგუფიდან სპეციალური კომისიის შექმნა, რომელიც დაარეგულირებს შესყიდული აქციების განაწილებას აქციონერთა შორის; 3. შესასყიდი აქციების ღირებულების განსაზღვრა ნომინალური ღირებულებით;

ზემოთითებულ აქციონერთა წილი საწარმოს საწესდებო კაპიტალში შეადგენს 5%-ზე მეტს, რადგან თითოეული მათგანი ფლობს საწარმოს კაპიტალის 0.1262626%-ს;

აქციონერთა განცხადების საფუძველზე საერთო კრება ოცი დღის ვადაში დირექტორის მიერ არ მოწვეულა. სს «უ. ბ-ის» აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრება მოწვეულ იქნა 2005 წლის 8 ივლისს, რომლის დღის წესრიგში შეტანილი იყო ერთადერთი საკითხი – სააქციო საზოგადოების წესდებაში ცვლილებების შეტანის შესახებ აქციების გაუნაწილებელ 19%-თან დაკავშირებით. კრებაზე მიღებული გადაწყვეტილებით «ც-ის» საკუთრებაში შემავალი აქციების რაოდენობა გაიზარდა 60%-მდე, ხოლო შრომითი კოლექტივის წევრებისა და «ც-ის» გამგეობის მუშაკთა ნაწილის საკუთრებაში საბოლოოდ დაფიქსირდა უფასოდ გასაცემი აქციების 40%. საზოგადოების წესდების 4.2 და 4.3 მუხლებში შევიდა შესაბამისი ცვლილებები.

ზემოთითებული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ 2005 წლის 8 ივლისის აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრებაზე მიღებული გადაწყვეტილებით უხეშად დაირღვა საწარმოს თავისუფალი აქციების განაწილების წესი. სასამართლოს აღნიშნული დასკვნა დაეფუძნა საქართველოს კოოპერატივების ცენტრალური კავშირი – ეროვნული ალიანსი «ც-ის» სააქციო საზოგადოება «უ. ბ-ის» წესდების 4.2, 4.3 და 6.2 მუხლებს, აგრეთვე, «მეწარმეთა შესახებ» კანონის 53.3.3 მუხლს. მოცემულ შემთხვევაში წესდება ითვალისწინებდა საწარმოს შრომითი კოლექტივის წევრებისა და ცეკავშირის გამგეობის აპარატის მუშაკთა ნაწილისათვის აქციების 19%-ის გადაცემას გამოსყიდვის უფლებით რაიმე ვადის დათქმის გარეშე, თუმცა, მიუხედავად ამისა, საწარმოს შრომითი კოლექტივის წევრებს არ მიეცათ აღნიშნული უფლების რეალიზაციის შესაძლებლობა. წესდებით მინიჭებული ამ უფლების განხორციელებას ემსახურებოდა საწარმოს შრომითი კოლექტივის წევრების – 43 აქციონერის 2005 წლის 3 ივნისის განცხადებაში ჩამოყალიბებული მოთხოვნა წესდების 4.2 მუხლში მითითებული დარჩენილი 19% აქციების შესყიდვის შესახებ აქციების 30%-ის მფლობელი საწარმოს შრომითი კოლექტივის წევრების მიერ ნომინალური ღირებულებით, რაც სრულ შესაბამისობაში იყო საწარმოს წესდებით დადგენილ მოთხოვნებთან, თუმცა გაუგებარი მიზეზების გამო განცხადებაში დაფიქსირებულ ამ მოთხოვნებს საზოგადოების ხელმძღვანელობის მხრიდან არ მოჰყოლია სათანადო რეაგირება. 2005 წლის 8 ივლისის საერთო კრებაზე აქციათა გადანაწილება განხორციელდა სააქციო საზოგადოების დომინანტი აქციონერის – ც-ის გამგეობის «ც-ის» საკუთარი მეურნეობის ქონების განაწილების დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ» 2005 წლის 20 აპრილის დადგენილების შესაბამისად, რასაც შედეგად მოჰყვა საწარმოს ძირითადი სახელმძღვანელო დოკუმენტით – წესდებით გათვალისწინებულ ძირითად დებულებათა უგულვებელყოფა, რომელსაც ზემოაღნიშნულ დადგენილებასთან შედარებით საწარმოსათვის უპირატესი იურიდიული ძალა გააჩნდა.

საქალაქო სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელეთა წარმომადგენლის არგუმენტი იმის თაობაზე, რომ საერთო კრებამ გადაწყვეტილება მიიღო ხმათა არასაკმარისი რაოდენობით, კერძოდ, გადაწყვეტილებას ხმა მისცა ხმის უფლების მქონე კაპიტალის 51%-მა, მაშინ, როდესაც წესდებაში ცვლილებების შესატანად, «მეწარმეთა შესახებ» კანონის 54-ე მუხლის შესაბამისად, საჭირო იყო ხმის უფლების მქონე დამსწრე კაპიტალის 2/3-ზე მეტის შესაბამისი აქციების მფლობელთა ხმა. აღნიშნულთან დაკავშირებით საქალაქო სასამართლომ

მიუთითა შემდეგზე: მოცემულ შემთხვევაში კრებას ესწრებოდა საწესდებო კაპიტალის 54%, რის გამოც კრება ჩაითვალია გადაწყვეტილებათა უმრავლესობა. «მეწარმეთა შესახებ» კანონის 54.7 მუხლი საზოგადოების წესდებაში ცვლილების შეტანის გადაწყვეტილების მისაღებად ითვალისწინებს ხმის უფლების მქონე დამსწრე კაპიტალის 2/3-ზე მეტის შესაბამისი აქციების მფლობელთა ხმის საჭიროებას. ასეთ ვითარებაში აღნიშნული 2/3 უნდა გამოთვლილიყო 54%-დან და არა 100%-დან, როგორც ამას მოსარჩელეთა წარმომადგენელი განმარტავდა. ამ მხრივ კი საერთო კრება საზოგადოების წესდებაში ცვლილებების შეტანის საკითხის გადაწყვეტისას გადაწყვეტილებათა უმრავლესობა იყო, ვინაიდან გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა საწესდებო კაპიტალის 51%-ის მფლობელმა დომინანტმა აქციონერმა, რომლის წარმომადგენელიც ესწრებოდა კრებას, რაც გაცილებით მეტია, ვიდრე დამსწრე კაპიტალის – 54%-ის 2/3.

მითითებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა სს «უ. ბ-მ», რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის ხელახალი განხილვისათვის პირველი ინსტანციის სასამართლოში დაბრუნება, შემდეგი საფუძვლებით:

სასამართლომ ყოველგვარი დასაბუთების გარეშე არ დააკმაყოფილა სს «უ. ბ-ის» შუამდგომლობა იმასთან დაკავშირებით, რომ იგი არ წარმოადგენდა სათანადო მოპასუხეს. სასამართლომ არ გამოიყენა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 85-ე მუხლი. შედეგად, მოპასუხე მოკლებული გახდა შესაძლებლობას, სრულფასოვნად განეხორციელებინა თავისი უფლებები. მართალია, მოსარჩელე მიუთითებდა, რომ სადავო კრების ოქმით დაირღვა მისი უფლებები, თუმცა არ დაუკონკრეტებია, რა სახის ზიანი დადგა და ვისი მოქმედებით. სარჩელი სასამართლოს წარედგინება იმ პირის წინააღმდეგ, ვის მიერაც შეილახა მოსარჩელის ინტერესები. კონკრეტულ შემთხვევაში მოსარჩელეთა პრეტენზია მიმართული უნდა ყოფილიყო საზოგადოების დომინანტი აქციონერების წინააღმდეგ, რამდენადაც სწორედ მათ მიიღეს სადავო გადაწყვეტილება;

სარჩელი აღიარებითი ხასიათისაა, თუმცა იურიდიული ინტერესის შესახებ მოსარჩელებს არ მიუთითებიათ;

სასამართლოს არ ჰქონდა სარჩელის დაკმაყოფილების სამართლებრივი და არც ფაქტობრივი საფუძველი. სადავო კრებაზე განხილულ იქნა საკითხი, რომლის განხილვასაც ითხოვდა 44 აქციონერი. აქციონერთა კრებაზე გადაწყვეტილება მიიღება კანონმდებლობით და წესდებით გათვალისწინებულ ხმათა ოდენობით. ამ მხრივ პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასება სწორი იყო;

სააქციო საზოგადოებაში მოხდა უპრეცედენტო შემთხვევა – გამოწვევის სახით საწარმოს შრომით კოლექტივზე უსასყიდლოდ განაწილდა აქციათა 30%, ნაცვლად იმჟამინდელი კანონმდებლობით გათვალისწინებული 10%-ისა, ხოლო 19%-ის გამოსყიდვის საშუალება მოსარჩელებს ჰქონდათ ექვსი წლის განმავლობაში, რაც არ განუხორციელებიათ;

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 2005 წლის 3 ივნისს ორმოცდასამმა აქციონერმა განცხადებით მიმართა სააქციო საზოგადოების დირექტორს რიგგარეშე კრების ჩატარების მოთხოვნით. დასახელებული ფაქტობრივი გარემოების დამტკიცებულად მიჩნევისას სასამართლო დაეყრდნო მოსარჩელეთა მიერ წარდგენილ წერილობით მტკიცებულებას – განცხადების ქსეროასლს, რომლითაც შეუძლებელია დადგინდეს, წარადგინეს თუ არა აქციონერებმა ეს განცხადება კანონმდებლობით დადგენილი ფორმით.

სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 19 ივნისის სხდომაზე გამოიკვია, რომ აღნიშნულ სხდომაზე გამოცხადებული ნ. მ-მე და პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებაში მოხსენიებული ნ. მ-მე წარმოადგენდა ერთი და იგივე პიროვნებას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 10 ნოემბრის განჩინებით სს «უ. ბ-ის» სააპელაციო საჩივარი არ დააკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სს «უ. ბ-ის» წესდების (2005 წლის 8 ივლისამდე მოქმედი რედაქციით) 4.2 მუხლზე. მითითებული მუხლის თანახმად, საზოგადოების საწესდებო კაპიტალი იყოფა აქციებად, რომლის 51% წარმოადგენს ც-ის გამგეობის საკუთრებას, 49% ექვემდებარება განაწილებას, მათ შორის, აქციების 30% უფასოდ ეძლევათ (უმკვიდრდებათ) საკუთრების უფლებით საწარმოს შრომითი კოლექტივის წევრებს და ც-ის გამგეობის აპარატის მუშაკთა ნაწილს, ხოლო დანარჩენი 19% ეძლევათ მათ გამოსყიდვის უფლებით. წესდების 4.3 მუხლით საზოგადოების საწესდებო კაპიტალი შეადგენს 39600 აშშ დოლარს, რომელიც დაყოფილია 50 აშშ დოლარის ღირებულების 792 ცალ ჩვეულებრივ აქციად. აქციების 51%, ანუ 404 აქცია არის ც-ის გამგეობის საკუთრება.

საქმეზე დგინდებოდა, რომ ორმოცდასამმა აქციონერმა განცხადებით მიმართა სს «უ. ბ-ის» დირექტორს რიგგარეშე კრების ჩატარების მოთხოვნით შემდეგი საკითხების განხილვის მიზნით: 1. სს «უ. ბ-ის» წესდების 4.2 მუხლში მითითებული დარჩენილი აქციების 19% შესყიდვა აქციების 30% მფლობელ საწარმოს შრომითი კოლექტივის წევრების მიერ; 2. საინიციატივო ჯგუფიდან სპეციალური კომისიის შექმნა, რომელიც დაარეგულირებს შესყიდული აქციების განაწილებას აქციონერთა შორის; 3. შესასყიდი აქციების ღირებულების განსაზღვრა ნომინალური ღირებულებით;

მოდავე აქციონერთა წილი საწარმოს კაპიტალში შეადგენდა 5%-ზე მეტს;

აქციონერთა განცხადების საფუძველზე საერთო კრება ოცი დღის ვადაში დირექტორის მიერ არ მოწვეულა;

სს «უ. ბ-ის» აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრება მოწვეულ იქნა 2005 წლის 8 ივლისს, რომლის დღის წესრიგში შეტანილ იქნა ერთადერთი საკითხი – სააქციო საზოგადოების წესდებაში ცვლილებების შეტანის შესახებ აქციების გაუნაწილებელ 19%-თან დაკავშირებით;

კრებაზე მიღებული გადაწყვეტილებით «ც-ის» საკუთრებაში შემავალი აქციების რაოდენობა გაიზარდა 60%-მდე, ხოლო ბაზის შრომითი კოლექტივის წევრებისა და ც-ის გამგეობის მუშაკთა ნაწილის საკუთრებაში საბოლოოდ დაფიქსირდა უფასოდ გასაცემი აქციების 40%. საზოგადოების წესდების 4.2 და 4.3 მუხლებში შევიდა შესაბამისი ცვლილებები.

აპელანტი სადავოდ ხდოდა იმ ფაქტობრივ გარემოებას, რომ ორმოცდასამმა აქციონერმა მიმართა საზოგადოებას წერილობით. აღნიშნულთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლომ მიუთითა შემდეგზე: აქციონერთა 2005 წლის 3 ივნისის განცხადების სინამდვილე პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის მსვლელობისას მოპასუხეს ექვევქემ არ დაუყენებია. გარდა ამისა, ამ უკანასკნელის მიერ წარდგენილ შესაგებელში აღნიშნულია, რომ საზოგადოებამ გაითვალისწინა განცხადების მოთხოვნა და კრების დღის წესრიგში შეიტანა აქციების 19% განაწილების საკითხი, რაც უდავოდ ადასტურებდა იმ გარემოებას, რომ მოპასუხეს ნამდვილად მიმართეს აქციონერებმა განცხადებით, რაც საზოგადოებისთვის ცნობილი იყო.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის მითითება იმასთან დაკავშირებით, რომ სავაჭრო ბაზა წარმოადგენდა არასათანადო მოპასუხეს და სათანადო მოპასუხე უნდა ყოფილიყო დომინანტი აქციონერი, რომელმაც კრებაზე მიიღო გადაწყვეტილება, კერძოდ, საქართველოს სამომხმარებლო ალიანსი «ც-ი». აპელანტის აღნიშნული პოზიცია ემყარებოდა იმ გარემოებას, რომ, თავისთავად, «უ. ბ-ს» არავითარი საშუალება თუ უფლება არ ჰქონდა, გავლენა მოეხდინა სადავო კრების გადაწყვეტილებაზე. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, სააქციო საზოგადოება წარმოადგენს სამოქალაქო სამართლის დამოუკიდებელ სუბიექტს, იურიდიულ პირს და უფლება-მოვალეობები წარმოემოხა სწორედ საზოგადოებას მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა გამო. ის გარემოება, თუ ხმათა რამდენი პროცენტის მფლობელმა აქციონერმა მიიღო გადაწყვეტილება, გავლენას ვერ მოახდენდა სააქციო საზოგადოების პასუხისმგებლობაზე საკუთარი აქციონერებისა თუ სხვა მესამე პირების მიმართ.

სააპელაციო სასამართლომ ასევე არ გაიზიარა აპელანტის პოზიცია, რომ მოსარჩელეებს არ გააჩნიათ იურიდიული ინტერესი. აღნიშნულთან მიმართებით სააპელაციო სასამართლომ მიუთითა «მეწარმეთა შესახებ» კანონის 57.2 მუხლზე და განმარტა, რომ აქციონერს უფლება აქვს მიიღოს დივიდენდი. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ვერ აღდგება აქციათა პირვანდელი (გასაჩივრებული კრების გადაწყვეტილებამდე არსებული) მდგომარეობა, აქციონერს უფლება აქვს, მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რაც შესაძლოა, განხორციელდეს სხვა სარჩელის ფარგლებში.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოხდა აქციონერთა უფლებების დარღვევა, კერძოდ, გასაჩივრებული საერთო კრების გადაწყვეტილებით დაირღვა აქციათა განაწილების წესი, დადგინდა წესდების 4.4 მუხლით განსაზღვრულისგან განსხვავებული აქციების განაწილების წესი. გარდა ამისა, საზოგადოების მიერ დაირღვა რიგგარეშე კრების მოწვევის კანონით გათვალისწინებული ვადა («მეწარმეთა შესახებ» კანონის 53.3.3 მუხლი), რადგან კრება საზოგადოების დირექტორის მიერ 20 დღის ვადაში არ მოწვეულა.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, მიუხედავად კრების გადაწყვეტილებაუნარიანობისა, კრება არ იყო უფლებამოსილი, მიეღო აქციათა გადანაწილების თაობაზე გადაწყვეტილება. სასამართლოს აღნიშნული დასკვნა დასაბუთდა შემდეგნაირად:

სს «უ. ბ-ის» წესდების 4.6 მუხლის თანახმად, საზოგადოების აქციები და სხვა ფასიანი ქაღალდები გაცივება, სულ ცოტა, ნომინალურ თანხად. ნომინალურზე მეტი ღირებულებით გაცემის შემთხვევაში, ღირებულებიდან გაცემის ხარჯების გამოკლების შემდეგ, ნამატი თანხა რჩება და მიემატება სარეზერვო ფონდებს. იგივე წესი მოქმედებს არაფულადი შენატანების დროსაც, რომელთა თანხა აღმატება ნომინალურ ღირებულებას. სააქციო საზოგადოება, როგორც კაპიტალური საზოგადოება, მოგებაზე ორიენტირებული სუბიექტია და სს «უ. ბ-ის» წესდების 4.6 მუხლიც მიუთითებს ამ ტიპის საზოგადოების საქმიანობის ძირითად სამეწარმეო პრინციპზე – კაპიტალუნარიანობაზე. გასაჩივრებული კრების ოქმით მიღებულ იქნა აღნიშნული დებულების საპირისპირო გადაწყვეტილება, როდესაც გაუნაწილებელი აქციების უფასოდ გადაცემისას გადაწყვეტილება მიღებულ იქნა წესდების 4.6 მუხლის უგულვებელყოფით.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, მოსარჩელეებს სრულად წაერთვათ მათთვის აქციათა გადაცემის შესაძლებლობა, რადგან საქმის მასალებით დგინდებოდა, რომ აპელანტები კრების გადაწყვეტილებამდე ფლობდნენ 0.126% აქციებს (აღნიშნული გარემოება საქმის განხილვის არც ერთ ეტაპზე მხარეთა შორის სადავო არ გამხდარა) და 2007 წლის 3 აგვისტოს სამეწარმეო რეესტრის ამონაწერის მიხედვით მოსარჩელეები ფლობდნენ იგივე რაოდენობის აქციებს, რაც უდავოდ ადასტურებდა იმ გარემოებას, რომ შრომითი კოლექტივის წევრ აქციონერებს არ გადასცემიათ უსასყიდლოდ გადანაწილებული აქციები 10%-ის ოდენობით.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველი არ არსებობდა.

სააპელაციო სასამართლოს დასახელებული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა სს «უ. ბ-მ», რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად სააპელაციო სასამართლოსათვის დაბრუნება.

კასატორის განმარტებით, «მეწარმეთა შესახებ» კანონის 53.3.3 მუხლის თანახმად, საწესდებო კაპიტალის 5%-ის მფლობელ აქციონერებს უფლება აქვთ, მოითხოვონ რიგგარეშე კრების ჩატარება საწარმოს ინტერესების შესაბამისად. სადავო შემთხვევაში რიგგარეშე კრება აქციონერთა მოთხოვნით მოწვეულ იქნა გონივრულ ვადაში. მხარეებს აღნიშნული შეეძლოთ გაესაჩივრებინათ სასამართლოში კრების მოწვევამდე, რაც არ განახორციელეს. 2005 წლის 8 ივლისის სადავო კრებაზე დღის წესრიგის მთავარ საკითხს სწორედ აქციონერთა მოთხოვნა წარმოადგენდა. აქციონერთა საერთო კრებამ გადაწყვეტილება მიიღო კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით, დამსწრე კაპიტალის ხმათა 2/3-ზე მეტის შესაბამისი აქციების უმრავლესობით. აქედან გამომდინარე, არ არსებობდა საერთო კრების ოქმის, ისევე როგორც ამ კრებაზე მიღებული გადაწყვეტილების ბათილობის საფუძვლები.

### სამოტივიციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ უნდა გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს სააპელაციო სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება არ არის სრულყოფილად დასაბუთებული და საქმეზე რჩება რიგი საკითხები, რაც საჭიროებს გამორკვევას.

დადგენილია და სადავო არ არის, რომ 2005 წლის 8 ივლისის აქციონერთა საერთო კრება იყო გადაწყვეტილებათა უნარიანი და სადავო გადაწყვეტილება მიღებულია წესდებით განსაზღვრული კენჭისყრის წესების დაცვით. სააპელაციო სასამართლომ კრების მოწვევის პროცედურულ დარღვევად მიუთითა იმ გარემოებაზე, რომ 5%-ის მფლობელ აქციონერთა მოთხოვნადან 20 დღის ვადაში დირექტორის მიერ კრება არ მოწვეულა და საზოგადოებამ დაარღვია რიგგარეშე კრების მოწვევის «მეწარმეთა შესახებ» კანონის 53.3.3 მუხლით გათვალისწინებული ვადა. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ამასთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლოს არ გამოურკვევია, თუ როდის გადაეცა კრების ჩატარების თაობაზე აქციონერთა განცხადება საზოგადოების დირექტორს. ამასთან, პარტნიორთა საერთო კრების გადაწყვეტილების ბათილობის საფუძველი შეიძლება გახდეს მხოლოდ არსებითი ხასიათის უხეში პროცედურული დარღვევა, ხოლო ასეთს არ წარმოადგენს რიგგარეშე კრების რამდენიმე დღის დაგვიანებით მოწვევა იმავე საკითხზე, რაც აქციონერთა ინტერესის საგანს წარმოადგენდა. ამასთან, თუკი დღის წესრიგის ფორმულირება არ იქნებოდა აქციონერთათვის მისაღები, «მეწარმეთა შესახებ» კანონის სადავო პერიოდში მოქმედი რედაქცია ასეთ შემთხვევაში იძლეოდა აქციონერთა მიერ დღის წესრიგის თითოეული პუნქტის გამო დირექტორისათვის განმარტებების, შენიშვნების, მოთხოვნის წარდგენის შესაძლებლობას (მუხ. 53.3.1), რაზედაც მოცემულ შემთხვევაში საქმის მასალები არ მიუთითებს.

რაც შეეხება აქციონერთა საერთო კრების მიერ მიღებული სადავო გადაწყვეტილების არსებითად კანონიერებას დარჩენილი აქციების 19%-ს, უფრო ზუსტად, 9%-ის განაწილების წესის შეცვლის შესახებ, რომელიც გადაეცა ც-ის გამგეობას და არა – შრომითი კოლექტივის წარმომადგენელ აქციონერებს, აღნიშნულთან დაკავშირებით საქმე ასევე საჭიროებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დამატებითი საკითხების გამორკვევას.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს სადავო პერიოდში მოქმედი სააქციო საზოგადოების წესდების 1-ელი მუხლის 1.4 პუნქტზე, რომლის თანახმად, საზოგადოება თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის საერთო კრების, ცენტრალური კომისიის, გამგეობის დადგენილებებით, ნორმატიული აქტებით და წინამდებარე წესდებით. სააპელაციო სასამართლომ უნდა გამოარკვიოს, იგულისხმება თუ არა მოცემულ შემთხვევაში აღნიშნულ «გამგეობის დადგენილებებში» ც-ის გამგეობის დადგენილებები, მათ შორის, საქმეში წარმოდგენილი ც-ის გამგეობის 1998 წლის 13 აპრილის დადგენილება და 2005 წლის 20 აპრილის დადგენილება. სააპელაციო სასამართლომ უნდა გამოარკვიოს, იყო თუ არა აღნიშნული დადგენილებები მოცემულ შემთხვევაში სს «უ. ბ-სათვის» სავალდებულო.

საკასაციო სასამართლო ამასთან დაკავშირებით ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ მოცემულ შემთხვევაში სახეზეა სპეციფიკური სამართლებრივი მოწესრიგების საფუძველზე შექმნილი სააქციო საზოგადოება, კერძოდ, სს «უ. ბ-ა» შექმნილია ც-ის საკუთარი მეურნეობის საწარმოთა ქონების ბაზაზე, რომელიც მოიცავს ც-ის გამგეობის დაქვემდებარებაში არსებული საწარმოების, ასევე უშუალოდ ც-ის გამგეობის ბალანსზე რიცხულ ქონებას და სადაც ქონების მესაკუთრეს – ც-ის გამგეობას დარჩა ყველა ძირითადი საკითხის გადაწყვეტის კომპეტენცია. ამაზე მეტყველებს ის გარემოებაც, რომ საზოგადოების წესდებით საერთო კრების კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხები გადაწყვეტას ექვემდებარებოდა სწორედ აქციათა 50%-ზე მეტის უმრავლესობით, ანუ ც-ის გამგეობას, რომელიც აქციათა 51%-ს ფლობდა, პრაქტიკულად, შეეძლო გადაწყვიტა საზოგადოების ყველა ძირითადი საკითხის ბედი.

საქმეში არსებული სს «უ. ბ-ის» წესდებიდან ირკვევა, რომ აღნიშნული სააქციო საზოგადოება შექმნილია ც-ის თბილისის უნივერსალური საბითუმო-სავაჭრო ბაზის სააქციო საზოგადოებად რეორგანიზაციის ბაზაზე და რეგისტრირებულია ქ. თბილისის სამგორის რაიონის სასამართლოს 1995 წლის 13 ივლისის დადგენილებით. საზოგადოების დამფუძნებელ აქციონერებს წარმოადგენდნენ საქართველოს სამომხმარებლო კოოპერატივების ცენტრალური კავშირი – ეროვნული ალიანსი «ცი» 51% წილით და შრომითი კოლექტივის

წევრები – უფასოდ გადაცემული აქციების 30% წილით. დარჩენილი 19% აქციების საკითხი იმ ეტაპზე დატოვებული იყო ღიადა.

სააპელაციო სასამართლომ ასევე უნდა გამოარკვიოს, ვრცელდებოდა თუჯარა სს «უ. ბ-ის» მიერ ღიად დატოვებული 19% აქციების მიმართ «ც-ის საკუთარი მეურნეობის ქონების განაწილება-დამკვიდრების შესახებ» ც-ის გამგეობის 1998 წლის 13 აპრილის დადგენილებით დამტკიცებული დებულების დანაწესი დარჩენილი ქონების გამოსყიდვის ვადების შესახებ, კერძოდ, რომ გამოსასყიდი ქონების ღირებულების 30%-ს გადახდა აუცილებლად უნდა მომხდარიყო ორგანიზაციის რეგისტრაციიდან (ქონების განაწილებიდან) 2 თვის მანძილზე, შემდგომი 30% – 4 თვის განმავლობაში, ხოლო დანარჩენი 40% – 6 თვის განმავლობაში, ე.ი. მთლიანად ქონების გამოსყიდვისათვის დადგენილი იყო საზოგადოების რეგისტრაციიდან ერთი წელი. აღნიშნული დებულება ასევე შეიცავდა მითითებას ქონების დროული გამოუსყიდაობის შედეგებზეც, კერძოდ: ასეთ შემთხვევაში ქონება ექვემდებარებოდა განკარგვას ც-ის გამგეობის მიერ. სააპელაციო სასამართლომ უნდა გამოარკვიოს, სს «უ. ბ-ის» რეგისტრაციიდან ერთი წლის გასვლის შემდეგ, რა ვადაშიც მოცემულ შემთხვევაში არ მომხდარა აქციონერების მიერ დარჩენილი 19%-ის გამოსყიდვის უფლების განხორციელება, დებულების მოთხოვნებიდან გამომდინარე, გაქარწყლდა თუ არა აღნიშნული უფლება.

სააპელაციო სასამართლომ ასევე უნდა მიაქციოს ყურადღება იმ გარემოებას, რომ ც-ის გამგეობის დადგენილებით ჯერ კიდევ 2005 წლის 20 აპრილისათვის უკვე დადგინდა დარჩენილი აქციების 19%-ის განაწილების ახალი წესი, კერძოდ, განისაზღვრა, რომ სს «უ. ბ-ში» თანამშრომლებისა და ც-ის გამგეობის სამსახურების მუშაკებისათვის უფასოდ გადასაცემი აქციების რაოდენობა ყოფილიყო 40%, ხოლო ც-ის გამგეობის საკუთრება – 60%. აქციონერებმა აქციების 19% გამოსყიდვის უფლების განხორციელება მოითხოვეს უფრო გვიან – 2005 წლის ივნისში. სააპელაციო სასამართლომ უნდა გამოარკვიოს, ც-ის გამგეობის დადგენილებით ქონების განაწილების ახალი წესის განსაზღვრა, საზოგადოების წესდების 1-ელი მუხლის 1.4 პუნქტიდან გამომდინარე, სს «უ. ბ-სათვის» იყო თუ არა სავალდებულო.

იმ შემთხვევაში, თუკი სააპელაციო სასამართლო დაადგენს, რომ ასეთი ვალდებულება არ არსებობდა და გამგეობის დადგენილებები უნდა შეფასდეს მხოლოდ როგორც პარტნიორის ნების გამოვლენა, სასამართლომ უნდა გამოარკვიოს, აღნიშნული ნების გამოვლენის არსებობა, რომელიც წინ უსწრებდა დანარჩენ აქციონერთა ნების გამოვლენას, იყო თუ არა წესდებით განსაზღვრული მხარეთა შეთანხმების გადახედვის საკითხზე მსჯელობის საფუძველი აქციონერთა საერთო კრების მიერ, თუ, მიუხედავად ამისა, უნდა მომხდარიყო შეთანხმების შესრულება მისი შეცვლის წინადადების განხილვის გარეშე. ამასთან დაკავშირებით, სააპელაციო სასამართლომ ყურადღება უნდა მიაქციოს თავად წესდების სამართლებრივ ბუნებას. საზოგადოების წესდება არამარტო საწარმოს შიდაორგანიზაციული მოწყობის დოკუმენტია, არამედ – პარტნიორთა შეთანხმებაც შიდასაზოგადოებრივი ურთიერთობების ძირითად საკითხებზე. ამ შემთხვევაში წესდების ის დანაწესი, რომელიც ჩადებული იყო ძველი რედაქციის 4.2 და 4.3 მუხლებში, წარმოადგენდა სწორედ შეთანხმებას პარტნიორთა შორის დარჩენილი აქციების განაწილების შესახებ. აღნიშნული შეთანხმების შეცვლის გადაწყვეტილება მიიღო ხმათა უმრავლესობის მქონე პარტნიორმა, ხოლო დანარჩენმა აქციონერებმა მხოლოდ ამის შემდეგ მოითხოვეს შეთანხმების შესრულება. სააპელაციო სასამართლომ უნდა გამოარკვიოს, ასეთ ვითარებაში უნდა მომხდარიყო თუ არა ჯერ შეთანხმების შეცვლის საკითხის გადაწყვეტა და მერე – მის შესაბამისად მოქმედება.

რაც შეეხება იმ გარემოებას, რომ აქციათა უფასოდ გადაცემით საზოგადოებამ განიცადა ზიანი, რაზეც სააპელაციო სასამართლო მიუთითებს, აღნიშნული გარემოება მოცემულ შემთხვევაში არ წარმოადგენს კრების გადაწყვეტილების ბათილობის საფუძველს. ამასთან, საზოგადოებამ განიცადა თუ არა ზიანი და კონკრეტულად – რა ზიანი, ეს საკითხი ცალკე გამორკვევის საკითხია და მოცემულ შემთხვევაში დავის საგანს არ წარმოადგენს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო საქმეს ხელახლა განსახილველად უბრუნებს სააპელაციო სასამართლოს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 10 ნოემბრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## კოოპერატივის ლიკვიდაციის ფაქტის რეგისტრაცია

### განჩინება

1ას-671-629-10

17 სექტემბერი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ნ. კვანტალიანი,

ლ. ლაზარაშვილი

**დავის საგანი:** საქმის წარმოების შეწყვეტა

#### აღწერილობითი ნაწილი:

გ-ის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 31 მარტის გადაწყვეტილებით ე. მ-შვილის, ნ. ს-შვილისა და გ. გ-შვილის სარჩელი გ-ის რაიონული სამომხმარებლო კოოპერატივ «გ-ის» მიმართ, მესამე პირი – საქართველოს ცეკავშირის გამგეობა, კოოპერატივ, გ-ის «მეპაიეთა» 2006 წლის 11 მაისის საერთო კრების ოქმის ბათილად ცნობის თაობაზე არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლოდ გამო.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მოსარჩელებმა, მოითხოვეს მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 10 მაისის საოქმო განჩინებით, გ-ის რაიონული სამომხმარებლო კოოპერატივ «გ-ის» წარმომადგენელ ნ. ხ-შვილის შუამდგომლობის საფუძველზე, ე. მ-შვილის, ნ. ს-შვილისა და გ. გ-შვილის სააპელაციო საჩივარზე შეწყდა საქმის წარმოება, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის «ე» ქვეპუნქტის შესაბამისად იმ მოტივით, რომ მოთხოვნის საგანს წარმოადგენდა იმ კოოპერატივის საერთო კრების ოქმის ბათილად ცნობა, რომლის ქონებაც სახელმწიფოს გადაეცა და მან, როგორც იურიდიულმა პირმა, რეალურად არსებობა შეწყვიტა.

აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ე. მ-შვილმა, მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის არსებითად განხილვა იმ საფუძველზე, რომ მოწინააღმდეგე მხარემ ვერ შეძლო წარმოედგინა დოკუმენტი კოოპერატივის ლიკვიდაციის ან რეგისტრაციის გაუქმების შესახებ. ამასთან, საგადასახადო ინსპექციაში საიდენტიფიკაციო ნომრით 227716102 კოოპერატივი «გ-ი» კომპიუტერულ ბაზაშია და ყოველწლიურად ერიცხება საგადასახადო დავალიანება. კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებით, კოოპერატივის ლიკვიდაციის დამადასტურებელი დოკუმენტი რომ არსებობდეს, მას ამოიღებდნენ საგადასახადო ნუსხიდან. აღნიშნულის დასადასტურებლად, კერძო საჩივრის ავტორმა წარმოადგინა 2008-2009 წლებისა და მიმდინარე წლის საგადასახადო შედარების აქტები.

#### სამოტივეციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ, საქმის ზეპირი განხილვის გარეშე, შეისწავლა საქმის მასალები, კერძო საჩივრის საფუძველები და თვლის, რომ ე. მ-შვილის კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს და საქმე ხელახლა განსახილველად უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის «ე» ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლო მხარეთა განცხადებით ან თავისი ინიციატივით შეწყვეტს საქმის წარმოებას, თუ საქმის ერთ-ერთ მხარედ მყოფი მოქალაქის გარდაცვალების შემდეგ ან იურიდიული პირის ლიკვიდაციისას, სადავო სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე, დაუშვებელია უფლებამონაცვლეობა.

საპროცესო უფლებამონაცვლეობის საფუძველები (ანუ სადავო სამართლებრივი ურთიერთობიდან ერთ-ერთი მხარის გასვლის შემთხვევები) გათვალისწინებულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 92-ე მუხლით, რომლის თანახმად, უფლებამონაცვლეობა დასაშვებია იურიდიული პირის რეორგანიზაციის შემთხვევაში.

მითითებული ნორმის თანახმად, იურიდიული პირის მიმართ უფლებამონაცვლეობა დასაშვებია მხოლოდ მისი რეორგანიზაციის შემთხვევაში, ხოლო იურიდიული პირის ლიკვიდაციისას, უფლებამონაცვლეობა დაუშვებელია და საქმის წარმოება უნდა შეწყდეს.

საკასაციო სასამართლოს დაუსაბუთებლად მიაჩნია სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა იმის შესახებ, რომ მოცემულ შემთხვევაში არსებობს საქმის წარმოების შეწყვეტის კანონით გათვალისწინებული საფუძველი. კერძოდ, საქმის წარმოება შეწყვეტილია იმ მოტივით, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2010 წლის 16 მარტის წერილის თანახმად, იურიდიული პირი საიდენტიფიკაციო ნომრით – 227716102 ან/და სახელწოდებით სამომხმარებლო კოოპერატივი «გ-ი» რეგისტრირებული არ არის. ხსენებული წერილის საფუძველზე სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ კოოპერატივი «გ-ი» ლიკვიდირებული იყო და, ამდენად, აღარ არსებობდა იურიდიული პირი, რომელსაც პასუხი უნდა ეგო სარჩელზე, რის გამოც, სსკ-ის 272-ე მუხლის «ე» ქვეპუნქტის თანახმად, საქმის წარმოება უნდა შეწყვეტილიყო. აღნიშნულ მოსაზრებას საკასაციო სასამართლო არ იზიარებს შემდეგ გარემოებათა გამო:



საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-80 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, იურიდიული პირის უფლებაუნარიანობა შეწყდება მისი ლიკვიდაციის რეგისტრაციის მომენტიდან.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 25-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, იურიდიული პირის უფლებაუნარიანობა წყდება მისი ლიკვიდაციის დასრულების ფაქტის რეგისტრაციის მომენტიდან.

მითითებულ ნორმათა ანალიზი ცხადყოფს, რომ იურიდიული პირის უფლებაუნარიანობა შეწყვეტილად (ანუ იურიდიული პირი ლიკვიდირებულად, გაუქმებულად) ითვლება მხოლოდ მისი ლიკვიდაციის ფაქტის რეგისტრაციის მომენტიდან.

იურიდიულ პირთა რეგისტრაციის და რეგისტრაციის გაუქმების შესახებ ინფორმაციის აღრიცხვას შესაბამის რეესტრში ახორციელებს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეგისტრაციის სამსახური.

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას, რომ მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეგისტრაციის სამსახურის 2010 წლის 16 მარტის 1... წერილით დასტურდება მოპასუხის – გ-ის რაიონული სამომხმარებლო კოოპერატივ «გ-ის» ლიკვიდაციის ფაქტი. აღნიშნული წერილით მხოლოდ ის ირკვევა, რომ იურიდიული პირი საიდენტიფიკაციო ნომრით – ... ან/და სახელწოდებით სამომხმარებლო კოოპერატივი «გ-ი» რეგისტრირებული არ არის, რაც არ ნიშნავს, რომ გ-ის რაიონული სამომხმარებლო კოოპერატივი «გ-ი» ლიკვიდირებულია. აღნიშნულთან დაკავშირებით საკასაციო პალატა ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ საქმეში წარმოდგენილია გ-ის რაიონის სასამართლოს 1997 წლის 31 დეკემბრის დადგენილება გ-ის რაიონული სამომხმარებლო კოოპერატივ «გ-ის» სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის თაობაზე (რეგისტრაციის 1...). მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეგისტრაციის სამსახურის 2010 წლის 16 მარტის წერილში კი მითითებულია, რომ ამ სამსახურის არქივში დაცულია «გ. რ-ის» სარეგისტრაციო დოკუმენტაცია (რეგისტრირებული 1997 წლის 31 დეკემბერს, რეგისტრაციის 1...). ამდენად, გ-ის რაიონული სამომხმარებლო კოოპერატივ «გ-ის» და «გ. რ-ის» სარეგისტრაციო მონაცემები ერთმანეთს ემთხვევა. გარდა ამისა, გ-ის რაიონული სამომხმარებლო კოოპერატივ «გ-ის» სალიკვიდაციო კომისიის 2006 წლის 29 დეკემბრის 11 ოქმში, გ-ის რაიონული სამომხმარებლო კოოპერატივი «გ-ი» მოხსენიებულია როგორც «გ. რ-ი». აქედან გამომდინარე გამოსარკვევია, გ-ის რაიონული სამომხმარებლო კოოპერატივი «გ-ი» და «გ. რ-ი» ხომ არ არის ერთი და იგივე იურიდიული პირი. აღნიშნული მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც თელავის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექციის) საგადასახადო შედარების აქტებით «გ. რ-ი», რომლის საიდენტიფიკაციო ნომერია – ..., დღესაც რეგისტრირებულია გადასახადის გადამხდელად, ხოლო გ-ის რაიონული სამომხმარებლო კოოპერატივ «გ-ის» ლიკვიდაციის ფაქტის რეგისტრაციის დამადასტურებელი მტკიცებულება საქმეში წარმოდგენილი არაა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან საქმეში არსებული მასალების მიხედვით, ვერ დგინდება მოპასუხე გ-ის რაიონული სამომხმარებლო კოოპერატივ «გ-ის» ლიკვიდაციის ფაქტი, ამიტომ დაუსაბუთებელია გასაჩივრებული განჩინება მოპასუხე მხარის ლიკვიდაციის გამო საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ, რის გამოც ე. მ-შვილის კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, უნდა გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 10 მაისის განჩინება საქმის წარმოების შეწყვეტის თაობაზე და განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს. საქმის წარმოების შეწყვეტის საკითხის ხელახლა განხილვისას, სააპელაციო სასამართლომ უნდა გამოარკვიოს დასრულდა თუ არა გ-ის რაიონული სამომხმარებლო კოოპერატივ «გ-ის» ლიკვიდაცია, თანახმად სალიკვიდაციო კომისიის 2006 წლის 29 დეკემბრის 11 ოქმისა და კანონის მოთხოვნათა დაცვით განხორციელდა თუ არა ლიკვიდაციის დასრულების ფაქტის რეგისტრაცია.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლებით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. ე. მ-შვილის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს.
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 10 მაისის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.
3. განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

### 3. გარიგებანი

#### ცალმხრივი ნების გამოვლენის ნამდვილობა

##### განჩინება

1ას-565-533-2011

9 ივნისი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ბ. ალავეიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
პ. ქათამაძე

დავის საგანი: საწარმოს პარტნიორად აღდგენა

##### აღწერილობითი ნაწილი:

დ. ძ-მემ სარჩელი აღძრა სასამართლოში ლ. თ-ძის, ს. და მ. ა-ანების, ასევე შპს «...» მიმართ და მოითხოვა სამეწარმეო რეესტრში ცვლილების შეტანა, შპს «...» დამფუძნებელ პარტნიორად დ. ძ-ძის აღდგენის, მისი წილის საწესდებო კაპიტალის 20%-ით განსაზღვრა და სხვა პარტნიორთა კუთვნილ წილებში შესაბამისი ცვლილების შეტანა, მოგვიანებით მოსარჩელემ დაზუსტებული სარჩელით მიმართა სასამართლოს და დამატებით მოითხოვა შპს «...» პარტნიორთა კრების 1996 წლის 15 მარტის 1... ოქმის ბათილად ცნობა შემდეგი გარემოებების გამო:

შპს «...» შეიქმნა 1992 წელს და ამავე წლის 28 მაისს ქ.თბილისის მერიის 1... განკარგულებით დარეგისტრირდა სამეწარმეო რეესტრში. საწარმოს ხელახალი რეგისტრაცია განხორციელდა 1995 წლის 27 დეკემბერს დამფუძნებელ პარტნიორთა საერთო კრების 1... ოქმისა და ქ.თბილისის ... რაიონული სასამართლოს 1996 წლის 8 იანვრის დადგენილების საფუძველზე. საწარმოს დაფუძნებისა და მისი ხელახალი დარეგისტრირების დღიდან მოსარჩელე საწარმოს 20%-იანი წილის მფლობელი პარტნიორია.

1996 წლის გაზაფხულამდე დ. ძ-ძე იყო შპს «...» დირექტორი, რის შემდეგაც საწარმოს მთავარი პარტნიორისა და პრეზიდენტის მოთხოვნის, ასევე, 1996 წლის 15 მარტის საზოგადოების დამფუძნებელ პარტნიორთა საერთო კრების ოქმის საფუძველზე, რომელზეც დ. ძ-ძე მიწვეული არ ყოფილა, 1996 წლის პირველი აპრილიდან მოსარჩელე გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან.

მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ მოსარჩელე იყო საწარმოს 20%-იანი წილის მფლობელი, იგი პარტნიორთა კრებაზე არც ერთხელ მიუწვევიათ, არ პასუხობდნენ მის წერილობით მოთხოვნებს. საბოლოოდ შპს «...» დირექტორის 2008 წლის 25 თებერვლის წერილით, ასევე მსხვილ გადამხდელთა ინსპექციაში 2008 წლის 28 თებერვალს მოპოვებული სამეწარმეო რეესტრის ამონაწერის საფუძველზე, მოსარჩელისათვის ცნობილი გახდა, რომ ის საწარმოს პარტნიორად რეგისტრირებული არ არის, ხოლო დ. ძ-ძის წერილობით მიმართვაზე, რომლითაც მოითხოვდა სამართლებრივი საფუძვლის, ასევე, იმის მითითებას, რა დროიდან აღარ არის საწარმოს პარტნიორი, მოსარჩელეს შპს «...» პასუხი არ მიუღია.

მოპასუხებმა სარჩელი არ ცნეს და მოითხოვეს მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი საფუძველებით:

მოსარჩელე ქონებრივ პრეტენზიას უკავშირებს საწარმოს სამეწარმეო რეესტრიდან მისი, როგორც დამფუძნებელი პარტნიორის ამოღებას, დ. ძ-ძის სარჩელი აღიარებითა, თუმცა მოსარჩელე ვერ აკონკრეტებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 180-ე მუხლით გათვალისწინებულ იურიდიულ ინტერესებს. სარჩელით არ დასტურდება დ. ძ-ძე მოითხოვს საზოგადოებაში წილის უფლების აღიარებას თუ სარეგისტრაციო დოკუმენტების სიყალბის დადგენას. საწარმოს ხელახალი რეგისტრაცია განხორციელდა იმ დროს მოქმედი «მეწარმეთა შესახებ» საქართველოს კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით, რაც დასტურდება 1996 წელს მოქმედი «მეწარმეთა შესახებ» საქართველოს კანონის რედაქციისა და საწარმოს დაფუძნებისას განხორციელებული ქმედებებით.

შპს «...», როგორც მეწარმე სუბიექტი, შეიქმნა 1992 წელს და იურიდიული უფლება-მოვალეობებით ხელახლა აღიჭურვა «მეწარმეთა შესახებ» საქართველოს კანონის მე-2 მუხლის შესაბამისად ხელახალი რეგისტრაციის შემდეგ. 1996 წლის 15 მარტს დ. ძ-ძემ განცხადებით მიმართა ... რაიონულ სასამართლოს საზოგადოებიდან, როგორც დამფუძნებელი პარტნიორის გასვლის თხოვნით, რაც «მეწარმეთა შესახებ» საქართველოს კანონის 1996 წელს მოქმედი რედაქციის 5.6 მუხლის მე-2 აზნაცის თანახმად, ექვემდებარებოდა რეგისტრაციის და კანონიერ ძალასაც სწორედ რეგისტრაციის შემდეგ იღებდა.

ამდენად, დ. ძ-ძემ ცალმხრივად გამოავლინა ნება დამფუძნებელთა შემადგენლობიდან გასვლის შესახებ ისე, რომ მას წილი არ დაუთმია და არც რაიმე გზით გაუსხვისებია. საზოგადოებიდან პარტნიორის გასვლა რადგანაც არ ითვალისწინებდა საზოგადოების ლიკვიდაციას ან სხვა რაიმე შედეგს, 1996 წლის 15 მარტის

პარტნიორთა კრების 1... ოქმით მიღებულ იქნა გადაწყვეტილება საზოგადოებიდან პარტნიორის გასვლისა და მისი დირექტორობიდან გათავისუფლების შესახებ.

«მეწარმეთა შესახებ» საქართველოს კანონის ამ დროისათვის მოქმედი რედაქციის თანახმად, სავალდებულო იყო საწარმოს ხელახალი რეგისტრაცია, რაც 1996 წლის 4 აპრილს განხორციელდა, სანოტარო წესით დამოწმდა საზოგადოების წესდება, რომელსაც ხელი მოაწერა ყველა დამფუძნებელმა პარტნიორმა და მოხდა საზოგადოების რეგისტრაცია სამეწარმეო რეესტრში «მეწარმეთა შესახებ» საქართველოს კანონის მე-5 მუხლის სრული დაცვით.

ამავე კანონის 5.1 მუხლის შესაბამისად, რეგისტრაციის დროს გათვალისწინებულ იქნა მოსარჩელის განცხადება დამფუძნებელი პარტნიორის საზოგადოებიდან გასვლის შესახებ, რაც დასტურდება 1... კრების ოქმითაც. სასამართლოსათვის მიმართვისას წარდგენილ იქნა მოსარჩელის განცხადება, რაც წარმოადგენდა საჭირო დოკუმენტს წესდებაზე დარჩენილი პარტნიორების ხელმოსაწერად. მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი კრების ოქმით, რომელსაც ნომერი არ აქვს მითითებული, დასტურდება, რომ მოსარჩელე ესწრებოდა პარტნიორთა კრებას, თუმცა მას კენჭისყრაში არ მიუღია მონაწილეობა.

მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი კრების ოქმი განსხვავდება მოპასუხის მიერ წარმოდგენილი ამავე მტკიცებულებისაგან, რომელსაც აქვს ნომერი, ამასთან, მოპასუხის მიერ წარმოდგენილი ოქმის თანახმად, დ. მ-მ არა მხოლოდ დირექტორის თანამდებობიდან გათავისუფლეს, არამედ, გაყვანილ იქნა საზოგადოების დამფუძნებელთა შემადგენლობიდან. დ. მ-მის მიერ წარმოდგენილი კრების ოქმი არ შეიცავს მითითებას, რომ დირექტორობიდან გათავისუფლებას, ასევე, მისი დამფუძნებელი პარტნიორებიდან გაყვანას, ს. ა-ანთან ერთად მხარს უჭერს დამფუძნებელი პარტნიორი მ. ა-ანიც, ამასთან, მოსარჩელეს სადავოდ არ გაუხდია კრების ოქმების ნამვილობა «მეწარმეთა შესახებ» საქართველოს კანონის მე-15 მუხლით გათვალისწინებულ ორთვიან ვადაში. მოპასუხის მითითებით, მნიშვნელობა არ აქვს მოპასუხეთა მიერ საკითხის მხარდაჭერის ფაქტს, რადგანაც დ. მ-მის მიერ ცალმხრივი ნების გამოვლენა პარტნიორთა შემადგენლობიდან გასვლის თაობაზე საკმარისი მტკიცებულებაა და დამატებით მტკიცებას არ საჭიროებს.

შპს «...» ხელახალი რეგისტრაციისათვის სასამართლოში წარმოდგენილი იყო კანონით გათვალისწინებული ყველა მტკიცებულება დადგენილი ფორმის დაცვით, რის გამოც სარეგისტრაციო მონაცემების სიყალბის დამადასტურებელი დოკუმენტი არ არსებობს და ასეთს ვერც მოსარჩელე წარუდგენს სასამართლოს, ის ფაქტი, რომ მოსარჩელემ განცხადებით მოითხოვა პარტნიორთა შემადგენლობიდან გასვლა, ადასტურებს მის ინფორმირებას აღნიშნული განცხადების სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის შესახებ. ამასთან, საწარმოს ხელახალი რეგისტრაციისას ფორმალური თუ სამართლებრივი დარღვევები არ არსებობდა. ხელახალი რეგისტრაციის თაობაზე მოსარჩელის ინფორმირებულობას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ მოსარჩელე საწარმოს მართვაში ფიზიკურად არ იღებდა მონაწილეობას.

სარჩელში მითითებული ფაქტების გაზიარებას გამოიცხავს ის გარემოება, რომ «მეწარმეთა შესახებ» საქართველოს კანონის 1996 წლისთვის მოქმედი რედაქციის 47.1, მე-3, 46.8, 47.3 მუხლების თანახმად, დ.მ-მე წელიწადში ერთხელ მაინც უნდა გამოცხადებულიყო საწარმოში და მონაწილეობა მიეღო აღნიშნული ნორმებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობების განხორციელებაში. უსაფუძვლოა მოსარჩელის მტკიცება, რომ იგი მონაწილეობდა საზოგადოების მართვაში, საზოგადოებასთან მიმოწერისა და სხვათა თაობაზე მისი მითითება არასწორია, რადგანაც აღნიშნული საწარმოს დაარსებიდან მხოლოდ 11 წლის შემდეგ – 2007 წელს მოხდა.

მოპასუხეთა მითითებით, სარჩელი არა თუ უსაფუძვლოა ამასთან ხანდაზმულიცაა «მეწარმეთა შესახებ» საქართველოს კანონის მე-15 მუხლისა და სამოქალაქო კოდექსის 128-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად. მოსარჩელეს არ მიუთითებია არც სამოქალაქო კოდექსის 132-ე და 137-ე მუხლებით გათვალისწინებული ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერების ან შეწყვეტის საფუძვლებზე.

წარმოდგენილი სარჩელი არ ცნო არც შპს «...» უსაფუძვლობისა და ხანდაზმულობის მოტივით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 30 სექტემბრის გადაწყვეტილებით დ. მ-მის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, დ. მ-მე ცნობილ იქნა შპს «...» კაპიტალში ლ. თ-მის კუთვნილი 46%-იანი წილიდან 10%-ის მესაკუთრედ, მ. ა-ანის კუთვნილი 27%-იანი წილიდან – 5%-ის მესაკუთრედ, ს. ა-ანის კუთვნილი 27%-იანი წილიდან – 5%-ის მესაკუთრედ და დ. მ-მის წილი შპს «...» კაპიტალში განისაზღვრა 20%-ით. დ. მ-მეს უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე შპს «...» დამფუძნებელთა 1996 წლის 15 მარტის 12 კრების ოქმის ბათილად ცნობის შესახებ მოთხოვნის ნაწილში, რომლის მიხედვით დ. მ-მე გავიდა დამფუძნებელთა შემადგენლობიდან.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს შპს «...», ლ. თ-მემ, მ. და ს. ა-ანებმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 14 თებერვლის განჩინებით მ. და ს. ა-ანების, ლ. თ-მის, შპს «...» სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება შემდეგი გარემოებების გამო:

სააპელაციო პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი გარემოება, რომ ... რაიონის სასამართლოს 1996 წლის 8 იანვრის დადგენილებით შპს «...» რეგისტრირებულია სამეწარმეო რეესტრში (რეგისტრაციის ნომერი ..., საიდენტიფიკაციო 1...), საზოგადოების დამფუძნებლები არიან: 1. ლ.

თ-ძე (წილი საზოგადოების კაპიტალში – 46%), 2. ს. ა-ანი (წილი საზოგადოების კაპიტალში 27%), 3. მ. ა-ანი (წილი საზოგადოების კაპიტალში – 27%). საზოგადოების დირექტორია დ. მ-შვილი, რომელსაც აქვს საზოგადოების სრული წარმომადგენლობის უფლებამოსილება. შპს «...» სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის დროისათვის, 1996 წლის 8 იანვარს, საზოგადოების დამფუძნებლები იყვნენ და დამფუძნებელთა წილი საზოგადოების კაპიტალში განისაზღვრებოდა შემდეგ სახით: 1. დ. მ-ძე – 127000 აშშ დოლარი – 20%; 2. ს. ა-ანი – 127000 აშშ დოლარი – 20%; 3. მ. ა-ანი – 127000 აშშ დოლარი – 20%; 4. კ. ა-ანი – 190500 აშშ დოლარი – 30%; 5. გ. ლ-ძე – 63500 აშშ დოლარი – 10%. საწესდებო კაპიტალი განისაზღვრა 635000 აშშ დოლარით. შპს «...» დამფუძნებელ პარტნიორთა 1996 წლის 15 მარტის<sup>1</sup>... კრებაზე მიღებული იქნა გადაწყვეტილება დ. მ-ძის შპს «...» დირექტორის თანამდებობიდან გათავისუფლებისა და საზოგადოების დირექტორად დ. მ-შვილის დანიშვნის შესახებ. 1996 წლის 4 აპრილს, ... რაიონის სასამართლოს განცხადებით მიმართეს შპს «...» დამფუძნებლებმა და მოითხოვეს შპს «...» პარტნიორთა 1996 წლის 15 მარტის<sup>1</sup>... კრების გადაწყვეტილების საფუძველზე სამეწარმეო რეესტრში ცვლილებების და ახალი წესდების რეგისტრაცია. ... რაიონის სასამართლოს 1996 წლის 4 აპრილის დადგენილებით რეგისტრირებულ იქნა შპს «...» ახალი წესდება და ცვლილებები სამეწარმეო რეესტრში. შპს «...» დამფუძნებლები და მათი წილები საწესდებო კაპიტალში განისაზღვრა შემდეგი სახით: 1. კ. ა-ანი 254000 აშშ დოლარი – 40%, მ. ა-ანი – 158750 აშშ დოლარი – 25%; 2. ს. ა-ანი – 158750 აშშ დოლარი – 25%; 3. გ. ლ-ძე – 63500 აშშ დოლარი – 10%. შპს «...» დამფუძნებელთა 2002 წლის 25 აპრილის<sup>117</sup> კრების გადაწყვეტილებით გ. ლ-ძე გაირიცხა საზოგადოების დამფუძნებელთა რიგებიდან და საზოგადოების კაპიტალში გ. ლ-ძის 10% წილიდან, კ. ა-ანმა მიიღო – 6%, მ. ა-ანმა – 2%, ხოლო ს. ა-ანმა – 2% და დამფუძნებელთა წილები საზოგადოების კაპიტალში განისაზღვრა შემდეგი სახით: კ. ა-ანი – 46%, მ. ა-ანი – 27%, ს. ა-ანი 27%. ქ.თბილისის, ... რაიონული სასამართლოს 2002 წლის 31 ოქტომბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა შპს «...» დამფუძნებლების – კ. ა-ანის, მ. ა-ანის და ს. ა-ანის სარჩელი გ. ლ-ძის მიმართ და შპს «...» 2002 წლის 25 აპრილის<sup>1</sup>... კრების ოქმი ცნობილ იქნა იურიდიულ საბუთად და გატარდა შესაბამისი ცვლილებები სამეწარმეო რეესტრში. აღნიშნული ცვლილება ... რაიონული სასამართლოს 2002 წლის 30 დეკემბრის დადგენილებით დარეგისტრირდა სამეწარმეო რეესტრში. შპს «...» დამფუძნებელთა 2004 წლის 22 მარტის<sup>125</sup> კრების გადაწყვეტილებით, გარდაცვლილი დამფუძნებელი პარტნიორის – კ. ა-ანის ნაცვლად, კანონისმიერი სამკვიდრო მოწმობის საფუძველზე საზოგადოების დამფუძნებელთა შემადგენლობაში შევიდა კ. ა-ანის მეუღლე ლ. თ-ძე, რომელსაც გადაეცა კ. ა-ანის წილი შპს «...» კაპიტალში – 46%. დადგენილია, რომ დ. მ-ძემ 2007 წლის 12 დეკემბერს მიმართა შპს «...» გენერალურ დირექტორ დ. მ-შვილს საზოგადოების პარტნიორთა კრების მოწვევის შესახებ, ხოლო 2008 წლის 13 თებერვალს განმეორებით მოითხოვა საზოგადოების პარტნიორთა კრების მოწვევა, დღის წესრიგით, საზოგადოების 2007 წლის შედეგების განხილვის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში მიმართავდა სასამართლოს უფლების დასაცავად. შპს «...» დირექტორ დ. მ-შვილის 2008 წლის 25 თებერვლის<sup>1020</sup> წერილით დ. მ-ძეს წერილის პასუხად ეცნობა, რომ, როგორც პარტნიორი, რეგისტრირებული არ იყო შპს «...» სამეწარმეო რეესტრში და კრების მოწვევისა და ინფორმაციის მოთხოვნის უფლება არ ჰქონდა. მოწმის სახით დაკითხული გ. ლ-ძის ჩვენებით, სასამართლომ დადგინდა მიიჩნია, რომ შპს «...» დამფუძნებელთა შემადგენლობიდან დ. მ-ძის გასვლის შესახებ მისთვის ცნობილი გახდა მხოლოდ 2009 წელს. 1996 წლის 15 მარტს საქართველოში არ იმყოფებოდა და არც კრების ჩატარების შესახებ ყოფილა ცნობილი, რადგან ცხოვრობდა გერმანიაში, ასრულებდა საზოგადოების საქმიანობის ტექნიკურ მხარეს კ. ა-ანის დავალებით, ძირითად საქმიანობას კი ახორციელებდა დ. მ-ძე. რაც შეეხება ხელმოწერებს წესდებებსა და სასამართლოსათვის მიმართულ განცხადებაზე, როდესაც თბილისში ჩამოვიდა 1999 წელს, მაშინ მოაწერა დოკუმენტებს ხელი კ. ა-ანის თხოვნით და დოკუმენტები არ წაუკითხავს. გ. ლ-ძის განმარტებით, დივიდენდი საზოგადოებისაგან არ მოუთხოვია, ვინაიდან საზოგადოება მოგებას ვერ იღებდა და წილიური ბალანსის მიხედვით იყო ზარალზე. სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2010 წლის 16 ივნისის<sup>1</sup>... დასკვნის მიხედვით, ქ.თბილისის ვაკის რაიონის სასამართლოსადმი მიმართული, 1996 წლის 15 მარტით დათარიღებული განცხადება შპს «...» დამფუძნებელთა შემადგენლობიდან გასვლაზე თანხმობის შესახებ შესრულებულია დ. მ-ძის მიერ.

საპედაგოგო სასამართლოს განმარტებით, წინააღმდეგობრივია აპელანტების პოზიცია, 1996 წლის 4 აპრილს განხორციელებული ცვლილებების რეგისტრაციის საფუძველთან დაკავშირებით. შპს «...» წარმომადგენლის განმარტებით, რეგისტრაცია განხორციელდა დ. მ-ძის განცხადების, ხოლო დამფუძნებელი პარტნიორების პოზიციით – დამფუძნებელთა გადაწყვეტილების – 1996 წლის 15 მარტის კრების ოქმის საფუძველზე. საქმეში წარმოდგენილია აღნიშნული კრების ოქმის ორგვარი რედაქცია. ამასთან, სამეწარმეო საქმის მასალებში არსებული ოქმის მიხედვით, 1996 წლის 15 მარტის კრებას ესწრებოდა ხუთივე დამფუძნებელი (მათ შორის – გ. ლ-ძე, რომელიც, თავისივე განმარტებით, არ იმყოფებოდა საქართველოში) და დღის წესრიგით განხილულ იქნა შემდეგი საკითხები: საზოგადოების დირექტორის თანამდებობიდან გათავისუფლება და დირექტორის დანიშვნა. დამფუძნებლების მოსაზრებით, დირექტორი დ. მ-ძე ვერ ართმევდა თავს საქმიანობას, არღვევდა წესდებებს, სამეწარმეო ეთიკას, არ სარგებლობდა ნდობით კონტრაქტებთან, რაც პირდაპირ აისახა საზოგადოების საქმიანობაზე. დ. მ-ძემ თანხმობა გამოთქვა დირექტორის თანამდებობიდან გათავისუფლებაზე. აღნიშნულ საკითხზე ჩატარდა კენჭისყრა, რა დროსაც მონაწილეობა არ მიუღია დ. მ-ძეს,

შესაბამისად, გადაწყვეტილება მისთვის უნდობლობის გამოცხადებისა და დირექტორობიდან გათავისუფლების თაობაზე მიღებულ იქნა კრებაზე დამსწრე ოთხი პარტნიორის მიერ, რომლებიც ფლობდნენ ხმების 80%-ს. კრების ოქმითა და წინასწარი დღის წესრიგით არ დასტურდება სააპელაციო საჩივრებში მითითებული გარემოება, საზოგადოებიდან გასვლის თაობაზე დ. მ-მის განცხადების განხილვის, მით უფრო – კრების მიერ ამგვარი გადაწყვეტილების მიღების შესახებ. ამავე კრების გადაწყვეტილებით, დირექტორად არჩეულ იქნა დ. მ-შვილი, რომელსაც დაევალა, წარმოედგინა წინადადება დ. მ-მის მატერიალური პასუხისმგებლობის შესახებ. შესაბამისად, სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ 1996 წლის 15 მარტის კრებაზე დამფუძნებლების მიერ დ. მ-მის პარტნიორთა წრიდან გასვლის საკითხი არ გადაწყვეტილა. უფრო მეტიც, არ დასტურდება აპელანტების პოზიცია, რომ მოსარჩელემ ოდესმე მიმართა საზოგადოებას პარტნიორობიდან გასვლის საკითხის გადაწყვეტის მოთხოვნით. სასამართლომ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება, რომ შესაძლებელია პარტნიორმა მოითხოვოს საზოგადოებიდან გასვლა, იგი თავისუფალია ნების გამოვლენაში, ამის შესახებ მან უნდა მიმართოს საზოგადოებას, თუმცა მხოლოდ პარტნიორის მიმართებით არ სრულდება საზოგადოებიდან გასვლის პროცედურა. საზოგადოებიდან გასვლა რთული პროცედურაა და უნდა განხორციელდეს საზოგადოებისთვის მიმართვის და ამ უკანასკნელის მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების გზით, როგორც პარტნიორის გასვლის მოთხოვნის დაკმაყოფილების, ასევე მისი წილის კომპენსაციის საშუალების გამოძებნის, გასული პარტნიორის წილის შემდგომი გადანაწილების, წესდების შესაბამისი ცვლილების შესახებ, რაც ნოტარიულად დამოწმებული სახით ექვემდებარება სარეგისტრაციოდ წარდგენას და იურიდიულ ძალას იძენს ცვლილებების რეგისტრაციის შემდეგ. სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტთა მითითება, რომ დ. მ-მემ განცხადებაში დააფიქსირა ნება საზოგადოებიდან გასვლის შესახებ, რაც საკმარისი საფუძველი იყო სამეწარმეო რეესტრში ცვლილებების განხორციელებისთვის იმ საფუძველით, რომ სამოქალაქო კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოსადმი მიმართვაში გამოხატული ნება არ შეიძლება ნამდვილად ჩაითვალოს. თავად განცხადებაში აღნიშნულია, რომ კრების გადაწყვეტილებით განმცხადებელი უკვე გათავისუფლებულია დირექტორობიდან და სურვილი აქვს დამფუძნებლების შემადგენლობიდან გასვლის. ამასთან, უარს აცხადებს ყველანაირ პრეტენზიაზე დამფუძნებლებთან და საზოგადოებასთან. პალატის განმარტებით, გარდა იმისა, რომ აღნიშნული განცხადება არ იქნა წარდგენილი უფლებამოსილი პირისთვის, შინაარსიდან გამომდინარე, ნათელია, რომ მისი ავტორისთვის ცნობილია, რომ გადაყენებულია დირექტორობიდან, თუმცა ასევე დარწმუნებულია, რომ კვლავ საწარმოს პარტნიორს წარმოადგენს. აღნიშნული გარემოება გამორიცხავს 15 მარტის კრების გადაწყვეტილების საფუძველზე, საკუთარი განცხადებით დ. მ-მის პარტნიორობიდან გასვლის ფაქტს. სასამართლომ დადგინდად მიიჩნია, რომ 15 მარტს კრების ჩატარების შემდეგ დ. მ-მის მიერ განცხადებაზე ხელის მოწერის ფაქტს ადასტურებს სანოტარო აქტი, რომლის მიხედვითაც, განცხადებაზე მოსარჩელის ხელმოწერა შესრულებულია 3 აპრილს. სასამართლომ არ გაიზიარა საზოგადოების წარმომადგენელთა პოზიცია, რომლის თანახმადაც, მოსარჩელის განცხადება გახდა საფუძველი მისი პარტნიორობიდან გაყვანისა, ვინაიდან იგი 4 აპრილის დადგენილებით განხორციელებულ ცვლილების საფუძველად არც არის მითითებული და სამართლებრივი დატვირთვითაც ვერ იქნება ამგვარად მიჩნეული «მეწარმეთა შესახებ» საქართველოს კანონის 47.2 მუხლისა და საზოგადოების წესდების 12.8 პუნქტის საფუძველზე. სასამართლომ აღნიშნული პოზიციის დასადასტურებლად ასევე მიუთითა «მეწარმეთა შესახებ» საქართველოს კანონის 19.1 მუხლზე.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტთა მოსაზრება სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის ათვლის დასაწყისად 1996 წლის 4 აპრილის მიჩნევის თაობაზე იმ საფუძველით, რომ პირი არ არის ვალდებული, განახორციელოს მონაცემების სისტემატური კონტროლი, მხოლოდ იმის გამო, რომ აღნიშნული მონაცემები საჯაროა. პალატის განმარტებით, ხანდაზმულობის ვადის ათვლის დასაწყისი დაკავშირებულია პირის უფლების დარღვევის მომენტთან, თუ მან იცის ამის შესახებ ან, თუ მას უნდა სცოდნოდა ამის შესახებ. ვადის დინების დაწყების საკითხი უკავშირდება სუბიექტურ ფაქტორს – პირის ინფორმირებულობას, ან რაიმე ობიექტურ გარემოებას, რომელიც იძლევა საფუძველს ვარაუდისა, უფლების დარღვევის შესახებ. მოთხოვნის ხანდაზმულობის მტკიცების ტვირთი მოპასუხეს ევალება. მან უნდა დაადასტუროს, რომ მოსარჩელემ იცოდა უფლების დარღვევის შესახებ, ან არსებობს ისეთი ფაქტობრივი გარემოება, რომელიც ადასტურებს, რომ მოსარჩელეს შეეძლო სცოდნოდა მისი უფლების დარღვევის შესახებ. ასეთ შემთხვევაში მოპასუხის მიერ უნდა დასახელდეს თარიღი ან მოვლენა, რომლის დადგომასთან დაკავშირებული უნდა იქნეს დაზარალებულის ექვის გაჩენა, რაც მას მოტივაციას აძლევს იაქტიურად და გაარკვიოს თავისი უფლებრივი მდგომარეობა. სამოქალაქო სამართალში მოქმედი კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარე, პირს არ შეიძლება მოეთხოვოს, გამუდმებით აკონტროლოს უფლებრივი მდგომარეობა იმ ვარაუდით, რომ მას სხვა პირის არაკეთილსინდისიერი ქმედებით საფრთხე შეექმნება. მხოლოდ ის გარემოება, რომ მოსარჩელემ სასამართლოსადმი მიმართულ განცხადებაში დააფიქსირა სურვილი პარტნიორობიდან გასვლის შესახებ, არ ხდის ვალდებულს, ეწარმოებინა სამეწარმეო რეესტრის სისტემატური კონტროლი – ხომ არ მოყოლია რაიმე ცვლილება მის ამ განცხადებას, ვინაიდან, როგორც აღინიშნა, მისი ნება არ ყოფილა გამოხატული უფლებამოსილი პირის მიმართ და მას არც შედეგების მოლოდინის ვალდებულება გააჩნდა.

არ იქნა გაიზარებული ასევე 1996 წლის 15 მარტიდან სარჩელის ხანდაზმულობის ვადის ათვლის თაობაზე აპელანტთა მოსაზრება, რომლის თანახმადაც, ეს უკანასკნელი მოსარჩელის მიერ საფინანსო და ქონებ-

რივი მდგომარეობის ამსახველი 1999 და 2000 წლების დეკლარაციებით ასაბუთებდნენ, სადაც საწარმოში პარტნიორად მონაწილეობის პერიოდად 1992-1996 წლები, ასევე, 5 წლიანი პერიოდი მითითებული. პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნა, რომ 1999 და 2000 წლების დეკლარაციებში საწარმოს პარტნიორად მონაწილეობის თაობაზე მითითება ადასტურებს, რომ მათი შევსების დროისთვის მოსარჩელე თავს კვლავ საწარმოს პარტნიორად თვლიდა, რაც გამორიცხავს დარღვეული უფლების შესახებ დ. ძ-ის ინფორმირებას 1997 წელსვე. იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ საწარმო არ გასცემდა დივიდენდებს, ამ პერიოდის განმავლობაში არ მოუწვევია პარტნიორთა კრება, არ განუხილავს მოსარჩელისთვის წილის კომპენსაციის საკითხი, ან არსებობდა რაიმე სხვა ობიექტური გარემოება, რითაც შესაძლებელი იქნებოდა იმის დადასტურება, რომ დ. ძ-ისთვის ცნობილი იყო, ან შეეძლო სცოდნოდა პარტნიორობიდან გასვლის შესახებ 2008 წლამდე. ასეთ ვითარებაში, მხოლოდ იმ გარემოების გამო, რომ სადავო მოვლენიდან გასულია საერთო ხანდაზმულობის ვადა – 10 წელი.

სასამართლოს მითითებით, მოპასუხეთა მიერ წარმოდგენილი 1996 წლის 15 მარტის კრების 1... ოქმი, რომელიც სარეგისტრაციოდ წარდგენილი კრების ოქმისაგან შინაარსობრივად განსხვავებულ გადაწყვეტილებას შეიცავს, არ დადებია საფუძვლად სამეწარმეო რეესტრში 1996 წლის 4 აპრილის ცვლილებას და მას არ შეუღალავს მოსარჩელის ინტერესი. სწორედ ამ საფუძვლით, გასაჩივრებული გადაწყვეტილებით, უარი ეთქვა მოსარჩელეს მის ბათილად ცნობაზე იურიდიული ინტერესის არარსებობის გამო და გადაწყვეტილება ამ სახით შევიდა კანონიერ ძალაში, რაც პროცესუალურად ვერ დააბრკოლებს მოსარჩელის მოთხოვნის დაკმაყოფილებას წილის მესაკუთრედ აღდგენის შესახებ. 1996 წლის 15 მარტის კრების 1... ოქმის კანონიერების საკითხი სასამართლოს მიერ არსებითად არ განხილულა და მას არც სამართლებრივი შედეგი მოჰყოლია.

სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა აპელანტთა მოსაზრება, რომ 1996 წლის 4 აპრილის სასამართლო დადგენილების დადგენილი საპროცესო წესით გაუსაჩივრებლობის გამო შეუძლებელია სარჩელის დაკმაყოფილება, რადგანაც, «მეწარმეთა შესახებ» საქართველოს კანონის 5.8 მუხლის თანახმად, საამისო წინამძღვრების არსებობისას შესაძლებელი იყო რეგისტრაციის გაუქმება როგორც სასამართლოს მიერ სამეწარმეო რეესტრიდან ამოშლით, ასევე პარტნიორის ან მესამე პირის სარჩელის საფუძველზე. შესაბამისად, წინამდებარე სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილება უფლებრივი საკითხის გადაწყვეტა შესაძლებელია, რაც სარეგისტრაციო მონაცემების შემდგომ ცვლილებას გამოიწვევს.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გასაჩივრეს ლ. თ-ძემ, ს. და მ. ა-ანებმა, მოითხოვეს გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი დასაბუთებით:

სააპელაციო სასამართლოს განჩინება უკანონოა, არ შეესამაება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა», «ბ» და «გ» ქვეპუნქტებს, ამავე მუხლის მე-3 ნაწილს და 394-ე მუხლის «ე1» ქვეპუნქტს, რადგანაც სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება გამოტანილია არა მარტო მატერიალურ-სამართლებრივი დარღვევით, არამედ სასამართლომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნათა დაცვით არ გამოიკვლია საქმეში არსებული მტკიცებულება, ზოგ შემთხვევაში კი გასაჩივრებულ განჩინებაში მხარის მიერ სადავოდ მიჩნეულ გარემოებებზე არაფერია ნათქვამი.

სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებული განჩინებით გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, ისე, რომ არ შეუფასებია აპელანტთა დასაბუთებული მითითებები, პალატამ აპელანტთა მოსაზრება გაიზიარა მხოლოდ იმ ნაწილში, სადაც აღნიშნულია, რომ წილის დათმობის შესახებ ხელშეკრულება არ შეიძლება მიჩნეულ იქნას საზოგადოებიდან გასვლის ერთადერთ ფორმად და ეს შესაძლებელია საზოგადოებიდან გასვლის მსურველი პარტნიორის განცხადების საფუძველზე განხორციელდეს. სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნების გაზიარებისას ყურადღება გაამახვილა გარემოებებზე, რომელიც მოსარჩელეს არც კი მიუთითებია სარჩელში, რითაც დაარღვია შეჯიბრებითობის პრინციპი. საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების სწორი სამართლებრივი შეფასების შემთხვევაში კი სარჩელის უსაფუძვლობა მარტივად დადასტურდება. სააპელაციო სასამართლომ არასწორად მიუთითა აპელანტთა პოზიციის წინააღმდეგობრიობაზე შპს «...» სარეგისტრაციო მონაცემებში ცვლილებების განხორციელების თაობაზე. სასამართლოს აღნიშნული დასკვნა ეფუძნება უმართებულო მსჯელობას, თითოეული აპელანტი ადასტურებდა, რომ ცვლილებების განხორციელების საფუძველი გახდა როგორც პარტნიორთა კრების ოქმი, ისე დ. ძ-ის განცხადება, ასევე, პარტნიორთა განცხადება ცვლილების განხორციელების თაობაზე და საზოგადოების წესდების ახალი რედაქცია. აღნიშნულ პოზიციას მხარე უჭერდა შპს «...» წარმომადგენელიც.

მოცემულ საკითხზე წინააღმდეგობრივი სწორედ სააპელაციო სასამართლოს მსჯელობაა, რადგანაც სასამართლომ არასწორი შეფასება მისცა მხარეთა განმარტებებსა და მტკიცებულებებს, სასამართლო განმარტავს, რომ არ დასტურდება დ. ძ-ის საზოგადოებისადმი მიმართვის ფაქტი პარტნიორობიდან გასვლის თაობაზე, ასევე, აღნიშნავს, რომ საზოგადოებიდან გასვლის პროცესი გულისხმობს საზოგადოების მხრიდან პარტნიორის მოთხოვნის დაკმაყოფილებას, მისი წილის კომპენსაციას, გასული პარტნიორის წილის განაწილებას დარჩენილ პარტნიორთა შორის და აღნიშნული ცვლილების შესაბამის რეესტრში რეგისტრაციას. სასამართლოს მსჯელობაში მითითებული ყველა პროცედურის გავლა დასტურდება საქმის მალსალებით, რაც არ არის გამოკვლეული და ასახული გასაჩივრებულ განჩინებაში.

სამეწარმეო რეესტრში ცვლილების შეტანის საფუძველს მხოლოდ დ.ძ-ის განცხადება არ წარმოადგენდა, არამედ, სწორედ დ. ძ-ის განცხადების საფუძველზე შედგა არაერთი დოკუმენტი: განცხადება სამეწარმეო რეესტრში ცვლილების განხორციელების შესახებ, საზოგადოების წესდება ახალი რედაქციით, სადაც გარკვევითაა მოთითებული მოსარჩელის საზოგადოებიდან გასვლის, პარტნიორთა ახალი შემადგენლობისა და დ. ძ-ის წილის განსაზღვრის შესახებ. სწორედ ამ დოკუმენტების საფუძველზე 1996 წლის 4 აპრილს სასამართლომ განახორციელა საწარმოს ხელახალი რეგისტრაცია, სადაც პარტნიორად დ.ძ-მ აღარ მონაწილეობდა.

ამდენად, არასწორია სასამართლოს მითითება, რომ მოსარჩელის მიერ სასამართლოსადმი გამოვლენილი ნება არ არის ნამდვილი, რადგანაც დასტურდება, რომ იგი სწორედ სამოქალაქო კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად მიუვიდა ადრესატს.

დანარჩენი პარტნიორების ინფორმირების ფაქტი იმ უდავო გარემოებითაც დასტურდება, რომ განცხადება სასაზოგადოებო წესით დამოწმდა 1996 წლის 3 აპრილს, იმ დღეს, როდესაც ამავე სასაზოგადოებო ბიუროში დამოწმდა საზოგადოების წესდების ახალი რედაქცია, პარტნიორთა განცხადება სამეწარმეო რეესტრის მონაცემებში ცვლილების შეტანის თაობაზე და სხვა. ამასთან, თანმიმდევრულია აღნიშნული დოკუმენტების სასაზოგადოებო რეესტრში რეგისტრაციის რიგითობაც, რაც პარტნიორთა განმარტებებთან ერთად შეფასების შემთხვევაში, სასამართლოს უნდა მიეჩნია განცხადების თაობაზე პარტნიორთა ინფორმირებად.

დაუსაბუთებელია სასამართლოს მითითება, რომ 1996 წლის 15 მარტის ოქმი არ წარმოადგენს ცვლილების რეგისტრაციის განხორციელების მტკიცებულებას იმ საფუძველით, რომ არ არის რეგისტრირებული სამეწარმეო რეესტრში, რადგანაც აღნიშნული ოქმის არსებობა და მისი, როგორც დოკუმენტის, ნამდვილობა, სადავო არაა, სამეწარმეო რეესტრში კი მისი არსებობა არ გულისხმობს იმას, რომ ეს დოკუმენტი იურიდიული ძალის არმქონეა და სამართლებრივ შედეგს არ წარმოშობს. დოკუმენტის ნამდვილობას ადასტურებს ისიც, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოში მოსარჩელემ გაზრდილი სასარჩელო მოთხოვნით მოითხოვა ამ ოქმის ბათილად ცნობა, რითაც ფაქტობრივად აღიარა დოკუმენტის იურიდიული ძალა. მართალია, სასამართლოს გადაწყვეტილებით მოსარჩელეს უარი ეთქვა ოქმის ბათილად ცნობაზე, თუმცა სასამართლო გადაწყვეტილებითვე ადგენს სადავო მტკიცებულებას – ოქმის არსებობის ფაქტს. ამასთან, არ იკვლევს მის ნამდვილობას. სასამართლოს მსჯელობის გაზიარების შემთხვევაში კი ირკვევა, რომ ოქმი, რომელიც არ შეიცავს კონკრეტულ მითითებას პარტნიორობიდან მოსარჩელის გასვლის თაობაზე, სხვა მტკიცებულებებთან ერთობლიობაში წარმოადგენს საზოგადოების დანარჩენი პარტნიორების ინფორმირების დამადასტურებელ მტკიცებულებას. სწორედ სამეწარმეო რეესტრში არსებული ახალი რედაქციით ჩამოყალიბებული საზოგადოების წესდება, რომელიც პარტნიორთა გადაწყვეტილების ტოლფასია, შეიცავს შესაბამის მითითებას სადავო გარემოებაზე.

სასამართლომ საკუთარი ინიციატივით გამოიკვლია განცხადების შინაარსი, რისი უფლებაც მას არ გააჩნდა, რადგანაც დ. ძ-მ განცხადების შინაარსს სადავოდ არ ხდიდა, არამედ უარყოფდა განცხადებაზე ხელმოწერის ნამდვილობას, რაც ექსპერტიზის საფუძველზე მოსარჩელის საწინაარმდეგოდ გადაწყდა.

კასატორთა მითითებით, სასამართლომ ასევე არასწორად გადაწყვიტა მოსარჩელის წილის კომპენსაციის საკითხი, კერძოდ, სადავო განცხადებით ირკვევა, რომ მოსარჩელე უარს ამბობს არა მხოლოდ გასვლის დროისათვის, არამედ სამომავლოდ წარმოშობილ პრეტენზიაზეც და წილის კომპენსაციის საკითხის გადაწყვეტაც ვერ გახდებოდა პარტნიორების მსჯელობის საგანი, ამასთან, წილის კომპენსაციის საკითხის გადაწყვეტა შეიძლება განხორციელდეს საზოგადოებიდან პარტნიორის გასვლის შემდეგაც და აღნიშნული გარემოება პარტნიორის საზოგადოებიდან გასვლის ნამდვილობას არ ადასტურებს. იმ შემთხვევაში კი, თუ დ. ძ-მ დაიტოვებდა საზოგადოებიდან წილის კომპენსაციის მოთხოვნის უფლებას და საწარმო დაარღვევდა ამ ვალდებულებას, აღნიშნული დამოუკიდებელი დავის საგანი უნდა განხდარიყო. თავად განცხადების შინაარსი კი მეტყველებს სარჩელის უსაფუძვლობაზე, რადგანაც მოსარჩელემ უარი განაცხადა წილის კომპენსაციის მოთხოვნაზე, ასევე დასტურდება მოთხოვნის ხანდაზმულობა.

საზოგადოებოების პარტნიორთა კრების სადავო ოქმის ბათილობა მოსარჩელემ დაზუსტებული სარჩელით მოითხოვა და მოთხოვნის იურიდიულ ინტერესსად მიუთითა, რომ წილის მესაკუთრედ ცნობის საკითხის გადაწყვეტა ამ მოთხოვნის განხილვის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა.

სასამართლომ, მართალია, კრების ოქმის ბათილად ცნობის მოთხოვნა არ დააკმაყოფილა, თუმცა მოსარჩელე ცნო საწესდებო კაპიტალის წილის მესაკუთრედ, რის შედეგადაც გამოდის, რომ არსებობს კრების ოქმი პარტნიორის საზოგადოებიდან გასვლის შესახებ და სასამართლოს გადაწყვეტილებით მხარეს მიეკუთვნა წილი საწესდებო კაპიტალიდან.

სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველს ის ფაქტიც ადასტურებდა, რომ შპს «...» ხელახალი რეგისტრაცია სასამართლოს დადგენილების საფუძველზე განხორციელდა, რაც ფორმალური და სამართლებრივი თვალსაზრისით, სასამართლო გადაწყვეტილებაა და მისი გასაჩივრების შესაძლებლობას «მეწარმეთა შესახებ» საქართველოს კანონის 5.8 მუხლი ითვალისწინებს, თუმცა მოსარჩელეს აღნიშნული დადგენილება სადავო არ გაუხდია. ვინაიდან მოცემული დავის საგანი არ არის საწარმოს რეგისტრაციის გაუქმება, არ არსებობს საწესდებო კაპიტალის წილის მესაკუთრედ მოსარჩელის ცნობის წინაპირობა. კასატორთა მი-



თითებით, სარჩელის დაკაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველია ისიც, რომ მოცემულ საქმეში დ. მ-მ არ ითხოვს წესდების, როგორც სამოქალაქო გარიგების ბათილად ცნობას.

დაუსაბუთებელია ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების მსჯელობა ხანდაზმულობის საკითხთან მიმართებით, კერძოდ, რომ მხარემ უფლების დარღვევის შესახებ შეიტყო 2007 წელს, რადგანაც საქმის მასალებით დასტურდება სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლით რეგლამეტირებული უფლების დარღვევის ობიექტური და სუბიექტური ფაქტორების შესახებ. სასამართლოსათვის განცხადებით მიმართვის ფაქტი, რომლითაც მოსარჩელე მოითხოვდა საზოგადოების პარტნიორობიდან გასვლას, ადასტურებს მოსარჩელის ინფორმირებას და გამორიცხავს სასამართლოს მსჯელობას, რომ ხანდაზმულობის ვადის დენა დაიწყო 2007 წელს. განცხადების შედგენის დროიდან ხანდაზმულობის ვადის დენას გარკვეულწილად მოსარჩელეც ადასტურებს, კერძოდ, მან უარყო ამ განცხადებაზე მისი ხელმოწერის ნამდვილობა, რაც ექსპერტის დასკვნით გადაწყდა მის საწინააღმდეგოდ.

საპელაციო პალატის მსჯელობას აქარწყლებს ის გარემოებაც, რომ დ. მ-მ წერილობით, ასევე, მის მიერ შედგენილი განცხადების საფუძველზე ინფორმირებული იყო სადავო საკითხების თაობაზე. რაც შეეხება სასამართლოს მსჯელობას საქმეში წარმოდგენილი მოსარჩელის ქონებრივი დეკლარაციის თაობაზე, სასამართლოს მსჯელობა ამ ნაწილშიც დაუსაბუთებელია, რადგანაც, ქონებრივი დეკლარაციების თანახმად, მოსარჩელე საზოგადოების პარტნიორად ყოფნის პერიოდად უთითებს 1992-1996 წლებს და შემდგომ, 1999 წლამდე შედგენილ დეკლარაციებში იგი აღნიშნულ ინფორმაციას აღარ ადასტურებს. ამასთან, სასამართლოს შეფასება არ მიუცია იმ ფაქტისთვისაც, რომ 12 წლის განმავლობაში მოსარჩელის მონაწილეობა საზოგადოების მართვაში არ დასტურდება, რითაც ირღვევა «მეწარმეთა შესახებ» საქართველოს კანონის მოთხოვნები.

ხანდაზმულობის ვადის ათვლისას საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ მოსარჩელის მოთხოვნა არა მხოლოდ «მეწარმეთა შესახებ» საქართველოს კანონის მე-15 მუხლის, არამედ სამოქალაქო კოდექსის 128-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისადაც ხანდაზმულია. ამ საკითხზე საკასაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განჩინებით დადგენილი ერთგვაროვანი პრაქტიკის თანახმად, ხანდაზმულობის 10-წლანი ვადის დენის დაწყება უკავშირდება სადავო ურთიერთობის წარმოშობის მომენტს მიუხედავად იმისა, მხარემ ობიექტურად რა დროიდან შეიტყო უფლების დარღვევის თაობაზე.

საპელაციო სასამართლო გასაჩივრებული განჩინებით ასკვნის დ. მ-ის საზოგადოებიდან გასვლის ფაქტის არარსებობას, რაც სინამდვილეს არ შეესაბამება. აღნიშნულ მოსაზრებას ამყარებს ქ.თბილისის ვაკის რაიონის სასამართლოს 1996 წლის 4 აპრილს დადგენილებით საწარმოს ხელახალი რეგისტრაცია, რომლის თანახმადაც პარტნიორად დ. მ-მ არ მოიაზრება, თავად სამეწარმეო რეესტრის მონაცემების მიმართ «მეწარმეთა შესახებ» საქართველოს კანონის მე-4 და მე-7 მუხლების თანახმად, მოქმედებს უტყუარობისა და სიზუსტის პრეზუმფცია, ხოლო საქმეში წარმოდგენილი დეკლარაციები მოსარჩელის ქონებრივი მდგომარეობის შესახებ, ასევე განცხადება საზოგადოების წევრობიდან გასვლის თაობაზე საპელაციო პალატის მსჯელობის უსაფუძვლოდ მიჩნევის საფუძველია.

დაუსაბუთებელია ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების მსჯელობა ხანდაზმულობის საკითხთან დაკავშირებით, კერძოდ, შემდეგი: მხარემ უფლების დარღვევის შესახებ შეიტყო 2007 წელს, რადგანაც საქმის მასალებით დასტურდება სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლით რეგლამეტირებული უფლების დარღვევის ობიექტური და სუბიექტური ფაქტორების შესახებ. სასამართლოსათვის განცხადებით მიმართვის ფაქტი, რომლითაც მოსარჩელე მოითხოვდა საზოგადოების პარტნიორობიდან გასვლას, ადასტურებს მოსარჩელის ინფორმირებას და გამორიცხავს სასამართლოს მსჯელობას, რომ ხანდაზმულობის ვადის დენა დაიწყო 2007 წელს. განცხადების შედგენის დროიდან ხანდაზმულობის ვადის დენას გარკვეულწილად მოსარჩელეც ადასტურებს, კერძოდ, მან უარყო ამ განცხადებაზე თავისი ხელმოწერის ნამდვილობა, რაც ექსპერტის დასკვნით გადაწყდა მის საწინააღმდეგოდ.

საპელაციო პალატის მსჯელობას აქარწყლებს ის გარემოებაც, რომ დ.მ-მ წერილობით, ასევე, თავისი შედგენილი განცხადების საფუძველზე ინფორმირებული იყო სადავო საკითხების თაობაზე. რაც შეეხება სასამართლოს მსჯელობას საქმეში წარმოდგენილი მოსარჩელის ქონებრივი დეკლარაციის თაობაზე, სასამართლოს მსჯელობა ამ ნაწილშიც დაუსაბუთებელია, რადგანაც, ქონებრივი დეკლარაციების თანახმად, მოსარჩელე საზოგადოების პარტნიორად ყოფნის პერიოდად უთითებს 1992-1996 წლებს და შემდგომ, 1999 წლამდე შედგენილ დეკლარაციებში იგი აღნიშნულ ინფორმაციას აღარ ადასტურებს, ამასთან სასამართლოს შეფასება არ მიუცია იმ ფაქტისთვისაც, რომ 12 წლის განმავლობაში მოსარჩელის მონაწილეობა საზოგადოების მართვაში არ დასტურდება, რითაც ირღვევა «მეწარმეთა შესახებ» საქართველოს კანონის მოთხოვნები.

ხანდაზმულობის ვადის ათვლისას საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ მოსარჩელის მოთხოვნა არა მხოლოდ «მეწარმეთა შესახებ» საქართველოს კანონის მე-15 მუხლის, არამედ სამოქალაქო კოდექსის 128-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისადაც ხანდაზმულია. ამ საკითხზე საკასაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განჩინებით დადგენილი ერთგვაროვანი პრაქტიკის თანახმად, ხანდაზმულობის 10-წლანი ვადის დენის დაწყება უკავშირდება სადავო ურთიერთობის წარმოშობის მომენტს მიუხედავად იმისა, მხარემ ობიექტურად რა დროიდან შეიტყო უფლების დარღვევის თაობაზე.

საპელაციო სასამართლო გასაჩივრებული განჩინებით ასკვნის დ.მ-ის საზოგადოებიდან გასვლის ფაქტის არარსებობას, რაც სინამდვილეს არ შეესაბამება. აღნიშნულ მოსაზრებას ამყარებს ქ.თბილისის ვაკის რა-



იონის სასამართლოს 1996 წლის 4 აპრილს დადგენილებით საწარმოს ხელახალი რეგისტრაცია, რომლის თანახმადაც პარტნიორად დ. ძ-მე არ მოიაზრება, თავად სამეწარმეო რეესტრის მონაცემების მიმართ «მეწარმეთა შესახებ» საქართველოს კანონის მე-4 და მე-7 მუხლების თანახმად, მოქმედებს უტყუარობისა და სიზუსტის პრეზუმფცია, ხოლო საქმეში წარმოდგენილი დეკლარაციები მოსარჩელის ქონებრივი მდგომარეობის შესახებ, ასევე განცხადება საზოგადოების წევრობიდან გასვლის თაობაზე სააპელაციო პალატის მსჯელობის უსაფუძვლოდ მიჩნევის საფუძველია.

მოსარჩელის განმარტებითვე დასტურდება, რომ იგი საზოგადოების ხელმძღვანელობიდან შპს «...» მთავარ პარტნიორთან უთხნმოების გამო გადადგა. ამასთან, კ. ა-ანის გარდაცვალების მომენტიდან – 2002 წლიდანაც დარღვეულია შედეგებისათვის დადგენილი 5-წლიანი ვადა. რაც შეეხება მოსარჩელის მითითებას საზოგადოებასთან მიმოწერის ფაქტზე, «მეწარმეთა შესახებ» საქართველოს კანონის იმ დროს მოქმედი რედაქციის 46.8 მუხლის თანახმად, საწარმოს დირექტორის შეპასუხების მიუღებლობის გამო, მას, როგორც საწარმოს 20%-იანი წილის მფლობელ პარტნიორს, თავადვე შეეძლო მოეწვია საზოგადოების პარტნიორთა კრება, რაც მოსარჩელეს არ განუხორციელებია.

კასატორთა მითითებით, სასამართლომ არასწორად შეაფასა საქმის გარემოებები, კერძოდ დადგენილად არ მიიჩნია საზოგადოებიდან მოსარჩელის გასვლის უდავო ფაქტი, რასაც შედეგად არასწორი გადაწყვეტილების გამოტანა მოჰყვა. სასამართლოს მსჯელობა, რომ პარტნიორთა გადაწყვეტილება მოსარჩელის საზოგადოებიდან გასვლის თაობაზე არ არსებობს, არასწორია, რადგანაც ამავე პარტნიორთა კრების 1996 წლის 15 მარტის ოქმის შესაბამის დებულებაში ასახულია ეს საკითხი. ამასთან, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ამ ოქმს სასამართლო იურიდიული ძალის არმქონე დოკუმენტად მიიჩნევს, პარტნიორობიდან დ.ძოწენის გასვლის ფაქტი მაინც დასტურდება პარტნიორთა მიერ ახალი რედაქციით ჩამოყალიბებული წესდებით. «მეწარმეთა შესახებ» საქართველოს კანონი კორპორაციულ ურთიერთობებში გადაწყვეტილების მიღებას მხოლოდ ოქმის ფორმით არ ითვალისწინებს, ხოლო ყველა პარტნიორის მიერ ხელმოწერილი და დამოწმებული წესდება სწორედ საზოგადოების გადაწყვეტილების ამსახველი სათანადო და უტყუარი დოკუმენტია, რომელზე ხელის მოწერის უფლებაც მოსარჩელეს არ ჰქონდა, რადგანაც სადავო საკითხის განხილვაში ის, როგორც პარტნიორი, ხმის უფლებით არ სარგებლობდა.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ მ. ა-ანის, ს. ა-ანისა და ლ. თ-ძის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება უნდა გაუქმდეს და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის «ა» ქვეპუნქტის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში თუ საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა.

განსახილველ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები. ამასთან, სააპელაციო პალატამ დამატებით განმარტა შემდეგი:

საქმეში წარმოდგენილია 1996 წლის 15 მარტის კრების ოქმის ორგვარი რედაქცია. ამასთან, სამეწარმეო საქმის მასალებში არსებული ოქმის მიხედვით, 1996 წლის 15 მარტის კრებას ესწრებოდა ხუთივე დამფუძნებელი (მათ შორის გ. ლ-ძე, რომელიც თავისივე განმარტებით არ იმყოფებოდა საქართველოში) და დღის წესრიგით განხილულ იქნა შემდეგი საკითხები: საზოგადოების დირექტორის თანამდებობიდან გათავისუფლება და დირექტორის დანიშვნა. კრების ოქმით და არც წინასწარი დღის წესრიგით არ დასტურდება სააპელაციო საჩივრებში მითითებული გარემოება, საზოგადოებიდან გასვლის თაობაზე დ. ძ-ძის განცხადების განხილვის, მით უფრო კრების მიერ ამგვარი გადაწყვეტილების მიღების შესახებ.

1996 წლის 15 მარტის კრებაზე დამფუძნებლების მიერ დ. ძ-ძის პარტნიორთა წრიდან გასვლის საკითხი არ გადაწყვეტილა. უფრო მეტიც, არ დასტურდება აპელანტების პოზიცია, რომ მოსარჩელემ ოდესმე მიმართა საზოგადოებას პარტნიორობიდან გასვლის საკითხის გადაწყვეტის მოთხოვნით.

კონკრეტულ შემთხვევაში, აპელანტები მიიჩნევენ, რომ დ. ძ-ძემ სასამართლოსადმი მიმართულ განცხადებაში დააფიქსირა ნება საზოგადოებიდან გასვლის შესახებ, რაც საკმარისი საფუძველი იყო სამეწარმეო რეესტრში ცვლილებების განხორციელებისთვის. სამოქალაქო კოდექსის 51-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, ნების გამოვლენა, რომელიც მოითხოვს მეორე მხარის მიერ მის მიღებას ნამდვილად ჩაითვლება იმ მომენტიდან, როცა იგი მეორე მხარეს მიუვა. შესაბამისად, სასამართლოსადმი მიმართვაში გამოხატული ნება არ შეიძლება ნამდვილად ჩაითვალოს.

არ უნდა იქნეს გაზიარებული აპელანტების მოსაზრება მასზედ, რომ სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის ათვლის დასაწყისად მიჩნეულ უნდა იქნეს 1996 წლის 4 აპრილი, თარიღი, როდესაც ცვლილებების რეგისტრაციის შემდეგ აღნიშნული ინფორმაცია საჯარო გახდა მესამე პირებისთვის. აღნიშნულთან დაკავშირე-

ბით, სააპელაციო სასამართლო ეთანხმება საქალაქო სასამართლოს მოსაზრებას, რომ პირი არ არის ვალდებული განახორციელოს მონაცემების სისტემატიური კონტროლი, მხოლოდ იმის გამო, რომ აღნიშნული მონაცემები საჯაროა. სააპელაციო პალატა აღნიშნავს შემდეგს: სადავო არ არის ის გარემოება, რომ საწარმო არ გასცემდა დივიდენდებს, ამ პერიოდის განმავლობაში არ მოუწვევია პარტნიორთა კრება, არ განუხილია მოსარჩელისათვის წილის კომპენსაციის საკითხი, ასევე არ არსებობდა რაიმე სხვა ობიექტური გარემოება, რითაც შესაძლებელი იქნებოდა იმის დადასტურება, რომ დ. მ-ძისთვის ცნობილი იყო, ან შეეძლო სცოდნოდა პარტნიორებიდან გასვლის შესახებ 2008 წლამდე. ასეთ ვითარებაში, მხოლოდ იმ გარემოების გამო, რომ სადავო მოვლენიდან გასულია საერთო ხანდაზმულობის ვადა – 10 წელი, სასამართლო ვერ მიიჩნევს სარჩელს ხანდაზმულად, ვინაიდან, არ დგინდება ხანდაზმულობის ვადის ათვლის დასაწყისი (ვიდრე 2008 წლამდე).

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

განსახილველ შემთხვევაში საკასაციო სასამართლო თვლის, რომ კასატორებმა დასაბუთებული პრეტენზია ნაწილობრივ წარმოადგინეს, კერძოდ, დასაბუთებულია კასატორების მითითება, რომ სააპელაციო პალატამ არასწორად შეაფასა დ. მ-ძის ნება საზოგადოებიდან გასვლის შესახებ, ყოველმხრივ და სრულად არ გამოიკვლია 1996 წლის 15 მარტის დამფუძნებელთა კრების ოქმები და სარეგისტრაციოდ წარდგენილი სხვა დოკუმენტები, ასევე მოსარჩელის მიერ 1999-2000 წლებში შევსებული თანამდებობის პირის საფინანსო დეკლარაციები ხანდაზმულობის საკითხთან მიმართებაში.

საკასაციო პალატა სრულად იზიარებს კასატორთა მითითებას იმასთან დაკავშირებით, რომ არსებობს კრების მეორე ოქმი, რომლის ნამდვილობა სადავოდ არ გამხდარა, ხოლო სამეწარმეო რეესტრში მისი არარსებობა არ ნიშნავს, რომ აღნიშნული ოქმი არ წარმოშობს იურიდიულ შედეგებს. ამდენად, საქმის ხელახლა განხილვისას სააპელაციო სასამართლომ სათანადოდ უნდა შეაფასოს ზემოხსენებული ფაქტობრივი გარემოებანი და გამოარკვიოს, თუ რა პირობებში შეიქმნა მეორე ოქმი, რომლის დღის წესრიგში ერთ-ერთ განსახილველ საკითხად მითითებულია გ. მ-ძის დამფუძნებელთა ჯგუფიდან გამოყვანა. საკასაციო პალატა სააპელაციო სასამართლოს ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებასაც, რომ ე.წ. ოქმის პირველ ვერსიაში ერთ-ერთი დამფუძნებელი პარტნიორი ს. ა-ანი თანხმობას აცხადებს დ. მ-ძის დამფუძნებელთა შემადგენლობიდან გამოყვანაზე.

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ დ. მ-ძის მიერ საზოგადოებიდან გასვლის შესახებ სასამართლოსადმი გამოხატული ნება არ შეიძლება ჩაითვალოს ნამდვილად. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ამ თვალსაზრისით საქმის ხელახლა განხილვისას სათანადო შეფასება უნდა მიეცეს იმ ფაქტობრივ გარემოებებს, რომ დ. მ-ძის 1996 წლის 15 მარტის განცხადება ... რაიონის სასამართლოსადმი, რომელშიც განმცხადებელი სურვილს გამოთქვამს დამფუძნებლების შემადგენლობიდან გასვლის შესახებ, ასევე 1996 წლის 15 მარტის დამფუძნებელთა საერთო კრების 1... ოქმის ე.წ. პირველი ვერსია და საზოგადოების ახალი წესდება იმავე წლის 3 აპრილს რეგისტრირებულია ერთსა და იმავე ნოტარიუსთან ერთმანეთის თანმიმდევრობით. გარდა ამისა, პალატა ყურადღებას მიაქცევს საქმეში წარმოდგენილ შპს «...» დამფუძნებელ პარტნიორთა 1996 წლის 4 აპრილის განცხადებას (ტ.1, ს.ფ.181), რომლის თანახმად, საზოგადოების პარტნიორები – კ. ა-ანი, მ. ა-ანი, ს. ა-ანი და გ. ლ-ძე ადასტურებენ დამფუძნებელთა შემადგენლობიდან დ. მ-ძის გასვლას. გასათვალისწინებელია ისიც, რომ საქმეში არ არის წარმოდგენილი მტკიცებულება, რომლითაც დადასტურდება, რომ ნების გამომვლენის მეორე მხარემ წინასწარ ან მაშინვე განაცხადა უარი.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ დამფუძნებელთა შემადგენლობიდან მოსარჩელის გასვლასთან დაკავშირებული სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა ზემოთ მითითებულ ფაქტობრივ დაუსაბუთებლობასთან ერთად წინააღმდეგობრივიცაა, ვინაიდან სასამართლო ერთ შემთხვევაში ავითარებს აზრს, რომ «არ დასტურდება აპელანტების პოზიცია, რომ მოსარჩელემ ოდესმე მიმართა საზოგადოებას პარტნიორებიდან გასვლის საკითხის გადაწყვეტის მოთხოვნით», ხოლო მეორე შემთხვევაში სასამართლომ შეაფასა რა საქმეში წარმოდგენილი დ. მ-ძის განცხადება საზოგადოებიდან გასვლის შესახებ, დაასკვნა, რომ განცხადება არ იქნა წარდგენილი უფლებამოსილი პირისადმი.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სამოქალაქო კოდექსის 51.1 მუხლის თანახმად, «ნების გამოვლენა, რომელიც მოითხოვს მეორე მხარის მიერ მის მიღებას, ნამდვილად ჩაითვლება იმ მომენტიდან, როცა იგი მეორე მხარეს მიუვა». ამდენად, აღნიშნული ნორმის ანალიზიდან და საკასაციო საჩივრის საფუძვლებიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ ნების გამოვლენის ნამდვილობის შემოწმებისას სრულყოფილად უნდა შეაფასოს საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები და დაადგინოს მოცემული ნორმის შემადგენლობა.

რაც შეეხება სარჩელის ხანდაზმულობის საკითხს, საკასაციო პალატა იზიარებს კასატორების პრეტენზიას იმასთან დაკავშირებით, რომ სასამართლოს დასკვნები ხანდაზმულობასთან დაკავშირებით ემყარება მტკიცებულებათა არასრულ შეფასებას, კერძოდ კასატორი უთითებს მოსარჩელის მიერ შევსებულ დეკლარაციებზე, ასევე იმ გარემოებაზე, რომ მოსარჩელეს 12 წლის განმავლობაში არ დაუმყარებია კავშირი საზო-

გადოებასთან. აღნიშნულით კასატორებს იმის დადასტურება სურთ, რომ მოსარჩელემ სარჩელის შეტანამდე დიდი ხნით ადრე იცოდა დარღვეული უფლების შესახებ, თუმცა სასამართლოს მხოლოდ 2008 წელს მიმართა სარჩელით. მოცემულ შემთხვევაში საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ დარღვეულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მოთხოვნები, რომლის მიხედვითაც სასამართლოსათვის არავითარ მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა. სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. მოსაზრებები, რომლებიც საფუძვლად უდევს სასამართლოს შინაგან რწმენას, უნდა აისახოს გადაწყვეტილებაში.

აღსანიშნავია, რომ საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას იმის შესახებ, რომ ხანდაზმულობის ვადის ათვლის დასაწყისი დაკავშირებულია პირის უფლების დარღვევის მომენტთან, თუ მან იცის ამის შესახებ, ან თუ მას უნდა სცოდნოდა ამის შესახებ. შესაბამისად, ვადის დინების დაწყების საკითხი უკავშირდება სუბიექტურ ფაქტორს – პირის ინფორმირებულობას ან რაიმე ობიექტურ გარემოებას, რომელიც იძლევა საფუძველს ვარაუდისა, უფლების დარღვევის შესახებ. მოთხოვნის ხანდაზმულობის მტკიცების ტვირთი მოპასუხეს აწევს, შესაბამისად მის მიერ უნდა დადასტურდეს, რომ მოსარჩელემ იცოდა უფლების დარღვევის შესახებ, ან არსებობს ისეთი ფაქტობრივი გარემოება, რომელიც ადასტურებს, რომ მოსარჩელეს შეეძლო სცოდნოდა მისი უფლების დარღვევის შესახებ.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მას შემდეგ, რაც საქმის ხელახლა განხილვის შედეგად სააპელაციო სასამართლო გამოიტანს დასკვნებს საქმის ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით, სასამართლო კვლავ უნდა დაუბრუნდეს ხანდაზმულობის საკითხის განხილვას.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

მ. ა-ანის, ს. ა-ანის და ლ. თ-მის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 14 თებერვლის განჩინება და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

### **მოჩვენებითი და თვალთმაქცური გარიგება**

#### **განჩინება**

1ას-891-1177-09

23 თებერვალი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),  
ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),  
ნ. კვანტალიანი

**დავის საგანი:** ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა, ქონების დაბრუნება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 29 მარტის განჩინებით ნ. პ-ინასა და გ. კ-არის (წარმომადგენელი გ. ს-ძე) განცხადების საფუძველზე ყადაღა დაედო შპს «ა-ი-ის» საკუთრებაში არსებულ, ბათუმში, ... ქ. 163-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის მე-7, მე-8 და მე-9 სართულების 1379.3კვ.მ-ს და საერთო 128.68კვ.მ-ის მქონე 11, 12, 13, 193 საგარაჟე ადგილებს.

2007 წლის 10 აპრილს ბათუმის საქალაქო სასამართლოს სასარჩელო განცხადებით მიმართეს ნ. პ-ინამ და გ. კ-არმა მოპასუხეების – შპს «ს-ბ-ისა» და შპს «ა-ის» მიმართ. მოსარჩელებმა მოითხოვეს: ა) შპს «ს-ბ-ისა» და შპს «ა-ის» შორის 2006 წლის 11 დეკემბერს დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა; ბ) ბათუმში, ... ქ. 163-ში მდებარე საცხოვრებელი კომპლექსი «ბ-ის» (კვარტალი 45/155) დაბრუნება შპს «ს-ბ-ის-თვის»; გ) შპს «ს-ბ-ის» მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურება 2 000 000 აშშ დოლარის ოდენობით.

მოსარჩელეთა მოთხოვნების საფუძველები შემდეგში მდგომარეობდა:

2004 წლის 17 ივლისს რუსეთის ფედერაციის მოქალაქეებმა – ნ. პ-ინამ და გ. კ-არმა საცხოვრებელი სახლის მშენებლობაში ფინანსური სახსრების მოზიდვის მიზნით 1ბ/102, 1ბ/103 საინვესტიციო ხელშეკრულებით

ბები გააფორმეს შპს «ს-ბ-თან». ამ ხელშეკრულებების საფუძველზე მათ საკუთრებაში უნდა გადასცემოდათ ბათუმში, ... ქ. '63-ის '45/155 კვარტალში მდებარე საცხოვრებელ სახლ «ბ-ში» ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფართები; 2005 წლის 1 ნოემბერს გ. კ-არისა და ნ. პ-ინას წარმომადგენელმა კ. ბ-მემ შუამდგომლობით მიმართა ბათუმის სამოქალაქო დავათა მუდმივმოქმედ არბიტრაჟს და მოითხოვა პრეტენზიის აღძვრამდე უზრუნველყოფის ღონისძიებების გატარება, კერძოდ, ბათუმში, ... ქ. '63-ის '45/155 კვარტალში მდებარე შპს «ს-ბ-ის» მშენებარე სახლში (სახელწოდებით «ბ-ი») საცხოვრებელ ფართსა (1379.3კვ.მ-ს) და ავტოფარეხის ადგილებზე (128.68კვ.მ-ზე) ყადაღის დადება; სამოქალაქო და საგადასახადო დავათა ბათუმის მუდმივმოქმედი არბიტრაჟის 2005 წლის 25 ნოემბრის განკარგულებით ნ. პ-ინასა და გ. კ-არის მოთხოვნა მათი პრეტენზიის უზრუნველყოფის შესახებ დაკმაყოფილდა, ყადაღა დაედო ბათუმში, ... ქ. '63-ის '45/155-ში განთავსებული საცხოვრებელი სახლი «ბ-ის» განმცხადებლის მიერ დასახელებულ ფართებს; მოგვიანებით, სამოქალაქო დავათა ბათუმის მუდმივმოქმედმა არბიტრაჟმა განიხილა ნ. პ-ინასა და გ. კ-არის პრეტენზია შპს «ს-ბ-ის» მიმართ ხელშეკრულების შეუსრულებლობის გამო და 2005 წლის 17 დეკემბრის გადაწყვეტილებით შპს «ს-ბ-ს» დაევალა გ. კ-არისა და ნ. პ-ინასათვის ბათუმში, ... ქ. '63-ში (კვარტალი '45/155) განთავსებულ საცხოვრებელ სახლ «ბ-ში» ხელშეკრულებით გათვალისწინებული საცხოვრებელი ფართების საკუთრებაში გადაცემა, ამავე გადაწყვეტილებით ნ. პ-ინასა და გ. კ-არს დაევალა 2004 წლის 17 ივლისის საინვესტიციო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული დარჩენილი ვალდებულებების შესრულება ხელშეკრულებების შესაბამისად. არბიტრაჟის გადაწყვეტილებაზე სააღსრულებო ფურცელი გაიცა 2005 წლის 26 დეკემბერს. ეს გადაწყვეტილება ბათუმის საქალაქო სასამართლოში გაასაჩივრა შპს «ს-ბ-მა», თუმცა პირველი ინსტანციის სასამართლოს 2006 წლის 7 სექტემბრის გადაწყვეტილებით მისი მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა, საპელაციო სასამართლოში კი საქმეზე წარმოება დასრულებული არ იყო. გარდა არბიტრაჟის არსებითი გადაწყვეტილებისა, შპს «ს-ბ-მა» სარჩელით სადავო გახადა საარბიტრაჟო პრეტენზიის უზრუნველყოფის შესახებ არბიტრაჟის 2005 წლის 25 ნოემბრის განკარგულება და მასზე გაცემული სააღსრულებო ფურცელი. ბათუმის საქალაქო სასამართლომ 2006 წლის 14 აპრილის გადაწყვეტილებით შპს «ს-ბ-ის» აღნიშნული სარჩელი არ დააკმაყოფილა, რაც შეიცვალა ქუთაისის საპელაციო სასამართლოს 2006 წლის 25 სექტემბრის გადაწყვეტილებით; სარჩელის აღძვრის დროისათვის საპელაციო სასამართლოს მითითებული გადაწყვეტილება გასაჩივრებული იყო საქართველოს უზენაეს სასამართლოში, რაც იმას ნიშნავდა, რომ სადავო ქონებაზე ყადაღის დადების გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შესული არ ყოფილა და ამ ქონებას ყადაღა კვლავაც ედო. მიუხედავად ამისა, შპს «ს-ბ-მა» 2006 წლის 11 დეკემბრის ნასყიდობის ხელშეკრულებით სადავო ქონება გაასხვისა შპს «ა-ზე».

მოსარჩელეთა მოსაზრებით, სადავო ნასყიდობის ხელშეკრულება ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას და სამოქალაქო კანონმდებლობით გათვალისწინებულ «ყადაღის» ცნებას. ქონებაზე ყადაღის დადება გულისხმობს სადავო საკითხის გადაწყვეტამდე ყადაღადადებული ქონების გასხვისების შეუძლებლობას. ყოველივე ეს კი სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლის მოთხოვნის შესაბამისად იძლეოდა ნასყიდობის ხელშეკრულების გაუქმების საფუძველს. აქვე გასათვალისწინებელი იყო ის ფაქტი, რომ მხარეთა მიერ ნასყიდობის ხელშეკრულების საგნად განისაზღვრა არა ქონება, როგორც ეს სინამდვილეში იყო, არამედ – «პროექტი» და მასთან დაკავშირებული «შესასრულებელი სამუშაო», რაც, თავის მხრივ, გარიგების თვალთმაქცურ ხასიათზე მიუთითებდა. მოცემულ შემთხვევაში მხარეებს არ სურდათ შპს «ს-ბ-ის» ხელშეკრულების საგანი ყოფილიყო რეალურად არსებული ქონება, რადგან ასეთ ვითარებაში ისინი კრედიტორების წინაშე პასუხს აგებდნენ ნასყიდობის ხელშეკრულების საგნის მოცულობით.

რაც შეეხებოდა სარჩელის მოთხოვნას შპს «ს-ბ-ისაგან» ზიანის ანაზღაურების თაობაზე, აღნიშნულის დასასაბუთებლად მოსარჩელები შემდეგზე მიუთითებდნენ:

2004 წლის 17 ივლისს დაიდო ხელშეკრულებები 'ბ/102 და 'ბ/103. ამ ხელშეკრულებებით შპს «ს-ბ-ი» კისრულობდა ვალდებულებას, განხორციელებული ინვესტიციის სანაცვლოდ მოსარჩელეთათვის გადაეცა შეთანხმებული საცხოვრებელი ფართი და ავტოფარეხები. მხარეთა შეთანხმებით უნდა განხორციელებულიყო არსებული პროექტის გადაკეთება თანდართული ნახაზის შესაბამისად. ბუნებრივია, ამგვარი ცვლილება უნდა შეთანხმებულიყო სათანადოდ უფლებამოსილ სახელმწიფო ორგანოსთან. მოპასუხემ, ნაცვლად ნაკისრი ვალდებულების შესრულებისა, შეცვლილი პროექტი სათანადო ორგანოში არც კი წარადგინა დასამტკიცებლად. უფრო მეტიც, ამ უკანასკნელმა თვითნებურად, მოსარჩელებთან შეთანხმების გარეშე განახორციელა პროექტში ცვლილებები, რომლითაც გაუარესდა ინვესტორთათვის განკუთვნილი საცხოვრებელი ფართის მდგომარეობა, კერძოდ, მისი საბაზრო ღირებულება შეიცვალა შემცირებისკენ, რამდენადაც სახლს დაემატა სართულები. შექმნილი გარემოების გამო ინვესტორები იძულებული გახდნენ, შეეჩერებინათ ინვესტირების პროცესი, რამაც საქმიან პარტნიორებთან მიმართებით მათი გავლენა და საქმიანი რეპუტაცია ეჭვქვეშ დააყენა. ინვესტიციების ზრდის სურვილი და შესაძლებლობა განპირობებული იყო მოსარჩელეთა სუბიექტური დამოკიდებულებით საქართველოს მიმართ, რის ნათელ გამოხატულებასაც წარმოადგენდა ის ფაქტი, რომ მოსარჩელებს საქართველოს პრეზიდენტმა მიანიჭა საქართველოს მოქალაქეობა. სადავო საკითხის გადაწყვეტამდე მოსარჩელებმა შეაჩერეს აჭარაში შემდგომი ინვესტირება. მათ შპს «ს-ბ-ის» მიერ ხელშეკრულების ცალმხრივად დარღვევით დაკარგეს ის სავარაუდო მოგება, რომლის მიღებასაც გეგ-

მავდნენ საცხოვრებელ კომპლექს «ბ-ში» ჩადებული ინვესტიციის შედეგად. ეს თანხა კი მიღებულ ზიანთან ერთობლიობაში სავარაუდოდ შეადგენდა 2 000 000 აშშ დოლარის ეკვივალენტ ლარს.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 18 აპრილის განჩინებებით მოცემულ საქმეში მესამე პირე-ბად დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე ჩაებნენ: ბათუმის მერია და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახური.

პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის მიმდინარეობისას, კერძოდ, სასამართლოს 2008 წლის 25 ივლისის სხდომაზე მოსარჩელების წარმომადგენელმა გ. ს-მემ იშუამდგომლა ზიანის ანაზღაურების ნაწილში საქმეზე წარმოების შეწყვეტა.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 25 ივლისის საოქმო განჩინებით შუამდგომლობა დაკმაყოფილდა, გ. კ-არისა და ნ. პ-ინას სარჩელზე შპს «ს-ბ-ისათვის» 2 000 000 აშშ დოლარის დაკისრების ნაწილში საქმის წარმოება შეწყდა.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 25 თებერვლის გადაწყვეტილებით გ. კ-არისა და ნ. პ-ინას წარმომადგენელ გ. ს-ძის სარჩელი არ დაკმაყოფილდა, გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 29 მარტის განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის თაობაზე და ყადაღა მოეხსნა შპს «ა-ის» საკუთრებაში არსებულ, ბათუმში, ... ქ. '63-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის მე-7, მე-8 და მე-9 სართულების 1379.3კვ.მ ფართს და 128.68კვ.მ საერთო ფართის '1, '2, '93 ავტოფარეხის ადგილებს.

საქალაქო სასამართლომ საქმეზე დადგინებულად მიიჩნია, რომ ბათუმში, ... ქუჩაზე მდებარე 18 800კვ.მ მიწის ნაკვეთი, რომელზეც შპს «ს-ბ-ის» მიერ მიმდინარეობდა საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობა, წარმოდგენდა ბათუმის მერიის საკუთრებას, რომელმაც 2006 წლის 3 ივლისის '189 დადგენილებით გამოაცხადა აუქციონი აღნიშნული მიწის ნაკვეთის საკუთრებაში განკარგვაზე. დადგენილების თანახმად, აუქციონის ერთ-ერთი პირობა იყო, რომ აუქციონში გამარჯვებულს საკუთარ თავზე აეღო ყველა ის ვალდებულება, რაც ბათუმის მერიას წარმოეშობოდა შპს «ს-ბ-ის» მიმართ საკუთრებაში განსაკარგ მიწის ნაკვეთზე მის მიერ აშენებული შენობა-ნაგებობის ღირებულებასთან დაკავშირებით. შპს «ა-ი-მა» წარადგინა დამფუძნებელი პარტნიორის კრების ოქმი იმის თაობაზე, რომ შპს «ა-ი-ი» საკუთარ თავზე იღებდა ყველა ვალდებულებას, ანუ «ა-მა» დააკმაყოფილა აუქციონის პირობა და 2006 წლის 24 აგვისტოს '232 დადგენილების საფუძველზე იგი გამოცხადდა ბათუმში, ... ქუჩაზე მდებარე 18 800კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის საკუთრებაში განკარგვაზე ჩატარებულ ღია აუქციონში გამარჯვებულად. 2006 წლის 26 სექტემბერს ბათუმის მთავრობასა და შპს «ა-ი-ს» შორის გაფორმდა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის მიხედვით, ბათუმში, ... ქუჩაზე მდებარე 18 800კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის მესაკუთრე გახდა შპს «ა-ი». იმავე წლის 11 დეკემბერს შპს «ა-მა» შპს «ს-ბ-თან» გააფორმა ხელშეკრულება, სადაც ხელშეკრულების საგნად მიეთითა პროექტი და მასთან დაკავშირებული სამუშაოები.

საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ 2006 წლის 11 დეკემბრის ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილობის საფუძველი არ არსებობდა. სასამართლოს განმარტებით, სამოქალაქო კოდექსის 56-ე მუხლი ნათლად განსაზღვრავს, თუ როგორი გარიგება შეიძლება ჩაითვალოს მოჩვენებით ან თვალთმაქცურ გარიგებად. დასახელებული ნორმის მიხედვით, როგორც თვალთმაქცური, ისე – მოჩვენებითი გარიგება იდება მხოლოდ მოსაჩვენებლად, ამ დროს მხარეებს არც ერთ შემთხვევაში არ სურთ იმ შედეგის დადგომა, რაც პირდაპირ ამ გარიგების დანიშნულებიდან გამომდინარეობს. მოჩვენებითი გარიგება, რომელიც დადებულია იმ განზრახვის გარეშე, რომ მას შესაბამისი იურიდიული შედეგები მოჰყვეს. იმ შემთხვევაში, თუ მოსაჩვენებლად დადებული გარიგებით მხარეებს სურთ სხვა გარიგების დაფარვა, მაშინ გამოიყენება დაფარული გარიგების მიმართ მოქმედი წესები (თვალთმაქცური გარიგება).

საქალაქო სასამართლოს მოსაზრებით, მოცემულ შემთხვევაში მოპასუხე შპს «ა-ს» სურდა სწორედ იმ მშენებარე ობიექტის, პროექტისა და შესრულებული სამუშაოს ნასყიდობის ხელშეკრულების დადება, რომელიც შესრულებული იყო უკვე მის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე. აღნიშნული დასტურდებოდა თუნდაც ბათუმის მთავრობასა და შპს «ა-ი-ს» შორის 2006 წლის 26 სექტემბერს დადებული ნასყიდობის ხელშეკრულებით, რომლითაც შპს «ა-მა» აიღო ვალდებულება ბათუმის მთავრობის 2006 წლის 3 ივლისის '189 დადგენილებით დამტკიცებული აუქციონის ჩატარების პირობების მე-3 პუნქტის 2.1 «ე» ქვეპუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნის დაყენების შემთხვევაში მოეხდინა ამ მოთხოვნის ფარგლებში შპს «ს-ბ-ის» დაკმაყოფილება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქალაქო სასამართლომ დაასკვნა, რომ შპს «ს-ბ-სა» და შპს «ა-ს» შორის 2006 წლის 11 დეკემბერს დადებული სადავო გარიგება არ არღვევდა კანონით დადგენილ წესსა და აკრძალავს, ასევე არ ეწინააღმდეგებოდა საჯარო წესრიგს და ზნეობის ნორმებს. შესაბამისად, იგი არ წარმოადგენდა არც მოჩვენებით და არც თვალთმაქცურ გარიგებას, რის გამოც მისი ბათილად ცნობის საფუძველი არ არსებობდა.

პირველი ინსტანციის სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს გ. კ-არმა და ნ. პ-ინამ, რომლებმაც მოითხოვეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღება შპს «ს-ბ-სა» და შპს «ა-ს» შორის 2006 წლის 11 დეკემბერს დადებული ხელშეკრულების ბათილად ცნობისა და შპს «ს-ბ-ისათვის» სადავო ქონების დაბრუნების შესახებ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 26 ივნისის განჩინებით ნ. პ-ინასა და გ. კ-არის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 25 თებერვლის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ საქმეზე დადგინებულად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

2004 წლის 17 ივლისს რუსეთის ფედერაციის მოქალაქეებმა ნ. პ-ინამ და გ. კ-არმა საინვესტიციო ხელშეკრულებები (18/102, 18/103) დადეს შპს «ს-ბ-თან», რომლითაც მათ საკუთრებაში უნდა გადასცემოდათ ბათუმში, ... ქუჩის 63-ის 145/155 კვარტალში მდებარე საცხოვრებელ სახლ «ბ-ში» ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფართები;

დავის საგანს არ წარმოადგენდა ხელშეკრულების შეუსრულებლობა;

2005 წლის 1 ნოემბერს გ. კ-არისა და ნ. პ-ინას წარმომადგენელმა კ. ბ-მემ პრეტენზიით მიმართა სამოქალაქო დავათა მუდმივმოქმედ კერძო არბიტრაჟს შპს «ს-ბ-ის» მიმართ ხელშეკრულების შეუსრულებლობის გამო;

სამოქალაქო დავათა მუდმივმოქმედი არბიტრაჟის 2005 წლის 25 ნოემბრის განკარგულებით ყადაღა დაედო ბათუმში, ... ქუჩა 63-ის 145/155-ში მდებარე საცხოვრებელ სახლ «ბ-ში» ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ფართებს;

სამოქალაქო დავათა მუდმივმოქმედი არბიტრაჟის 2005 წლის 17 დეკემბრის გადაწყვეტილებით გ. კ-არისა და ნ. პ-ინას პრეტენზია ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, შპს «ს-ბ-ს» დაევალა გ. კ-არისა და ნ. პ-ინასათვის საკუთრებაში გადაეცა ბათუმში, ... ქუჩის 63-ის 145/155-ში მდებარე საცხოვრებელ სახლ «ბ-ში» ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ფართები, რომელთა მოსარჩლეების საკუთრებაში აღრიცხვა მოხდებოდა შესაბამისი სახელმწიფო ორგანოს მეშვეობით;

არბიტრაჟის დასახელებული გადაწყვეტილება გასაჩივრდა, თუმცა საქმის განხილვის დროისათვის მასზე მიღებული გადაწყვეტილება არ იყო შესული კანონიერ ძალაში. ასევე ძალაში არ იყო შესული მუდმივმოქმედი კერძო არბიტრაჟის 2005 წლის განკარგულება;

ბათუმში, ... ქუჩაზე მდებარე 18 800 კვ.მ მიწის ნაკვეთი, მათ შორის, სადავო ფართი, წარმოადგენდა მერიის საკუთრებას, რომელმაც 2006 წლის 3 ივლისს 1189 დადგენილებით გამოაცხადა აუქციონი სადავო ნაკვეთის განკარგვაზე. ამ დადგენილების თანახმად, აუქციონის ერთ-ერთ პირობას წარმოადგენდა, რომ აუქციონში გამარჯვებულს საკუთარ თავზე აეღო ის ვალდებულება, რაც ბათუმის მერიას წარმოემოზოდა შპს «ს-ბ-ის» მიმართ საკუთრებაში განსაკარგ მიწის ნაკვეთზე მის მიერ აშენებული შენობა-ნაგებობის ღირებულებასთან დაკავშირებით. შპს «ა-მა» წარადგინა პარტნიორთა კრების ოქმი, სადაც ვალდებულებას იღებდა თვითონ. აუქციონში გაიმარჯვა შპს «ა-მა»;

2006 წლის 26 სექტემბერს ბათუმის მთავრობასა და შპს «ა-ს» შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულებით ბათუმში, ... ქუჩაზე 18 800 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის მესაკუთრე გახდა შპს «ა-ი»;

2006 წლის 11 დეკემბრის ხელშეკრულებით შპს «ა-ი» და შპს «ს-ბ-ი» შეთანხმდნენ პროექტსა და მასთან დაკავშირებულ სამუშაოებზე;

გ. ვ-ია 2006 წლის 11 დეკემბრის ხელშეკრულებაში მითითებულია როგორც შპს «ს-ბ-ის» პარტნიორი და საწესდებო კაპიტალის 100%-ის მფლობელი; ეს უკანასკნელი 2007 წლის 20 თებერვლის სამეწარმეო რეესტრის ამონაწერის თანახმად, სავარაუდოდ 2006 წლის 15 დეკემბრიდან, არის შპს «ა-ის» საწესდებო კაპიტალის 50%-ის მფლობელი.

საქმეში არსებული მტკიცებულებების შეფასების საფუძველზე სააპელაციო სასამართლომ უდავოდ დადგინებულად მიიჩნია, რომ შპს «ა-ს» სურდა სწორედ იმ მშენებარე ობიექტის, პროექტისა და შესრულებული სამუშაოს ნასყიდობის ხელშეკრულების დადება, რომელიც შესრულებული იყო მის მიწის ნაკვეთზე, რაც გარიგების მოჩვენებით ან თვალთმაქცურ ხასიათს გამორიცხავდა.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, სამოქალაქო კოდექსის 54-ე, 56-ე მუხლების შინაარსის გათვალისწინებით თვალთმაქცური და მოჩვენებითი გარიგების დადებისას მხარეებს სურთ სხვა გარიგების დაფარვა და არ სურთ ხელშეკრულებით გათვალისწინებული შედეგის დადგომა, მოჩვენებითი გარიგების შემთხვევაში კი გარიგება დადებულია სხვა გარიგების დასაფარად. მითითებული მუხლების შესაბამისად კვალიფიკაციის მისანიჭებლად საჭიროა ორივე მხარის მონაწილეობა გარიგების დადებისას, მათი თვითშეგნება და გაცნობიერება გარიგების შინაარსის თაობაზე, კერძოდ, რომ მათ მიერ დადებულ გარიგებას არ მოჰყვება რაიმე იურიდიული შედეგი.

საპელაციო სასამართლოს მითითებით, სადავო ნასყიდობის ხელშეკრულებას მოჰყვა სამართლებრივი და ფაქტობრივი შედეგი, რაც გამოიხატა იმაში, რომ გაგრძელდა შპს «ს-ბ-ის» მიერ დაწყებული მშენებლობა.

იმის გათვალისწინებით, რომ ყადაღა დაედო ბათუმში, ... ქუჩა 63-ის 145/155 კვარტალში მდებარე გარკვეულ ფართებს ანუ დაყადაღებული არ იყო ნასყიდობის ხელშეკრულების საგანი – უფლება და შესასრულებელი სამუშაო, სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება იმის შესახებ, რომ შემძენმა შეიძინა ნაკლის მქონე ნივთი და აღნიშნული წარმოადგენდა გარიგების ბათილობის საფუძველს.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გასაჩივრეს გ. ვ-არმა და ნ. პ-ინამ (წარმომადგენელი გ. ს-ძე), რომლებმაც მოითხოვეს გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით მათი მოთხოვნების დაკმაყოფილება.

საკასაციო საჩივრის საფუძვლები შემდეგში მდგომარეობს:

სასამართლომ არასწორად განმარტა კანონი, კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის 56-ე მუხლის მე-2 ნაწილი, რომელიც შეეხება თვალთმაქცურ გარიგებას. სინამდვილეში გარიგება დადებულია უძრავ ნივთზე და არა პროექტსა და შესრულებულ სამუშაოზე, როგორც ეს ხელშეკრულებაშია აღნიშნული.

სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა სახელდობრ, სამოქალაქო კოდექსის 312-ე მუხლის მე-2 ნაწილი და არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ ამ ნორმის თანახმად, რეესტრის ჩანაწერის უტყუარობის პრინციპი მოქმედებს იმ შემთხვევაში, თუკი ჩანაწერის საწინააღმდეგოდ შეტანილია საჩივარი ან შემძენმა იცის, რომ ჩანაწერი უზუსტოა. სადავო შემთხვევაში შემძენმა შპს «ა-მა» იცოდა, რომ ხელშეკრულების საგანს ედო ყადაღა, მიუხედავად რეესტრის ჩანაწერში შესაბამისი ინფორმაციის არარსებობისა. მოპასუხეებმა სადავო ხელშეკრულება შეაფასეს, როგორც პროექტისა და შესრულებული სამუშაოების ნასყიდობა, მაშინ როდესაც შესრულებული სამუშაოები განეკუთვნება ნაგებობის კატეგორიას და სხვა არაფერია, თუ არა უძრავი ნივთი. აღნიშნული გარემოება აშკარად დასტურდება თავად ხელშეკრულების დანართებით, რომლებშიც საუბარია კედლების ამოყვანაზე და ა.შ.

დავის გადაწყვეტისას სააპელაციო სასამართლომ უგულვებლყო «კერძო არბიტრაჟის შესახებ» კანონის ძირითადი პრინციპი, რომ არბიტრაჟის გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლა არ არის დამოკიდებული მისი გასაჩივრების (თუ მხარეთა შეთანხმებით ეს დასაშვებია) ვადის გასვლაზე. უფრო მეტიც, არბიტრაჟის გადაწყვეტილების გასაჩივრებიც შემთხვევაში მისი აღსრულება არ ჩერდება («კერძო არბიტრაჟის შესახებ» კანონის 44-ე მუხლი).

გარდა ამისა, სასამართლომ ყურადღება არ მიაქცია საქმის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე რიგ გარემოებებს, მათ შორის შემდეგს:

ა) 2006 წლის 11 მარტს შპს «ა-სა» და შპს «ს-ბ-ს» შორის დადებულ ხელშეკრულებაში გ. ვ-ია 2006 წლის 18 აპრილს გაცემული მინდობილობის საფუძველზე წარმოადგენდა შპს «ს-ბ-ის» პარტნიორსა და საწესდებო კაპიტალის 100%-ის მფლობელს;

ბ) იგივე გ. ვ-ია, 2007 წლის 20 თებერვლის სამეწარმეო რეესტრის ამონაწერის თანახმად, სავარაუდოდ 2006 წლის 15 დეკემბრიდან (სადავო ხელშეკრულების დადებიდან 3 დღეში) ხდება შპს «ა-ის» საწესდებო კაპიტალის 50%-ის მესაკუთრე;

გ) საქმეში არსებული მტკიცებულებით – ადვოკატ ე. პა-ძისადმი მიმართვით ირკვევა, რომ გ. ვ-ია, როგორც შპს «ს-ბ-ის» წარმომადგენელი და მშენებლობის ხელმძღვანელი, 2006 წლის 18 ოქტომბერს ესწრებოდა მოსკოვში გამართულ კრებას, სადაც მან დაადასტურა შპს «ს-ბ-ის» საკუთრების უფლება მშენებლობაზე. გასათვალისწინებელია, რომ 2006 წლის 26 სექტემბრიდან ბათუმში, ... ქუჩაზე მდებარე 18 800 კვ.მ მიწის ნაკვეთის მესაკუთრეა შპს «ა-ი», რაც გ. ვ-იამ იცოდა;

დ) შპს «ა-ი» რეგისტრირებულია 2006 წლის 20 ივლისს, მიწის ნაკვეთზე ტენდერის გამოცხადებიდან 17 დღის შემდეგ;

ე) ბათუმის მთავრობის 2006 წლის 3 ივლისის დადგენილებიდან ირკვევა, რომ მშენებარე სახლის მიერ დაკავებული მიწის ნაკვეთის განკარგვის შესახებ 2005 წლის 5 აპრილს გამოცხადებულ კონკურსში ბათუმის მთავრობის 17 ივნისის 1120 დადგენილებით გამარჯვებულად გამოცხადდა შპს «ს-ბ-ი», რომელმაც 30-დღიან ვადაში არ გააფორმა ნასყიდობის ხელშეკრულება;

ვ) მოსარჩელეებმა 2004 წლის ნოემბერში აჭარის ქართულ და რუსულენოვან გაზეთებში გააკეთეს განცხადება საცხოვრებელ კომპლექს «ბ-ში» ფართების შეძენის მსურველთა საყურადღებოდ. ისინი აღნიშნავენ, რომ მიმდინარეობდა საარბიტრაჟო დავა და პოტენციურ მყიდველებს გულდასმით უნდა შეემოწმებინათ, გამყიდველის მიერ შეთავაზებული ფართი ხომ არ იყო დაყადაღებული;

ზ) აჭარის სააღსრულებო ბიუროს 2007 წლის 10 მაისის წერილიდან ირკვევა, რომ 2005 წლის 30 ნოემბერს ყადაღა დაედო ბათუმში, ... ქუჩის 163-ის 145/155-ში განთავსებული საცხოვრებელი სახლის (სახელწოდებით «ბ-ი») ფართებს, რის შესახებაც მიმართვა საჯარო რეესტრს გაეგზავნა 2005 წლის 30 ნოემბერს. ამასთან დაკავშირებით საქმეში წარდგენილი იყო უშუალოდ მიმართვა, რომლის მიღება საჯარო რეესტრში დასტურდებოდა ხელმოწერით;

თ) 2006 წლის 11 დეკემბრის ხელშეკრულების დადებისას გამყიდველმა შპს «ს-ბ-მა» იცოდა, რომ ხელშეკრულების ნამდვილ საგანს – მშენებარე სახლში მდებარე გარკვეულ ფართს, ედო ყადაღა, ე.ი. მისი გასხვისება იყო აკრძალული. აღნიშნული დასტურდებოდა მის მიერ ყადაღის დადების შესახებ არბიტრაჟის განკარგულების სასამართლოში გასაჩივრების ფაქტით.

#### **სამოტივციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივრის სასამართლო განხილვის შედეგად მიიჩნევს, რომ გ. ვ-არისა და ნ. პ-ინას საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:



სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე საკასაციო სასამართლო საქმეზე დადგენილად მიიჩნევს შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს:

2004 წლის 17 ივლისს ნ. პინამ და გ. კარმა საინვესტიციო ხელშეკრულებები დადეს შპს «ს-ბ-თან» ბათუმში, ... ქუჩა 63-ის 145/155 კვარტალში მდებარე საცხოვრებელ სახლ «ბ-ში» ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფართების საკუთრებაში გადაცემის შესახებ;

2005 წლის 1 ნოემბერს გ. კარმა და ნ. პინამ პრეტენზიით მიმართეს სამოქალაქო დავათა მუდმივმოქმედ კერძო არბიტრაჟს შპს «ს-ბ-ის» მიმართ ხელშეკრულების შეუსრულებლობის გამო;

სამოქალაქო დავათა მუდმივმოქმედი არბიტრაჟის 2005 წლის 25 ნოემბრის განკარგულებით ყადაღა დაედო ბათუმში, ... ქუჩა 63-ის 145/155-ში მდებარე საცხოვრებელ სახლ «ბ-ში» ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ფართებს;

სამოქალაქო დავათა მუდმივმოქმედი არბიტრაჟის 2005 წლის 17 დეკემბრის გადაწყვეტილებით გ. კარისა და ნ. პინას პრეტენზია ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, შპს «ს-ბ-ს» დაევალა გ. კარისა და ნ. პინასათვის ბათუმში, ... ქუჩის 63-ის 145/155-ში მდებარე საცხოვრებელ სახლ «ბ-ში» ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ფართების საკუთრებაში გადაცემა, რომელთა მოსარჩევეების საკუთრებაში აღრიცხვა მოხდებოდა შესაბამისი სახელმწიფო ორგანოს მეშვეობით. არბიტრაჟის დასახელებული გადაწყვეტილება ამჟამად გასაჩივრებულია სასამართლოში;

ბათუმში, ... ქუჩაზე მდებარე 18 800 კვ.მ მიწის ნაკვეთი, რომელიც მოიცავდა სადავო მშენებლობას, წარმოადგენდა ქ. ბათუმის მერიის საკუთრებას;

ქ. ბათუმის მერიამ 2006 წლის 3 ივლისს 1189 დადგენილებით გამოაცხადა აუქციონი ამ ნაკვეთის განკარგვაზე. აუქციონის ერთ-ერთ პირობას წარმოადგენდა, რომ აუქციონში გამარჯვებულს საკუთარ თავზე უნდა აეღო ის ვალდებულება, რაც ბათუმის მერიას წარმოუშობოდა შპს «ს-ბ-ის» მიმართ, საკუთრებაში განსაკარგ მიწის ნაკვეთზე მის მიერ აშენებული შენობა-ნაგებობის ღირებულებასთან დაკავშირებით. აუქციონში გაიმარჯვა შპს «ა-მა»;

2006 წლის 26 სექტემბერს ბათუმის მთავრობასა და შპს «ა-ს» შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულებით ბათუმში, ... ქუჩაზე მდებარე 18 800 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის მესაკუთრე გახდა შპს «ა-ი»;

2006 წლის 11 დეკემბრის ხელშეკრულებით შპს «ა-ი» და შპს «ს-ბ-ი» შეთანხმდნენ პროექტისა და ამ პროექტის შესაბამისად განხორციელებული სამუშაოების ნასყიდობაზე.

მოსარჩევე სადავო ხელშეკრულების ბათილად ცნობას ითხოვს, ერთი მხრივ, სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლის საფუძველზე, იმაზე დაყრდნობით, რომ გაიყიდა ყადაღადადებული ქონება და, მეორე მხრივ, სამოქალაქო კოდექსის 56-ე მუხლის საფუძველზე, იმ მოტივით, რომ სადავო ხელშეკრულება არის თვალთმაქცური – სინამდვილეში გაიყიდა უძრავი ქონება.

საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ სადავო ხელშეკრულების დადების დროისათვის საცხოვრებელ სახლ «ბ-ში» არსებულ სადავო ფართებს მართლაც ჰქონდა დადებული ყადაღა სამოქალაქო დავათა მუდმივმოქმედი არბიტრაჟის 2005 წლის 25 ნოემბრის განკარგულებით, თუმცა იგი არ ყოფილა აღსრულებული, ყადაღა საჯარო რეესტრში არ დარეგისტრირებულა. შპს «ს-ბ-მა» უდავოდ იცოდა ყადაღის არსებობა, რამდენადაც წარმოადგენდა საარბიტრაჟო დავის განხილვის მხარეს. რაც შეეხება შპს «ა-ს», საქმის მასალებით არ დგინდება, რომ მან ასევე იცოდა აღნიშნული ყადაღის თაობაზე და სადავო ხელშეკრულების დადებისას მოქმედებდა არაკეთილსინდისიერად. საკასაციო სასამართლო ამასთან დაკავშირებით ვერ გაიზიარებს კასატორის მსჯელობას, რომ შპს «ა-ის» მიერ აღნიშნული ყადაღის თაობაზე ცოდნას ადასტურებს გ. ვ-ის ორივე კომპანიის პარტნიორად ყოფნა. საქმის მასალებში არ მოიპოვება იმის დამადასტურებელი მტკიცებულება, რომ სადავო ხელშეკრულების დადების დროისათვის გ. ვ-ია წარმოადგენდა ხელშეკრულების მონაწილე ორივე იურიდიული პირის პარტნიორს. ამასთან, საგულისხმოა, რომ საცხოვრებელ სახლ «ბ-ში» არსებულ სადავო ფართებზე ყადაღის არსებობა არც წარმოადგენდა სადავო ხელშეკრულების დადების დამაბრკოლებელ გარემოებას, რამდენადაც ამ ხელშეკრულებით არ გასხვისებულა სადავო ფართები, ამ ხელშეკრულებით მხოლოდ გასხვისდა ამ ფართების აშენებაზე ჩატარებული სამუშაოები, რის შესახებ ქვემოთაც მსჯელობს საკასაციო სასამართლო.

სამოქალაქო კოდექსის 56-ე მუხლის მეორე ნაწილით განსაზღვრულია თვალთმაქცური გარიგების ცნება, რომლის თანახმად, თვალთმაქცურია გარიგება, თუ მოსაჩვენებლად დადებული გარიგებით მხარეებს სურთ სხვა გარიგების დაფარვა, რა დროსაც გამოიყენება დაფარული გარიგების მიმართ მოქმედი წესები. კანონის აღნიშნული განმარტებიდან გამომდინარე, აუცილებელია, რომ თვალთმაქცური გარიგებით დაიფაროს სხვა ნამდვილი გარიგება. კასატორის აზრით, ამ შემთხვევაში სადავო გარიგებით დაიფარა უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება, რამდენადაც სინამდვილეში გაიყიდა უძრავი ქონება. საკასაციო სასამართლო კასატორის აღნიშნულ მსჯელობას ვერ გაიზიარებს. დადგენილია, რომ მიწის ნაკვეთი, რომელზეც საცხოვრებელი კომპლექსი «ბ-ი» შენდებოდა, წარმოადგენდა ქ. ბათუმის მერიის საკუთრებას და იგი შპს «ს-ბ-ის» საკუთრება არ ყოფილა. ასევე დადგენილია, რომ ამ ნაკვეთზე მშენებარე ნაგებობა ცალკე უფლების ობიექტად საჯარო რეესტრში არ ყოფილა რეგისტრირებული არავის საკუთრებად. სამოქალაქო კოდექსის 171-ე მუხლის თანახმად, ნივთზე საკუთრების უფლება ვრცელდება ამ ნივთის არსებით შემადგენელ ნაწილებზე. ამა-



ვე კოდექსის 150-ე მუხლის მე-2 ნაწილი მიწის ნაკვეთის არსებით შემადგენელ ნაწილებს მიაკუთვნებს შენობა-ნაგებობებს, რომლებიც მყარადაა დაკავშირებული მიწასთან და არ არის გამოიზნული დროებითი სარგებლობისათვის. აქედან გამომდინარე, მოცემულ შემთხვევაში მშენებარე ნაგებობა იმ მიწის ნაკვეთის არსებით შემადგენელი ნაწილია, რომელიც ქ. ბათუმის მერიის საკუთრებას წარმოადგენდა და რომელიც შემდგომ აუქციონის წესით შეიძინა შპს «ა-მა». ამიტომ ნაკვეთზე საკუთრების უფლება მოიცავდა ამ ნაკვეთზე არსებულ მშენებარე ნაგებობაზე საკუთრების უფლებასაც. ამდენად, მშენებარე ნაგებობის შესაკუთრე არ ყოფილა შპს «ს-ბ-ი» და იგი თავის საკუთრებაში არარსებულ ქონებას ვერც გაყიდა. ამასთან, სადავო ხელშეკრულების საგანს არც წარმოადგენდა მშენებარე ნაგებობის, როგორც უძრავი ქონების ნასყიდობა, ხელშეკრულების შინაარსიდან სრულიად ნათელია, რომ შპს «ს-ბ-მა» გაყიდა მშენებარე ნაგებობის ასაშენებლად მის მიერ გაწეული სამუშაოები, ის შრომა, რაც მან, როგორც მშენებელმა, ამ ნაგებობის აშენებაში ჩადო. ამდენად, სადავო ხელშეკრულებით არ მომხდარა სხვა ხელშეკრულების დაფარვა და არც თვალთმაქცური გარიგება სახეზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო არ აკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს და უცვლელად ტოვებს სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ განჩინებას.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

გ. კ-არისა და ნ. პ-ინას (წარმომადგენელი გ. ს-ძე) საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს; უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 26 ივნისის განჩინება; საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

#### **მოჩვენებითი და თვალთმაქცური გარიგება; საქმის ფაქტობრივ გარემოებათა დადგენა**

#### **განჩინება**

1ას-1179-1440-09

27 აპრილი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),  
ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),  
ნ. კვანტალიანი

**დავის საგანი:** ხელშეკრულების ბათილად ცნობა, საჯარო რეესტრის ჩანაწერებში ცვლილებების შეტანა

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

2008 წლის 30 მაისს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოს სასარჩელო განცხადებით მიმართეს ა. წ-მემ და ზ. ბ-შვილმა მოპასუხეების ნოტარიუს ქ. ძ-შვილის, ნ. ვ-ძის (შემდგომში ნ. ა-იანი), ე. კ-იას, მესამე პირების – ნოტარიუს მ. ე-ძისა და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოზურგეთის სარეგისტრაციო სამსახურის მიმართ. მოსარჩელებმა მოითხოვეს: ა) ნოტარიუს ქ. ძ-შვილის მიერ 2007 წლის 6 სექტემბერს რეგისტრირებული სანოტარო აქტის (რეგისტრაციის 11-6641) – ა. წ-ძის მიერ ნ. ა-იანზე გაცემული მინდობილობის 2007 წლის 2 ნოემბრიდან გაუქმებულად გამოცხადება; ბ) ამ მინდობილობის საფუძველზე 2007 წლის 5 ნოემბერს ნ. ა-იანსა და ე. კ-იას შორის დადებული, ნოტარიუს მ. ე-ძის მიერ დამოწმებული ნასყიდობის ხელშეკრულების გაუქმება; გ) ე. კ-იას სახელზე მიწის ნაკვეთისა და საცხოვრებელი სახლის საკუთრების უფლების შესახებ საჯარო რეესტრის ჩანაწერის გაუქმება; დ) ოზურგეთის რაიონის სოფელ ... მდებარე 10 000 კვ.მ მიწის ნაკვეთსა და საცხოვრებელ სახლზე ა. წ-ძის საკუთრების უფლების აღდგენა.

სარჩელის თანახმად, 2006 წლის 19 მაისს ა. წ-მემ და ზ. ბ-შვილმა დადეს გარიგება, რომლის თანახმად ა. წ-მემ ზ. ბ-შვილს მიჰყიდა ოზურგეთის რაიონის სოფელ ... მდებარე 10 000 კვ.მ მიწის ნაკვეთი და ნაკვეთზე არსებული საცხოვრებელი სახლი. ზ. ბ-შვილმა გადაიხადა შეძენილი ქონების საფასური – 7 800 აშშ დოლარი, რაც დასტურდებოდა სალაროს შემოსავლის ორდერით, აგრეთვე, ა. წ-ძის 2007 წლის 2 ნოემბრის ხელწერილით. თანხის მიღების შემდეგ ა. წ-მემ ნ. ა-იანის სახელზე გასცა მინდობილობა, რომლითაც ამ უკანასკნელს უფლება მიანიჭა, ოზურგეთის რაიონის სოფელ ... ა. წ-ძის მიწის ნაკვეთი საცხოვრებელ სახლთან ერთად გაესხვისებინა მყიდველზე – ზ. ბ-შვილზე. ნ. ა-იანი ზ. ბ-შვილთან ცხოვრობდა როგორც მეუღლე. ამას-

თან, მისთვის ცნობილი იყო, რომ ა. წ-ძის კუთვნილი მიწის ნაკვეთი და საცხოვრებელი სახლი იყიდა ზ. ბ-შვილმა, რომელიც მის საკუთრებაში უნდა აღრიცხულიყო. ნ. ა-იანზე ა. წ-ძემ მინდობილობა იმიტომ გასცა, რომ იგი ოზურგეთელი იყო და საქმის მოგვარებას თავს უფრო მარტივად გაართმევდა. აღნიშნული რწმუნებულება შეადგინა ნოტარიუსმა ქ. ძ-შვილმა 2007 წლის 6 სექტემბერს.

მინდობილობის გაცემიდან მოკლე ხანში ნ. ა-იანსა და ზ. ბ-შვილს შორის ურთიერთობა დაიძაბა. გაირკვა, რომ ისინი რეგისტრირებულ ქორწინებაში არ იმყოფებოდნენ. ცნობილი გახდა ისიც, რომ ნ. ა-იანს მინდობილობა შეიძლებოდა არადანიშნულებისამებრ გამოეყენებინა და ქონება სხვის სახელზე გადაეფორმებინა. შესაძლო გაუგებრობების თავიდან ასაცილებლად ა. წ-ძემ 2007 წლის 2 ნოემბერს მიმართა ნოტარიუს ქ. ძ-შვილს. ნოტარიუსმა მინდობილობის გაუქმებაზე უარი განაცხადა იმ მიზეზით, რომ ამისათვის აუცილებელი იყო უკვე გაცემული მინდობილობის მასთან დაბრუნება. აღნიშნული პრაქტიკულად შეუძლებელი იყო. იმავე დღეს ნოტარიუსმა ზ. ბ-შვილის სახელზე სოფელ ... არსებულ ქონებაზე შეადგინა მინდობილობა, თუმცა მასში გასხვისების უფლების შესახებ არ მოუთითა. ამით ნოტარიუსმა შეგნებულად, კანონდარღვევით, ხელი შეუშალა ზ. ბ-შვილს ნაყიდი ქონების გაფორმებაში.

გარდა ამისა, არამართლზომიერად იმოქმედა ნ. ა-იანმაც. მან მინდობილობით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილება ბოროტად გამოიყენა, კერძოდ, ა. წ-ძის კუთვნილი ქონება თითქოსდა 3 500 აშშ დოლარად (სინამდვილეში უსასყიდლოდ) მიჰყიდა თავის ქალიშვილს – ე. კ-იას. ნ. ა-იანისა და მისი ქალიშვილისათვის ცნობილი იყო, რომ გასხვისებული ქონება ა. წ-ძისაგან შესყიდული ჰქონდა ზ. ბ-შვილს 7 800 აშშ დოლარად. ეს თანხა ზ. ბ-შვილმა ბანკიდან გამოიტანა სესხის სახით, რომლის უზრუნველსაყოფად დაგირავდა ნ. ა-იანის ქონება. ნ. ა-იანსა და ე. კ-იას შორის ნასყიდობის ხელშეკრულება დაიდო 2007 წლის 5 ნოემბერს, რომელიც დაამოწმა ოზურგეთის ნოტარიუსმა მ. ე-ძემ. აღნიშნულის შედეგად ე. კ-ია გახდა ა. წ-ძის ქონების მესაკუთრე.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, მოსარჩევეები მიიჩნევენ, რომ სახეზე იყო 2007 წლის 5 ნოემბერს ნ. ა-იანსა და ე. კ-იას შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილობის საფუძველი. აღნიშნული მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველად ისინი მიუთითებდნენ სამოქალაქო კოდექსის 55-ე მუხლის მე-2 ნაწილზე, რომლის მიხედვით, ბათილია გარიგება, რომელიც დადებულია ერთი მხარის მიერ მეორეზე გავლენის ბოროტად გამოყენებით, როცა მათი ურთიერთობა დაფუძნებულია განსაკუთრებულ ნდობაზე.

მოპასუხე ნ. ა-იანმა სარჩელი არ ცნო და შესაგებელში განმარტა, რომ 2007 წლის 6 სექტემბერს ა. წ-ძემ მის სახელზე გასცა მინდობილობა, რომლითაც უფლება მიანიჭა, თავის საკუთრებაში არსებული, ოზურგეთის რაიონის სოფელ ... მდებარე საცხოვრებელი სახლი გაესხვისებინა. რწმუნებულება გააფორმა ნოტარიუსმა ქ. ძ-შვილმა ქ. თბილისში. ნ. ა-იანმა რწმუნებულებით დაკისრებული ვალდებულება სისრულეში მოიყვანა და მარწმუნებელ ა. წ-ძის საკუთრებაში არსებული ქონება მიჰყიდა ე. კ-იას. აქედან გამომდინარე, მოპასუხისათვის გაუგებარია, რატომ უნდა მიჩნეულიყო ბათილად მასა და ე. კ-იას შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულება.

ნ. ა-იანმა არ გაიზიარა მოსარჩევეების მითითება იმის შესახებ, რომ თითქოს მასა და ა. წ-ძეს შორის დადებული მინდობილობა გაუქმებული იყო. მინდობილობა ამ დროისთვისაც მოქმედებდა, ხოლო მის საფუძველზე ნაკისრი ვალდებულება ნ. ა-იანს შესრულებული ჰქონდა. მოპასუხის აზრით, თუკი ნოტარიუსმა მოსარჩევეების რაიმე უფლება დაარღვია, ისინი უფლებამოსილი იყვნენ, მოეთხოვათ მისგან ზიანის ანაზღაურება. ამასთან, სადავო ნასყიდობის ხელშეკრულების დადების დროისათვის ა. წ-ძის მხრიდან წინააღმდეგობა არ არსებობდა. ამდენად, კონკრეტულ შემთხვევაში ნასყიდობის ხელშეკრულება კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით იყო დადებული.

მოპასუხე ე. კ-იამ თავის შესაგებელში სარჩელის უარყოფა შემდეგი არგუმენტებით დაასაბუთა:

2007 წლის 5 ნოემბერს მან შეიძინა ა. წ-ძის საკუთრებაში არსებული, ოზურგეთის რაიონის სოფელ ... მდებარე საცხოვრებელი სახლი. 6.09.2007წ. რწმუნებულების მიხედვით აღნიშნული საცხოვრებელი სახლის გასხვისების უფლება გააჩნდა ნ. ა-იანს. მოსარჩევეთა მოთხოვნა დასახელებული ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის შესახებ იყო უსაფუძვლო, რამდენადაც მესაკუთრე ა. წ-ძეს სახლის გასხვისების მომენტში რაიმე პრეტენზია არ განუცხადებია და არც ის მინდობილობა გაუქმებია, რომლითაც ნ. ა-იანი უფლებამოსილი იყო, ქონება გაეყიდა. თავად ე. კ-ია წარმოადგენდა კეთილსინდისიერ შემძენს და მისი უფლებები დაცული იყო სამოქალაქო კოდექსის 185-ე მუხლით. კანონით ამ უკანასკნელის, როგორც კეთილსინდისიერი შემძენის, ვალდებულებას წარმოადგენდა მხოლოდ იმის გარკვევა, იყო თუ არა ა. წ-ძე საჯარო რეესტრში მესაკუთრედ დარეგისტრირებული. ამას კი მხარეები სადავოდ არ ხდიდნენ.

ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 7 მაისის გადაწყვეტილებით ა. წ-ძისა და ზ. ბ-შვილის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

რაიონულმა სასამართლომ საქმეზე დაადგინა, რომ მინდობილობით ნ. ა-იანს უფლებამოსილება ჰქონდა, სადავო ქონება გაესხვისებინა ნებისმიერ პირზე, რაც მან, კეთილსინდისიერად შეასრულა.

რაიონული სასამართლოს მოსაზრებით, მხოლოდ ის ფაქტი, რომ 2007 წლის 2 ნოემბერს ა. წ-ძემ მინდობილობა გააფორმა ზ. ბ-შვილზე, არ იყო საკმარისი იმის დასადასტურებლად, რომ ნოტარიუსმა არ შეასრულა დავალების მიმცემი პირის ნება, გაუქმებინა ნ. ა-იანზე გაცემული მინდობილობა.

რაიონულმა სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ ნ. ა-იანზე გაცემული მინდობილობის გაუქმების სურვილის შესახებ არ იცოდნენ: ნ. ა-იანმა, ე. კ-იამ, ნასყიდობის ხელშეკრულების დამმოწმებელმა ნოტარიუსმა და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სარეგისტრაციო სამსახურმა. ამასთან, ე. კ-იას ა. წ-მე საერთოდ არ იცნობდა. ე. კ-იამ იცოდა, რომ ქონება ა. წ-მის საკუთრებას წარმოადგენდა, რომლის განკარგვის უფლება ჰქონდა ნ. ა-იანს, ქონების შეძენის მიზნით ბანკიდან გამოტანილ იქნა სესხი და გარანტად დაიტვირთა ნ. ა-იანის ბინა. ეს აძლევდა რწმენას ე. კ-იას, რომ ბინა შეძენილი იყო დედამისის მიერ და მხოლოდ ის, რომ ე. კ-იას ნ. ა-იანის ქალიშვილია, ვერ გამოდგებოდა იმის მტკიცებულებად, რომ იგი ყოველმხრივ საქმის კურსში იყო.

სამოქალაქო კოდექსის 159-ე, 162-ე, 172-ე და 185-ე მუხლების თანახმად, რაიონულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ ე. კ-ია კეთილსინდისიერ შემძენსა და მფლობელს წარმოადგენდა.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ა. წ-მემ და ზ. ბ-შვილმა, რომლებმაც მოითხოვეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 8 ოქტომბრის განჩინებით ა. წ-მისა და ზ. ბ-შვილის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 7 მაისის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა რაიონული სასამართლოს მიერ საქმეზე დადგენილი შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

ზ. ბ-შვილი და ნ. ა-იანი 15 წლის განმავლობაში იმყოფებოდნენ ფაქტობრივ საქორწინო ურთიერთობაში და როგორც მეუღლეებმა გადაწყვიტეს ოზურგეთის რაიონის სოფელ ... საცხოვრებელი სახლისა და მიწის ნაკვეთის შეძენა;

2006 მაისის თვეში ა. წ-მეს, ზ. ბ-შვილსა და ნ. ა-იანს შორის შედგა გარიგება, რომლითაც მხარეები შეთანხმდნენ გარიგების პირობებზე, მათ შორის – ფასზე;

ზ. ბ-შვილმა და ნ. ა-იანმა ა. წ-მეს გადასცეს ზე – 1 000 აშშ დოლარი და მიუთითეს, რომ ეს იყო ნ. ა-იანის დედის კუთვნილი საცხოვრებელი სახლის გაყიდვის შედეგად მიღებული თანხა;

ა. წ-მისათვის დანარჩენი თანხის გადახდის მიზნით ბანკიდან გამოტანილ იქნა სესხი ზ. ბ-შვილის მიერ, რის უზრუნველსაყოფადაც იპოთეკით დაიტვირთა თბილისში მდებარე ნ. ა-იანის კუთვნილი ბინა;

2006 წლის 19 მაისს ზ. ბ-შვილმა ა. წ-მეს საბანკო ანგარიშზე გადაურიცხა 7 800 აშშ დოლარი;

უძრავი ქონების ნასყიდობის სანოტარო წესით გაფორმების მიზნით 2007 წლის 6 სექტემბერს ა. წ-მემ მინდობილობა გასცა ნ. ა-იანზე, რომლითაც ამ უკანასკნელს მიანიჭა ოზურგეთის რაიონის სოფელ ... მისი კუთვნილი ქონების მართვისა და განკარგვის უფლება;

იმავე წლის 2 ნოემბერს ა. წ-მემ ზ. ბ-შვილზე გასცა მინდობილობა, რომლითაც ზ. ბ-შვილს მიანიჭა უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმეების მოგვარების უფლება;

2007 წლის 5 ნოემბერს ნ. ა-იანმა, როგორც ა. წ-მის მინდობილმა პირმა, თავის ქალიშვილთან – ე. კ-იასთან დადო ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლითაც მას სადავო ქონება მიჰყიდა 3 500 აშშ დოლარად.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, მოცემულ შემთხვევაში სადავო იყო დავალებისა და ნასყიდობის ხელშეკრულებების ნამდვილობა. აპელანტები ნასყიდობის ხელშეკრულებას ბათილად მიიჩნევდნენ იმის გამო, რომ გარიგების დადების დროს ა. წ-მეს გამოთქმული ჰქონდა ნება მინდობილობის გაუქმების თაობაზე, ხოლო მინდობილობის თანახმად, ნ. ა-იანს სადავო ქონება უნდა გაესხვისებინა მხოლოდ ზ. ბ-შვილზე, ე.ი. აპელანტების განმარტებით, სადავო ნასყიდობის ხელშეკრულება დადო არაუფლებამოსილმა პირმა.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარე, იმ გარემოების მტკიცების ტვირთი, რომ ნ. ა-იანი არ იყო უფლებამოსილი, დაედო სადავო გარიგება, ეკისრებოდათ აპელანტებს, რაც მათ არ განუხორციელებით. საქმის მასალებით არ დასტურდებოდა, რომ ა. წ-მემ ნ. ა-იანს დაავალა სადავო ქონების მხოლოდ ზ. ბ-შვილზე გასხვისება. ამგვარი რამ არ გამომდინარეობდა მინდობილობის ტექსტიდან. ამასთან, დგინდებოდა, რომ ზ. ბ-შვილი და ნ. ა-იანი ა. წ-მესთან ურთიერთობაში გამოდიოდნენ ერთობლივად როგორც მეუღლეები და ა. წ-მისათვის უცნობი იყო, რომ ისინი რეგისტრირებულ ქორწინებაში არ იმყოფებოდნენ. ჩვეულებრივ, ასეთ შემთხვევაში გამყიდველი ქონებას გადასცემს ორივე მეუღლეს და არა ერთ-ერთ მათგანს, რაც ჩანდა კიდეც ა. წ-მის ახსნა-განმარტებიდან, რომლის მიხედვით, შეძენილ სახლში მეუღლეებს უნდა ეცხოვრათ ერთად. აქედან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ დაუსაბუთებლად მიიჩნია აპელანტების პოზიცია იმის თაობაზე, რომ ა. წ-მემ ქონება გაასხვისა უშუალოდ ზ. ბ-შვილზე.

სააპელაციო სასამართლომ ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ 2007 წლის 6 სექტემბრის შემდეგ ა. წ-მე აღარ იყო დაინტერესებული სადავო ქონების სამართლებრივი ბედით: მას ფაქტობრივად მიღებული ჰქონდა ნასყიდობის საზღაური და რომ არა ზ. ბ-შვილსა და ნ. ა-იანს შორის უთანხმოება, იგი გარიგებას არ შეეცილებოდა. ეს დასტურდებოდა კიდეც ა. წ-მის ხელწერილითა და ახსნა-განმარტებით, რომელთა ნამდვილობა მხარეებს სადავოდ არ გაუხდიათ. 2007 წლის 11 დეკემბრის ხელწერილიდან დგინდებოდა, რომ ა. წ-მის მიერ გაცემული მინდობილობით ნ. ა-იანმა ნივთი გაასხვისა კეთილსინდისიერად და აღნიშნულთან

დაკავშირებით ა. წ-მეს პრეტენზიები არ გააჩნდა. 2008 წლის 24 მარტის ახსნა-განმარტებაში კი მითითებულია, რომ ა. წ-მემ 2007 წლის 11 დეკემბრის ხელწერილით დაადასტურა ის, რაც სინამდვილეში იყო. ამ ახსნა-განმარტებაში იგი «ადამიანურად თანაუგრძობს» ზ. ბ-შვილს, თუმცა არ აცხადებს, რომ სადავო ქონება გაასხვისა ზ. ბ-შვილზე. პირიქით, ადასტურებს, რომ მისთვის ცნობილი გახდა ნ. ა-იანის მიერ ქონების ქალიშვილზე გასხვისების ფაქტი, თუმცა მას არ შესცილებია. აქვე, სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა და საგულისხმოდ მიიჩნია ის, რომ 2007 წლის 11 დეკემბრის ხელწერილი შედგენილი იყო მას შემდეგ, რაც აპელანტების განმარტებით, ა. წ-მემ გამოხატა ნ. ა-იანზე გაცემული მინდობილობის გაუქმების ნება (2007 წლის 2 ნოემბერი).

ამდენად, მოცემულ შემთხვევაში არ დგინდებოდა, რომ 2007 წლის 6 სექტემბერს ა. წ-მემ ნ. ა-იანს დაავალა კუთვნილი ქონების გასხვისება მხოლოდ ზ. ბ-შვილზე. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, 2007 წლის 6 სექტემბრის შემდეგ, ა. წ-მისათვის სულ ერთი იყო, თუ ვისთან დადებდა გარიგებას მისი წარმომადგენელი.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, გარდა ამისა, საქმის მასალებით არ დგინდებოდა ისიც, რომ 2007 წლის 2 ნოემბერს ა. წ-მემ ნ. ა-იანს გაუუქმა წარმომადგენლობითი უფლებამოსილება. მხოლოდ ის, რომ ამ დღეს ა. წ-მემ ზ. ბ-შვილზე გასცა მინდობილობა, აღნიშნულს არ ადასტურებდა. ამ მინდობილობით ა. წ-მემ ზ. ბ-შვილს უფლება მიანიჭა, მისი სახელით ეწარმოებინა სადავო უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმეები: ზ. ბ-შვილს მიეცა შესაძლებლობა, ა. წ-მის სახელით საჯარო რეესტრიდან მიეღო უძრავ ქონებასთან დაკავშირებული ინფორმაცია. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, დასახელებული მინდობილობა გაიცა იმიტომ, რომ ზ. ბ-შვილსა და ნ. ა-იანს შორის წარმოიშვა დავა და არა იმიტომ, რომ ა. წ-მე არ ეთანხმებოდა 2007 წლის 6 სექტემბრის მინდობილობაში გამოხატულ ნებას; ნ. ა-იანსა და ზ. ბ-შვილს შორის დავა რომ არ წარმოშობილიყო, არც 2007 წლის 2 ნოემბრის მინდობილობა გაიცემოდა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ 2007 წლის 2 ნოემბერს ა. წ-მეს ნ. ა-იანისათვის წარმომადგენლობითი უფლებამოსილება არ გაუუქმებია და სამოქალაქო კოდექსის 103-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმავე წლის 5 ნოემბერს ნ. ა-იანი უფლებამოსილი იყო ე. კ-იასთან ა. წ-მის სახელით დაედო ნასყიდობის ხელშეკრულება.

მიუხედავად ამისა, სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ა. წ-მის მიერ ნ. ა-იანზე წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გაუქმების შემთხვევაშიც სადავო ხელშეკრულება ნამდვილი იქნებოდა, რადგან 2007 წლის 11 დეკემბერს ა. წ-მემ (უფლებამოსილმა პირმა) იგი მოიწონა. სამოქალაქო კოდექსის 102.2 გამომდინარე, არაუფლებამოსილი პირის მიერ საგნის განკარგვა ნამდვილია, თუ უფლებამოსილი პირი მას მოიწონებს. ამავე კოდექსის 101-ე მუხლის თანახმად კი მოიწონებას აქვს უკუქცევითი ძალა გარიგების დადების მომენტიდან. 2007 წლის 11 დეკემბერს ა. წ-მემ მოიწონა ნ. ა-იანის მიერ დადებული გარიგება, რაც მან დაადასტურა 2008 წლის ახსნა-განმარტებით. ამით კი მან, სამოქალაქო კოდექსის 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, გარიგების შეცილების უფლება დაკარგა.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტების მსჯელობა იმის შესახებ, რომ 2007 წლის 11 დეკემბრის ხელწერილის შედგენისას ა. წ-მისათვის უცნობი იყო, თუ ვის მიჰყიდა ნ. ა-იანმა სადავო უძრავი ქონება. ხელწერილის შინაარსიდან ნათლად ჩანდა, რომ ა. წ-მე ინფორმირებული იყო უკვე დადებული გარიგების თაობაზე და ეთანხმებოდა მას.

სააპელაციო სასამართლომ ასევე არ გაიზიარა აპელანტების მოსაზრება იმის თაობაზე, რომ რაიონული სასამართლო ვალდებული იყო, ნოტარიუს ქ. მ-შვილის მიერ შესაგებლის წარუდგენლობისა და სასამართლო სხდომაზე მისი გამოუცხადებლობის გამო გამოეტანა დაუსწრებელი გადაწყვეტილება. ამასთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლომ განმარტა შემდეგი:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 86-ე მუხლის შინაარსიდან გამომდინარეობს, რომ არსებობს ორი სახის საპროცესო თანამონაწილეობა: სავალდებულო და ფაკულტატური. იმ შემთხვევაში, როდესაც დავის საგანს წარმოადგენს საერთო უფლება (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 86-ე მუხლის პირველი ნაწილის «ა» პუნქტი), საპროცესო თანამონაწილეობა სავალდებულოა. სავალდებულო საპროცესო თანამონაწილეობის შემთხვევაში ამა თუ იმ საპროცესო მოქმედების შესრულება ერთ-ერთი თანამონაწილის მიერ საკმარისია იმისათვის, რომ ეს საპროცესო მოქმედება სასამართლომ ჩათვალოს შესრულებულად ყველა საპროცესო თანამონაწილისათვის.

იმის გათვალისწინებით, რომ მოცემულ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენდა საერთო უფლება, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, შეუძლებელი იყო გარიგება ბათილი ყოფილიყო მხოლოდ ნოტარიუსის მიმართ და ნამდვილი გარიგების მონაწილე მხარეების მიმართ, ე.ი. არსებობდა სავალდებულო საპროცესო თანამონაწილეობა. ასეთ შემთხვევაში ნ. ა-იანისა და ე. კ-იას მიერ შესაგებლის წარდგენა და სასამართლო სხდომაზე მათი ან მათი წარმომადგენლის გამოცხადება საკმარისი იყო იმისათვის, რომ ეს საპროცესო მოქმედებები შესრულებულად მიჩნეულიყო ქ. მ-შვილის მიმართაც. ამდენად, არ არსებობდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის კანონით გათვალისწინებული საფუძვლები.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრეს ზ. ბ-შვილმა და ა. წ-მემ (ა. წ-მის წარმომადგენელი ჯ. მ-შვილი), რომლებმაც მოითხოვეს გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად იმავე სასამართლოში დაბრუნება.

კასატორების მოთხოვნები ეფუძნება შემდეგ მოტივებს:

ნ. ა-იანი და ზ. ბ-შვილი არარეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდნენ 15 წლის განმავლობაში. სადავო ქონების – ოზურგეთის რაიონის სოფელ ... მდებარე საცხოვრებელი სახლისა და მიწის ნაკვეთის შემენის მომენტში მათ შორის ნორმალური ურთიერთობა არსებობდა. მოგვიანებით, როდესაც გადაწყდა ქონების რეგისტრაციაში გატარება, აღნიშნული უფლებამოსილება მიენიჭა ნ. ა-იანს. არჩევანი ამ უკანასკნელზე იმიტომ შეჩერდა, რომ იგი იყო ოზურგეთის მკვიდრი, შესაბამისად, იქაურ გარემოს კარგად იცნობდა და საჯარო რეესტრის სამსახურის თანამშრომლებთანაც გარკვეული ურთიერთობები ჰქონდა. სწორედ ამ მიზნით გასცა ა. წ-მემ მინდობილობა ნ. ა-იანზე, რომლითაც მას ზ. ბ-შვილზე უკვე გასხვისებული ქონების მართვისა და განკარგვის უფლება მიანიჭა. ამ შემთხვევაში მესაკუთრის – ა. წ-მის მხრიდან სადავო ქონების სხვა პირზე გასხვისების ნების გამოხატვა გამორიცხული იყო, რადგან ზ. ბ-შვილს ნასყიდობის საზღაური გადახდილი ჰქონდა. დარჩენილი იყო მხოლოდ ნასყიდობის საგნის საჯარო რეესტრში რეგისტრაცია. საგულისხმოა, რომ სამოქალაქო კოდექსის 114-ე მუხლი გამორიცხავს საკუთარ თავთან გარიგების დადებას, რაც კიდევ უფრო ასაბუთებს, რომ ნ. ა-იანს ქონების მხოლოდ ზ. ბ-შვილისათვის დარეგისტრირების უფლება მიენიჭა. იმ შემთხვევაში თუკი მინდობილობა მინდობილ მესაკუთრეს ქონების სხვა პირისათვის გაფორმების უფლებას მიანიჭებდა, დღის წესრიგში დადგებოდა ამ «სხვა პირის» დაკონკრეტების საკითხი, რასაც ამ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია.

მას შემდეგ, რაც მოსარჩელებმა შეიტყვეს, რომ ნ. ა-იანი სადავო ქონების გასხვისებას აპირებდა, მათ მიმართეს ნოტარიუს ქ. მ-შვილს, რომ გაეუქმებინა ნ. ა-იანზე გაცემული მინდობილობა. ნოტარიუსმა მინდობილობის გაუქმებაზე უკანონოდ უარი განაცხადა, რითაც უფლებამოსილების გამცემი პირის უფლებები უგულებელყო.

სააპელაციო სასამართლომ საქმეზე დადგენილად მიიჩნია, რომ სადავო სახლის ღირებულების თანხის დაფარვა მოხდა ზ. ბ-შვილის მიერ ბანკიდან გამოტანილი სესხით, ხოლო სესხის უზრუნველსაყოფად იპოთეკით დაიტვირთა თბილისში მდებარე ნ. ა-იანის საცხოვრებელი სახლი. სააპელაციო სასამართლოს არ მიუთითებია, თუ რის საფუძველზე მიიჩნია დადგენილად აღნიშნული ფაქტობრივი გარემოება. სინამდვილეში ასე არ მომხდარა. სესხი ზ. ბ-შვილმა თავისი ბიზნესის საჭიროებიდან გამომდინარე აიღო და სწორედ ამ დანიშნულებით გამოიყენა.

სასამართლომ არანაირი ზომა არ მიიღო იმისათვის, რომ პროცესს დასწრებოდა ნოტარიუსი ქ. მ-შვილი, მაშინ, როდესაც მისი ჩვენება საქმისათვის საკმაოდ მნიშვნელოვანი იქნებოდა. იგი არსებითად ნათელს მოჰფენდა საკითხს იმის შესახებ, იყო თუ არა მის წინაშე დასმული მინდობილობის გაუქმების მოთხოვნა, დადებით შემთხვევაში რატომ განაცხადა უარი მინდობილობის გაუქმებაზე. აღნიშნული უარით მოსარჩელებს მიადგათ ზიანი, ხოლო მოპასუხეები უსაფუძვლოდ, ნდობის ბოროტად გამოყენებით დაეუფლნენ სხვის ქონების და უსაფუძვლოდ გამდიდრდნენ.

კასატორები არ იზიარებენ სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას იმის შესახებ, რომ წარმომადგენლობის გაუქმების შემთხვევაშიც სადავო ნასყიდობის ხელშეკრულება ნამდვილი იქნებოდა. ამ შემთხვევაში ნასყიდობის ხელშეკრულების დადებამდე, 2007 წლის 2 ნოემბერს, გაუქმდა ნ. ა-იანზე გაცემული მინდობილობა, რის გამოც ნ. ა-იანი არ იყო უფლებამოსილი, დაედო ნასყიდობის ხელშეკრულება.

### **სამოტივეციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივრის სასამართლო განხილვის შედეგად მიიჩნევს, რომ უნდა გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 8 ოქტომბრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს, შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლომ საქმეზე შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები დაადგინა:

ზ. ბ-შვილი და ნ. ა-იანი 15 წლის განმავლობაში იმყოფებოდნენ ფაქტობრივ საქორწინო ურთიერთობაში და როგორც მეუღლეებმა, გადაწყვიტეს ოზურგეთის რაიონის სოფელ ... საცხოვრებელი სახლისა და მიწის ნაკვეთის შექმნა;

2006 მაისში ა. წ-მეს, ზ. ბ-შვილსა და ნ. ა-იანს შორის შედგა ზეპირი გარიგება უძრავი ქონების ნასყიდობის შესახებ, რომლითაც მხარეები შეთანხმდნენ გარიგების პირობებზე, მათ შორის – ფასზე;

ზ. ბ-შვილი და ნ. ა-იანი ა. წ-მესთან ურთიერთობაში გამოდიოდნენ ერთობლივად, როგორც მეუღლეები და ა. წ-მისთვის უცნობი იყო, რომ ისინი რეგისტრირებულ ქორწინებაში არ იმყოფებოდნენ. როგორც მისთვის იყო ცნობილი, შექმნილ სახლში მეუღლეებს უნდა ეცხოვრათ ერთად;

ზ. ბ-შვილმა და ნ. ა-იანმა ა. წ-მეს გადასცეს ბე – 1 000 აშშ დოლარი და მიუთითეს, რომ ეს იყო ნ. ა-იანის დედის კუთვნილი საცხოვრებელი სახლის გაყიდვის შედეგად მიღებული თანხა;

ა. წ-მისათვის დანარჩენი თანხის გადახდის მიზნით ზ. ბ-შვილმა ბანკიდან გამოიტანა სესხი, რის უზრუნველსაყოფადაც იპოთეკით დაიტვირთა თბილისში მდებარე ნ. ა-იანის კუთვნილი ბინა;

2006 წლის 19 მაისს ზ. ბ-შვილმა ა. წ-მეს საბანკო ანგარიშზე გადაურიცხა 7 800 აშშ დოლარი;

უძრავი ქონების ნასყიდობის სანოტარო წესით გაფორმების მიზნით 2007 წლის 6 სექტემბერს ა. წ-მემ მინდობილობა მისცა ნ. ა-იანს, რომლითაც ამ უკანასკნელს მიანიჭა ოზურგეთის რაიონის სოფელ ... მდებარე თავისი კუთვნილი ქონების მართვისა და განკარგვის უფლება;

იმავე წლის 2 ნოემბერს ა. წ-მემ ზ. ბ-შვილს მისცა მინდობილობა, რომლითაც ზ. ბ-შვილს მიანიჭა უძრავი ქონებასთან დაკავშირებული საქმეების მოგვარების უფლება;

2007 წლის 5 ნოემბერს ნ. ა-იანმა, როგორც ა. წ-მის მინდობილმა პირმა, თავის ქალიშვილ ე. კ-იას მიჰყიდა და სადავო ქონება 3 500 აშშ დოლარად.

ა. წ-მემ თავისი კუთვნილი ქონების ნ. ა-იანის მიერ განკარგვა მოიწონა და ხელწერილში აღნიშნავს, რომ არ გააჩნია რაიმე პრეტენზია ნ. ა-იანის მიერ განხორციელებულ განკარგვასთან დაკავშირებით.

სარჩელის მოთხოვნებია: 1. ა. წ-მის მიერ ნ. ა-იანზე 2007 წლის 6 სექტემბერს გაცემული მინდობილობის გაუქმებულად გამოცხადება 2007 წლის 2 ნოემბრიდან; 2. ამ მინდობილობის საფუძველზე 2007 წლის 5 ნოემბერს ნ. ა-იანსა და ე. კ-იას შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების გაუქმება; 3. ე. კ-იას სახელზე მიწის ნაკვეთისა და საცხოვრებელი სახლის საკუთრების უფლების შესახებ საჯარო რეესტრის ჩანაწერის გაუქმება; 4. ოზურგეთის რაიონის სოფელ ... მდებარე 10 000 კვ.მ მიწის ნაკვეთსა და საცხოვრებელ სახლზე ა. წ-მის საკუთრების უფლების აღდგენა.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ არ გამოარკვია და შეაფასა სადავო მინდობილობის რეალური სამართლებრივი ბუნება. სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ სოფელ ... მდებარე უძრავ ნივთზე ხელშეკრულების დასადავად შეთანხმება არსებით პირობებზე და მხარეთა კონსენსუსი შედგა, ერთი მხრივ, ა. წ-მეს, როგორც გამყიდველსა და, მეორე მხრივ – ზ. ბ-შვილსა და ნ. ა-იანს, როგორც მყიდველებსა და მყიდველებს შორის. სააპელაციო სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ ამავ უძრავი ქონების ნასყიდობის სანოტარო წესით გაფორმების მიზნით, ანუ ზეპირად დადებული შეთანხმების იურიდიულად გასაფორმებლად 2007 წლის 6 სექტემბრის სადავო მინდობილობა ა. წ-მემ მისცა მხოლოდ ნ. ა-იანს. მხარეები ასევე ადასტურებენ, რომ მინდობილობა შეთანხმებული ნასყიდობის იურიდიულად გასაფორმებლად გაიცა. თავად ნ. ა-იანი ამბობს, რომ მხარეთა საბოლოო შეთანხმების თანახმად, ამ მინდობილობის მეშვეობით მართო მასზე უნდა გაფორმებულიყო უძრავი ნივთი. სამოქალაქო კოდექსის თანახმად ხელშეკრულების დადების პროცესი ორი ძირითადი ეტაპისგან შედგება: შეთანხმება ხელშეკრულების არსებით პირობებზე და უკვე მიღწეული შეთანხმების გამოხატვა კანონით გათვალისწინებული ფორმით. უძრავ ნივთზე დადებული ნასყიდობის ხელშეკრულება კონსესუალურია და დადებულად ითვლება მხოლოდ იმ მომენტიდან, როდესაც მხარეთა შორის დადგენილი ფორმით მოხდება შეთანხმების მიღწევა. ამდენად, მხოლოდ ზეპირი შეთანხმება უძრავი ნივთის ნასყიდობის არსებით პირობებზე არ ნიშნავს, რომ მხარეთა შორის ხელშეკრულება დაიდო. ამისათვის აუცილებელია წერილობითი ხელშეკრულების დადგენილი წესით გაფორმება და საჯარო რეესტრში ახალი მესაკუთრის სახელზე ნივთის რეგისტრაცია. ამასთან, სამოქალაქო კოდექსი არ უშვებს მინდობილი პირის მიერ მიმდობის სახელით გარიგების თავის თავთან დადების შესაძლებლობას (მუხ.114), თუმცა დადების შემთხვევაში ასეთ გარიგებას მიაკუთვნებს მერყევად ბათილს, რომელიც ნამდვილი ხდება წარმოდგენილი პირის მიერ გარიგების მოწონების შემთხვევაში. ნიშანდობლივია მხარეების განცხადება, რომ სადავო მინდობილობის გაცემას ნოტარიუსთან ესწრებოდა სამივე მხარე – ა. წ-მე, ნ. ა-იანი და თავად ზ. ბ-შვილი. მიუხედავად ამისა, ზ. ბ-შვილს არ მოუთხოვია მასთან წერილობითი ხელშეკრულების გაფორმება და დაეთანხმა მხოლოდ ნ. ა-იანზე მინდობილობის გაცემას. ასეთ ვითარებაში გაურკვეველია, თუკი მხარეები საბოლოოდ მართლაც შეთანხმდნენ ზ. ბ-შვილზე ქონების მიყიდვაზე, ნ. ა-იანი, რომელიც მინდობილობის გაფორმების შემდგომ უნდა გამგზავრებულიყო ოზურგეთში საჯარო რეესტრში ხელშეკრულების სარეგისტრაციოდ, როგორ მოახდენდა ქონების ზ. ბ-შვილზე აღრიცხვას, რომელიც იმყოფებოდა თბილისში და არც წერილობითი ხელშეკრულება გაუფორმებია ნოტარიუსთან სადავო ქონების მის მიერ ნასყიდობის შესახებ. სააპელაციო სასამართლომ უნდა შეაფასოს აღნიშნული გარემოებები და დაადგინოს, სადავო მინდობილობით სინამდვილეში ხომ არ მოხდა უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულების დაფარვა (სამოქალაქო კოდექსის 56.2 მუხლი) ა. წ-მესა და ნ. ა-იანს შორის, რასაც დაეთანხმა ზ. ბ-შვილი. მინდობილობის ნამდვილობის საკითხი უნდა გადაწყდეს აღნიშნულის გათვალისწინებით.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქმის ხელახალი განხილვისას სააპელაციო სასამართლომ ასევე უნდა გამოარკვიოს ა. წ-მისა და ზ. ბ-შვილის იურიდიული ინტერესი საქმეზე მათ მიერ აღძრული სარჩელის მოთხოვნების ფარგლებში. ა. წ-მესთან დაკავშირებით საგულისხმოა ის გარემოება, რომ, საქმის მასალების თანახმად, მისი მხრიდან უძრავი ქონების გასხვისების ნება მართლაც არსებობდა. გარდა ამისა, დადგენილია, რომ 2007 წლის 11 დეკემბერს ა. წ-მემ ნ. ა-იანის მიერ სადავო ქონების განკარგვა მოიწონა, იგი ხელწერილში აცხადებს, რომ არ გააჩნია პრეტენზია ნ. ა-იანის მიერ განხორციელებულ განკარგვასთან დაკავშირებით, რაც მან დაადასტურა 2008 წლის ახსნა-განმარტებითაც. საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას, რომ აღნიშნული, სამოქალაქო კოდექსის 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, უფლებამოსილი პირის მიერ გარიგების შეცილებაზე უფლების დაკარგვის საფუძველია. ამასთან, გაურკვეველია, თუკი ა. წ-მეს უძრავი ქონების გასხვისება ნამდვილად უნდოდა, ამჯერად რატომ ითხოვს ისევ თავის სახელზე ნივთის აღრიცხვას. სააპელაციო სასამართლომ არ გამოურკვევია საკითხი, ზ. ბ-შვილის მიერ შეცილების უფლების დაკარგვამ როგორ იმოქმედა საქმისადმი ზ. ბ-შვილის იურიდიულ ინტერესზე, და-

კარგა თუ არა ამით შეცვლების უფლება ზ. ბ-შვილმაც და მის მიმართ აღნიშნულს რა სამართლებრივი შედეგები მოსდევს. სარჩელის თანახმად, ზ. ბ-შვილი არ ითხოვს სადავო ქონების მის საკუთრებაში აღრიცხვას, იგი მხოლოდ ითხოვს უძრავ ქონებაზე ა. წ-ძის საკუთრების უფლების აღდგენას. სააპელაციო სასამართლომ უნდა გამოარკვიოს, ასეთი მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაშიც, ზ. ბ-შვილი რა უფლებას მოიპოვებს უძრავ ნივთზე, მაშინ როდესაც არ არსებობს უძრავი ნივთის ნასყიდობის შესახებ მის მიერ ა. წ-ძესთან დადებული წერილობითი ხელშეკრულება. უძრავ ნივთზე დადებული ნასყიდობის ხელშეკრულება კი, როგორც ზემოთ აღინიშნა, დადებულად ითვლება მხარეთა შორის მხოლოდ დადგენილი ფორმით (მოცემულ შემთხვევაში რთული წერილობითი ფორმით) შეთანხმების მიღწევის შემთხვევაში.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კასატორების მსჯელობას, რომ საქმეზე მოპასუხე ქ. მ-შვილის ახსნა-განმარტება გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონეა. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ საქმეზე ნოტარიუსის მოპასუხედ ყოფნა ფორმალური ხასიათისაა, რამდენადაც ამ შემთხვევაში ქონებრივი დავა რეალურად არსებობს ზ. ბ-შვილსა და ნ. ა-იანს შორის და არა ნოტარიუსთან.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით სააპელაციო სასამართლომ თავიდან უნდა დაადგინოს საქმეზე ფაქტობრივი გარემოებები და გამოიტანოს დასაბუთებული გადაწყვეტილება.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

ზ. ბ-შვილისა და ა. წ-ძის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;  
გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 8 ოქტომბრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;  
განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

### **მოჩვენებითი გარიგება; კეთილსინდისიერი შემძენი**

#### **განჩინება**

1ას-571-879-09

30 აპრილი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ლ. ლაზარაშვილი,

ნ. კვანტალიანი

**დავის საგანი:** ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას სარჩელით მიმართა ნ. მ-ძემ მოპასუხეების – ი. ნ-შვილისა და ს. პ-ინას მიმართ ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილობის მოთხოვნით. მან მიუთითა, რომ 2005 წლის 13 ნოემბრიდან რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფება ი. ნ-შვილთან. მეუღლეებმა ქორწინების განმავლობაში შეიძინეს საცხოვრებელი ბინა, რომელიც ნ.მ-ძის სიტყვიერი თანხმობით დარეგისტრირდა ი. ნ-შვილის სახელზე. მოსარჩელის განმარტებით, მოპასუხე 2008 წლის 15 მაისს თვალთმაქცურად გაურიგდა ს. პ-ინას და გააფორმა ხელშეკრულება, თითქოს ბინა მიჰყიდა მას. შემდეგ კი, 27 მაისს, რწმუნებულის მეშვეობით მიმართა სასამართლოს განქორწინების მოთხოვნით. მოსარჩელე მიუთითებს, რომ პ-ინასა და ნ-შვილს შორის დადებული ხელშეკრულება მიზნად ისახავს მხოლოდ ნ. მ-ძის გზიდან ჩამოშორებას. მოსარჩელის განმარტებით, კიდევაც რომ ვერ დადასტურდეს ხელშეკრულების თვალთმაქცურად დადების ფაქტი, ნასყიდობის ხელშეკრულება მაინც ბათილად მისაჩნევია იმ გარემოებიდან გამომდინარე, რომ ს. პ-ინა არის არაკეთილსინდისიერი მყიდველი. აღნიშნულის საფუძველზე მოსარჩელემ მოითხოვა 2008 წლის 15 მაისის თვალთმაქცური გარიგების ბათილად ცნობა, ბინის მესაკუთრედ საჯარო რეესტრში ნ.მ-ძის დარეგისტრირება და მოსარჩელე ნ.მ-ძეს მოპასუხე ი.ნ-შვილის სასარგებლოდ თანასაკუთრებაში არსებული ბინიდან კომპენსაციის სახით 13000 ლარის დაკისრება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 14 ნოემბრის გადაწყვეტილებით ნ. მ-ძის სარჩელი მოპასუხეების – ი. ნ-შვილსა და ს. პ-ინის მიმართ, 2008 წლის 15 მაისის ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად

ცნობის მოთხოვნით, არ დაკმაყოფილდა, გაუქმდა მოცემულ საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 4 ივლისის განჩინებით დადგინდა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, ყადაღა მოეხსნა ს. პ-ინას საკუთრებაში არსებულ ქ.თბილისში, ... 142 კორპუსში მდებარე 18 ბინას.

აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი შეიტანა ნ. მ-მემ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 29 აპრილის განჩინებით ნ. მ-მის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 14 ნოემბრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ საქმე განიხილა არსებითი ხასიათის საპროცესო დარღვევების გარეშე. ამასთან, არსებითად სწორად დაადგინა საქმის ფაქტობრივი გარემოებები და სამართლებრივად სწორად შეაფასა, შესაბამისად, სააპელაციო სასამართლო ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებებს და დასკვნებს საქმის ფაქტობრივ და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით და მიუთითებს მათზე.

სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა ნ. მ-მის მოსაზრება იმის შესახებ, რომ სადავო გარიგება წარმოადგენს მოჩვენებით გარიგებას, რადგან მას არ მოჰყოლია იურიდიული შედეგები. პალატა ამ საკითხთან დაკავშირებით სრულად იზიარებს პირველი ინსტანციის სასამართლოს ზემოთ მითითებულ არგუმენტებს.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველ ნაწილს და მიუთითა, რომ მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებს და შესაგებელს. მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელე ნ. მ-მე სადავო გარიგების ბათილად ცნობას ითხოვდა იმ საფუძველით, რომ იგი წარმოადგენდა მოჩვენებით გარიგებას, შესაბამისად, ამ გარემოების მტკიცების ტვირთი ეკისრებოდა მოსარჩელეს, რომელმაც ვერ შეძლო ამ ფაქტის დამადასტურებელი მტკიცებულებების წარდგენა.

ასევე პალატამ განმარტა, რომ გარიგება იმ შემთხვევაში ჩაითვლება მოჩვენებითად, როცა გარიგების მხარეებს არ სურთ ამ გარიგებით გათვალისწინებული იურიდიული შედეგის დადგომა. მოჩვენებითი გარიგება მოკლებულია ნამდვილობას და მხარეთა მოჩვენებითი გარიგების დროს მოსაჩვენებლად იქცევა ამ გარიგების მონაწილე ნების გამოვლენის ყველა სუბიექტი და მათ არ სურთ გარიგების შესრულება. ასეთი გარიგების შედეგად კანონსაწინააღმდეგო მიზნის მიღწევა ან სხვა გარიგების დაფარვა ორივე მხარის ინტერესი და მიზანი უნდა იყოს. სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ მოცემულ შემთხვევაში ასეთ გარემოებასთან საქმე არ ვვაქვს, რადგან საქმეში წარმოდგენილი არ არის რაიმე მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა ს.პ-ინის მიერ ამ გარიგების დადების დროს რაიმე კანონსაწინააღმდეგო მიზნის მიღწევის ნებას. საქმის მასალებით ასევე არ დასტურდება ის ფაქტი, რომ ამ გარიგებით დაიფარა სხვა გარიგება. სადავო გარიგების მოჩვენებითობასა და თვალთმაქცურობაზე არ მიუთითებს ის ფაქტი, რომ ს. პ-ინი არ სარგებლობს შეძენილი უძრავი ქონებით. სამოქალაქო კოდექსის 170-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, მესაკუთრეს შეუძლია, კანონისმიერ ან სხვაგვარი, კერძოდ, სახელშეკრულებო შებოჭვის ფარგლებში თავისუფლად ფლობდეს და სარგებლობდეს ქონებით (ნივთით). ამავე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით კი, სარგებლობის უფლება მოიცავს შესაძლებლობას, არ ისარგებლოს პირმა თავისი ნივთით. ამდენად, იმ შემთხვევაშიც კი, თუ მესაკუთრე არ სარგებლობს მის საკუთრებაში არსებული ნივთით, ეს არ ნიშნავს, რომ მან რაიმე კანონსაწინააღმდეგო მიზნის მისაღწევად დადო ის გარიგება, რომლითაც ამ ნივთზე საკუთრების უფლება მოიპოვა. მოცემულ შემთხვევაში სადავო გარიგების დადებით მხარეების სურვილი იყო, ერთი მხრივ, ქონების გასხვისება და, მეორე მხრივ, მისი შექმნა, რაც განხორციელდა და ს. პ-ინი საჯარო რეესტრში დარეგისტრირდა მესაკუთრედ.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის მითითება იმის შესახებ, რომ სადავო გარიგების ერთ მხარეს (ს.პ-ინი) მეორე მხარისათვის (ი.ნ-შვილი) არ გადაუცია ნასყიდობის ფასი. თვითონ მოპასუხეები ამ გარემოებას სადავოდ არ ხდიან და ადასტურებენ ნასყიდობის საფასურის გადახდისა და მიღების ფაქტს. აღნიშნულის საწინააღმდეგო გარემოებების მტკიცების ტვირთი აწევს მოსარჩელეს, რომელმაც ამ ნაწილშიც ვერ შეძლო მისი წილი მტკიცების ტვირთის რეალიზება.

აღნიშნულ განჩინებაზე საკასაციო საჩივარი შეიტანა ნ. მ-მემ. მან მიუთითა, რომ მოცემულ შემთხვევაში დაიდო მოჩვენებითი გარიგება იმ მიზნით, რომ არ გაიყოს მეუღლეთა თანასაკუთრებაში არსებული ქონება. სასამართლოს ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად უნდა განეხილა თანამესაკუთრის მოთხოვნა, მის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები, ფაქტები, გარემოებები. აღნიშნული ქონების საბაზრო ფასთან დაკავშირებით წარმოდგენილია სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა, რომლის მიხედვით ბინის საბაზრო ფასი ხელშეკრულებაში დაფიქსირებულ ფასთან შედარებით შემცირებულია. აღნიშნულ დასკვნაზე სასამართლოს არ უმსჯელია.

ს. პ-ინა აცხადებს, რომ იგი არის კეთილსინდისიერი შემძენი. მას უნდა წარმოედგინა სასამართლოსთვის არა საჯარო რეესტრის ამონაწერი, რომლითაც დასტურდება, რომ იგი აღნიშნული ბინის მესაკუთრედ არის დარეგისტრირებული საჯარო რეესტრში, არამედ შესაბამისი მტკიცებულებები, თუ რა გახდა მეუღლეთა თანასაკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ბინის საჯარო რეესტრში აღრიცხვის საფუძველი.



### სამოტივიციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ საქმის მასალების განხილვის, მხარეთა განმარტებების მოსმენის, საკასაციო საჩივრის მოტივების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ დავას იწვევს საკითხი იმის შესახებ მოჩვენებით დაიდო ი. ნ-შვილსა და ს. პ-ინას შორის გარიგება თუ არა, ასევე წარმოადგენს თუ არა ს. პ-ინა კეთილსინდისიერ შემქმნს.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მოჩვენებითი გარიგების არსებობის შემთხვევაში არ არსებობს გამოვლენის გარეგანი დათქმა. ამ შემთხვევაში აუცილებელია, რომ ნების გამოვლენი და ნების მიმღები მოქმედებდნენ შეთანხმებით და ორივე აცნობიერებდნენ ნების ნაკლს. მოჩვენებითი გარიგების დროს კანონი ადგენს კავშირს ფიქტიურ გარიგებასა და ნების მიმღები ადრესატის თანხმობას შორის. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 56-ე მუხლის 1-ელი ნაწილის თანახმად, ბათილია გარიგება, რომელიც დადებულია მხოლოდ მოსაჩვენებლად, იმ განზრახვის გარეშე, რომ მას შესაბამისი იურიდიული შედეგი მოჰყვეს (მოჩვენებითი გარიგება). ამრიგად, განსახილველი ნორმით იგულისხმება ის შემთხვევა, როდესაც, როგორც ნების გამოვლენი, ასევე მისი მიმღები მოქმედებენ იმ განზრახვის გარეშე, რომ ამ გარიგებას შესაბამისი იურიდიული შედეგი მოჰყვეს. ყოველივე აღნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ მოჩვენებითი გარიგებას ახასიათებს მხარეთა «ურთიერთშეთანხმება», «გარიგება» მოჩვენებით ნების გამოვლენის შესახებ. ამ შემთხვევაში ორივეს გაცნობიერებული აქვს, რომ მათ მიერ ასეთი ნების გამოვლენას არ მოჰყვება იურიდიული შედეგი. სასამართლო პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ ძირითადად მოჩვენებითი გარიგების დადება დაკავშირებულია მესამე პირებთან არსებულ ურთიერთობასთან, (მაგალითად, მოჩვენებითი გარიგების დადების ერთ-ერთ მოტივს შეიძლება წარმოადგენდეს მესამე პირის მოტყუება, პასუხისმგებლობისაგან თავის არიდება და ა.შ.). იმისათვის, რომ სასამართლომ სადავო გარიგება, მიიჩნიოს მოჩვენებითი გარიგებად, აუცილებელია ისეთი ფაქტობრივი გარემოებების არსებობა, რომლებიც მიუთითებენ ნების გამოვლენის ნაკლზე, ფიქტიური გარიგების შესახებ «ურთიერთშეთანხმებაზე», საერთო მიზანზე, რაც არ შეესაბამება მათ მიერ გარეგანი ნების გამოვლენას.

აღნიშნულის გათვალისწინებით საკასაციო პალატა არ იზიარებს კასატორის მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ ს. პ-ინასა და ი. ნ-შვილის ნაცნობობის და ამ უკანასკნელის დედისა და ს. პ-ინას მეზობლობის ფაქტი მიუთითებს სადავო გარიგების ბათილობაზე საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 56-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად.

როგორც წესი, მოჩვენებითი გარიგება ფორმალურად შეესაბამება კანონის მოთხოვნებს, მაგრამ ნების ნაკლი, მისი არანამდვილობის გამო, წარმოადგენს იმ არსებითი ხასიათის ნაკლს, რაც გამორიცხავს სამართლებრივი შედეგის დადგომას. ამდენად, ის ფაქტი, რომელიც მიუთითებს სადავო გარიგების მხარეთა ნების გამოვლენის არანამდვილობაზე, უნდა დაამტკიცოს იმან, ვისაც მიაჩნია, რომ მოსაჩვენებლად დადებული გარიგებით შეილახა მისი უფლება. კონკრეტულ შემთხვევაში ნ. მ-ძე ვერ უთითებს სააპელაციო სასამართლოს მიერ შესაფასებელ ისეთ მტკიცებულებებზე, რომლითაც დადასტურებული იქნებოდა ი. ნ-შვილსა და ს. პ-ინას უკანონო «ურთიერთშეთანხმება», მოქმედებები, რომლებიც მიუთითებენ ი. ნ-შვილსა და ს. პ-ინას საერთო ინტერესებზე, რომლებიც გამორიცხავენ იმ განზრახვას, რომ მათ მიერ დადებულ გარიგებას შესაბამისი იურიდიული შედეგი მოჰყვეს. ამრიგად, მოჩვენებითი გარიგების დადების გამომრიცხავი გარემოებები, კონკრეტულ შემთხვევაში გამორიცხავენ კასატორის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ სადავო ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესასრულებლად არ იყო გადახდილი ბინის საფასური. ის ფაქტი, რომ ნოტარიუსის თანდასწრებით არ იყო გადახდილი ბინის ღირებულება, არ შეიძლება მიუთითებდეს იმაზე, რომ ბინის ღირებულება არ იყო გადახდილი. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ კონკრეტული სიტუაციის გათვალისწინებით გარემოებები, რომლებიც გამორიცხავენ მოჩვენებითი გარიგების დადების ფაქტს, ადასტურებენ ამ გარიგების ნამდვილობას და აქედან გამომდინარე მხარეთა შეთანხმებას ბინის საფასურის გადახდის შესახებ. ამასთან ერთად უნდა განიმარტოს, რომ სადავო ხელშეკრულებაში მითითებული ბინის ღირებულების შეუსაბამობა მის საბაზრო ღირებულებასთან არ ქმნის გარიგების ბათილად ცნობის ფაქტობრივ შემადგენლობას საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 56-ე მუხლის I ნაწილის თანახმად.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ აღნიშნული საკითხის განხილვას უკავშირდება კეთილსინდისიერი შემქმნის ინსტიტუტი. ამ ინსტიტუტის ამოქმედების მნიშვნელობა განპირობებულია შემქმნის სუბიექტური მომენტის არსებობით, კონკრეტულ შემთხვევაში, იცოდა თუ არა ს. პ-ინამ, რომ ი. ნ-შვილი იყო სადავო ბინის მესაკუთრე და ჰქონდა თუ არა მას ამ ქონების განსხვისების უფლება. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 185-ე მუხლის თანახმად, შემქმნის ინტერესებიდან გამომდინარე, გამსხვისებელი ითვლება მესაკუთრედ, თუ იგი ასეთად არის რეგისტრირებული საჯარო რეესტრში, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა შემქმნმა იცოდა, რომ გამსხვისებელი არ იყო მესაკუთრე.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მითითებული ნორმის გათვალისწინებით ყურადღება უნდა გავამახვილოთ განსახილველი ურთიერთობის თავისებურებაზე, კერძოდ, როგორც ეს ირკვევა, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებიდან და საქმეში არსებული მასალებიდან, რაც მხარეთა შორის დავას არ იწვევს, სადავო ქონება შეძენილია ნ. მ-ძისა და ი. ნ-შვილის ქორწინების პერიოდში, მაგრამ საჯარო რეესტრში რე-

გისტრირებულია საკუთრების უფლებით ი. ნ-შვილის სახელზე. უკვე აღნიშნული გარემოება მიუთითებს იმაზე, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1158-ე მუხლის თანახმად, სადავო ბინა მეუღლეთა საერთო ქონებაა და ამ ქონებაზე მეუღლეებს აქვთ თანაბარი უფლებები. ამ ქონების ფლობა, სარგებლობა და განკარგვა ხორციელდება მეუღლეთა ურთიერთშეთანხმებით (ამავე კოდექსის 1159-ე მუხლი და 1160-ე მუხლის პირველი ნაწილი). ამდენად, განსახილველი სამართალურთიერთობის თავისებურებიდან გამომდინარე, როდესაც ჩვენ ვიხილავთ კეთილსინდისიერი შემძენის ინსტიტუტს, მისი ე.წ. «სუბიექტური» ფაქტორის მნიშვნელობის განსაზღვრა განპირობებულია ზემოაღნიშნული ნორმებით. ამ შემთხვევაში შემძენის არაკეთილსინდისიერად ცნობისათვის არ არის საკმარისი შემძენის მიერ მხოლოდ იმის ცოდნა, რომ ერთ-ერთის სახელზე რეგისტრირებული ქონება წარმოადგენს მეუღლეთა თანასაკუთრებას. შემძენის არაკეთილსინდისიერებისათვის სხვა გარემოებებთან ერთად უნდა არსებობდეს ფაქტები, რომლითაც დგინდება, რომ შემძენმა იცოდა, რომ ერთ-ერთი მეუღლე იყო მეუღლეთა საერთო ქონების გასხვისების წინააღმდეგი, ხოლო მეორე მეუღლე მოქმედებდა მის ფარულად, რაც არ დასტურდება კასატორის მიერ, ხოლო, ის გარემოებები, რომლებიც შეიძლება მიუთითებდეს ი. ნ-შვილის არაკეთილსინდისიერებაზე (მაგალითად, სადავო ქონების განკარგვის შემდეგ რამდენიმე დღეში განქორწინების მოთხოვნით სარჩელის აღძვრა, ნ. მ-ძის სხვა საცხოვრებელი ადგილის არ არსებობა და ა.შ.), არ შეიძლება ეჭვის ქვეშ აყენებდეს ს. პ-ინას, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1160-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა» და «ბ» ქვეპუნქტების თანახმად, მეუღლეთა თანასაკუთრებაში არსებული ქონების განკარგვასთან დაკავშირებით ერთის მიერ დადებული გარიგება ვერ იქნება ბათილად ცნობილი მეორის მოთხოვნით იმ საფუძველზე, რომ მან არ იცოდა გარიგების შესახებ ან არ ეთანხმება გარიგებას. აღნიშნული დანაწესი გარკვეულ წილად იცავს შემძენის ინტერესს. ამ შემთხვევაში, როდესაც ერთ-ერთი მეუღლე განკარგავს მეუღლეთა თანასაკუთრებაში არსებულ ქონებას, შემძენის ინტერესებიდან გამომდინარე, უნდა ვივარაუდოთ, რომ მეუღლეები მოქმედებენ ურთიერთშეთანხმებით (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1159-ე მუხლი და 1160-ე მუხლის 1-ელი ნაწილი).

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ ზემოაღნიშნული ნორმების კონტექსტში კეთილსინდისიერი შემძენის ინსტიტუტის განსაზღვრისათვის მეტად დიდი მნიშვნელობა გააჩნია მტკიცების ტვირთის სწორად განაწილების პრინციპს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მაგრამ ამ პროცესუალური დანაწესის განმარტების სამართლებრივი წინაპირობები მოცემულია განხილულ მატერიალურ-სამართლებრივი შემადგენლობით. ს. პ-ინა არ არის ი. ნ-შვილის არც ნათესავი და არც ოჯახის წევრი, რა დროსაც უფრო დიდი ალბათობა იარსებებდა, რომ ს. პ-ინამ იცოდა სადავო ქონების განსხვისებაზე ნ. მ-ძის დამოკიდებულებისა და ი. ნ-შვილის განზრახვის შესახებ, რომლის გაქარწყლების ტვირთი დაეკისრებოდა ს.პ-ინას. ამდენად, მათი ნაცნობობა და მეზობლობა არ შეიძლება იმავედროულად მიუთითებდეს ს. პ-ინასათვის ი. ნ-შვილის ოჯახში არსებულ მდგომარეობის ცოდნაზე, ს. პ-ინას არაკეთილსინდისიერებაზე, ანდა ფიქტიურ გარიგების დადების შესახებ «ურთიერთშეთანხმებაზე», რომლის დადასტურების ტვირთი აკისრია ნ. მ-ძეს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კასატორის მიერ წარმოდგენილი არ არის დასაბუთებული პრეტენზია. კონკრეტულ შემთხვევაში დასაშვებ და დასაბუთებულ პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს, რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება და სამართლებრივ-მატერიალური ნორმის არასწორად გამოყენება ან განმარტება.

კასატორი ვერ უთითებს ისეთ გარემოებებზე, რომლებიც კონკრეტული სადავო ურთიერთობის ზემოაღნიშნული თავისებურებებიდან გამომდინარე, გამორიცხავდა სასამართლოს მიერ დადგენილ გარემოებებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის თანახმად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ არ არსებობს საკასაციო საჩივრების დაკმაყოფილების საფუძველი, რადგან, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ მითითებული კანონი არ დარღვეულა. სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებას საფუძველად არ უდევს კანონის დარღვევა.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

ნ. მ-ძის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 29 აპრილის განჩინება;

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოო და არ საჩივრდება.

## მოჩვენებითი გარიგება

### განჩინება

1ას-112-106-2010

3 აგვისტო, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ლ. ლაზარაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. კვანტალიანი,  
ვ. როინიშვილი

დავის საგანი: ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა

#### აღწერილობითი ნაწილი:

2006 წლის 28 მარტს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას სასარჩელო განცხადებით მიმართა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციამ (ამჟამად საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თბილისის რეგიონალური ცენტრი – საგადასახადო ინსპექცია) მოპასუხეების – შპს «...», ჯ. ჯ-იას, გ. ლ-იას, ნ. ქ-შვილის, ნუ. გ-ვას, თ. ა-ძის, ლ. ჭ-იას მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა შპს «...» და მოპასუხეებს შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულებების ბათილად ცნობა.

სასარჩელო განცხადებიდან და მასზე თანდართული მასალებიდან ირკვევა, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ფინანსური პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტის წარმოებაში იმყოფებოდა სისხლის სამართლის 192051797 საქმე შპს «...» დირექტორ ნ. გ-ავას მიმართ. დასახელებულ სისხლის სამართლის საქმეზე ფინანსური პოლიციის 2005 წლის 21 დეკემბრის დოკუმენტალური რევიზიის დადგენილების საფუძველზე ჩატარდა რევიზია და 2006 წლის 17 იანვრის შემოწმების აქტით შპს «...» სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ გადასახდელად დაერიცხა 5 666 041.96 ლარი. მოპასუხემ შემოწმების აქტი გაასაჩივრა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში. ამასობაში საგადასახადო ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფის ღონისძიებების მიზნით თბილისის საგადასახადო ინსპექციის უფროსის 2006 წლის 13 თებერვლის 04/51 ბრძანებით განხორციელდა შპს «...» კუთვნილი ქონების დაყადაღება. აღნიშნული მოქმედების განხორციელების პროცესში გამოირკვა, რომ შპს «... ს» დირექტორ ნ. გ-ავას საზოგადოების კუთვნილი 237 ერთეული სათამაშო აპარატი გაუსხვისებია მოპასუხეებზე ნასყიდობის ხელშეკრულებების გაფორმების გზით.

მოსარჩელის მითითებით, შპს «...» მიერ ზემოაღნიშნული ნასყიდობის ხელშეკრულებები დაიდო მოპასუხეებთან 2006 წლის 3 იანვრიდან 16 იანვრის ჩათვლით, ანუ თბილისის საგადასახადო ინსპექციის მხრიდან უშუალოდ შემოწმების განხორციელების პერიოდში. შპს-ს ხელმძღვანელობისათვის, შემოწმების პროცედურებიდან გამომდინარე, ფაქტობრივად, უკვე ცნობილი იყო შემოწმების აქტის შედეგები. ამიტომ, მოსარჩელის აზრით, მათ შეგნებულად, მიზანმიმართულად განახორციელეს ფიქტიური გარიგებების დადება, რათა თავი აერიდებინათ კუთვნილი სათამაშო აპარატების დაყადაღებისაგან.

სარჩელის დაკმაყოფილების სამართლებრივ საფუძველად მოსარჩელემ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლსა და 56-ე მუხლის 1-ელ ნაწილზე, რომელთა მიხედვით, ბათილია გარიგება, რომელიც არღვევს კანონით დადგენილ წესს და აკრძალვებს, ბათილია გარიგება, რომელიც დადებულია მხოლოდ მოსაჩვენებლად, იმ განზრახვის გარეშე, რომ მას შესაბამისი იურიდიული შედეგი მოჰყვეს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 29 მარტის განჩინებით საქმე განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა უფლებამოსილ სასამართლოს – თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 2 მაისის განჩინებით თბილისის საგადასახადო ინსპექციის განცხადების საფუძველზე ყადაღა დაედო ჯ. ჯ-იას კუთვნილ 40 ერთეულ სათამაშო აპარატს, გ. ლ-იას კუთვნილ 40 ერთეულ სათამაშო აპარატს, ნ. ქ-შვილის კუთვნილ 40 ერთეულ სათამაშო აპარატს, ნუ. გ-ვას კუთვნილ 40 ერთეულ სათამაშო აპარატს, თ. ა-ძის კუთვნილ 54 ერთეულ სათამაშო აპარატს, ლ. ჭ-იას კუთვნილ 23 ერთეულ სათამაშო აპარატს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 11 დეკემბრის საოქმო განჩინებით მოპასუხე თ. ა-ძის საპროცესო უფლებამონაცვლედ ცნობილ იქნა მ. თ-ძე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 12 იანვრის გადაწყვეტილებით თბილისის საგადასახადო ინსპექციის სარჩელი არ დაკმაყოფილდა, გაუქმდა აღნიშნულ საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 2 მაისის განჩინებით გამოყე-

ნებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება – ყადაღა მოეხსნა ჯ. ჯ-ის კუთვნილ 40 ერთეულ სათამაშო აპარატს, გ. ლ-ის კუთვნილ 40 ერთეულ სათამაშო აპარატს, ნ. ქ-შვილის კუთვნილ 40 ერთეულ სათამაშო აპარატს, ნუ. გ-ვას კუთვნილ 40 ერთეულ სათამაშო აპარატს, თ. ა-ძის კუთვნილ 54 ერთეულ სათამაშო აპარატს, ლ. ჭ-ის კუთვნილ 23 ერთეულ სათამაშო აპარატს.

საქალაქო სასამართლომ საქმეზე დადგენილად მიიჩნია, რომ შპს «...» და სარჩელში მოპასუხედ დასახელებულ დანარჩენ ფიზიკურ პირებს შორის 2006 წლის 3 იანვარს, 2006 წლის 4 იანვარს, 2006 წლის 9 იანვარს და 2006 წლის 16 იანვარს დაიდო ნასყიდობის ხელშეკრულებები. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენდა შპს «...» კუთვნილი სათამაშო აპარატები. საქმეზე წარდგენილ მიღება-ჩაბარების აქტებზე დაყრდნობით საქალაქო სასამართლომ ასევე დადგენილად მიიჩნია ნასყიდობის საგნების მყიდველებისათვის გადაცემა.

საქმეში არსებული მტკიცებულებების შეფასების საფუძველზე საქალაქო სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის წარმომადგენლის პოზიცია სადავო ნასყიდობის ხელშეკრულებების მოჩვენებით გარიგებებად მიჩნევის შესახებ. ამასთან დაკავშირებით საქალაქო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 56-ე მუხლზე, რომლის თანახმად, ბათილია გარიგება, რომელიც დადებულია მხოლოდ მოსაჩვენებლად, იმ განზრახვის გარეშე, რომ მას შესაბამისი იურიდიული შედეგები მოჰყვეს (მოჩვენებითი გარიგება). თუ მოსაჩვენებლად დადებული გარიგებით მხარეებს სურთ სხვა გარიგების დაფარვა, მაშინ გამოიყენება დაფარული გარიგების მიმართ მოქმედი წესები (თვალთმაქცური გარიგება).

საქალაქო სასამართლოს მითითებით, კანონის დასახელებული ნორმის შინაარსი ცხადყოფს, რომ მოჩვენებითი და თვალთმაქცური გარიგების დადებისას მხარეებს არ სურთ იმ შედეგის დადგომა, რაც მათ შორის დადებული გარიგებიდან გამომდინარეობს. მოცემულ შემთხვევაში საქმეზე წარდგენილი 2006 წლის 3 იანვრის, 4 იანვრის, 9 იანვრის, 16 იანვრის ხელშეკრულებებით დგინდებოდა, რომ შპს «...» «ღირექტორმა გაასხვისა ე.წ. სათამაშო აპარატები. საქმეზე წარდგენილი მიღება-ჩაბარების აქტებით ასევე დგინდებოდა, რომ მყიდველებმა მიიღეს ნასყიდობის საგანი, ხოლო სს «... ბანკის» ორდერებით დასტურდებოდა მყიდველების მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საფასურის გადახდა. ამდენად, გამყიდველმა გადასცა მყიდველს საკუთრების უფლება ქონებაზე, შესაბამისად, მყიდველმა გადაიხადა შეთანხმებული ფასი და მიიღო ქონება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ მხარეებმა მოახდინეს თავიანთი უფლება-მოვალეობების რეალიზება და მოჩვენებითი გარიგების დადებას ადგილი არ ჰქონდა.

საქალაქო სასამართლომ ასევე არ გაიზიარა მოსარჩელის პოზიცია იმასთან დაკავშირებით, რომ სადავო გარიგებების ფიქტურობას ადასტურებდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ფინანსური პოლიციის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა სამმართველოს უფროსის ვ. კ-შვილის 2006 წლის 9 მარტის წერილი. დასახელებული წერილი იყო ინფორმაციული ხასიათის შიდაუწყებრივი დოკუმენტი და არ წარმოადგენდა სათანადო მტკიცებულებას სარჩელის საფუძვლიანობის დასადასტურებლად.

რაც შეეხებოდა მოსარჩელის პოზიციას იმასთან დაკავშირებით, რომ შპს «...» მიერ განხორციელდა თვალთმაქცური გარიგებების დადება, რადგან ნასყიდობის ხელშეკრულებები დაიდო ე.წ. მყიდველებთან 3 იანვრიდან 16 იანვრის ჩათვლით, ანუ თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ უშუალოდ შემოწმების პერიოდში, აღნიშნულთან დაკავშირებით საქალაქო სასამართლომ განმარტა შემდეგი:

თვალთმაქცურ გარიგებას იმ შემთხვევაში აქვს ადგილი, თუ დადებული გარიგებით იფარება სხვა გარიგება. მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელემ ვერ მიუთითა, თუ რა გარიგება დაიფარა მოპასუხეებს შორის გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულებით. მართალია, 2006 წლის 17 იანვრის საგადასახადო შემოწმების აქტით შპს «...» დაერიცხა 5 666 041.96 ლარი საგადასახადო დავალიანების სახით, მაგრამ ეს გარემოება ვერ გახდებოდა 2006 წლის სადავო ნასყიდობის ხელშეკრულებების მოჩვენებით ან თვალთმაქცურ გარიგებებად მიჩნევის საფუძველი, ვინაიდან შპს «...» წარმოადგენდა ნასყიდობის საგნის მესაკუთრეს, ნასყიდობის საგანი იყო უფლებრივად უნაკლო და მოპასუხეს თავისუფლად შეეძლო მისი განკარგვა.

სამოქალაქო კოდექსის 187-ე მუხლზე დაყრდნობით საქალაქო სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხის პოზიცია იმასთან დაკავშირებით, რომ მყიდველთა უმეტესობა წარმოადგენდა შპს «ს» თანამშრომელს და მათთვის ცნობილი იყო საგადასახადო შემოწმების თაობაზე, რაც მათ არაკეთილსინდისიერებაზე მიუთითებდა. საქალაქო სასამართლოს განმარტებით, სამოქალაქო კოდექსის 187-ე მუხლის ანალიზი ცხადყოფს, რომ შემძენი მხოლოდ მაშინაა არაკეთილსინდისიერი, თუკი იცოდა, რომ გამსხვისებელი არ იყო მესაკუთრე. მოცემულ შემთხვევაში საქმეზე დგინდებოდა, რომ შპს «...» წარმოადგენდა ნასყიდობის საგნის მესაკუთრეს. ამდენად, მოპასუხეებმა ჯ. ჯ-იამ, გ. ლ-იამ, ნ. ქ-შვილმა, ნ. გ-ვამ, თ. ა-ძემ და ლ. ჭ-იამ მესაკუთრისაგან შეიძინეს უფლებრივად უნაკლო ნივთი, რაც მათ არაკეთილსინდისიერებას გამორიცხავდა.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა თბილისის რეგიონალურმა ცენტრმა (საგადასახადო ინსპექცია), რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 22 სექტემბრის განჩინებით თბილისის რეგიონალური ცენტრის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 12 იანვრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, მოცემულ შემთხვევაში თბილისის რეგიონალური ცენტრი სადავოდ ხდიდა შპს «...» და ჯ. ჯ-იას, გ. ლ-იას, ნ. ქ-შვილს, ნ. გ-ვას, თ. ა-ძეს, ლ. ჭ-იას შორის დადებულ ნასყიდობის ხელშეკრულებას. აღნიშნული ხელშეკრულებები ექცეოდა კერძოსამართლებრივი ურთიერთობის რეგულირების სფეროში, რასაც განსაზღვრავდა მოქმედი სამოქალაქო კოდექსი. აქედან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნია აპელანტის მოსაზრება იმის შესახებ, რომ ნასყიდობის ხელშეკრულებები დადებული იყო საგადასახადო შემოწმების პროცესში და ხელშეკრულების მხარეებს წარმოადგენდნენ შპს «...» თანამშრომლები, რაც აპელანტის მოსაზრებით საგადასახადო მიზნებისათვის ითვლებოდა ურთიერთდამოკიდებულ პირებს შორის დადებულ გარიგებად.

სააპელაციო სასამართლომ განმარტებით, სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლის შესაბამისად, ბათილია გარიგება, რომელიც არღვევს კანონით დადგენილ წესსა და აკრძალვებს, ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს ან ზნეობის ნორმებს. ამავე კოდექსის 56-ე მუხლის 1-ელი ნაწილის მიხედვით, ბათილია გარიგება, რომელიც დადებულია მხოლოდ მოსაჩვენებლად, იმ განზრახვის გარეშე, რომ მას შესაბამისი იურიდიული შედეგი მოჰყვეს.

სააპელაციო სასამართლომ მითითებით, საქმეში არსებული 2006 წლის ხელშეკრულებების საფუძველზე დგინდებოდა, რომ შპს «...» დირექტორმა გაასხვისა ე.წ. სათამაშო აპარატები. მყიდველებმა მიიღეს ნასყიდობის საგანი, ხოლო წარდგენილი სს «... ბანკის» ორდერებით დასტურდებოდა მყიდველების მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საფასურის გადახდის ფაქტი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნია აპელანტის მითითება იმ გარემოებაზე, რომ სათამაშო აპარატების ყიდვა ფიზიკური პირების მიერ, რომლებიც საერთოდ არ ეწეოდნენ სამეწარმეო საქმიანობას, მიუთითებდა მოჩვენებითი გარიგების დადების ფაქტზე.

სააპელაციო სასამართლომ განჩინება საკასაციო წესით გასაჩივრა თბილისის რეგიონალურმა ცენტრმა – საგადასახადო ინსპექციამ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

კასატორი აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში სახეზეა სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 22 სექტემბრის განჩინების გაუქმების აბსოლუტური საფუძველი, რამდენადაც პირველი ინსტანციის სასამართლომ გადაწყვეტილება, რომელიც უცვლელად დარჩა სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინებით, გამოტანილია არარსებული ადმინისტრაციული ორგანოს – თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიმართ. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2008 წლის 29 იანვრის 192 ბრძანებით დადგინდა, რომ 2008 წლის 1 მარტამდე განხორციელებულიყო ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციის რეორგანიზაცია თბილისის რეგიონალურ ცენტრად (საგადასახადო ინსპექციად). აქედან გამომდინარე, სასამართლოს სამოქალაქო კოდექსის 92-ე მუხლის საფუძველზე თბილისის საგადასახადო ინსპექციის უფლებამონაცვლედ უნდა დაედგინა თბილისის რეგიონალური ცენტრი (საგადასახადო ინსპექცია).

კასატორი არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ფინანსური პოლიციის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა სამმართველოს უფროს ვ. კ-შვილის 9.03.2009წ. წერილთან მიმართებით და აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ არ გამოუკვლევია აღნიშნული წერილი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად. კასატორი ასევე აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა ის გარემოება, თუ ვინ იყვნენ ხელშეკრულების მხარეები, კერძოდ, რომ ყველა სადავო ნასყიდობის ხელშეკრულებაში მყიდველ მხარეს წარმოადგენს შპს «...» თანამშრომელი. აღნიშნულის გამო სადავო გარიგებები საგადასახადო მიზნებისათვის მიიჩნევა ურთიერთდამოკიდებულ პირებს შორის დადებულ გარიგებად საგადასახადო კოდექსის 23-ე მუხლის 1-ელი ნაწილის შესაბამისად. კასატორის მოსაზრებით, სასამართლომ უნდა შეეფასებინა და გაეთვალისწინებინა ის გარემოება, თუ რატომ მოხდა ნასყიდობის ხელშეკრულებების დადება მაინცდამაინც საგადასახადო შემოწმების პროცესში და რატომ ცდილობს შპს «...» გაყიდოს სათამაშო აპარატები, რომლებიც მისი საქმიანობის საგანს წარმოადგენს. აგრეთვე საინტერესოა ის ფაქტიც, თუ რაში დასჭირდათ ფიზიკურ პირებს, რომლებიც სამეწარმეო საქმიანობას საერთოდ არ ეწევიან, ასეთი ოდენობით სათამაშო აპარატების ყიდვა. ამ საკითხებზე სასამართლომ პასუხი არ გაუცია. კასატორის პოზიციის მართებულობას ადასტურებს ის გარემოებაც, რომ გაყიდული სათამაშო აპარატების ექსპლოატაციას შეცვლილი ფორმით ახდენს შპს «...» ყველა ზემოაღნიშნული გარემოება, თავის მხრივ, ერთობლიობაში ქმნის სამოქალაქო კოდექსის 54-ე და 56-ე მუხლის 1-ელი ნაწილით გათვალისწინებულ შემადგენლობას. ამდენად, შპს «...» არის საგადასახადის არაკეთილსინდისიერი გადამხდელი, რომელიც თვალთმაქცური გარიგებების დადების გზით ცდილობს, თავი აარიდოს კუთვნილი საგადასახადო ვალდებულებების შესრულებას.

#### **სამოტივეციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ უნდა გაუქმდეს სააპელაციო სასამართლოს განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეზე დადგენილია, რომ ფინანსური პოლიციის 2005 წლის 21 დეკემბრის დოკუმენტალური რევიზიის ჩატარების შესახებ დადგენილების საფუძველზე შპს «...» ჩატარდა რევიზია და 2006 წლის 17 იანვრის შემოწმების აქტით შპს-ს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაერიცხა საგადასახადო დავალიანება 5 666 041,96 ლარი; 2006 წლის 3 იანვარს, 4 იანვარს, 9 იანვარსა და 16 იანვარს შპს «...» დადო მისი კუთვნილი 237 ერთეული სათამაშო აპარატის ნასყიდობის ხელშეკრულებები ფიზიკურ პირებთან, კერძოდ: ჯ. ჯ-იაზე გაასხვისა 40 სათამაშო აპარატი 52 486 ლარად, გ. ლ-იაზე – 40 სათამაშო აპარატი 52 486 ლარად, ნ. გ-ვაზე – 40 სათამაშო აპარატი 52 245 ლარად, ნ. ქ-შვილზე – 40 სათამაშო აპარატი 56 063,2 ლარად, თ. ა-ძეზე – 54 სათამაშო აპარატი 65 364,54 ლარად, ლ. ჭ-იაზე – 23 სათამაშო აპარატი 53 543,14 ლარად; საქმეში წარმოდგენილია შეძენილი სათამაშო აპარატების მყიდველებისათვის გადაცემის მიღება-ჩაბარების აქტები და მათ მიერ ნასყიდობის ფასის გადახდის საბანკო ქვითრები.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კასატორის მიერ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საკმარის საფუძველად იმ გარემოებაზე მითითებას, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება გამოტანილია არარსებული თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიმართ, რომელიც იმ დროისათვის უკვე რეორგანიზებული იყო თბილისის რეგიონალურ ცენტრად. თბილისის საგადასახადო ინსპექცია მოცემულ საქმეზე წარმოადგენდა მოსარჩელეს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2008 წლის 29 იანვრის 192 ბრძანებით განხორციელდა ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციის რეორგანიზაცია თბილისის რეგიონალურ ცენტრად (საგადასახადო ინსპექციად). თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 4 მაისის განჩინებით თბილისის რეგიონალური ცენტრი მოცემულ საქმეში ჩაბმულ იქნა თბილისის საგადასახადო ინსპექციის უფლებამონაცვლედ. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში კასატორი საქმეში მონაწილეობს როგორც თბილისის საგადასახადო ინსპექციის უფლებამონაცვლე, ამ შემთხვევაში არსებობს ადმინისტრაციულ ორგანოთა კანონისმიერ უფლებამონაცვლეობა, რის გამოც პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით დამდგარი შედეგი თავისთავად ვრცელდება თბილისის რეგიონალურ ცენტრზე, როგორც თბილისის საგადასახადო ინსპექციის უფლებამონაცვლეზე და ამ თვალსაზრისით არ არსებობს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს განჩინება არ არის სრულყოფილად დასაბუთებული, კერძოდ, სააპელაციო სასამართლოს არ დაუდგენია საქმისათვის აუცილებელი ფაქტობრივი გარემოებები.

მოსარჩელე საგადასახადო ინსპექცია სადავო გარიგებების ბათილად ცნობას ითხოვს იმ საფუძველით, რომ ისინი წარმოადგენს ფიქტიურ გარიგებებს და დადებულია მოჩვენებითად. სამოქალაქო კოდექსის 56-ე მუხლის 1-ელი ნაწილის თანახმად, ბათილია გარიგება, რომელიც დადებულია მხოლოდ მოსაჩვენებლად, იმ განზრახვის გარეშე, რომ მას შესაბამისი იურიდიული შედეგი მოჰყვეს (მოჩვენებითი გარიგება).

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მოჩვენებითი გარიგების არსებობის შემთხვევაში აუცილებელია ნების გამომვლენი და ნების მიმღები მოქმედებდნენ შეთანხმებით და ორივე აცნობიერებდეს ნების ნაკლს. სამოქალაქო კოდექსის 56-ე მუხლის 1-ელი ნაწილი გულისხმობს სწორედ ისეთ შემთხვევას, როდესაც როგორც ნების გამომვლენი, ისე მისი მიმღები მოქმედებენ იმ განზრახვის გარეშე, რომ გარიგებას შესაბამისი იურიდიული შედეგი მოჰყვეს და ორივე მხარეს აღნიშნული გაცნობიერებული აქვს. ამდენად, იმისათვის, რომ სადავო გარიგება მიჩნეულ იქნეს მოჩვენებითად, აუცილებელია ისეთი ფაქტობრივი გარემოებების არსებობა, რომლებიც მიუთითებს ნების გამომვლენის ნაკლზე, ფიქტიური გარიგების შესახებ «ურთიერთშეთანხმებაზე», საერთო მიზანზე, რაც არ შეესაბამება მხარეთა მიერ გარეგანი ნების გამომვლენას.

როგორც წესი, მოჩვენებითი გარიგება ფორმალურად შეესაბამება კანონის მოთხოვნებს, მაგრამ ნების ნაკლი, მისი არანამდვილობის გამო, წარმოადგენს იმ არსებით ნაკლს, რაც გამორიცხავს სამართლებრივი შედეგის დადგომას. ამასთან, ძირითადად, მოჩვენებითი გარიგების დადება დაკავშირებულია მესამე პირებთან არსებულ ურთიერთობასთან, მაგალითად, მოჩვენებითი გარიგების დადების ერთ-ერთ მოტივს შეიძლება წარმოადგენდეს მესამე პირის მოტყუება, პასუხისმგებლობისაგან თავის არიდება და ა.შ. ფაქტი, რომელიც მიუთითებს სადავო გარიგების მხარეთა ნების გამომვლენის არანამდვილობაზე, უნდა დაამტკიცოს იმან, რომელსაც მიაჩნია, რომ მოსაჩვენებლად დადებული გარიგებით შეილახა მისი უფლება. კონკრეტულ შემთხვევაში კასატორი სადავო გარიგებების მოჩვენებითობის დასაბუთებლად მიუთითებს შემდეგ გარემოებებზე: სადავო ხელშეკრულებები დადებულია შპს «...» საგადასახადო შემოწმების პროცესში, ისინი შპს «...» მიერ დადებულია თავის თანამშრომლებთან, სათამაშო აპარატების მყიდველი ფიზიკური პირები არ ეწევიან სამეწარმეო საქმიანობას, გასხვისებული სათამაშო აპარატების ექსპლუატაციას კვლავ ახორციელებს შპს «...». სააპელაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა მხოლოდ სადავო გარიგებების ფორმალურ კანონიერებაზე, ხოლო მითითებული გარემოებები არ გამოიკვლია და მათზე არ იმსჯელა. ამასთან, საგულისხმოა, რომ თავად შპს «...», საქმის მასალების თანახმად, სადავოდ არ ხდის იმ გარემოებას, რომ სათამაშო აპარატები გაიყიდა როგორც თანამშრომლებზე, ისე – სხვა პირებზე. საქმის მასალების თანახმად, ასევე თვალსაჩინოა სათამაშო აპარატების სწორედ იმ პერიოდში გაყიდვა, როდესაც საწარმო იმყოფებოდა შემოწმების პროცესში, რის შედეგადაც საგადასახადო შემოწმების აქტით საწარმოს დაერიცხა საგადასახადო დავალიანება 5 666 041,96 ლარის ოდენობით.

სააპელაციო სასამართლომ არ გამოიკვლია და დაადგინა, სადავო ხელშეკრულებები დადებულია თუ არა შპს «...» მიერ თავის თანამშრომლებთან. სააპელაციო სასამართლოს საერთოდ არ უმსჯელია აღნიშნულ საკითხზე. საქმის ხელახალი განხილვისას სააპელაციო სასამართლომ უნდა გამოარკვიოს აღნიშნული საკითხი და დაადგინოს, შპს-ის რომელ თანამშრომლებზე გასხვისდა სათამაშო აპარატები, იცოდნენ თუ არა აღნიშნულმა თანამშრომლებმა საწარმოს საგადასახადო შემოწმების შესახებ ან უნდა სცოდნოდათ თუ არა აღნიშნული გარემოება, არსებობდა თუ არა მათ მიერ აღნიშნული აპარატების შეძენის კონკრეტული რეალური საჭიროება, იყენებს თუ არა სათამაშო აპარატებს რეალურად კვლავ შპს «...» და ხომ არა აქვს ადგილი მოსაზრებებლად დადებულ გარიგებებს მოცემულ შემთხვევაში. რაც შეეხება ფინანსური პოლიციის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა სამმართველოს უფროსის ვ. კ-შვილის 2006 წლის 9 მარტის წერილს, იგი არის ერთ-ერთი მტკიცებულება საქმეზე, რომელიც უნდა შეფასდეს საქმის დანარჩენ მასალებთან ერთობლიობაში.

საკასაციო სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ ზემოაღნიშნული გარემოებების გარკვევასთან ერთად სასამართლოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული თითოეული მხარის მიერ თავისი წილი მტკიცების ტვირთის გაწევა. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომელზეც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. იმისდა მიხედვით, თუ როგორ იქნება გაწეული თბილისის რეგიონალური ცენტრის ან მოპასუხეების მიერ მათი წილი მტკიცების ტვირთი, სააპელაციო სასამართლომ უნდა გამოიტანოს საბოლოო გადაწყვეტილება.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 412-ე მუხლით და

**და ა დ გ ი ნ ა:**

თბილისის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 22 სექტემბრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**მოჩვენებითი და თვალთმაქცური გარიგება**

**განჩინება**

1ას-543-511-2010

14 დეკემბერი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. კვანტალიანი,  
თ. თოდრია

**დავის საგანი:** ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა

**აღწერილობითი ნაწილი:**

2002 წლის 20 ივნისს თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოს სასარჩელო განცხადებით მიმართეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წყალეკოლოგიის ინსტიტუტმა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის იურიდიულმა სამსახურმა მოპასუხეების – თბილისის მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის, შპს «კ.-ს», მ. ბ-ოვის, დ. გ-ძისა ასევე ც. დ-შვილის, მესამე პირის – ნოტარიუს ე. მ-ძის წინააღმდეგ. მოსარჩელებმა მოითხოვეს თბილისში, ... გამზ. 160-ში მდებარე 55 კვ.მ მიწის ნაკვეთზე გაცემული სარეგისტრაციო მოწმობისა და საჯარო რეესტრის ჩანაწერის გაუქმება, აგრეთვე 2001 წლის 28 დეკემბერს შპს «კ.-ს», მ. ბ-ოვას, დ. გ-ძეს, ც. დ-შვილს შორის თბილისში, ... გამზირის 160-ში არსებული მიწის ნაკვეთისა და შენობა-ნაგებობების (საერთო ფართობით 45.7 კვ.მ) ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა.

თბილისის ვაკე საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2002 წლის 17 ოქტომბრის განჩინებით საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წყალეკოლოგიის ინსტიტუტისა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის იურიდიული სამსახურის სარჩელი დარჩა განუხილველად.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წყალეკოლოგიის ინსტიტუტმა 2003 წლის 31 იანვარს ახალი სარჩელით მიმართეს თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოს მოპასუხეებს: თბილისის მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის, შპს «კ-ს», მ. ბ-ოვის, დ. გ-ძის, ასევე ც. დ-შვილის წინააღმდეგ. მოსარჩელეებმა მოითხოვეს თბილისში ... გამზ. 160-ში მდებარე 55 კვ.მ მიწის ნაკვეთზე გაცემული სარეგისტრაციო მოწმობისა და საჯარო რეესტრის ჩანაწერის გაუქმება, აგრეთვე 2001 წლის 28 დეკემბერს შპს «კ-ს», მ. ბ-ოვას, დ. გ-ძის, ც. დ-შვილს შორის თბილისში, ... გამზ. 160-ში მდებარე მიწის ნაკვეთისა და შენობა-ნაგებობების (საერთო ფართობით 45.7 კვ.მ) ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა.

თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2004 წლის 5 აპრილის გადაწყვეტილებით საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის, ასევე, სსიპ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წყალთა მეურნეობისა და საინჟინრო ეკოლოგიის ინსტიტუტის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა სსიპ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წყალთა მეურნეობისა და საინჟინრო ეკოლოგიის ინსტიტუტმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 20 აპრილის განჩინებით საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წყალთა მეურნეობისა და საინჟინრო ეკოლოგიის ინსტიტუტი შეიცვალა სსიპ წყალთა მეურნეობის ინსტიტუტით. ამავე სასამართლოს 2007 წლის 3 ივლისის განჩინებით საქმეზე მესამე პირად ჩართო საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 19 დეკემბრის განჩინებით სსიპ წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის სააპელაციო საჩივარი თბილისში ... გამზ. 160-ში მდებარე 55 კვ.მ მიწის ნაკვეთზე გაცემული სარეგისტრაციო მოწმობისა და საჯარო რეესტრის ჩანაწერის ბათილად ცნობის თაობაზე გამოიყო ცალკე წარმოებად; შპს «კ-სა და მ. ბ-ოვას, დ. გ-ძის, ც. დ-შვილის შორის მიწის ნაკვეთის ასევე შენობა-ნაგებობის ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის ნაწილში სსიპ წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის სააპელაციო საჩივრის საქმის წარმოება შეჩერდა პირველ პუნქტში დასახელებული მოთხოვნის თაობაზე გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე; დადგინდა წარმოების განახლების შემდეგ შეჩერებული საქმის განსჯადობით თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატისათვის გადაცემა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 23 აპრილის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2004 წლის 5 აპრილის გადაწყვეტილების შეცვლით იქნა მიღებული ახალი გადაწყვეტილება, სსიპ წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის სარჩელი დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი საჯარო რეესტრის ჩანაწერი თბილისში ... გამზ. 160-ში მდებარე 55 კვ.მ მიწის ნაკვეთის საკუთრების უფლებით შპს «კ-ს» სახელზე რეგისტრაციის თაობაზე და შესაბამისი სარეგისტრაციო მოწმობა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 25 სექტემბრის განჩინებით სსიპ წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის სააპელაციო საჩივარზე განახლდა საქმის წარმოება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 11 დეკემბრის სასამართლო სხდომის ოქმის მიხედვით სააპელაციო პალატამ ადგილზე თათბირით დაადგინა – სსიპ «წ-ის» ნაცვლად საქმეში სათანადო მოსარჩელედ ჩაება საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 21 დეკემბრის გადაწყვეტილებით შეიცვალა თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2004 წლის 5 აპრილის გადაწყვეტილება ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის შესახებ სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება: საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სარჩელი ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის შესახებ არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები მიიჩნია:

1. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2001 წლის 1 დეკემბრის გადაწყვეტილებით დადგინდა, რომ შპს «კ.» წარმოადგენდა თავის საკუთრებაში არსებული შენობის მიერ დაკავებული, ქ.თბილისში, ... გამზ. 160-ში მდებარე დაახლოებით 45 კვ.მ. მიწის ნაკვეთის კანონიერ მფლობელს და მოსარგებლეს 1998 წლიდან; აღნიშნული გადაწყვეტილება ბათილად იქნა ცნობილი ამავე სასამართლოს 2003 წლის 13 მარტის განჩინებით;

2. თბილისში, ... გამზ. 160-ში მდებარე 55 კვ.მ. მიწის ნაკვეთი შპს «კ-ს» სახელზე საკუთრების უფლებით აღრიცხა მიწის მართვის დეპარტამენტმა 2001 წლის 21 დეკემბერს და გასცა სარეგისტრაციო მოწმობა;

3. თბილისის მიწის მართვის დეპარტამენტმა შპს «კ-ზე» სადავო უძრავი ქონების საჯარო რეესტრში რეგისტრაციას სამართლებრივ საფუძვლად დაუდო შემდეგი აქტები: საქართველოს კანონი «ფიზიკური პირებისა და კერძო სამართლის იურიდიული პირების სარგებლობაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის კერძო საკუთრების გამოცხადების შესახებ»; ვაკის რაიონის გამგეობის 1998 წლის 15 მაისის 17.1.71 გადაწყვეტილება; ვაკის რაიონის გამგეობის 1999 წლის 25 ნოემბრის 113.14.174 გადაწყვეტილება; თბილისის მერიის ტექადრიცხვის სამსახურის მიერ გაცემული საინვენტარიზაციო გეგმა; ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2001 წლის 11 დეკემბრის გადაწყვეტილება;



4. 2001 წლის 28 დეკემბერს შპს «კ-სა» და დ. გ-ძეს, მ. ბ-ოვს, ც. დ-შვილს შორის გაფორმდა უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება ... გამზ. 160-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე და შენობა-ნაგებობაზე საერთო ფართობით 45,7 კვ.მ-ით;

5. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 23 აპრილის გადაწყვეტილებით ბათილად იქნა ცნობილი საჯარო რეესტრის ჩანაწერი თბილისში, ... გამზირი 160-ში მდებარე 55 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთის საკუთრების უფლებით შპს «კ-ს» სახელზე რეგისტრაციის თაობაზე და შესაბამისი სარეგისტრაციო მოწმობა. გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქმის მასალებით არ დგინდებოდა შპს «კ-ს» პარტნიორებსა და მყიდველებს შორის ნათესაური კავშირის არსებობა. შესაბამისად, აპელანტის განმარტება შემძენის არაკეთილსინდისიერებასთან დაკავშირებით, არ უნდა ყოფილიყო გაზიარებული.

ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ, გადაწყვეტილების გაუქმება საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების მოთხოვნით.

კასატორის მტკიცებით, ნასყიდობის ხელშეკრულება მოჩვენებითი გარიგებაა, რადგანაც მხარეები ერთმანეთის ნათესავეები არიან და მათთვის ცნობილი უნდა ყოფილიყო, რომ გამსხვილებელი არ იყო მესაკუთრე. ხელშეკრულების მიხედვით, გამყიდველები არიან გ. გ-ძე, მ. ბ-ძე, ჯ. ჭ-შვილი, ხოლო მყიდველები – ც. დ-შვილი, დ. გ-ძე, მ. ბ-ოვა. გ. გ-ძე და ც. დ-შვილი რეგისტრირებული არიან ერთსა და იმავე მისამართზე (თბილისი, ..... ქ. 115), ისევე როგორც მ. ბ-ძე და მყიდველი დ. გ-ძე (თბილისი, ..... გამზირი 175). საზოგადოების დირექტორი მ. ჭ-ია რეგისტრირებულია მეორე გამყიდველის – ჯ. ჭ-შვილის რეგისტრაციის ადგილას (თბილისი, ... ქ. 19). საქმეში წარმოდგენილი სხვა სანოტარო აქტის მიხედვით კი, მ. ჭ-იას რეგისტრაციის ადგილს მყიდველ მ. ბ-ოვას რეგისტრაციის ადგილი წარმოადგენს (თბილისი, ... ქ. კორპ I, ბ 155).

#### სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებები, განიხილა საკასაციო საჩივარი, შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივი დასაბუთებულობა და მიიჩნია, რომ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლომ დადგინდა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები მიიჩნია:

1. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2001 წლის 1 დეკემბრის გადაწყვეტილებით დადგინდა, რომ შპს «კ» წარმოადგენდა მის საკუთრებაში არსებული შენობის მიერ დაკავებული ქ.თბილისში, ... გამზ. 160-ში მდებარე დაახლოებით 45 კვ.მ. მიწის ნაკვეთის კანონიერ მფლობელს და მოსარგებლეს 1998 წლიდან; აღნიშნული გადაწყვეტილება ბათილად იქნა ცნობილი ამავე სასამართლოს 2003 წლის 13 მარტის განჩინებით;

2. თბილისში, ... გამზ. 160-ში მდებარე 55 კვ.მ. მიწის ნაკვეთი შპს «კ-ს» სახელზე საკუთრების უფლებით აღრიცხა მიწის მართვის დეპარტამენტმა 2001 წლის 21 დეკემბერს და გასცა სარეგისტრაციო მოწმობა;

3. თბილისის მიწის მართვის დეპარტამენტმა შპს «კ-ზე» სადავო უძრავი ქონების საჯარო რეესტრში რეგისტრაციას სამართლებრივ საფუძვლად დაუდო შემდეგი აქტები: საქართველოს კანონი «ფიზიკური პირებისა და კერძო სამართლის იურიდიული პირების სარგებლობაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის კერძო საკუთრების გამოცხადების შესახებ»; ვაკის რაიონის გამგეობის 1998 წლის 15 მაისის 17.1.71 გადაწყვეტილება; ვაკის რაიონის გამგეობის 1999 წლის 25 ნოემბრის 113.14.174 გადაწყვეტილება; თბილისის მერიის ტექადრიცხვის სამსახურის მიერ გაცემული საინვენტარიზაციო გეგმა; ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2001 წლის 11 დეკემბრის გადაწყვეტილება;

4. 2001 წლის 28 დეკემბერს შპს «კ-სა» და დ. გ-ძეს, მ. ბ-ოვს, ც. დ-შვილს შორის გაფორმდა უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება ... გამზ. 160-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე და შენობა-ნაგებობაზე საერთო ფართობით 45,7 კვ.მ;

5. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 23 აპრილის გადაწყვეტილებით ბათილად იქნა ცნობილი საჯარო რეესტრის ჩანაწერი თბილისში, ... გამზირი 160-ში მდებარე 55 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთის საკუთრების უფლებით შპს «კ-ს» სახელზე რეგისტრაციის თაობაზე და შესაბამისი სარეგისტრაციო მოწმობა. გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). კასატორს ამგვარი პრეტენზია არ წარმოუდგენია, შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგინდად ცნობილი ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებები საკასაციო სასამართლოსათვის სავალდებულოა.

საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მტკიცებას, რომ მოპასუხეები სადავო უძრავი ქონების კეთილსინდისიერი შემძენები არიან.

სამოქალაქო კოდექსის 185-ე მუხლის თანახმად, შემძენის ინტერესებიდან გამომდინარე, გამსხვისებელი ითვლება მესაკუთრედ, თუ იგი ასეთად არის რეგისტრირებული საჯარო რეესტრში, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა შემძენმა იცოდა, რომ გამსხვისებელი არ იყო მესაკუთრე.

იმავ კოდექსის 312-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების თანახმად, რეესტრის მონაცემების მიმართ მოქმედებს უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფცია, ე.ი. რეესტრის ჩანაწერები ითვლება სწორად, ვიდრე არ დამტკიცდება მათი უზუსტობა. იმ პირის სასარგებლოდ, რომელიც გარიგების საფუძველზე სხვა პირისაგან იძენს რომელიმე უფლებას და ეს უფლება გამსხვისებლის სახელზე იყო რეესტრში რეგისტრირებული, რეესტრის ჩანაწერი ითვლება სწორად, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ამ ჩანაწერის საწინააღმდეგოდ შეტანილია საჩივარი, ან შემძენმა იცოდა, რომ ჩანაწერი უზუსტობა.

როგორც ვხედავთ, ზემოაღნიშნული ნორმების საფუძველზე, პირის კეთილსინდისიერ შემძენად მიჩნევისათვის აუცილებელია სუბიექტურ და ობიექტურ ფაქტორთა ერთობლიობა. ობიექტური ფაქტორები მოიცავს შემდეგი გარემოებების კუმულაციას:

1. საჯარო რეესტრში უძრავი ქონების მესაკუთრედ უფლების გამსხვისებელი უნდა იყოს დარეგისტრირებული;

2. რეესტრის ჩანაწერების მიმართ შეტანილი არ უნდა იყოს საჩივარი.

რაც შეეხება სუბიექტურ ფაქტორს, აღნიშნული გულისხმობს შემძენის სუბიექტურ დამოკიდებულებას ნამდვილი მესაკუთრის ვინაობისადმი, ანუ გარიგების დადების მომენტისათვის, შემძენისათვის უცნობი უნდა იყოს რეესტრის ჩანაწერების უზუსტობის თაობაზე.

განსახილველ შემთხვევაში, ხელშეკრულების დადების დროისათვის სადავო უძრავი ქონების მესაკუთრედ შპს «კ» იყო რეგისტრირებული. იმის დამადასტურებელი რაიმე მტკიცებულება, რომ მოპასუხებისათვის ნამდვილი მესაკუთრის ვინაობა ცნობილი იყო, მოსარჩელეს სასამართლოსათვის არ წარუდგენია.

კასატორის მითითებით, მოპასუხეები არ იყვნენ კეთილსინდისიერი შემძენები, ვინაიდან მათსა და გამსხვისებელს შორის ნათესაური კავშირი არსებობდა, ამასთან ნასყიდობის ხელშეკრულება მოჩვენებითი გარიგება იყო.

საკასაციო პალატა ზემოაღნიშნულ მტკიცებას ვერ გაიზიარებს. მხარეთა ნათესაური კავშირის დასადასტურებლად კასატორი მხოლოდ იმ გარემოებაზე მიუთითებს, რომ ხელშეკრულებაში მითითებული შპს «კ-ს» პარტნიორები და მოპასუხეები ერთსა და იმავე მისამართზე არიან რეგისტრირებულნი, კერძოდ კი, გ. გ-მე და ც. დ-შვილი რეგისტრირებული არიან ერთსა და იმავე მისამართზე (თბილისი, ... ქ. 115), ისევე, როგორც მ. ბ-მე და მყიდველი დ. გ-მე (თბილისი, ... გამზირი 175). საზოგადოების დირექტორი მ. ჭ-ია რეგისტრირებულია მეორე გამყიდველის - ჯ. ჭ-შვილის რეგისტრაციის ადგილას (თბილისი, ... ქ. 19). საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ერთსა და იმავე მისამართზე რეგისტრაცია, მითუმეტეს იმ პირობებში, როდესაც მხოლოდ ქუჩა და სახლის ნომერი ემთხვევა ერთმანეთს, მხარეთა შორის ნათესაურ კავშირს არ ადასტურებს, ამასთან, თუნდაც ნივთის შემძენი გამსხვისებლის ნათესავი იყოს, აღნიშნული უპირობოდ მის არაკეთილსინდისიერებაზე არ მიუთითებს. ამ შემთხვევაში ასევე აუცილებელია იმ გარემოების დადასტურება, რომ შემძენისათვის ნამდვილი მესაკუთრის ვინაობა ცნობილი იყო.

რაც შეეხება გარიგების მოჩვენებითობას, სამოქალაქო კოდექსის 56-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ბათილია გარიგება, რომელიც დადებულია მხოლოდ მოსაჩვენებლად, იმ განზრახვის გარეშე, რომ მას შესაბამისი იურიდიული შედეგები მოჰყვეს (მოჩვენებითი გარიგება).

ხსენებული ნორმიდან გამომდინარე, სადავო ხელშეკრულების მოჩვენებით გარიგებად მიჩნევისათვის, მხარეს უნდა დაემტკიცებინა, რომ მას შესაბამისი იურიდიული შედეგები არ მოჰყოლია. კასატორი კი აღნიშნულის დამადასტურებელ რაიმე მტკიცებულებასა თუ გარემოებაზე ვერ მიუთითებს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის «ა» ქვეპუნქტის მიხედვით, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ კანონის მითითებული დარღვევა არ მომხდარა.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს განჩინება დასაბუთებული, კანონიერია და მისი გაუქმების სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 410-ე მუხლებით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

2. მოცემულ საქმეზე უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 21 დეკემბრის გადაწყვეტილება;

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

გარიგების ბათილობა დროებითი ფსიქიკური მოშლილობის გამო; გარიგების ხელმოწერა უფლებამოსილი პირის თანდასწრებით

განჩინება

1ას-1259-1515-2009

1 მარტი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ვ. როინიშვილი,

პ. ქათამაძე

დავის საგანი: გარიგების ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

მ. გ-მემ სარჩელი აღძრა სასამართლოში ნ. გ-მის მიმართ 2008 წლის 19 მარტს დადებული უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის შესახებ შემდეგი საფუძველებით: მ. გ-მე არის მარტოხელა, ხანდაზმული და ხშირად ავადმყოფობს. 2008 წლის დასაწყისში იგი დაავადდა იშემიური ინსულტით, მარჯვენამხრივი ჰემიპარეზითა და რეტროგრადული ამნეზიით. მოგვიანებით, ექიმების დახმარებით, მ. გ-მე გამოჯანმრთელდა, რის შემდეგაც მისთვის ცნობილი გახდა, რომ ნ. გ-მემ 2008 წლის 19 მარტს მისი საცხოვრებელი ბინა თაღლითურად გადაიფორმა თავის სახელზე მათ შორის დადებული მარტივი ფორმის ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე, რაც, სამოქალაქო კოდექსის 55-ე და 58-ე მუხლების თანახმად, სადავო გარიგების ბათილად ცნობის საფუძველია. ნასყიდობის ხელშეკრულებაზე მისი ხელმოწერის ნაცვლად დასმულია ჯვარი. სამოქალაქო კოდექსის 70-ე მუხლის თანახმად, ხელმოწერის ნაცვლად ასეთი სახით ჯვრის დასმას ესაჭიროება სპეციალური სანოტარო ფორმის დაცვა, რაც მოცემულ შემთხვევაში არ განხორციელებულა. 2008 წლის თებერვალ-მარტში მოსარჩელის ჯანმრთელობის მდგომარეობა იყო მძიმე. ამ დროს მხარეთა შორის ჩამოყალიბდა კარგი ურთიერთობა და მოპასუხე სარგებლობდა მ. გ-მის ნდობით.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო შემდეგი დასაბუთებით: 2008 წლის 19 მარტს მხარეთა შორის დაიდო საცხოვრებელი ბინის ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც ქ. ქობულეთში, ... ქ. 1... „ე-ში« მდებარე 16 ბინა გადავიდა მოპასუხის საკუთრებაში. აღნიშნული გარიგება დაიდო კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით.

ქობულეთის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 2 მარტის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა – ბათილად იქნა ცნობილი მ. გ-მესა და ნ. გ-მეს შორის ქ. ქობულეთში, ... ქ. 1...-ში მდებარე, მ. გ-მის საკუთრებაში არსებული 1246 კვ.მ მიწის ნაკვეთისა და 16 ბინის ნასყიდობის ხელშეკრულება, გაუქმდა აღნიშნული უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქობულეთის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ წარმოებული ჩანაწერი, რაც ნ. გ-მემ სააპელაციო წესით გაასაჩივრა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 12 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ნ. გ-მის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა – გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა და მ. გ-მის სარჩელი არ დაკმაყოფილდა შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ მოცემულ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენს ხელშეკრულების დადების ფაქტი და მისი ბათილობის საფუძველები. სააპელაციო პალატამ დაადგინა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებანი: საქმეში არსებული 2008 წლის 19 მარტის ნასყიდობის ხელშეკრულების თანახმად, მ. გ-მემ ნ. გ-მეს 50 000 ლარად მიჰყიდა მის საკუთრებაში არსებული ქობულეთში, ... ქ. 1...-ში მდებარე 16 ბინა 68,9 კვ.მ სასარგებლო ფართით და არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 1246 კვ.მ მიწის ნაკვეთი, რომლებიც საჯარო რეესტრში რეგისტრირებულია რეგისტრაციის ნომრით 1980/08. ნივთი იყო უფლებრივად უნაკლო და გამყიდველმა ნასყიდობის საგნის საფასური მიიღო. საქმეში წარმოდგენილი მ. გ-მის მკურნალი ექიმის მიერ გაცემული ცნობის თანახმად, მ. გ-მე 2008 წლის 5 თებერვლიდან ამავე წლის 25 მარტამდე სახლში გადიოდა ნევროპათოლოგის მიერ დანიშნული მკურნალობის კურსს დიაგნოზით იშემიური ინსულტი მარჯვენამხრივი ჰემიპარეზითა და რეტროგრადული ამნეზიით. სააპელაციო სასამართლოს სასამართლო სხდომის ოქმში ასახული სპეციალისტის განმარტებით, ინსულტის მწვავე ფორმის არარსებობისას შესაძლებელია, ავადმყოფს დაავადება დაუდგინდეს და მკურნალობა დაენიშნოს საოჯახო პირობებში. აღნიშნული განმარტებიდან გამომდინარე, მ. გ-მეს არ ჰქონდა ინსულტის რთული ფორმა, რადგან იგი მკურნალობდა საოჯახო პირობებში. სადავო ხელშეკრულება დაიდო 2008 წლის 29 მარტს, ხოლო მ. გ-მე დაავადდა 2008 წლის 5 თებერვალს. ხელშეკრულება დადებულია მ. გ-მის დაავადებიდან ერთი თვისა და ორი კვირის შემდეგ. სააპელაციო პალატამ ჩათვალა, რომ ხელშეკრულების დადებისას მ. გ-მე აცნობიერებდა თავის მოქმედებათა შედეგს და მან ხელშეკრულებას ხელი მოაწერა თავისი ნამდვილი ნების გამოხატვის ნიშნად, რის გამოც მოთხოვნა სამოქალაქო კოდექსის 58-ე მუხლის მეორე ნაწილის საფუძველზე გარიგების ბათილად ცნობის შესახებ დაუსაბუთებელია. პალატამ მიუთითა პირველი ინსტანციის სასამართლო სხდომის ოქმზე, რომლის შესაბამისად მხარეები ზემოაღნიშნულ

ლი ხელშეკრულების გარდა შეთანხმდნენ, რომ ნ.გ-მე უძრავი ქონების ღირებულებას გადაიხდიდა ნაწილ-ნაწილ, კერძოდ: ნაწილ თანხას გადაიხდიდა მყიდველი, ხოლო დანარჩენი ანაზღაურდებოდა გამყიდველი-სა და მისი შვილისათვის მომსახურების გზით – მედიკამენტების უზრუნველყოფით, საყოფაცხოვრებო პირობების შექმნით, შემთხვევით მომარაგებით, საკვები პროდუქტების უზრუნველყოფითა და მიცვალებულთა განსასვენებლის მოწყობით გადასახდელი თანხის სრულ ამოწურვამდე. ამდენად, სასამართლომ დაადგინა, რომ ხელშეკრულების მხარეები თავად შეთანხმდნენ გარიგების პირობებზე, რაც მოცემულ შემთხვევაში სადავო არ არის. სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნა, რომ მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულება იყო თვალთმაქცური და მისი მეშვეობით დაიფარა სხვა გარიგება. რაიონული სასამართლოს სხდომის ოქმის თანახმად, პალატამ დაადგინა, რომ მ.გ-მეს არ შეეძლო გადაადგილება ნასყიდობის ხელშეკრულების გასაფორმებლად და გარიგების დადებას მოსარჩელის სახლში ესწრებოდნენ საჯარო რეესტრის თანამშრომლები – საჯარო ეროვნული სააგენტოს ქობულეთის სარეგისტრაციო სამსახურის დირექტორის მოადგილე და საჯარო ეროვნული სააგენტოს ქობულეთის სარეგისტრაციო სამსახურის უფროსი. სასამართლომ მიუთითა საქმეში წარმოდგენილ მ.გ-მის პირადობის მოწმობის ასლზე, რომელზეც მოსარჩელეს პირადი ხელმოწერის გასწვრივ დასმული აქვს ჯვარი, რაც იმაზე მეტყველებს, რომ მ.გ-მის ხელმოწერა არის ჯვრის ფორმის. სასამართლოს მოსაზრებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის 1-ელი ნაწილის თანახმად, მ.გ-მეს უნდა დაემტკიცებინა, რომ ხელშეკრულების დადების დროისათვის იგი იყო ავად. პალატამ არ გაიზიარა საქმეში წარმოდგენილი ცნობა მ.გ-მის ავადმყოფობის შესახებ, ვინაიდან იგი გაცემულია ექიმის მიერ და სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ დადასტურებული არ არის. სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ ავადმყოფობა უნდა დადასტურდეს სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტით, რომელიც გაცემულია სამედიცინო ისტორიის საფუძველზე და პირდაპირ მიუთითებს ავადმყოფის დიაგნოზს, ასახავს ჯანმრთელობის მდგომარეობას ავადმყოფობის დაწყებამდე და ცნობის გაცემის პერიოდში. პალატამ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს არც სამოქალაქო კოდექსის 56-ე მუხლით გათვალისწინებული სადავო გარიგების ბათილად ცნობის საფუძველი, რადგან მხარეთა განმარტებით არ დგინდება ფაქტობრივი გარემოება, რომ მ.გ-მისა და მისი შვილის მოვლის სანაცვლოდ, ნ.გ-მე მიიღებდა უძრავ ქონებას, პირიქით, მ.გ-მე განმარტავს, რომ მას არ დაუდია ხელშეკრულება და, თუ გარიგება დაიდო, ნ.გ-მემ ისარგებლა მისი ავადმყოფობით. სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 183-ე მუხლით და მიუთითა, რომ მხარეთა შორის 2008 წლის 19 მარტს გაფორმდა უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება და ხელშეკრულების გაფორმებას ესწრებოდა საჯარო რეესტრის უფროსი და უფროსის მოადგილე. საჯარო რეესტრის ამონაწერით დადგენილია, რომ ნ.გოგობერიძის უფლების რეგისტრაციის თარიღად მითითებულია 2008 წლის 19 მარტი. სამოქალაქო კოდექსის 70-ე მუხლის შესაბამისად, პალატამ მიიჩნია, რომ საქმის მასალებით არ დგინდება მ.გ-მის მიერ წერა-კითხვის უცოდინრობის ფაქტი ან მისი ისეთი ფიზიკური ნაკლის ან დაავადების არსებობა, რომელიც ხელს შეუშლიდა სადავო დოკუმენტზე ხელის მოწერაში. ამდენად, არ არსებობდა იმის საჭიროება, რომ მ.გ-მეს ხელმოწერა სხვისთვის გადაენდო, მეტიც, სასამართლოს მითითებით, მოსარჩელის პირადობის მოწმობის ასლით დგინდება, რომ მ.გ-მის ხელმოწერის გასწვრივ დასმულია ჯვარი, ე.ი. მ.გ-მის ხელის მოწერა აღინიშნება ჯვრის დასმით. სამოქალაქო კოდექსის 59-ე მუხლის 1-ელი ნაწილის მიხედვით, სასამართლომ არ გაიზიარა მხარის განმარტება, რომ მას ხელის მოწერა სხვა პირისათვის არ მიუზღო, ვინაიდან, როგორც ზემოთ აღინიშნა, დადგენილია, რომ მ.გ-მის ხელმოწერა ჯვრის ფორმისაა. აღნიშნულიდან გამომდინარე, პალატამ ჩათვალა, რომ ნასყიდობის ხელშეკრულების დადებისას მ.გ-მემ ხელი მოაწერა ჯვრის დასმით და სადავო გარიგება კანონის მოთხოვნათა დარღვევით არ დადებულია, რაც გამოორიგხავს მისი ბათილად ცნობის შესაძლებლობას. სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა მხარის მითითება, სამოქალაქო კოდექსის 55-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სადავო გარიგების ბათილობის შესახებ, ვინაიდან საქმის მასალებით, მხარეებს ერთმანეთთან კარგი ურთიერთობა ჰქონდათ, უძრავი ქონება გაიყიდა 50000 ლარად. გარიგების ფასიდან გამომდინარე (ნასყიდობის საგანი შეფასებულია საბაზრო ღირებულების შესაბამისად), სასამართლომ დაასკვნა, რომ მოცემულ შემთხვევაში ნასყიდობა მოპასუხის მიერ მოსარჩელის ნდობის ბოროტად გამოყენებით არ დადებულია. სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, გარიგების ბათილობას იწვევს კანონით დადგენილი წესისა და აკრძალვების, საჯარო წესრიგისა და ზნეობის ნორმების დარღვევა. პალატის მოსაზრებით, კანონმდებელი კანონით დადგენილი წესისა და აკრძალვების დარღვევით დადებული გარიგების ბათილობაში გულისხმობს ყველა გარიგებას, რომელიც კანონის საფუძველზე შეიძლება ცნობილ იქნეს ბათილად, ასევე, ცალკეული გარიგებისათვის დამახასიათებელ სპეციალურ საფუძველს. საჯარო წესრიგში იგულისხმება სამოქალაქო ბრუნვის ფუნდამენტური პრინციპი, როგორცაა საკუთრების, ხელშეკრულებისა და მეწარმეობის თავისუფლების პრინციპი. სასამართლომ მიიჩნია, რომ საჯარო წესრიგის დარღვევისას არა მარტო ილახება მხარის უფლება, არამედ ზიანი ადგება სახელმწიფოსა და საზოგადოების ინტერესს. ზნეობის ნორმების ხელმყოფი გარიგება კი გულისხმობს საზოგადოდ აღიარებული ზნეობრივი ნორმების დარღვევას. პალატამ დაადგინა, რომ სადავო ხელშეკრულება არ არღვევს კანონით დადგენილ წესებსა და აკრძალვებს, ვინაიდან იგი არ არის შედგენილი კანონის მოთხოვნათა დარღვევით. მითითებული გარიგების შესრულებით არ ირ-

ღვევა საჯარო წესრიგი, ზნეობრივი ნორმები, ზიანი არ ადგება სახელმწიფოსა და საზოგადოების ინტერესს, ვინაიდან მ.გ-მე იღებს უძრავი ქონების შესაბამის ანაზღაურებას.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება მ. გ-მემ გაასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღება შემდეგი საფუძვლებით: დაუსაბუთებელია სააპელაციო სასამართლოს მტკიცება, რომ მ.გ-მე მკურნალობას გადიოდა რა სახლის პირობებში, ხოლო მისი დაავადებიდან სადავო გარიგების დადებამდე გასული იყო ერთი თვე და ორი კვირა. აღნიშნული ადასტურებს, რომ კასატორი ინსულტის მძიმე ფორმით დაავადებული არ ყოფილა, რაც მის ცნობიერებაზე გავლენას ვერ მოახდენდა. სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ მ.გ-მის სოციალური მდგომარეობა არ აძლევდა მას შესაძლებლობას, საავადმყოფოში ემკურნალა და პირის საოჯახო პირობებში მკურნალობა არ გამორიცხავს მის მძიმე ავადმყოფობას. პალატამ არასწორად არ გაიზიარა მოსარჩელის მითითება, სადავო გარიგების თვალთმაქცურად დადების თაობაზე მაშინ, როცა მხარეები რეალურად შეთანხმდნენ სამისდღეობით რჩენის ხელშეკრულების პირობებზე, დადგინდა, რომ ნ.გ-მეს ნასყიდობის საგნის ღირებულება არ გადაუხდია და იგი უნდა აენაზღაურებინა მოსარჩელის მოვლით, ამდენად, სამისდღეობით ხელშეკრულების ნაცვლად უკანონოდ გაფორმდა ნასყიდობა, რაც სამოქალაქო კოდექსის 56-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ბათილად ცნობის საფუძველია. პალატამ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში სამოქალაქო კოდექსის 55-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნა არ დარღვეულა და მ.გ-მის ავადმყოფობის დამადასტურებლად არ ჩათვალა საქმეში წარმოდგენილი სამედიცინო ცნობა, რადგან იგი სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელს არ დაუდასტურებია. ამავე დროულად, სასამართლომ მიუთითა, რომ მ.გ-მე სადავო გარიგების გასაფორმებლად საჯარო რეესტრში ვერ გამოცხადდა ავადმყოფობის გამო. ამდენად, სასამართლოს მსჯელობა წინააღმდეგობრივია, ასევე ნიშანდობლივია, რომ პალატამ მ.გ-მე წერა-კითხვის უცოდინრად არ ჩათვალა, მეორე მხრივ კი დაადგინა, რომ მოსარჩელის ხელმოწერა ჯვრის დასმით აღინიშნება. ამდენად, სასამართლო ერთ შემთხვევაში ასაბუთებს, რომ მ.გ-მე იყო ავად და მისი ხელმოწერა ჯვრით აღინიშნება, ხოლო მეორე შემთხვევაში ადასტურებს, რომ კასატორი არ იყო ავადმყოფი და წერა-კითხვის უცოდინარი. აღნიშნულ გარემოებათა გათვალისწინებით სააპელაციო პალატას არ გამოურკვევია, თუ რატომ არ მოაწერა მ.გ-მემ სრულად ხელი სადავო გარიგებას. სასამართლებრივ დასაბუთებასაა მოკლებული სასამართლოს მოსაზრება, რომ სადავო გარიგების დადებისას სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლის მოთხოვნა არ დარღვეულა. პალატას სათანადოდ არ შეუფასებია ის გარემოება, რომ სადავო ნასყიდობის ხელშეკრულება გაფორმდა სამოქალაქო კოდექსის 311<sup>1</sup> მუხლის მე-2 ნაწილის დარღვევით და რეგისტრატორმა უკანონოდ შეითავსა ნოტარიუსის ფუნქცია, როდესაც ბინაზე გააფორმა გარიგება.

### **სამოტივეო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივი დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის 1-ელი ნაწილის «ა» და «ბ» ქვეპუნქტების თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ კანონის მითითებულ დარღვევა არ მომხდარა და სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა. საკასაციო პალატის აზრით, სააპელაციო სასამართლომ სამართლებრივად სწორად შეაფასა დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და საკასაციო საჩივარში მითითებული კანონის დარღვევა არ დგინდება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სვალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). კასატორებს დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია არ წარმოუდგენიათ, ხოლო სააპელაციო სასამართლომ დადგენილად ცნო შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: 2008 წლის 19 მარტის ნასყიდობის ხელშეკრულების თანახმად, მ. გ-მემ ნ. გ-მეს 50 000 ლარად მიჰყიდა თავის საკუთრებაში არსებული ქობულეთში, ... ქ.<sup>1</sup>...-ში მდებარე 68,9 კვ.მ-ის საცხოვრებელი ბინა. საქმეში წარმოდგენილი მ.გ-მის მკურნალი ექიმის მიერ გაცემული ცნობის თანახმად, მ.გ-მე ავად იყო და 2008 წლის 5 თებერვლიდან ამავე წლის 25 მარტამდე სახლში გადიოდა ნევროპათოლოგის მიერ დანიშნულ მკურნალობის კურსს დიაგნოზით – იშემიური ინსულტი მარჯვენამხრივი ჰემიპარეზითა და რეტროგრადული ამნეზიით.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო პალატამ სწორი სამართლებრივი შეფასება მისცა დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს, კერძოდ: სამოქალაქო კოდექსის 58-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ბათილად შეიძლება ჩაითვალოს ნების გამოვლენა ცნობიერების დაკარგვის ან დროებითი ფსიქიკური მოშლილობის დროს. აღნიშნული ნორმის ანალიზით, ნების გამოვლენა ნამდვილად არ ჩაითვლება, თუკი უტყუარად დადგინდა ფაქტი ნების ცნობიერების დაკარგვის ან დროებითი ფსიქიკური მოშლის დროს გამოვლენის თაობაზე. კასატორი ასეთ გარემოებად მიუთითებს მ. გ-მის მძიმე ავადმყოფობას, რაც დასტურება სასამართლო სხდომაზე სპეციალისტად მოწვეული ექიმის განმარტებით. საკასაციო სასამართლო აღნიშნულს დასაბუთებულ საკასაციო პრეტენზიად ვერ მიიჩნევს, ვინაიდან სააპელაციო პალატამ გასაჩივრებული განჩინებით შეაფასა რა საქმეში არსებული მტკიცებულებები, სავსებით სწორად დაადგინა, რომ სადავო გარი-

გებაზე განთავსებული მ. გ-ძის ხელმოწერა ნამდვილია და ცნობიერების დარღვევის ფაქტი არ დგინდება. უდავოა, რომ მ. გ-ძე იყო ავადმყოფი, დიაგნოზით: იშემიური ინსულტი, მარჯვენამხრივი ჰემიპარეზით, რეტროგრადული ამნეზიით. მიუხედავად მძიმე დაავადებისა, საქმეში არსებული მტკიცებულებებისა და სპეციალისტის განმარტების ურთიერთშეჯერებით, გარიგების დადებისას ცნობიერების დაკარგვის ფაქტი არ დგინდება. სამოქალაქო კოდექსის 58-ე მუხლით გათვალისწინებული გარიგების ბათილობის აუცილებელი წინაპირობა კი ცნობიერების დაკარგვის ფაქტის უტყუარად არსებობაა და არა ვარაუდი.

ასევე უსაფუძვლოა კასატორის მოსაზრება სადავო ხელშეკრულების ბათილად ცნობის თაობაზე იმ საფუძველით, რომ მყიდველს ნასყიდობის თანხა არ გადაუხდია და არც ნივთი მიუღია. სამოქალაქო კოდექსის 477-ე მუხლის 1-ელი და მე-2 პუნქტების თანახმად, ნასყიდობის ხელშეკრულებით გამყიდველი მოვალეა, გადასცეს მყიდველს საკუთრების უფლება ქონებაზე, ხოლო მყიდველი მოვალეა, გადაუხადოს გამყიდველს შეთანხმებული ფასი და მიიღოს ნაყიდი ქონება. ამავე კოდექსის 183-ე მუხლის თანახმად, უძრავი ნივთის შესაძენად აუცილებელია გარიგების წერილობითი ფორმით დადება და შემდგომში ამ გარიგების განსაზღვრული უფლების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში.

მოცემულ შემთხვევაში ნ. გ-ძე სადავო ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე მესაკუთრედ აღირიცხა, ანუ გამოხატა ნება ნივთის საკუთრებაში მიღების თაობაზე, ხოლო, რაც შეეხება ნივთის ისევ ყოფილი მესაკუთრის მფლობელობაში დატოვებას, ხელშეკრულების ბათილად ცნობის საფუძველად არ შეიძლება იქნეს მიჩნეული, ვინაიდან მესაკუთრე ასეთი გადაწყვეტილებების მიღებაში თავისუფალია და მას შუძლია, ფლობდეს ან არ ფლობდეს ქონებას (სამოქალაქო კოდექსის 170-ე მუხლის 1-ელი პუნქტი).

რაც შეეხება ნ. გ-ძის მიერ ნასყიდობის თანხის გადაუხდელობის დამადასტურებლად მისივე განმარტების მითითებას, აღნიშნულს საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს, კერძოდ: 2009 წლის 24 თებერვალს ქობულეთის რაიონული სასამართლოს სხდომის ოქმში ასახული ნ. გ-ძის განმარტებით დგინდება, რომ სადავო ნასყიდობის თანხის გადახდის წესი მხარეთა შორის განსხვავებულად იყო მოწესრიგებული. ნ. გ-ძის განმარტებით, თანხის ნაწილი (როგორც მოგვიანებით აზუსტებს 25 000 ლარი) ხელშეკრულების დადებამდე გადახდილი ჰქონდა, ხოლო დარჩენილი თანხა ნაწილ-ნაწილ გადაიხადა. თანხის გადახდის ფაქტი დადასტურებულია წერილობით გაფორმებული ხელშეკრულებითაც, ხოლო საწინააღმდეგო გარემოება კასატორს გარდა მისივე განმარტებისა, რაიმე მტკიცებულებით არ დაუსაბუთებია.

უსაფუძვლოა კასატორის არგუმენტი, რომ დარღვეულია სამოქალაქო კოდექსის 311<sup>1</sup> მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნა, რომლის ძალითაც, თუ გარიგების მონაწილე მხარეები გარიგებას ხელს აწერენ მარეგისტრირებელ ორგანოში უფლებამოსილი პირის თანდასწრებით, მაშინ გარიგების ნამდვილობისათვის არ მოითხოვება გარიგების ან გარიგების მონაწილე მხარეთა ხელმოწერების ნამდვილობის დამოწმება.

კასატორის მოსაზრებით, აღნიშნული ნორმის დარღვევა გამოიხატება იმაში, რომ სადავო ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებისას მ. გ-ძე არ მისულა მარეგისტრირებელ ორგანოში და საჯარო რეესტრის წარმომადგენლები თვითონ გამოცხადნენ მ. გ-ძის ბინაში, სადაც გაფორმდა ხელშეკრულება.

ზემოაღნიშნული ნორმის პირველი პუნქტი ადგენს რა წესს გარიგების მონაწილე მხარეთა ხელმოწერების ნამდვილობის კანონით დადგენილი წესით დამოწმების თაობაზე, ამავე მუხლის მეორე ნაწილი აღნიშნული წესის დაცვას არ მოითხოვს იმ შემთხვევაში, თუ გარიგების დადებას ესწრება მარეგისტრირებელი ორგანოს უფლებამოსილი პირი ანუ 311<sup>1</sup> მუხლის მე-2 პუნქტის გამოყენებისათვის აუცილებელი წინაპირობაა მხარეთა მიერ გარიგებაზე ხელმოწერა მარეგისტრირებელი ორგანოს უფლებამოსილი პირის თანდასწრებით და არა ამ გარიგების მარეგისტრირებელი ორგანოს შენობაში გაფორმება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატის გასაჩივრებული გადაწყვეტილება კანონიერია და მისი გაუქმების სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

მ. გ-ძის უფლებამონაცვლის ალექსანდრა კუტალოვას საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 12 ოქტომბრის გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელად.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## ფორმის დაუცველად დადებული გარიგება

### გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

1ას-922-1205-09

5 მარტი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),  
რ. ნადირიანი (მომხსენებელი),  
მ. სულხანიშვილი

**დავის საგანი:** ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა, საჯარო რეესტრის ჩანაწერის გაუქმება და საკუთრების უფლების აღდგენა (სარჩელში); უძრავი ნივთის კეთილსინდისიერ შემძენად აღიარება, გადახდილი თანხის დაბრუნება (შეგებულ სარჩელში)

#### აღწერილობითი ნაწილი:

სს „მ. ს-ს“ გაკოტრების მმართველმა სარჩელით მიმართა მცხეთის რაიონულ სასამართლოს მოპასუხეების ნ. გ-ძისა და მ. ბ-ძის მიმართ და მოითხოვა ნ. გ-ძესა და სს „მ. ს-ს“ გაკოტრების მმართველ მ. ბ-ძეს შორის 2004 წლის 9 თებერვალს დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა და ასევე საჯარო რეესტრის ჩანაწერის გაუქმება და მცხეთაში, ... ქ.19-ში მდებარე უძრავ ქონებაზე – 14800 კვ.მ მიწის ნაკვეთსა და მასზე არსებულ შენობა-ნაგებობებზე სს „მ. ს-ს“ საკუთრების უფლების აღრიცხვა.

თავის მხრივ 2007 წლის 17 აგვისტოს ნ. გ-ძემ შეგებულ სარჩელი აღძრა მოპასუხე სს „მ. ს-ს“ მიმართ და მოითხოვა უძრავი ნივთის კეთილსინდისიერ შემძენად და მფლობელად აღიარება; ასევე, ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის შემთხვევაში მოპასუხისათვის სადავო მიწის ნაკვეთის შეძენისათვის გადახდილი 135000 ლარის დაკისრება.

მცხეთის რაიონული სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 2 ივლისის გადაწყვეტილებით სს „მ. ს-ს“ სარჩელი დაკმაყოფილდა – ბათილად იქნა ცნობილი სს „მ. ს-ს“ და ნ. გ-ძეს შორის 2004 წლის 9 თებერვალს დადებული ნასყიდობის ხელშეკრულება მცხეთაში, ... ქ.19-ში მდებარე უძრავი ქონების 14800 კვ.მ მიწის ნაკვეთის მასზე არსებული შენობა-ნაგებობებით ნასყიდობის თაობაზე; მცხეთაში, ... ქ.19-ში მდებარე უძრავი ქონებაზე – 14800 კვ.მ მიწის ნაკვეთსა და მასზე არსებულ შენობა-ნაგებობებზე აღირიცხა სს „მ. ს-ს“ საკუთრების უფლება. ნ. გ-ძის შეგებულ სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, სს „მ. ს-ს“ დაეკისრა 135000 ლარის გადახდა ნ. გ-ძის სასარგებლოდ.

სასამართლომ საქმეზე დადგინდა ცნო შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

სს „მ. ს-ს“ და ნ. გ-ძეს შორის 2004 წლის 9 თებერვალს დაიდო მცხეთაში, ... ქ.19-ში მდებარე უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის თანახმად, აღნიშნული უძრავი ქონება გაიყიდა 135000 ლარად. გარიგების დადებისას სს „მ. ს-ს“ წარმოადგენდა და საზოგადოების სახელით ხელშეკრულება დადო გაკოტრების მმართველმა მ. ბ-ძემ. აღნიშნული ხელშეკრულების საფუძველზე, მცხეთაში, ... ქ.19-ში მდებარე უძრავი ქონებაზე საჯარო რეესტრში აღირიცხა ნ. გ-ძის საკუთრების უფლება.

სს „მ. ს-ს“ მიმართ მცხეთის რაიონული სასამართლოს 2002 წლის 8 ნოემბრის განჩინებით გაიხსნა გაკოტრების საქმე, საზოგადოების გაკოტრების საქმის მიმდინარეობისას „გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის 22<sup>2</sup> მუხლის შესაბამისად, შეიქმნა გაკოტრების კრედიტორთა კომიტეტი, რაც დასტურდება საქმეში წარმოდგენილი საზოგადოების კრედიტორთა კრების ოქმებით. მცხეთის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 2 თებერვლის განჩინებით სს „მ. ს-ს“ გაკოტრების მმართველად დაინიშნა მ. ბ-ძე.

სს „მ. ს-ს“ კრედიტორთა კომიტეტს თანხმობა ნ. გ-ძესა და სს „მ. ს-ს“ გაკოტრების მმართველს მ. ბ-ძეს შორის ნასყიდობის ხელშეკრულების დადების თაობაზე არ მიუცია. „გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის 22<sup>2</sup> მუხლის შესაბამისად, ჩატარებული კრების დამადასტურებელი მტკიცებულება მოპასუხეებს არ მიუთითებიათ და, შესაბამისად, არც სასამართლოსათვის წარმოდგენიათ;

ნ. გ-ძემ ნასყიდობის ხელშეკრულების თანახმად, სს „მ. ს-ს“ გადაუხადა ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა 135000 ლარი;

სასამართლომ მიიჩნია, რომ სამართლებრივ საფუძველს იყო მოკლებული მოპასუხე ნ. გ-ძის მოთხოვნა მისი სადავო უძრავი ქონების კეთილსინდისიერ შემძენად აღიარების შესახებ.

სასამართლომ განმარტა, რომ მოცემულ შემთხვევაში გასხვისებული მიწის ნაკვეთი საჯარო რეესტრში აღრიცხული იყო სს „მ. ს-ს“ სახელზე და, შესაბამისად, იგი იყო მესაკუთრე. ამასთან, გარიგების ბათილობის საფუძველად მითითებულია ის ფაქტი, რომ იგი დაიდო ნებართვის გარეშე.

სასამართლომ, „გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის 22<sup>2</sup> მუხლის შესაბამისად, მიიჩნია, რომ სადავო გარიგებით გასხვისებული მიწის ნაკვეთი იყო ერთადერთი უძრავი ქონება, რომლის საშუალებით შესაძლებელი იყო საზოგადოების ვალდებულებების შესრულება და კრედიტორთა მოთ-

ხოვნების დაკმაყოფილება და ამ გარემოებების გათვალისწინებით მისი გასხვისების შესახებ გარიგების დადებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა გაკოტრების მასისათვის და საწარმოს ფუნქციონირების, მისი საქმიანობისათვის. სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხე ნ. გ-მის განმარტება იმის შესახებ, რომ ვინაიდან საწარმო რეაბილიტაციის რეჟიმში არ ფუნქციონირებდა, ამიტომ სადავო მიწის ნაკვეთის გასხვისება საწარმოს საქმიანობის გაგრძელებაზე გავლენას ვერ მოახდენდა. სასამართლომ აღნიშნა, რომ „გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“ კანონის 29<sup>1</sup> მუხლით გათვალისწინებულია გაკოტრების საქმის წარმოების დასრულების საფუძვლები, მათ შორის, გაკოტრების საქმის შეწყვეტის საფუძვლები. ამდენად, გაკოტრების საქმის წარმოების მიზანი უპირატესად იყო საზოგადოების ფინანსური სიმძნელების დაძლევა, საწარმოს გადახდისუნარიანობის გაზრდა და კრედიტორების ინტერესების დაკმაყოფილება და არა უცილობლად საზოგადოების ლიკვიდაცია.

სასამართლომ ასევე არ გაიზიარა წარმომადგენლობითი უფლებამოსილების შეზღუდვის შესახებ ნ. გ-მის განმარტებები.

სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 54-ე და 59-ე მუხლებზე და მიიჩნია, რომ სადავო ნასყიდობის ხელშეკრულება დაიდო „გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“ კანონის 22<sup>2</sup> მუხლით გათვალისწინებული კრედიტორთა კომიტეტის სავალდებულო ნებართვის გარეშე. შესაბამისად, იგი დადებული იყო კანონით დადგენილი წესის დარღვევით, რის გამოც იყო ბათილი.

სასამართლომ სადავო გარიგების ბათილობის საფუძვლად არ გაიზიარა მოსარჩელის მითითება ნასყიდობის ფასზე.

სასამართლომ აღნიშნა, რომ სადავო ნასყიდობის ხელშეკრულებით უძრავი ქონების 1 კვ.მ გასხვისდა 9,12 ლარად, ხოლო მცხეთის საკრებულოს გადაწყვეტილებით დადგენილი ნორმატიული ფასი შეადგენდა 10,57 ლარს. ნორმატიულ ფასის შესაბამისად, მიწის ნაკვეთის ღირებულება შეადგენდა 156,436 ლარს.

სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 55-ე მუხლზე და აღნიშნა, რომ ნ. გ-მის მხრიდან საბაზრო ძალაუფლების გამოყენებას ადგილი არ ჰქონია, რადგან მას გაბატონებული მდგომარეობა ეკონომიკურ სფეროში არ ეჭირა, ასევე მას ზეგავლენა არ მოუხდენია სს „მ. ს-ს“-ზე, მისი მძიმე ფინანსური მდგომარეობის გამოყენებით ნასყიდობის ხელშეკრულების მითითებული პირობებით დადების მიზნით.

სასამართლომ საფუძვლიანად მიიჩნია ნ. გ-მის შეგებებული სარჩელის მოთხოვნა სადავო უძრავი ნივთის შესაძენად გადახდილი თანხის დაბრუნების თაობაზე.

სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 976-ე მუხლზე და მიიჩნია, რომ ამ ნორმის შესაბამისად, ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილობის შედეგად მხარეებმა ერთმანეთს უნდა დაუბრუნონ ყველაფერი, რაც ბათილი გარიგების საფუძველზე მიიღეს.

სასამართლომ არ გაიზიარა სს „მ. ს-ს“ გაკოტრების მმართველის პოზიცია შეგებებული სარჩელის აღნიშნულ მოთხოვნასთან დაკავშირებით და მიიჩნია, რომ აღნიშნული მოთხოვნის უარსაყოფად უსაფუძვლოა იმ გარემოებაზე მითითება, რომ თანხა არ აღრიცხულა საზოგადოების ბუღალტერიაში.

მცხეთის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ნ. გ-მემ, მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება იმ ნაწილში, რომლითაც დაკმაყოფილდა სარჩელი და რომლითაც უარი ეთქვა შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებაზე და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა და შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 18 მარტის გადაწყვეტილებით, ნ. გ-მის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა – გაუქმდა მცხეთის რაიონული სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 2 ივლისის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, სს „მ. ს-ს“ სარჩელი არ დაკმაყოფილდა, ნ. გ-მის შეგებებული სარჩელი არ დაკმაყოფილდა, გაუქმდა მცხეთის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 25 აგვისტოს განჩინებით გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება და ყადაღა მოეხსნა ნ. გ-მის სახელზე რიცხულ, ქ.მცხეთაში, ... ქ.19-ში მდებარე უძრავ ქონებას – მიწის ნაკვეთს და მასზე განლაგებულ შენობა-ნაგებობებს, გაუქმდა მცხეთის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 2 დეკემბრის განჩინებით გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, რომლითაც მოპასუხე ნ. გ-მეს აეკრძალა ქ.მცხეთაში, ... ქ.19-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე სამუშაოების წარმოება.

სააპელაციო სასამართლო დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 380-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება სს „მ. ს-ს“ კრედიტორთა კრების მოწვევისა და კრედიტორთა კომიტეტის არჩევის არაკანონიერების თაობაზე, ვინაიდან პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვის დროს ნ. გ-მეს კრედიტორთა კომიტეტის არჩევის კანონიერება სადავოდ არ გაუხდია და ამ ფაქტებზე არ მიუთითებია.

სააპელაციო პალატა არ დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნას იმის შესახებ, რომ ვინაიდან სს „მ. ს-ს“ გაკოტრების მმართველს სადავო ნასყიდობის ხელშეკრულების დადებისას არ გააჩნდა „გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის 22<sup>2</sup> მუხლით გათვალისწინებული კრედიტორთა კომიტეტის სავალდებულო თანხმობა, ამიტომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 54-ე და 59-ე მუხლების შესაბამისად, აღნიშნული ნასყიდობის ხელშეკრულება ბათილია. სასამართლომ აღნიშნა, რომ



მოცემულ შემთხვევაში უდავოდ დადგენილია, რომ სს „მ. ს-ი« რეაბილიტაციის რეჟიმში არ იმყოფებოდა და არც რაიმე სხვა ფორმით აგრძელებდა საქმიანობას. ასეთ ვითარებაში კრედიტორთა მოთხოვნების დაკმაყოფილება შესაძლებელია მხოლოდ გაკოტრების მასის გასხვისებით და საწარმოს ლიკვიდაციის დასრულებით. განსახილველ შემთხვევაში სადავო უძრავი ქონების გასხვისებით მიღებული თანხები მიმართული იქნა კრედიტორთა მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად და არა საწარმოს ლიკვიდურობის აღსადგენად და ლიკვიდაციის თავიდან ასაცილებლად. აქედან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო მიწის ნაკვეთის გასხვისება არ იყო გამოწვეული საწარმოს საქმიანობის გაგრძელებით. შესაბამისად, სააპელაციო პალატამ ჩათვალა, რომ სს „მ. ს-ს« გაკოტრების მმართველს სადავო ნასყიდობის ხელშეკრულების დასადებად არ სჭირდებოდა „გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ« საქართველოს კანონის 22<sup>2</sup> მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული კრედიტორთა კომიტეტის თანხმობა, ამიტომ ასეთი თანხმობის გარეშე დადებული სადავო გარიგება ვერ იქნებოდა მიჩნეული ბათილად საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 54-ე და 59-ე მუხლების საფუძველზე, ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში ეს ნორმები არ დარღვეულა.

ამასთან, სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ სადავო ნასყიდობის ხელშეკრულების დასადებად კრედიტორთა კომიტეტის თანხმობაც რომ ყოფილიყო საჭირო, ასეთი თანხმობის არარსებობა მაინც ვერ გახდებოდა სადავო გარიგების ბათილობის საფუძველი, ვინაიდან აღნიშნა, რომ „გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ« საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი და მეორე ნაწილებისა და ამავე კანონის მე-15 მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილების ნორმათა ანალიზის შესაბამისად, გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის შემდეგ ვალაუვალი მოვალე აღარაა უფლებამოსილი მართოს და განკარგოს გაკოტრების მასა, იგი ამ უფლებას კარგავს და ეს უფლებამოსილება სრული მოცულობით გადაეცემა გაკოტრების მმართველს, რომელიც ვალდებულია კეთილსინდისიერად მართოს და განკარგოს გაკოტრების მასა. ზიანის მიყენების შემთხვევაში, გაკოტრების მმართველს გაკოტრების საქმის წარმოების მონაწილეთა წინაშე დაეკისრება ზიანის ანაზღაურების ვალდებულება, თუ იგი ვერ დაამტკიცებს, რომ ზიანი მისი ბრალით არ იყო გამოწვეული.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ სადავო ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილობის საფუძველი ასევე ვერ გახდებოდა მოსარჩელის მიერ ნასყიდობის ფასზე მითითება. ამასთან დაკავშირებით, პალატა სრულად დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებებს და დასკვნებს საქმის ფაქტობრივ და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით.

სააპელაციო პალატამ ჩათვალა, რომ ნ. გ-მის შეგებებული სარჩელის მოთხოვნა სადავო უძრავი ნივთის კეთილსინდისიერ შემძენად და მფლობელად ცნობის თაობაზე ფაქტობრივად წარმოადგენდა მატერიალურ-სამართლებრივ შესაგებელს და არა შეგებებულ სარჩელს, ვინაიდან ნ. გ-მის შეგებებული სარჩელის მოთხოვნა უძრავი ნივთის კეთილსინდისიერ შემძენად და მფლობელად ცნობის თაობაზე შემოიფარგლებოდა მხოლოდ იმით, რომ ახდენდა ძირითადი სასარჩელო მოთხოვნის (ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა) უარყოფას საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 185-ე მუხლზე მითითებით და არ შეიცავდა სამართლებრივი დაცვის ინტერესს. რაც შეეხება შეგებებული სარჩელის იმ მოთხოვნას, რომლითაც ნ. გ-მე მოითხოვდა ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის შემთხვევაში მოპასუხისათვის სადავო მიწის ნაკვეთის შეძენისათვის გადახდილი 135000 ლარის დაკისრებას, სასამართლომ მიიჩნია, რომ ამ მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველი არ არსებობდა, ვინაიდან სს „მ. ს-ს« სარჩელი სადავო ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 18 მარტის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს სს «მ. ს-მ» და მესამე პირმა – გორის საგადასახადო ინსპექციამ.

კასატორმა სს «მ. ს-მ» საკასაციო საჩივრით მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება შემდეგი საფუძველებით:

კასატორის განმარტებით, თბილისის სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილების გამოტანისას არასწორად განმარტა «გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ» საქართველოს კანონის 22.2 მუხლი და არ გამოიყენა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 54-ე და 59-ე მუხლები.

კასატორის მითითებით, სააპელაციო სასამართლომ უდავოდ დადგენილად მიიჩნია ის ფაქტი, რომ სს «მ. ს-ი» არ იმყოფებოდა რეაბილიტაციის რეჟიმში და აღნიშნა, რომ «განსახილველ შემთხვევაში სადავო უძრავი ქონების გასხვისებით მიღებული თანხები მიმართული იქნა კრედიტორთა მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად», კასატორის განმარტებით, საქმეში არსებულ რომელ მტკიცებულებებზე დაყრდნობით დაასკვნა ასე სასამართლომ გაურკვეველია, ვინაიდან 135000 ლარის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი მოწინააღმდეგე მხარეს არ წარმოუდგენია.

კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ «გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ» საქართველოს კანონის 22.2 მუხლი განსაზღვრავს საქმიანობის ცალკეულ სახეებს, რომელთა განხორციელება გაკოტრების მმართველს შეუძლია მხოლოდ კრედიტორთა კომიტეტის თანხმობით, კრედიტორთა კომიტეტის თანხმობა კი, როგორც წესი ფორმალურ ხასიათს ატარებს», შესაბამისად, კასატორის მითითებით, კანონში ჩადებული იმპერატიული ნორმა სასამართლომ ფორმალური ხასიათის მატარებლად ჩათვალა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 30 ოქტომბრის განჩინებით გორის საგადასახადო ინსპექციის საკასაციო საჩივარი დარჩა განუხილველი იმ საფუძველით, რომ იგი არ წარმოადგენს საკასაციო საჩივრის უფლების სუბიექტს.

### **სამოტივიციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, საკასაციო საჩივრის საფუძველები და თვლის, რომ სს „მ. ს-ს“ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას იმის თაობაზე, რომ კრედიტორთა კომიტეტის თანხმობა ფორმალურ ხასიათს ატარებს და გაკოტრების მმართველის წარმომადგენლობითი უფლებამოსილება მესამე პირებთან ურთიერთობაში არ შეიძლება შეიზღუდოს. აღნიშნული დასკვნა არ გამომდინარეობს იმ დროს მოქმედი «გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ» კანონიდან.

საზოგადოების საქმიანობაში სამეთვალყურეო საბჭოს სტატუსი და კრედიტორთა კომიტეტის სტატუსი გაკოტრების საქმის წარმოებაში განსხვავებულია. განსხვავებულია მათი ფუნქციები და უფლებამოსილებები. კრედიტორთა კომიტეტი არ არის მმართველობითი ფუნქციების მქონე ორგანო, განსხვავებით სამეთვალყურეო საბჭოსაგან, რომელიც იქმნება თავად საზოგადოების პარტნიორების მიერ. კრედიტორთა კომიტეტის წევრები არიან მესამე პირები, რომელთა მიმართ საზოგადოებას აქვს შეუსრულებელი ვალდებულებები. კრედიტორთა კომიტეტის მიზანია კრედიტორთა ინტერესების დაცვა, რათა გაკოტრების მასის მართვა და მისი გასხვისება მოხდეს რაც შეიძლება მომგებიანი პირობებით და შესაძლებელი გახდეს საზოგადოების ვალდებულებების შესრულება.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა „გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის 22<sup>2</sup> მუხლის მე-2 ნაწილი, რომლის თანახმად, კრედიტორთა კომიტეტი ვალდებულია, დაეხმაროს და კონტროლი გაუწიოს გაკოტრების მმართველს მისი საქმიანობის განხორციელებისას. იგი უფლებამოსილია გაკოტრების მმართველს მოსთხოვოს მოხსენებისა და საფინანსო ანგარიშის წარდგენა და უშუალოდ გააკონტროლოს იგი. კრედიტორთა კომიტეტის თანხმობას საჭიროებს გაკოტრების მმართველის იურიდიული ქმედებები, მათ შორის, კრედიტის მიღება, ვალდებულებების აღება, მიწის ნაკვეთების შეძენა ან გასხვისება, გაკოტრების მასისათვის სასამართლო პროცესის წარმართვა და სხვა ქმედებები, რომლებსაც დიდი გავლენა აქვთ სამართავი ქონების მდგომარეობაზე და რომლებიც გამოწვეულია საწარმოს საქმიანობის გაგრძელებით. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ აღნიშნული ნორმის თანახმად, გაკოტრების მმართველს მიწის ნაკვეთების შეძენის ან გასხვისების დროს კრედიტორთა კომიტეტის თანხმობა ესაჭიროება ორი პირობის ერთდროულად არსებობის შემთხვევაში, კერძოდ, ჩ)თუ იურიდიულ ქმედებებს (უმრავი ქონების შეძენა-გასხვისება) დიდი გავლენა აქვთ სამართავი ქონების მდგომარეობაზე და ბ) თუ ეს გამოწვეულია საწარმოს საქმიანობის გაგრძელებით. ვინაიდან საწარმო არ იმყოფებოდა რეაბილიტაციის რეჟიმში და არც რაიმე სხვა ფორმით აგრძელებდა საქმიანობას, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში გაკოტრების მმართველს სადავო ნასყიდობის ხელშეკრულების დასადავად არ სჭირდებოდა კრედიტორთა კომიტეტის თანხმობა.

სააპელაციო სასამართლოს აღნიშნულ განმარტებას საკასაციო პალატა არ იზიარებს. სადავო ნორმა აწესებს გაკოტრების მმართველის გარკვეული ქმედებების შეზღუდვას. ეს ნორმა შეიცავს ქმედებების ცალკეული სახეების ჩამონათვალს, რომელთა განხორციელება გაკოტრების მმართველს შეუძლია მხოლოდ კრედიტორთა კომიტეტის თანხმობით. ეს ქმედებებია: კრედიტის მიღება, ვალდებულების აღება, მიწის ნაკვეთის შეძენა ან გასხვისება, გაკოტრების მასისათვის სასამართლო პროცესის წარმართვა და სხვა ქმედებები, რომლებსაც დიდი გავლენა აქვთ სამართავი ქონების მდგომარეობაზე და რომლებიც გამოწვეულია საწარმოს საქმიანობის გაგრძელებით. ამდენად, მიწის ნაკვეთის შეძენა-გასხვისებისათვის კანონი გარკვევით ითვალისწინებს კრედიტორთა კომიტეტის თანხმობას, ხოლო ის პირობები, რომლებზეც სააპელაციო პალატა მიუთითებს, გათვალისწინებულია მხოლოდ „სხვა ქმედებების“ მიმართ და არა მიწის ნაკვეთის შეძენა-გასხვისების მიმართ. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ სადავო ნასყიდობის ხელშეკრულების დასადავად, გაკოტრების მმართველს ესაჭიროებოდა კრედიტორთა კომიტეტის თანხმობა.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 59-ე მუხლის 1-ელი ნაწილის თანახმად, ბათილია კანონით ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული აუცილებელი ფორმის დაუცველად დადებული გარიგება, ასევე ნებართვის გარეშე დადებული გარიგება, თუ ამ გარიგებისათვის საჭიროა ნებართვა. მოცემულ შემთხვევაში ნასყიდობის ხელშეკრულება დადებულია „გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“ კანონის 22<sup>2</sup> მუხლით გათვალისწინებულ კრედიტორთა კომიტეტის სავალდებულო ნებართვის გარეშე, შესაბამისად იგი ბათილია.

საკასაციო სასამართლო ასევე არ იზიარებს სააპელაციო პალატის დასკვნას იმის შესახებ, რომ ნ. გ-მისათვის არ იყო ცნობილი გაკოტრების მმართველის უფლებამოსილების შეზღუდვის შესახებ. ნ.გ-მისათვის ცნობილი უნდა ყოფილიყო, რომ საწარმო იმყოფებოდა გაკოტრების რეჟიმში, რადგან ხელშეკრულებას საზოგადოების სახელით დებდა გაკოტრების მმართველი, გაკოტრების მმართველის უფლებამოსილება კი შეზღუდული იყო კანონით.

საკასაციო პალატა ეთანხმება სააპელაციო პალატის დასკვნას იმასთან დაკავშირებით, რომ ნ.გ-მის შეგებულ სარჩელის მოთხოვნა სადავო უძრავი ნივთის კეთილსინდისიერ შემძენად და მფლობელად ცნობის თაობაზე წარმოადგენს მატერიალურ-სამართლებრივ შესაგებელს და არა შეგებულ სარჩელს, რაც შეეხება მიწის ნაკვეთის შემენისათვის გადახდილი 135 000 ლარის დაკისრებას, ამ ნაწილში საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება კანონიერ ძალაშია. საქმის მასალებით ირკვევა, რომ სს «მ. ს-ს» სარჩელით მოითხოვდა ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობას, ხოლო ნ. გ-მე შეგებულ სარჩელით მოითხოვდა უძრავი ნივთის კეთილსინდისიერ შემძენად აღიარებას და ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის შემთხვევაში გადახდილი თანხის დაბრუნებას. სასამართლოს გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა, ხოლო ნ. გ-მის შეგებულ სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, სს «მ. ს-ს» დაეკისრა ნ. გ-მისათვის 135 000 ლარის გადახდა. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება გაასაჩივრა მხოლოდ ნ.გ-მემ, რომელმაც მართალია მიუთითა, რომ მთლიანად ასაჩივრებდა გადაწყვეტილებას, მაგრამ სააპელაციო საჩივრის მოთხოვნაში გამოყო, თუ გადაწყვეტილების რომელი ნაწილის გაუქმებას მოითხოვდა, კერძოდ, აპელანტმა მოითხოვა გადაწყვეტილების იმ ნაწილის გაუქმება, რომლითაც მას უარი ეთქვა შეგებულ სარჩელის დაკმაყოფილებაზე (კეთილსინდისიერ შემძენად ცნობაზე) და რომლითაც დაკმაყოფილდა სარჩელი და ახალი გადაწყვეტილების მიღებით კეთილსინდისიერ შემძენად ნ.გ-მის ცნობა და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებითაც დაზუსტებულია აპელანტის მოთხოვნა, კერძოდ, აპელანტი მოითხოვდა შეგებულ სარჩელის დაკმაყოფილებას იმ ნაწილში, რომლითაც არ დაკმაყოფილდა მისი მოთხოვნა და სარჩელზე უარის თქმას. ბუნებრივია, აპელანტი არ მოითხოვდა მის სასარგებლოდ გამოტანილი გადაწყვეტილების გაუქმებას და ახალი გადაწყვეტილებით იმავე მოთხოვნის დაკმაყოფილებას. ამდენად, გადაწყვეტილება გასაჩივრებული იყო სარჩელის დაკმაყოფილების და შეგებულ სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში.

საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ გააუქმა რა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება გაცდა ნ. გ-მის სააპელაციო საჩივრის ფარგლებს, რითაც დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის მოთხოვნა, რომლის პირველი ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის ფარგლებში ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით. ასევე დაარღვია ამავე კოდექსის 384-ე მუხლის მოთხოვნა, რომლის თანახმად, სააპელაციო ინსტანციის სასამართლო უფლებამოსილია შეცვალოს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება მხოლოდ იმ ფარგლებში, რასაც მხარეები მოითხოვენ. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების ის ნაწილი, რომლითაც დაკმაყოფილდა ნ.გ-მის შეგებულ სარჩელი 135 000 ათასი ლარის სს „მ. ს-სათვის“ დაკისრების ნაწილში შესულია კანონიერ ძალაში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და ახალი გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდეს სს „მ. ს-ს“ სარჩელი.

კასატორს, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 48-ე მუხლის საფუძველზე, გადადებული ჰქონდა საკასაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟის გადახდა. საკასაციო პალატა თვლის, რომ ვინაიდან საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის საფუძველზე, სახელმწიფო ბაჟი უნდა დაეკისროს მოწინააღმდეგე მხარეს – ნ. გ-მეს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე, 53-ე და 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

### **გ ა დ ა წ ვ ე ტ ა :**

სს „მ. ს-ს“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;

გაუქმდეს ამ საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 18 მარტის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება.

სს „მ. ს-ს“ სარჩელი დაკმაყოფილდეს;

ბათილად იქნას ცნობილი სს «მ. ს-სა» და ნ. გ-მეს შორის 2004 წლის 9 თებერვალს დადებული ნასყიდობის ხელშეკრულება მცხეთაში, ... ქ.19-ში მდებარე უძრავი ქონების 14 800 კვ.მ მიწის ნაკვეთის მასზე არსებული შენობა-ნაგებობების ნასყიდობის თაობაზე და აღნიშნულ ქონებაზე აღირიცხოს სს „მ. ს-ს“ საკუთრების უფლება.

ნ. გ-მეს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისროს საკასაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟის გადახდა 6000 ათასი ლარის ოდენობით.

საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## ფორმის დაუცველად დადებული გარიგება

### გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

1ას-399-372-2010

4 ნოემბერი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
მ. სულხანიშვილი

**დავის საგანი:** უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა, უკანონოდ მითვისებული თანხის დაბრუნება, ქონებრივი ზიანის ანაზღაურება (ძირითად სარჩელში), სადავო უძრავი ქონების მესაკუთრედ აღიარება (შეგებებულ სარჩელში)

#### აღწერილობითი ნაწილი:

ა. ს-უამ სარჩელით მიმართა ოზურგეთის რაიონულ სასამართლოს მოპასუხეების – ო., მ., ა. ბ-ძეებისა და თ. კ-ძის მიმართ და მოითხოვა ო. ბ-ძისა და მასთან მყოფი პირების გამოსახლება სოფელ ...-ში მდებარე მის საკუთრებაში აღრიცხული საცხოვრებელი სახლიდან და თვითნებურად მითვისებული თანხის დაბრუნება, ხოლო სასამართლო სხდომაზე დაზუსტებული სარჩელით დამატებით მოითხოვა მოპასუხეებისაგან მის საკუთრებაში არსებული 5000 კვ. მ მიწის ნაკვეთის გამოთხოვა, მათთვის აღნიშნული ქონებით სარგებლობის აკრძალვა, ქონებრივი ზარალის – 13000 ლარისა და მიუღებელი შემოსავლის – 10000 ლარის, სულ – 11300 ლარის ანაზღაურება და უკანონოდ მიღებული კომპენსაციის – 37000 მანეთის ანუ 25 061 ლარის მოპასუხეებისათვის დაკისრება მის სასარგებლოდ შემდეგი საფუძვლებით: მოსარჩელის განმარტებით, დედამისმა ვ. წ-შვილი-ს-უამ ოზურგეთის რაიონის სოფელ ...-ში თავის კუთვნილ სახლში დროებითი ცხოვრების ნება დართო ო. ბ-ძეს ოჯახთან ერთად. თითქმის ერთი წლის გასვლის შემდეგ, დედამისის ეზო და მიმდებარე ტერიტორია სოფელ ...-ში არსებულმა ბენტონიტური თიხის «ა-ს» საწარმომ გამოაცხადა ზვავ-საშიშ ზონად და ეზო შეფასდა მასში არსებული ნარგავების მიხედვით, რამაც 1989 წლის კურსით შეადგინა 37 500 მანეთი. მითითებული ფაქტის შესახებ მან მოგვიანებით შეიტყო იმ მიზეზით, რომ ო. ბ-ძეს აღნიშნულთან დაკავშირებით მისთვის არ უცნობებია და მეტიც, გაყალბებული საბუთების საფუძველზე, მითვისა საკომპენსაციო თანხა.

ბ. ბ-ძემ სარჩელი არ ცნო იმ საფუძვლით, რომ მან სადავო ქონება ვ. წ-შვილისაგან შეიძინა 18000 რუსულ მანეთად, რომელსაც თავის სიცოცხლეში არავითარი პრეტენზია არ ჰქონია. რაც შეეხება საკომპენსაციო თანხას, შეფასდა არა ნარგავების, არამედ – სულადობის მიხედვით და მას როგორც, ხუთსულიანი ოჯახის პატრონს, გადაუხადეს 37500 მანეთი. როდესაც მოსარჩელემ მოსთხოვა, დაეცალა სადავო ქონება, მოპასუხემ გადახდილ 18000 მანეთის დაბრუნება და დამატებით მის მიერ ჩატარებული სამუშაოების თანხის ღირებულების ანაზღაურება მოითხოვა, რაც მოსარჩელემ ვერ გადაიხადა და, შესაბამისად, ბინას ვერ დაუბრუნებდა, ვინაიდან იგი შესყიდული ჰქონდა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოპასუხე ო. ბ-ძემ თავის მხრივ შეგებებული სარჩელით მოითხოვა ნასყიდობის ხელშეკრულების დადებულად ცნობა და სადავო ქონებაზე მისი საკუთრების აღიარება.

მოსარჩელემ შეგებებული სარჩელი არ ცნო იმ საფუძვლით, რომ მოპასუხესა და დედამისს შორის წერილობითი ფორმით არავითარი ხელშეკრულება არ დადებულა, რაც სადავო ქონებაზე მისი საკუთრების უფლების მოპოვების საფუძველი გახდებოდა.

ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 30 მარტის გადაწყვეტილებით ა. ს-უას სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მოპასუხეები – ო., მ., ა. ბ-ძეები და თ. კ-ძე, ოჯახის არასრულწლოვან წევრებთან ერთად გამოსახლებული იქნენ ოზურგეთის რაიონის სოფელ ...-ში მდებარე, ა. ს-უას საკუთრებაში აღრიცხული საცხოვრებელი სახლიდან და მიწის ნაკვეთიდან და მათ აკრძალათ აღნიშნული უძრავი ქონებით სარგებლობა; ა. ს-უას დაეცალა ო. ბ-ძისათვის ანაზღაურებინა გარიგების საფუძველზე გადახდილი საცხოვრებელი სახლის ღირებულების – 18000 მანეთის ეკვივალენტი ლარის, 12526 ლარის 90% – 11273 ლარი და 40 თეთრი; ა. ს-უას უარი ეთქვა მიყენებული ქონებრივი ზიანისა და უკანონოდ მიღებული კომპენსაციის ანაზღაურების შესახებ სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უსაფუძვლობის გამო; ო. ბ-ძეს უარი ეთქვა გარიგების საფუძველზე, ოზურგეთის რაიონის სოფელ ...-ში მდებარე ა. ს-უას საკუთრებაში აღრიცხული საცხოვრებელი სახლისა და მიწის ნაკვეთის მესაკუთრედ აღიარების შესახებ მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უსაფუძვლობის გამო.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ორივე მხარემ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 19 თებერვლის გადაწყვეტილებით ა. ს-უას სააპელაციო საჩივარი და ო., მ., ა. ბ-ძეებისა და თ. კ-ძის შეგებებული სააპელაციო სა-

ჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა – გაუქმდა ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 30 მარტის გადაწყვეტილება, ა. ს-უას სარჩელი არ დაკმაყოფილდა, ო. ბ-მის შეგებებული სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა – ო. ბ-მე ცნობილ იქნა ოზურგეთის რაიონის სოფელ ...-ში მდებარე ა. ს-უას საკუთრებაში აღრიცხული საცხოვრებელი სახლის მოსარგებლედ.

საპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

ვ. წ-შვილსა და ო. ბ-მეს შორის, ვ. წ-შვილის შვილების, ა. ს-უასა და ვა. ს-უას მონაწილეობით 1988 წლის ნოემბერში შედგა ზეპირი გარიგება, რომლის თანახმად, ვ. წ-შვილმა ოზურგეთის რაიონის სოფელ ...-ში მდებარე საცხოვრებელი სახლი და ეზოს ნარგავები მიჰყიდა ო. ბ-მეს 18000 მანეთად.

ო. ბ-მემ ვ. წ-შვილს ნაწილ-ნაწილ სრულად გადაუხადა ნასყიდობის საზღაური და იგი დღემდე ფლობს და სარგებლობს საცხოვრებელი სახლითა და მიწის ნაკვეთით და იღებს ნაყოფს.

მართალია, 1989 წელს ვ. წ-შვილმა ო. ბ-მეს შესთავაზა, მის მიერ გადახდილი თანხის დაბრუნების სანაცვლოდ, ნივთზე მფლობელობის შეწყვეტა, მაგრამ მხარეთა შორის შეთანხმება ვერ მოხერხდა და ვ. წ-შვილს ო. ბ-მისა და მისი ოჯახის წევრების გამოსახლება აღარ მოუთხოვია.

1989 წელს სოფელ ...-ში ზოგიერთი მიწის ნაკვეთი, მათ შორის, ვ. წ-შვილის საკარმიდამო მიწის ნაკვეთიც, გამოცხადდა ზეავსაშიშ ზონად და ასახლებლად ო. ბ-მის სახელზე გაიცა კომპენსაცია 37500 მანეთი, რის თაობაზეც იცოდნენ ვ. წ-შვილმა და მისმა შვილებმა.

ვ. წ-შვილი გარდაიცვალა 1996 წელს, ხოლო 2004 წლის 23 აპრილს გაიცა სამკვიდრო მოწმობა ა. ს-უას სახელზე და ვ. წ-შვილის დანაშთი ქონება – საცხოვრებელი სახლი და მიწის ნაკვეთი აღირიცხა ა. ს-უას საკუთრებად.

«საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ» საქართველოს კანონის 1<sup>1</sup> მუხლის «ა» ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლომ მიიჩნია, რომ გარიგება, რომლითაც ვ. წ-შვილმა, ანუ მესაკუთრემ ო. ბ-მეს საზღაურის – 18000 მანეთის გადახდის სანაცვლოდ დაუთმო სახლით სარგებლობის უფლება, დაიდო 1988 წელს, ანუ ზემოხსენებული კანონით გათვალისწინებულ პერიოდში.

იმის გათვალისწინებით, რომ ო. ბ-მე 1988 წლიდან 2005 წლამდე, ანუ 1998 წლის 25 ივნისისათვისაც ფაქტობრივად ფლობდა სადავო სახლს ისე, რომ მისი მფლობელობა მესაკუთრესა და მის უფლებამონაცვლეს სადავოდ არ გაუხდიათ, სასამართლომ მიიჩნია, რომ 1998 წლის 25 ივნისისათვის იგი სახლს კეთილსინდისიერად ფლობდა და მითითებული კანონის შესაბამისად წარმოადგენდა მოსარგებლეს.

«საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ» საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად და იმის გათვალისწინებით, რომ მესაკუთრე ა. ს-უას ო. ბ-მისათვის არ გადაუხდია სადგომის საბაზრო ღირებულების 75%, სასამართლომ მიიჩნია, რომ ო. ბ-მე უფლებამოსილი იყო, გაეგრძელებინა სადგომის ფლობა. ამდენად, მოსარჩელის მოთხოვნა მისი სადავო საცხოვრებელი სახილდან გამოსახლების შესახებ სასამართლომ უსაფუძვლოდ ჩათვალა და აღნიშნა, რომ ო. ბ-მე სამოქალაქო კოდექსის 159-ე მუხლის შესაბამისად, სადავო უძრავი საცხოვრებელი სახლის მართლზომიერი მფლობელი იყო.

მიუხედავად იმისა, რომ მითითებული კანონი არეგულირებს საცხოვრებელი სადგომით და არა მიწის ნაკვეთით მოსარგებლესა და მესაკუთრეს შორის არსებულ ურთიერთობებს, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ, კანონისა და გარიგების თანახმად, ო. ბ-მე ითვლებოდა ა. ს-უას კუთვნილ ნაკვეთზე არსებული როგორც ძირითადი, ასევე დამხმარე ნაგებობის მოსარგებლედ.

სამოქალაქო კოდექსის 150-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და ამავე კოდექსის ...-ე მუხლის 1-ელი ნაწილის შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ ო. ბ-მე მართლზომიერად ფლობდა საკარმიდამო მიწის ნაკვეთსაც და დაუშვებელი იყო მართლზომიერი მფლობელისათვის მოეთხოვათ ნივთის უკან დაბრუნება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება უნდა გაუქმებულიყო იმ ნაწილში, რომლითაც მოპასუხეები გამოსახლებული იქნენ საცხოვრებელი სახლიდან და მიწის ნაკვეთიდან.

აპელანტის მოსაზრება მასზე, რომ რაიონული სასამართლო გასცდა შეგებებული სარჩელის მოთხოვნის ფარგლებს, როცა ა. ს-უას მის სასარგებლოდ დააკისრა საცხოვრებელი სადგომის ღირებულების 25%-ის გადახდა, სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა, ვინაიდან აღნიშნა, რომ, რადგანაც ო. ბ-მეს შეგებებული სარჩელით არ მოუთხოვია ა. ს-უასათვის კომპენსაციის გადახდის დაკისრება, რაიონული სასამართლო არ იყო უფლებამოსილი, მიეღო გადაწყვეტილება ამ საკითხზე და, ამასთან, მიუთითა, რომ მოსარგებლის მოთხოვნა მესაკუთრისათვის კომპენსაციის გადახდის დავალდებულების თაობაზე უსაფუძვლოდ იყო.

ამდენად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება უნდა გაუქმებულიყო იმ ნაწილშიც, რომლითაც ა. ს-უას ო. ბ-მის სასარგებლოდ დაეკისრა გარიგების საფუძველზე გადახდილი საცხოვრებელი სახლის ღირებულების, 18000 მანეთის ეკვივალენტის, 12526 ლარის 90%-ის – 11273 ლარისა და 40 თეთრის გადახდა.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ო. ბ-მეს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 183-ე მუხლის შესაბამისად, სადავო უძრავ ქონებაზე საკუთრება არ მოუპოვებია კანონით განსაზღვრული ფორმით და არ მოუთხოვია საცხოვრებელი სადგომის მესაკუთრედ აღიარება მესაკუთრისათვის შესაბამისი ანაზღაურების გადახდის სანაცვლოდ. შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო სახლის მესაკუთრედ ო. ბ-მის

ცნობის საფუძვლები არ არსებობდა, თუმცა პალატამ განმარტა, რომ საკუთრების უფლება მოიცავდა სარგებლობის უფლებასაც, რის გამოც ო. ბ-მე შესაძლებელია ცნობილიყო ქონების მოსარგებლედ.

ო. ბ-მის მოთხოვნას მოწინააღმდეგე მხარისათვის უსაფუძვლო გამდიდრებით მიღებული თანხის ანაზღაურების დაკისრების ნაწილში, სააპელაციო სასამართლო არ დაეთანხმა, ვინაიდან ჩათვალა, რომ 1989 წელს ო. ბ-მემ მართლაც უსაფუძვლოდ მიიღო კომპენსაცია ნაკვეთის საშიშ ზონად გამოცხადების გამო, თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ იმ დროს მოქმედი 1964 წლის რედაქციით, საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსის 75-ე მუხლის თანახმად, ხანდაზმულობის საერთო ვადა შეადგენდა 3 წელს, ხოლო დადგენილია, რომ ვ. წ-შვილმა თავისი დარღვეული უფლების შესახებ იცოდა ჯერ კიდევ 1989 წელს, რომელსაც თავისი დარღვეული უფლების აღდგენა უნდა მოეთხოვა არა უგვიანეს 1992 წლისა, მას კი ამ მოთხოვნით სასამართლოსათვის საერთოდ არ მიუმართავს, სასამართლომ მიიჩნია, რომ ვ. წ-შვილმა გაუშვა მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა. ამასთან, სამოქალაქო კოდექსის 198-ე მუხლის 1-ელი ნაწილის შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ვ. წ-შვილის მოთხოვნის უფლება ო. ბ-მის მიმართ ა. ს-უას სახელზე გადავიდა ისეთსავე მდგომარეობაში, როგორშიც იგი თავად ჰქონდა, რაც ცხადყოფდა, რომ ა. ს-უას მოთხოვნა ხანდაზმული იყო.

სააპელაციო სასამართლომ ა. ს-უას მოთხოვნა ზიანის ანაზღაურების ნაწილში ასევე ხანდაზმულად მიიჩნია, რადგან მისი განმარტებით, საყოფაცხოვრებო და სხვა ნივთები, რომელთა ღირებულების ანაზღაურებასაც ითხოვდა იგი, მოწინააღმდეგე მხარემ მითთვისა გარიგების დადებისთანავე და გაანადგურა, ჯერ კიდევ ვ. წ-შვილის სიცოცხლეში. ვინაიდან ვ. წ-შვილი გარდაიცვალა 1996 წელს, ზოლო ა. ს-უამ ზიანის ანაზღაურება მოითხოვა 2005 წელს, შესაბამისად, მან გაუშვა მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა ა. ს-უას მოთხოვნა ო. ბ-მისათვის მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურების დაკისრების ნაწილში, ვინაიდან აღნიშნა, რომ, სამოქალაქო კოდექსის 162-ე მუხლის 1-ელი ნაწილის შესაბამისად, ნაკვეთით სარგებლობისას მიღებული ნაყოფი ეკუთვნოდა ო. ბ-მეს და მესაკუთრის სასარგებლოდ ამ ნაყოფის ღირებულების დაკისრების საფუძვლები არ არსებობდა.

ზერმოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ ა. ს-უას სააპელაციო საჩივარი და ო. ბ-მის, მ. ბ-მის, ა. ბ-მისა და თ. კ-მის შეგებებული სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დააკმაყოფილა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 19 თებერვლის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ორივე მხარემ.

კასატორმა ა. ს-უამ მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება შემდეგი საფუძვლებით: კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლოს დავის გადაწყვეტისას არ უნდა გამოეყენებინა «საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმომოხილი ურთიერთობების შესახებ» საქართველოს კანონი, მით უფრო, მიწის ნაკვეთთან მიმართებაში, ვინაიდან აღნიშნული კანონი აწესრიგებს მხოლოდ საცხოვრებელი სადგომით წარმომოხილი ურთიერთობებს. სასამართლომ კი აღნიშნული კანონის გამოყენებით, არათუ საცხოვრებელი სახლის, არამედ 5000 კვ.მ მიწის ნაკვეთის კეთილსინდისიერ მფლობელად ცნო მოპასუხე, მაშინ, როდესაც ნასყიდობის გარიგება ვ. წ-შვილსა და ო. ბ-მეს შორის 1988 წელს მხოლოდ საცხოვრებელ სახლზე დაიდო და არა ეზოს ნარგავებზე, როგორც ეს სასამართლომ მიიჩნია. ამასთან, აღნიშნულ პერიოდში სადავო მიწა სახელმწიფო საკუთრება იყო და მისი ნებისმიერი სახით გასხვისება და ამგვარი გარიგება იმთავითვე ბათილი იქნებოდა და, შესაბამისად, ვერც ერთი მხარე მიიღებდა მართლზომიერი მოსარგებლის სტატუსს. კასატორის განმარტებით, არც ერთ სასამართლო ინსტანციაში მხედველობაში არ იქნა მიღებული, რომ ო. ბ-მეს გაშვებული ჰქონდა სადავო საცხოვრებელი სახლის მესაკუთრედ ცნობის მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა, ვინაიდან მას სადავო ქონების გადაფორმებაზე უარი ვ. წ-შვილმა ჯერ კიდევ 1989 წელს განუცხადა, ხოლო მას 1989 წლიდან მოყოლებული სასამართლოსათვის აღნიშნული მოთხოვნით არ მიუმართავს. ამდენად, არასწორია სასამართლოს მსჯელობა მასზე, რომ ვ. წ-შვილს 1989 წლის შემდეგ ო. ბ-მის მფლობელობაზე უარი არ განუცხადებია, ვინაიდან აღნიშნული დასტურდება 1992 წლის 8 დეკემბრის სოფლის გამგებლის სახელზე ვ. წ-შვილის მიერ გაგზავნილი განცხადებით. შესაბამისად, სასამართლოს ო. ბ-მე სადავო ქონების კეთილსინდისიერ მფლობელად არ უნდა მიეჩნია. კასატორის მოსაზრებით, ასევე უკანონოა სასამართლოს გადაწყვეტილება ქონებრივი ზიანისა და მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურებაზე უარის თქმის ნაწილში, ვინაიდან მას სადავო ქონებაზე საკუთრების უფლება მოპოვებული აქვს სამკვიდრო მოწმობის საფუძველზე, რაც ამყამდაც ძალაშია და არ გაუქმებულა, ამდენად, კასატორის აზრით, მას გააჩნდა უფლება, მოეთხოვა ის მიუღებელი შემოსავალი, რასაც მიიღებდა ო. ბ-მეს მისთვის თავისი ქონების სარგებლობაში ხელი რომ არ შეშალა.

რაც შეეხებათ კასატორებს, ო., მ., ა. ბ-მეებსა და თ. კ-მეს, მათ თავიანთი საკასაციო საჩივრით მოითხოვეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების იმ ნაწილში გაუქმება, რომლითაც არ დაკმაყოფილდა მათი მოთხოვნა საცხოვრებელი სახლის საკუთრებაში გადაცემის ან გადახდილი ნასყიდობის ფასის 90%-ის დაკისრების თაობაზე შემდეგი საფუძვლებით: კასატორთა მოსაზრებით, არასწორია სააპელაციო სასამართლოს განმარტება მასზე, რომ გადაწყვეტილების გამოტანისას რაიონული სასამართლო გასცდა მათი მოთხოვნის ფარგლებს, ვინაიდან მათი განმარტებით, ისინი შეგებებული სარჩელით მოითხოვდნენ მათ მიერ 1988 წელს დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების შესაბამისად, უძრავ ნივთზე საკუთრების აღიარებას ან კომპენსაციას. სასამართლოს მსჯელობა მასზე, რომ შეგებებული სარჩელით მათ ა. ს-უასათვის კომპენსაციის გადახდის და-

კისრება არ მოუთხოვიათ, კასატორთა განმარტებით, არასწორია, ვინაიდან მთელი მათი მოთხოვნა გამომდინარეობდა 1998 წლის 25 ივნისის კანონიდან და დეფინიციიდან და, ამდენად, უსაფუძვლოა იმის მტკიცება, რომ კასატორები არც საკუთრების უფლებას და არც კომპენსაციას არ ითხოვდნენ.

### სამოტივციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ა. ს-უას საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო ო. ბ-ძის, მ. ბ-ძის, ა. ბ-ძისა და თ. კ-ძის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, უნდა გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 19 თებერვლის გადაწყვეტილება და საქმეზე მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება შემდეგ გარემოებათა გამო:

«საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობის შესახებ» საქართველოს კანონი აწესრიგებს საცხოვრებელი სადგომის მესაკუთრესა და მოსარგებლეს შორის 1921 წლის 25 თებერვლიდან 1996 წლის 27 იანვრამდე წარმოშობილ იმ ურთიერთობებს, რომლებიც სპეციალურ მოწესრიგებას მოითხოვს (კანონის პირველი მუხლი). სპეციალური მოწესრიგება უკავშირდება უშუალოდ ამ ურთიერთობების სპეციფიკას, კერძოდ, ურთიერთობები, რომლებიც არსებობდა ზემოაღნიშნულ პერიოდში ფაქტის სახით, განსახილველმა კანონმა მიანიჭა იურიდიული მნიშვნელობა და დაუკავშირა მას კონკრეტული სამართლებრივი შედეგები.

უნდა აღინიშნოს, რომ ზემოაღნიშნული კანონით წესრიგდება არა ნებისმიერი ფორმად აუციველ გარიგებასთან დაკავშირებული ურთიერთობა, არამედ მხოლოდ ისეთი, რომელიც მოითხოვდა სპეციალურ მოწესრიგებას.

სამოქალაქო ბრუნვის მონაწილენი ვალდებული იყვნენ, დაეცვათ უძრავ ქონებაზე საკუთრების წარმოშობის იმ დროს მოქმედი წესები, მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში ამ წესების დარღვევა უკავშირდებოდა გარკვეულ ობიექტურ გარემოებებს, რაც დამახასიათებელი იყო იმ დროს მოქმედი სამართლებრივი სივრცისათვის, კერძოდ, სამოქალაქო უფლებათა განხორციელება იმ დროს ბევრად იყო დამოკიდებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივ დანაწესებზე, რაც ხელს უშლიდა თავისუფალი სამოქალაქო ბრუნვის დამკვიდრებას. ასეთ ვითარებაში ხშირად მხარეთა ურთიერთობა არ სცილდებოდა მათი ფაქტობრივი ქონებრივი ურთიერთობის ფარგლებს.

კონკრეტულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებათა გათვალისწინებით შესაძლებელია დავასკვნათ, რომ სადავო ურთიერთობა არ განეკუთვნება იმ ურთიერთობათა კატეგორიას, რომელიც ზემოაღნიშნული კანონით სპეციალურ მოწესრიგებას საჭიროებს.

განსახილველ შემთხვევაში ადგილი აქვს ფორმად აუციველ გარიგებას, რაც მხარეებს შეეძლოთ აღერიცხათ იმ დროს მოქმედი წესების დაცვით, მაგრამ არ აღრიცხეს, რაც არ იყო დაკავშირებული ზემოაღნიშნულ ობიექტურ შეზღუდვებთან. მით უმეტეს გასათვალისწინებელია, რომ «საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობის შესახებ» საქართველოს კანონის მოქმედება არ ვრცელდებოდა მიწის ნაკვეთზე, არამედ მხოლოდ საცხოვრებელ სადგომზე და, შესაბამისად, ამ სადგომის ქვეშ არსებულ მიწის ნაკვეთზე (უშუალოდ იმ მიწის ნაკვეთის მონაკვეთზე, რაზედაც მდებარეობს საცხოვრებელი სადგომი).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, არ შეიძლება გაზიარებულ იქნეს კასატორების, ო., ა., მ. ბ-ძეებისა და თ. კ-ძის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ სადავო ურთიერთობა უნდა მოწესრიგებულიყო «საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობის შესახებ» საქართველოს კანონით. ამრიგად, 1988 წლის ოქტომბერში ვ. წ-შვილსა და ო. ბ-ძეს შორის, ვ. წ-შვილის შვილების, ა. ს-უასა და ვა. ს-უას მონაწილეობით დადებული ზეპირი გარიგება უძრავი ნივთის ნასყიდობის თაობაზე, არ წესრიგდება «საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობის შესახებ» საქართველოს კანონით.

აღნიშნული ურთიერთობა უნდა შეფასდეს 1964 წლის 26 დეკემბრის საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსით, კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1507-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სადავო ურთიერთობა უნდა მოწესრიგდეს ამ კოდექსის ამოქმედების გამო ძალადაკარგული ნორმატიული აქტებით, რაც წარმოადგენდა ამ ურთიერთობის მომწესრიგებელ სამართლებრივ საფუძველს. 1964 წლის 26 დეკემბრის საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსის 48-ე მუხლის 1-ელი აზნაცის თანახმად, ბათილია გარიგება, რომელიც კანონის მოთხოვნებს არ შეესაბამება. ამავე მუხლის მე-2 აზნაცის თანახმად, ბათილია გარიგების თითოეული მხარე მოვალეა დაუბრუნოს მეორე მხარეს ყველაფერი, რაც გარიგებით მიიღო, ხოლო, როცა მიღებულის ნატურად დაბრუნება შეუძლებელია, აუნაზღაუროს მისი ღირებულება ფულად, თუ კანონში არ არის გათვალისწინებული გარიგების ბათილობის სხვა შედეგები.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ კასატორების – ო. ბ-ძისა და სხვათა მიერ არ დასტურდება, რომ მათ აღძრული ჰქონდათ მოთხოვნა გადახდილი თანხის უკან დაბრუნების თაობაზე, ამდენად ამ ნაწილში საკასაციო სასამართლო ვერ იმსჯელებს.

რაც შეეხება ა. ს-უას დანარჩენ მოთხოვნებს, რაც არ იქნა დაკმაყოფილი სააპელაციო სასამართლოს მიერ, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საკასაციო საჩივარში კასატორი ვერ უთითებს ისეთ გარემოებებზე, რომლებიც, კონკრეტული სადავო ურთიერთობის ზემოაღნიშნული თავისებურებებიდან გამომდინარე, მიუთით-

თებს მის დანარჩენ მოთხოვნების არ დაკმაყოფილების უკანონობაზე. ამდენად, საქმეში არ მოიპოვება ისეთი მტკიცებულებები, რომლებიც, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის თანახმად, გამორიცხავდა სასამართლოს მიერ დადგენილ გარემოებებს მისი დანარჩენი მოთხოვნების არ დაკმაყოფილების თაობაზე, კერძოდ, სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია, რომ 1989 წელს სოფელ ...-ში ვ. წ-შვილის საკარმიდამო მიწის ნაკვეთის ზვავსაშიშ ზონად გამოცხადების გამო ასახლებლად ო. ბ-ზე გაცა 37500 მანეთი, რის თაობაზეც იცოდნენ ვ. წ-შვილმა და მისმა შვილებმა. ამდენად, ამ ნაწილში ა. ს-უას მოთხოვნა სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია ხანდაზმულად 1964 წლის 26 დეკემბრის საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსის 75-ე მუხლის დადგენილი 3-წლიანი ხანდაზმულობის ვადის გაშვების გამო. სააპელაციო სასამართლომ ასევე ხანდაზმულად მიიჩნია ა. ს-უას მოთხოვნა ზიანის ანაზღაურების ნაწილში, რადგან სააპელაციო სასამართლო დაეყრდნო მისავე განმარტებას, რომლის თანახმად, საყოფაცხოვრებო და სხვა ნივთების, რომელთა ღირებულების ანაზღაურებასაც ითხოვს იგი, მოწინააღმდეგე მხარემ მიითვისა გარიგების დადებისთანავე და გაანადგურა, ჯერ კიდევ ვ. წ-შვილის სიცოცხლეში. აქედან გამომდინარე, სასამართლომ აღნიშნა, რომ ვ. წ-შვილი გარდაიცვალა 1996 წელს, ხოლო სარჩელი ა. ს-უამ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით აღძრა 2005 წელს. კასატორის მიერ, ასევე არ არის წარმოდგენილი დასაბუთებული მოსაზრებები, რომლებიც დაადასტურებდნენ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების უკანონობას მიუღებელი შემოსავლი, ანაზღაურებაზე უარის თქმის ნაწილშიც.

ამრიგად, ამ ნაწილში კასატორ ა. ს-უას არა აქვს წარმოდგენილი დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

საკასაციო პალატის აზრით, კასატორს არ წარმოდგენია დასაბუთებული პრეტენზია. კონკრეტულ შემთხვევაში დასაშვებ და დასაბუთებულ პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს, რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება და სამართლებრივ-მატერიალური ნორმის არასწორად გამოყენება ან განმარტება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ საქმის გარემოებები სააპელაციო სასამართლოს მიერ საპროცესო ნორმების დარღვევის გარეშე დადგენილი და საჭირო არ არის მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები სამართლებრივად მართებულად არ შეაფასა და მოცემულ საქმეზე მიიღო დაუსაბუთებელი გადაწყვეტილება, რის გამოც გასაჩივრებული გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და მიღებულ უნდა იქნეს ახალი გადაწყვეტილება.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

#### **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

1. ა. ს-უას საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
2. ო. ბ-მის, მ. ბ-მის, ა. ბ-მისა და თ. კ-მის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
3. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 19 თებერვლის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
4. ა. ს-უას სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
5. ო., მ., ა. ბ-მეები და მ. კ-მე გამოსახლებული იქნენ ოზურგეთის რაიონის სოფელ ...-ში მდებარე ა. ს-უას საკუთრებაში აღრიცხული საცხივრებელი სახლიდან და მიწის ნაკვეთიდან. ა. ს-უას სარჩელი, დანარჩენი მოთხოვნების ნაწილში, არ დაკმაყოფილდეს;
6. ო. ბ-მის, მ. ბ-მის, ა. ბ-მისა და თ. კ-მის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
7. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.



## მოტყუებით დადებული გარიგებანი

### განჩინება

1ას-198-189-2010

13 ივლისი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ლ. ლაზარაშვილი,

პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა, ნივთის მიკუთვნება

#### აღწერილობითი ნაწილი:

ლ. პ-იკმა სარჩელი აღძრა სასამართლოში ს. დ-ძის მიმართ 2008 წლის 31 მარტის ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობისა და ქ.ქობულეთში, ... ქ.12-ში მდებარე 72 კვ.მ მიწის ნაკვეთის მესაკუთრედ ცნობის შესახებ შემდეგი საფუძვლებით: 2004 წლის 5 მარტის სამკვიდრო მოწმობით მოსარჩელემ მეუღლისაგან მემკვიდრეობით მიიღო ქ.ქობულეთში, ... ქ.19-ში მდებარე საცხოვრებელი სახლი. მოპასუხე არის ლ.პ-იკის მამა, რომელმაც შესთავაზა შვილს, იჯარით გადაეცა ზემოხსენებული უძრავი ქონება საერთო მდაზიის გახსნის მიზნით. მოგვიანებით მოსარჩელემ შეიტყო, რომ ს. დ-ძემ მას მოტყუებით ხელი მოაწერინა არა იჯარის, არამედ – ნასყიდობის ხელშეკრულებაზე. მითითებული გარიგება დადებულია მოტყუებით, მოპასუხემ ისარგებლა იურიდიულ საკითხებში ლ. პ-იკის გამოუცდელიობით, სუსტი მხედველობითა და მამისადმი მისი ნდობით, რის გამოც ცნობილ უნდა იქნეს ბათილად.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო შემდეგი დასაბუთებით: მხარეთა შორის დაიდო უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლითაც გამყიდველმა გამოავლინა ნივთის გაყიდვის ნამდვილი ნება. მოსარჩელემ გარიგების მოტყუებით დადების ფაქტი სათანადოდ ვერ დაასაბუთა.

ქობულეთის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 23 ივლისის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი ლ.პ-იკსა და ს.დ-ძეს შორის 2008 წლის 31 მარტს დადებული ხელშეკრულება ქ.ქობულეთში, ... ქ.19-ში მდებარე უძრავი ქონების – 72 კვ.მ მიწის ნაკვეთის ნასყიდობის შესახებ, ლ.პ-იკი ცნობილ იქნა ქ.ქობულეთში, ... ქ.19-ში მდებარე უძრავი ქონების – 72 კვ.მ მიწის ნაკვეთის მესაკუთრედ, რაც ს. დ-ძემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 6 იანვრის გადაწყვეტილებით ს.დ-ძის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა და ლ. პ-იკის სარჩელი არ დაკმაყოფილდა შემდეგ გარემოებათა გამო: 2008 წლის 31 მარტს მხარეთა შორის დაიდო ნასყიდობის ხელშეკრულება ქ.ქობულეთში, ... ქ.19-ში მდებარე ლ. პ-იკის კუთვნილ 72 კვ.მ მიწის ნაკვეთზე. აღნიშნული ხელშეკრულება დარეგისტრირდა საჯარო რეესტრში, სადაც მხარეებს განემარტათ ხელშეკრულების შინაარსი და შედეგები. ლ. პ-იკი და ს. დ-ძე არიან მამა-შვილი. პალატის მოსაზრებით, საქმეში არსებული მასალების საფუძველზე არ დგინდება, რომ ლ. პ-იკი არის 4 კლასის განათლების მქონე და არ შეუძლია კითხვა. ნასყიდობის ხელშეკრულებიდან ირკვევა, რომ ნასყიდობის საგნის ღირებულებაა 2500 ლარი, რომელიც ს.დ-ძემ გადაიხადა ხელშეკრულების დადებისთანავე, რასაც ასევე მიუთითებს ლ. პ-იკიც მის განმარტებაში.

სასამართლომ დაადგინა, რომ ქ.ქობულეთში, ... ქ.19-ში მდებარე 72 კვ.მ მიწის ნაკვეთზე კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით 2008 წლის 31 მარტს მხარეთა შორის მართლაც დაიდო ნასყიდობის ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია ორივე მხარის მიერ და აღრიცხულია საჯარო რეესტრში. სადავო ნაკვეთზე მშენებლობის წარმოება ს. დ-ძეს დაუჯდა 29 110 ლარი. პალატამ მიიჩნია, რომ ნასყიდობის გაფორმებისას ს.დ-ძის მიერ სამოქალაქო კოდექსის 183-ე მუხლის მოთხოვნები დაცულია, ამავე კოდექსის 477-ე მუხლის შესაბამისად, ნივთი გადაცემულია მყიდველისათვის, ნასყიდობა რეგისტრირებულია საჯარო რეესტრში და მის მიმართ მოქმედებს სამოქალაქო კოდექსის 312-ე მუხლით გათვალისწინებული და უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფცია. ასევე, აპელანტმა ნასყიდობის ხელშეკრულებით შეთანხმებული ფასი – 2500 ლარი გადაიხადა.

სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის პოზიცია ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის საფუძვლებზე და ჩათვალა, რომ ნასყიდობის ხელშეკრულებით სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლის არც ერთი პირობა დარღვეული არ არის, რადგან მოცემულ შემთხვევაში ხელშეკრულება დაიდო ორ ფიზიკურ პირს შორის, რომლებსაც განემარტათ ხელშეკრულების შინაარსი, მათ გამოხატეს ნება და მოაწერეს მას ხელი. პალატის მითითებით, საქმის მასალებით არ დგინდება, რომ ლ. პ-იკმა სადავო გარიგებას ხელი იძულებით მოაწერა, ამდენად, ხელშეკრულება არ არღვევს საჯარო წესრიგს, კანონით დადგენილ აკრძალვებს და არც ზნეობის ნორმებს არ ეწინააღმდეგება. სამოქალაქო კოდექსის 55-ე მუხლის 1-ელი და მე-2 ნაწილის თანახმად, პალატამ მიიჩნია, რომ გარიგების ბათილობისათვის აუცილებელია არსებობდეს სამი ფაქტორი: საზარო ძალაუფლების გამოყენება, მხარის მძიმე მდგომარეობა და მისი გამოუცდელიობა. სასამართლომ ჩათ-

ვალა, რომ საქმის მასალებით არ დადასტურებულა აპელანტის საბაზრო ძალაუფლება, რადგან ის ფიზიკური პირია, არ გამოვლენილა მოსარჩელის ჯანმრთელობის ან ეკონომიკური მძიმე მდგომარეობა, მას სადავო მიწის ნაკვეთი შიშშილის ან ავადმყოფობის გამო არ გაუსხვისებია და ხელშეკრულება კაბალურ პირობებს არ შეიცავს. პალატა არ დაეთანხმა მოსარჩელის მითითებას მისი უსინათლობის თაობაზე, რადგან, მართალია, საქმეში წარმოდგენილი სამედიცინო ცნობებით მას სუსტი მხედველობა აქვს, მაგრამ აღნიშნული არ ადასტურებს, რომ მხარეს კითხვა არ შეეძლო. ლ.პ-იკის უსინათლოდ მიჩნევა გაუმართლებელია, რადგან ასეთ შემთხვევაში იგი გარიგებას ხელს ვერ მოაწერდა.

სასამართლომ ჩათვალა, რომ საქმეში არ არის წარმოდგენილი იმ გარემოების დამადასტურებელი მტკიცებულება, რომ ნასყიდობის საგნის ღირებულება – 2500 ლარი შეუსაბამოდ დაბალი ფასია სადავო მიწის ნაკვეთთან მიმართებით. სასამართლოს მოსაზრებით, მხარეს შეეძლო არ მოეწერა ხელი ასეთი პირობის შემცველ გარიგებაზე. წარმოდგენილი უძრავი ნასყიდობის ხელშეკრულების მე-4 მუხლის მეორე წინადადებაში გამყიდველი აცხადებს, რომ მან უკვე მიიღო ქონების ნასყიდობის საგნის საფასური მყიდველისაგან. პალატამ არ გაიზიარა ლ.პ-იკის არგუმენტი სადავო გარიგების, სამოქალაქო კოდექსის 81-ე და 84-ე მუხლების შესაბამისად, მოტყუებით დადების შესახებ და დაეთანხმა აპელანტის განმარტებას, რომ მოსარჩელეს გადაეცა ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი და შესაძლებლობა ჰქონდა, ერთი წლის განმავლობაში გასცნობოდა მის შინაარსს, თუკი მან აღნიშნული გარიგების დადების დროს არ იცოდა. ამასთან, მყიდველმა ანუ აპელანტმა მიწის ნაკვეთის შემენის შემდეგ თვეების განმავლობაში აწარმოა ნაკვეთზე სამშენებლო სამუშაოები.

სასამართლოს მოსაზრებით, საქმის მასალებით არ დგინდება, რომ სადავო ხელშეკრულების შინაარსი ლ.პ-იკისათვის ცნობილი არ იყო. პალატა მიიჩნია, რომ რაიმე მტკიცებულებით ლ.პ-იკის გაუნათლებლობის ფაქტი არ დასტურდება. სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ, მოსარჩელის განმარტებით, მას სურდა იჯარის და არა ნასყიდობის ხელშეკრულების დადება და იგი აჩუქებდა კიდევ სადავო ნაკვეთს მამას, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ მხარისათვის ცნობილი იყო აღნიშნულ გარიგებათა სამართლებრივი განსხვავების შესახებ და მან იმთავითვე იცოდა, რა სახისა თუ პირობების ხელშეკრულებას ეძებდა. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ ჩათვალა, რომ სადავო გარიგების ბათილად ცნობის სამართლებრივი საფუძველი მხარეს არ დაუსაბუთებია.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ლ. პ-იკმა გაასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება შემდეგი საფუძველებით: სასამართლომ არასწორად დაადგინა ფაქტობრივი გარემოება, რომ ნასყიდობის საგნის ღირებულება შეადგენს 2500 ლარს, რაც ს.დ-მემ ლ.პ-იკს გარიგების დადებისთანავე გადაუხადა. პალატამ არ გაითვალისწინა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოში ს.დ-მემ მიუთითა, რომ სადავო მიწის ნაკვეთი 12500 ლარად შეიძინა, საიდანაც 10000 ლარი გადაიხადა გარიგების დადებამდე, ხოლო 2500 ლარი, მისი ხელმოწერის შემდეგ. მოწინააღმდეგე მხარის ინიციატივით დაკითხულ მოწმეთა განმარტებით კი ნასყიდობის საგნის ღირებულება იყო 10000 ლარი. 7500 ლარი ს.დ-მემ გადაიხადა ნასყიდობის ხელშეკრულების დადებამდე, ხოლო 2500 ლარი – ხელშეკრულების გაფორმებისა და საჯარო რეესტრში მისი აღრიცხვის შემდეგ.

სასამართლოს უნდა ემსჯელა, არსებობდა თუ არა მხარეთა შორის შეთანხმება სადავო უძრავი ქონების ნასყიდობაზე, მის ფასზე, გადაიხადა თუ არა მყიდველმა აღნიშნული ფასი და რით დასტურდება მითითებული გარემოება. სააპელაციო პალატამ უგულუბელყო ის გარემოება, რომ გარიგების დადებისას შესაძლოა არსებობდეს ნების ნაკლი, როდესაც გარიგება გარეგნულად აკმაყოფილებს სამოქალაქო კოდექსის 183-ე და 477-ე მუხლებს, თუმცა შინაარსობრივად მცდარია. ნაკლოვანი ნება არსებობს, როდესაც მისი საფუძვლის, მოტივისა და შინაარსის დროს იგი გარკვეულ ზეგავლენას განიცდის. შესაძლოა, პირმა საკუთარ ნებას საფუძვლად დაუდოს მცდარი წარმოდგენა რაიმე გარემოებაზე ან ამგვარი ზემოქმედება გამოწვეული იყოს მოტყუებითა თუ მუქარით.

მოტყუება გარიგების მოტივში იმით ხასიათდება, რომ ასეთ დროს პირი ცდება არა უნებურად, არამედ მეორე მხარის ბრალით, რისგან თავდასაცავად მოტყუებულ მხარეს ენიჭება შეცდომების უფლება. პალატამ არასწორად მიიჩნია, რომ სადავო ნასყიდობის ხელშეკრულება სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლით დადგენილ ბათილობის პირობებს არ შეიცავდა და მხარეებს განემარტათ მისი შინაარსი. უძრავ ნივთებზე უფლებათა რეგისტრაციის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2006 წლის 13 დეკემბრის 1800 ბრძანების 58-ე მუხლის მე-10 პუნქტის თანახმად, საჯარო რეესტრში გარიგების შინაარსის მხარეთათვის გაცნობა არ ხდება და მარეგისტრირებელი ორგანო ადასტურებს მხოლოდ გარიგებაზე პირთა ხელმოწერებს. რეალურად მხარეთა შორის არსებობდა ზეპირი შეთანხმება ერთობლივი საქმიანობის შესახებ. მოპასუხეს გააჩნდა დომინირებული მდგომარეობა, იგი აწარმოებდა მოლაპარაკებებს სავაჭრო ობიექტის მშენებლობასთან დაკავშირებით და აღნიშნული მშენებლობის ხარჯებიც მასვე უნდა დაეფარა, ხოლო კასატორის მონაწილეობა შემოიფარგლებოდა მიწის ნაკვეთის გამოყენებით. სადავო ხელშეკრულების მოტყუებით დადების ფაქტს ადასტურებს ის, რომ მხარეები არიან ახლო ნათესავები და მათ შორის არსებობდა ნდობა. ლ.პ-იკს აქვს სუსტი მხედველობა, შესაბამისად, ერთი თვალის გადავლევით არ შეეძლო გარიგების შინაარსის ამოკითხვა. ნასყიდობის საგანი წარმოდგენს კასატორის სახლის ეზოს. როგორც სასამართლომ თავად დაადგინა, ლ.პ-იკს იგი მატერიალური სიმწელების გადასალახად არ გაუსხვისებია. შესაბამისად, სასამართლოს უნდა ემსჯელა, თუ რა საფუძველით გაასხვისებდა კასატორი მიწის ნაკვეთს მი-

ნიმალურ ფასად – 2500 ლარად. პალატას უნდა გამოერკვია მხარეთა შორის არსებული ურთიერთობა და აღნიშნულის შესაბამისად დაედგინა სადავო გარიგების რეალური შინაარსი.

სადავო ნასყიდობის საგნის ღირებულების სიმცირე თავად მოპასუხემაც დაადასტურა, თუმცა მიუთითა, რომ ფაქტობრივად მის შესაძენად 12500 ლარი გადაიხადა. სასამართლომ არასწორად განმარტა სამოქალაქო კოდექსის 55-ე მუხლი და არ გაითვალისწინა, რომ ს.დ-მეს გააჩნია უპირატესობა, იგი გამოცდილია კომერციულ საქმეებში და შეეძლო, თავს მოეხვია გამოუცდელი პირისათვის თავისი ნება, მით უფრო, რომ კასატორს მისი, როგორც მამის მიმართ, განსაკუთრებული ნდობა გააჩნდა. დაუსაბუთებელია სასამართლოს მოსაზრება, რომ ამჟამად შეუძლებელია, მხარეს მხოლოდ დაწყებითი სასკოლო განათლება გააჩნდეს. ლ.პ-იკის მიერ 4 კლასის დამთავრების დამადასტურებელი მტკიცებულების წარდგენა ვერ მოხერხდა ასეთი დოკუმენტის არარსებობის გამო. ამასთან, აღნიშნული გარემოების საწინააღმდეგოს მტკიცება მოწინააღმდეგე მხარესაც ევალებოდა, თუმცა ს.დ-მემ დამაჯერებლად ვერ დაადასტურა კასატორის მიერ საშუალო განათლების მიღები ფაქტი.

სასამართლომ არასწორად განმარტა სამოქალაქო კოდექსის 81-ე და 84-ე მუხლებიც, ვინაიდან ს.დ-მის მიერ სადავო გარიგების შინაარსის განზრახ დამალვის გარეშე ხელშეკრულება არ დაიდებოდა. საფუძველს მოკლებულია სასამართლოს მითითება, რომ კასატორს ერთი წლის მანძილზე სადავო ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი თან ჰქონდა, რადგან ლ.პ-იკს სადავო გარიგების არც ერთი ეგზემპლარი არ გადასცემია. აღნიშნული იმთავითვე დასტურდება, რომ სარჩელის წარდგენის შემდეგ სასამართლომ დაავალა მოსარჩელეს ხარვეზის გამოსწორება – სადავო ხელშეკრულების წარმოდგენა, რომელიც გამოთხოვილ იქნა საჯარო რეესტრიდან. აღსანიშნავია, რომ ლ.პ-იკმა ნასყიდობის ხელშეკრულება სადავოდ გახადა შეცილების საფუძვლის შეტყობიდან ერთი წლის განმავლობაში (ანუ, როდესაც კასატორის კუთვნილ მიწაზე ს.დ-მემ მშენებლობა დაასრულა და ლ.პ-იკს სავაჭრო ობიექტის ნაწილით სარგებლობის უფლება არ მისცა) მაშინ, როდესაც გარიგების დადებიდანაც ერთი წელი გასული არ იყო.

#### **სამოტივიციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამართლებრივი დასაბუთების შემოწმების შედეგად თვლის, რომ ლ. პ-იკის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება უნდა დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ კანონის მითითებული დარღვევა არ მომხდარა. ამავე კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლომ მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

საკასაციო სასამართლო ამოწმებს რა გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში, მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატას მითითებული კანონი არ დაურღვევია, კერძოდ:

მხარეს დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია არ წარმოუდგენია და სააპელაციო სასამართლომ დადგინილად ცნო შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: ქობულეთში, ... ქ.119-ში მდებარე 72 კვ.მ მიწის ნაკვეთზე 2008 წლის 31 მარტს ლ. პ-იკსა და ს.დ-მეს შორის დაიდო ნასყიდობის ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია ორივე მხარის მიერ და აღრიცხულია საჯარო რეესტრში. ს. დ-მემ სადავო ნაკვეთზე მშენებლობისათვის დახარჯა 29 110 ლარი.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო პალატის დასკვნას, რომ სადავო ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილობის სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს.

აღნიშნულთან მიმართებით უსაფუძვლოა კასატორის არგუმენტი, რომ ნასყიდობის ხელშეკრულების მოტყუებით დადებას ადასტურებს შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: 1. მხარეები არიან მამა-შვილი და მათ შორის არსებობს ნდობა; 2. კასატორს აქვს სუსტი მხედველობა და ერთი თვალის შევლებით არ შეეძლო ხელშეკრულების შინაარსის გაგება; 3. ნასყიდობის საგანი უკავშირდება ცენტრალურ გზას და ლ.პ-იკს არ აქვს ისეთი ეკონომიკური მდგომარეობა, რომ საცხოვრებელი ეზო გაესხვისებინა 2500 ლარად – რეალურ საზარო ფასებთან სრულიად შეუსაბამოდ. მითითებული ფაქტობრივი გარემოებები ნასყიდობის ხელშეკრულების მოტყუებით დადების ფაქტს ვერ ადასტურებს.

სამოქალაქო კოდექსის 81-ე მუხლის 1-ელი ნაწილის თანახმად, თუ პირი გარიგების დადების მიზნით მოატყუეს, იგი უფლებამოსილია, მოითხოვოს ამ გარიგების ბათილობა. ეს ხდება მაშინ, როცა აშკარაა, რომ მოტყუების გარეშე გარიგება არ დაიდებოდა.

აღნიშნული ნორმით არასწორად ინფორმირებული მხარისათვის რეალურად არსებული გარემოება ცნობილი უნდა გახდეს გარიგების დადების შემდეგ, რაც მოცემულ შემთხვევაში არ დასტურდება. ყოველგვარ დასაბუთებასაა მოკლებული, რომ მხარემ არ იცოდა, თუ რა ხელშეკრულებას აწერდა ხელს. ლ.პ-იკი ვერ ადასტურებს იმ გარემოებას, რომ მას ხელშეკრულება არ წაუკითხავს, თუმცა ასეთ შემთხვევაშიც ხელშეკრულება ვერ იქნება ბათილად ცნობილი, ვინაიდან ხელშეკრულებაზე ნებაყოფლობით ხელის მოწერით მხარე გამოთქვამს რა თანხმობას სახელშეკრულებო პირობებზე, ივარაუდება, რომ ხელშეკრულების პირობები

მისთვის ცნობილია. კანონი არ ითვალისწინებს ხელშეკრულების ბათილობას მხარის დაუდევრობის – ხელშეკრულების გაცნობის გარეშე ხელმოწერის გამო.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ კასატორის არგუმენტის საწინააღმდეგოდ, ხელშეკრულების კანონიერად მიჩნევისათვის არ არის სავალდებულო, განემარტათ თუ არა ხელშემკვრელ მხარეებს სახელშეკრულებო პირობები.

დაუსაბუთებელია ლ.პ-იკის მოსაზრება სამოქალაქო კოდექსის 55-ე მუხლის არასწორად განმარტებასთან მიმართებით. აღნიშნული ნორმით გარიგება შეიძლება ბათილად ჩაითვალოს, თუ გარიგებით განსაზღვრულ შესრულებასა და ამ შესრულებისათვის გათვალისწინებულ ანაზღაურებას შორის აშკარა შეუსაბამობა და გარიგება დაიდო მხოლოდ იმის წყალობით, რომ ხელშეკრულების ერთ-ერთმა მხარემ ბოროტად გამოიყენა თავისი საბაზრო ძალაუფლება ან ისარგებლა ხელშეკრულების მეორე მხარის მძიმე მდგომარეობით ან გამოუცდელით (გულუბრყვილობით). ბათილია გარიგება, რომელიც დადებულია ერთი მხარის მიერ მეორეზე გავლენის ბოროტად გამოყენებით, როცა მათი ურთიერთობა დაფუძნებულია განსაკუთრებულ ნდობაზე.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ გარიგების მხარის მიერ საბაზრო ძალაუფლების გამოყენება, მხარის მძიმე მდგომარეობა და გამოუცდელით არ დგინდება, რაც სავსებით სწორია, ვინაიდან უპირველესად დაუდგენელია თვით ს.დ-მის ძალაუფლება, და მით უმეტეს მისი ბოროტად გამოყენების ფაქტი. რაც შეეხება ლ.პ-იკის იმ არგუმენტს, რომ აქვს სუსტი მხედველობა, არასრული საშუალო განათლება და გარიგების დადებისას მოწინააღმდეგე მხარემ ძალაუფლება ბოროტად გამოიყენა, აღნიშნული გარემოებები საქმის მასალებით არ დასტურდება და საქმის განხილვის არც ერთ ეტაპზე კასატორს არ წარმოუდგენია მითითებული გარემოებების დამადასტურებელი მტკიცებულება. ამასთან, სუსტი მხედველობა ხელშეკრულების გაცნობის შესაძლებლობას არ გამოიცხავს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. მოცემულ შემთხვევაში ლ.პ-იკმა ვერ შეძლო დაესაბუთებინა სარჩელის საფუძვლად მითითებული ფაქტები არსებობა, რაც მისი მტკიცების ტვირთს წარმოადგენდა.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო პალატის მიერ გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში მითითებულ გარემოებებს და ამ გარემოებების სამართლებრივ შეფასებას და თვლის, რომ ლ. პ-იკის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

ლ. პ-იკის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 6 იანვრის გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელად.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

### **4. ხანდაზმულობის ვადა**

**სახელშეკრულებო მოთხოვნათა  
ხანდაზმულობის ვადა**

**გადაწყვეტილება  
საქართველოს სახელით**

1ას-599-562-2010

1 დეკემბერი, 2010 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. სულხანიშვილი,  
პ. ქათამაძე**

**დავის საგანი: თანხის დაკისრება**

### აღწერილობითი ნაწილი:

2008 წლის 6 ივნისს შპს «...» გენერალურმა დირექტორმა თბილისის საქალაქო სასამართლოს საქართველოს პრალამენტის მიმართ სასარჩელო განცხადებით მიმართა და მოპასუხისათვის 23 425 ლარის დაკისრება მოითხოვა.

მოსარჩელის განმარტებით, შპს «...» საქართველოს პარლამენტს საფოსტო მომსახურებას უწევდა. მიუხედავად იმისა, რომ მოპასუხე მომსახურების საფასურს იხდიდა, მას დავალიანება მაინც დაუგროვდა, რომელმაც 2007 წლის 28 თებერვლის მდგომარეობით 23 425 ლარი შეადგინა. დავალიანების არსებობა დადასტურებულია მხარეებს შორის შემდგარი, 2007 წლის 28 თებერვლისა და იმავე წლის 5 სექტემბრის ურთერთანგარიშსწორების ბუღალტრული შედარების აქტებით. 2007 წლის 20 მარტს მოსარჩელემ საქართველოს პარლამენტს დავალიანების დაფარვის მოთხოვნით მიმართა, რასაც მოპასუხეც დაეთანხმა და მათ შორის ურთერთშედარების აქტები შედგა, რომელთა მეშვეობითაც აღიარებულია დავალიანების არსებობა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 27 აპრილის გადაწყვეტილებით შპს «...» სარჩელი დაკმაყოფილდა, საქართველოს პარლამენტს მოსარჩელის სასარგებლოდ 23425 ლარისა და 60 თეთრის გადახდა დაეკისრა.

აღნიშნული გადაწყვეტილება საქართველოს პარლამენტის წარმომადგენლებმა სააპელაციო წესით გაასაჩივრეს და მისი გაუქმება მოითხოვეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 7 დეკემბრის განჩინებით საქართველოს პარლამენტის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და პირველი ინსტანციის სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება უცვლელად დარჩა.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები მიიჩნია:

1. შპს «...-სა» და საქართველოს პარლამენტს შორის არსებობს ზეპირი ხელშეკრულება საფოსტო მომსახურების შესახებ;

2. ხელშეკრულებიდან გამომდინარე, საქართველოს პარლამენტს მოსარჩელის მიმართ 23 425,60 ლარის ოდენობის დავალიანება გააჩნია, რომელიც 1999 წლიდან 2005 წლის ჩათვლით გადაუხდელ თანხებს მოიცავს. 1999 წლის დავალიანება შეადგენს 5867, 34 ლარს, 2000 წლის – 133,26 ლარს, 2001 წლის – 3577,68 ლარს, 2002 წლის-5570, 75 ლარს, 2003 წლის – 2004,74 ლარს, 2004 წლის- 4111,20 ლარს და 2005 წლის – 2160, 41 ლარს;

3. შპს «...-ს» შესრულებული აქვს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები;

4. საქმეში წარმოდგენილია საქართველოს პარლამენტის აპარატის უფროსის გოჩა მარტინენკოს 2007 წლის 28 მარტის 14802/3-1/552 წერილი, რომლის მიხედვითაც აპარატის უფროსი «ფ-ის» 2007 წლის 20 მარტის 107-110 წერილის პასუხად ადრესატს აცნობებს, რომ საქართველოს პარლამენტის აპარატმა, საქართველოს მთავრობის გასული წლის 21 ივნისის 1281 განკარგულების მოთხოვნით, ფინანსთა სამინისტროს დროულად წარუდგინა რეგისტრირებული კრედიტორების სია (მათ შორის – «ფ-ის» დავალიანება – 23425.60 ლარი). საქართველოს ფინანსთა სამინისტროსადმი არაერთგზის თხოვნის მიუხედავად, დღემდე შესაბამისი ასიგნებები გამოყოფილი არ არის. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წერილის თანახმად, «ფ-ის» მიმართ რიცხული დავალიანების დაფარვა განხორციელდება საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილების შესაბამისად;

სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ მოცემულ საქმესთან დაკავშირებით სადავო მხოლოდ სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობის საკითხი იყო. ვინაიდან ვალდებულების წარმოშობის საფუძველი მხარეთა შორის არსებული საფოსტო მომსახურების შესახებ ზეპირი ხელშეკრულება იყო, შესაბამისად, სადავო სამართლებრივი ურთიერთობის მიმართ სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული ხანდაზმულობის 3-წლიანი ვადა უნდა გავრცელებულიყო. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ აპარატის უფროსის ზემომითითებული წერილი ვალის აღიარების ხელშეკრულებას წარმოადგენდა, შესაბამისად ხანდაზმულობის ვადის ათვლა 2007 წლის 28 მარტს თავიდან დაიწყო, სარჩელი კი 2008 წლის ივნისში აღიძრა. რაც შეეხება იმ გარემოებას, იყო თუ არა აპარატის უფროსი უფლებამოსილი პარლამენტის სახელით ვალდებულება ეღიარებინა, სააპელაციო სასამართლოს მითითებით, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 254-ე მუხლის 1-ელი და მე-2 ნაწილების შესაბამისად, პარლამენტის საქმიანობის ორგანიზაციულ-ტექნიკური უზრუნველყოფის მიზნით იქმნება პარლამენტის აპარატი, რომლის სტრუქტურა, ფუნქციები და მუშაობის წესი განისაზღვრება ამ რეგლამენტით და მის შესაბამისად აპარატის დებულებით. პარლამენტის აპარატის ფუნქციაა პარლამენტის ბიუროს, პარლამენტის თავმჯდომარისა და მისი მოადგილეების, პარლამენტის წევრების, კომიტეტების, ფრაქციების უმრავლესობისა და უმცირესობის, საგამოძიებო და სხვა დროებითი კომისიების საქმიანობის ორგანიზაციული, იურიდიული, დოკუმენტური, საინფორმაციო, საფინანსო, მატერიალურ-ტექნიკური და სოციალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურება. 256-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, პარლამენტის აპარატს ხელმძღვანელობს პარლამენტის აპარატის უფროსი. ზემოაღნიშნული ნორმის შესაბამისად, ვინაიდან პარლამენტის აპარატის ფუნქციას პარლამენტის ბიუროს საქმიანობის ორგანიზაციული, იურიდიული, საფინანსო და მატერიალურ-ტექნიკური მომსახურება წარმოადგენს, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, პარლამენტის აპარატის უფროსს, როგორც პარლამენტის აპა-

რატის ხელმძღვანელს, კანონით დელეგირებული ჰქონდა პარლამენტის სახელით ვალდებულების აღიარების უფლებამოსილება.

სააპელაციო სასამართლოს აღნიშნული განჩინება საქართველოს პარლამენტმა საკასაციო წესით გაასაჩივრა, მისი გაუქმება და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღება მოითხოვა. კასატორის მტკიცებით, სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, კერძოდ კი სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლი და არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ შპს «...» სასარჩელო მოთხოვნა 1999 წელსაა წარმოშობილი სარჩელი კი 2008 წლის ივნისშია აღძრული. გარდა ამისა, სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის 144-ე მუხლი. აღნიშნული ნორმა უშუალოდ ვალდებულების შესრულებას შეეხება, რაც მოპასუხეს არ განუხორციელებია. სასამართლომ კი აპარატის უფროსის წერილი ვალის აღიარებად არასწორად მიიჩნია.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ განიხილა საკასაციო საჩივარი, შეისწავლა საქმის მასალები, შემოწმა გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივი დასაბუთებულობა და მიიჩნია, რომ საქართველოს პარლამენტის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლომ საქმეზე დადგენილად შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები მიიჩნია:

1. შპს «...-სა» და საქართველოს პარლამენტს შორის არსებობს ზეპირი ხელშეკრულება საფოსტო მომსახურების შესახებ;

2. ხელშეკრულებიდან გამომდინარე, საქართველოს პარლამენტს მოსარჩელის მიმართ 23 425,60 ლარის ოდენობის დავალიანება გააჩნია, რომელიც 1999 წლიდან 2005 წლის ჩათვლით გადაუხდელ თანხებს მოიცავს. 1999 წლის დავალიანება შეადგენს 5867, 34 ლარს, 2000 წლის – 133,26 ლარს, 2001 წლის – 3577,68 ლარს, 2002 წლის – 5570, 75 ლარს, 2003 წლის – 2004,74 ლარს, 2004 წლის – 4111,20 ლარს და 2005 წლის – 2160, 41 ლარს;

3. შპს «...-სა» შესრულებული აქვს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები;

4. საქმეში წარმოდგენილია საქართველოს პარლამენტის აპარატის უფროსის გოჩა მარტინენკოს 2007 წლის 28 მარტის 14802/3-1/552 წერილი, რომლის მიხედვითაც აპარატის უფროსი «ფ-ის» 2007 წლის 20 მარტის 107-110 წერილის პასუხად ადრესატს აცნობებს, რომ საქართველოს პარლამენტის აპარატმა, საქართველოს მთავრობის გასული წლის 21 ივნისის 1281 განკარგულების მოთხოვნით, ფინანსთა სამინისტროს დროულად წარუდგინა რეგისტრირებული კრედიტორების სია (მათ შორის «ფ-ის» დავალიანება – 23425.60 ლარი). საქართველოს ფინანსთა სამინისტროსადმი არაერთგზის თხოვნის მიუხედავად, დღემდე შესაბამისი ასიგნებები გამოყოფილი არ არის. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წერილის თანახმად, «ფ-ის» მიმართ რიცხული დავალიანების დაფარვა განხორციელდება საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილების შესაბამისად.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). კასატორს ამგვარი პრეტენზია არ წარმოუდგენია, შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილად ცნობილი ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებები საკასაციო სასამართლოსათვის სავალდებულოა.

საკასაციო პალატა არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მტკიცებას, რომ პარლამენტის აპარატის უფროსის 2007 წლის 28 მარტის წერილი ვალის აღიარების ხელშეკრულებაა.

სამოქალაქო კოდექსის 341-ე მუხლის 1-ელი ნაწილის მიხედვით, იმ ხელშეკრულების ნამდვილობისათვის, რომლითაც აღიარებულ იქნა ვალდებულებითი ურთიერთობის არსებობა (ვალის არსებობის აღიარება), აუცილებელია წერილობითი აღიარება. თუ სხვა ფორმის გათვალისწინებული იმ ვალდებულებითი ურთიერთობის წარმოშობისათვის, რომლის არსებობაც აღიარებულ იქნა, მაშინ აღიარებაც მოითხოვს ამ ფორმას.

აღნიშნული ნორმით გათვალისწინებული ვალის არსებობის აღიარება ძირითადი ვალდებულებითი ურთიერთობისაგან დამოუკიდებლად ქმნის ახალ მოთხოვნას. მიუხედავად იმისა, რომ ძირითადი ვალდებულებითი ურთიერთობის არსებობა შეიძლება სადავოც კი იყოს, ვალის არსებობის აღიარება მაინც წარმოშობს შესრულების ვალდებულებას, ხოლო კრედიტორს ანიჭებს მოთხოვნის უფლებას. ამასთან, სამოქალაქო კოდექსის 341-ე მუხლის შესაბამისად გათვალისწინებული ვალის აღიარება იმით განსხვავდება ნებისმიერი სხვა ფორმით გათვალისწინებული მოთხოვნის აღიარებისაგან, რომ იგი ახალი ხელშეკრულებაა და არა სხვა სახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში ნების გამოვლენა. საქართველოს უზენაეს სასამართლოს არაერთგზის აქვს განმარტებული, რომ ვალის აღიარება ახალი ხელშეკრულებაა, ამდენად ხელშეკრულების ნამდვილობისათვის დადგენილ ყველა პირობას უნდა აკმაყოფილებდეს, პირველ რიგში კი სამოქალაქო კოდექსის 327-ე მუხლის მოთხოვნებს, ანუ მხარეები უნდა შეთანხმდნენ ყველა არსებით პირობაზე. ნებისმიერი დოკუმენტი, ან მხარეებს შორის განხორციელებული მიმოწერა, სადაც დავალიანების არსებობაა დაფიქსირებული, ვალის აღიარების ხელშეკრულებად ვერ ჩაითვლება, თუ არ ირკვევა, რომ მხარეები შეთანხმდნენ ყველა არსებით პირობაზე (ვალის დაფარვის წესი, ვადა და ა.შ.).

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ პარლამენტის აპარატის უფროსის 2007 წლის 28 მარტის წერილი ვალის აღიარების ხელშეკრულება არაა, რადგანაც მისი შინაარსიდან არ ირკვევა, რომ მხარეები თუნდაც რომელიმე პირობაზე შეთანხმდნენ. გარდა ამისა, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ზემოაღნიშნული წერილი სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული მოთხოვნის სხვა ფორმით აღიარების პირობებსაც არ აკმაყოფილებს.

სამოქალაქო კოდექსის 137-ე მუხლის მიხედვით ხანდაზმულობის ვადის დენა წყდება, თუ ვალდებული პირი უფლებამოსილი პირის წინაშე ავანსის, პროცენტის გადახდით, გარანტიის მიცემით ან სხვაგვარად აღიარებს მოთხოვნის არსებობას.

აღნიშნული ნორმით გათვალისწინებული მოთხოვნის «სხვაგვარ აღიარებად» მხოლოდ მოვალის ერთმნიშვნელოვანი და ნათლად გამოვლენილი ნება ჩაითვლება, რომლის საფუძველზეც იგი პირდაპირ აღიარებს დავალიანების არსებობას. ნებიშისერი ექვი ან უზუსტობა მოვალის სასარგებლოდ უნდა იქნეს განმარტებული. განსახილველ შემთხვევაში, სადავო წერილში პირდაპირ არსადაა მითითებული, რომ პარლამენტი მოსარჩელის მოთხოვნას აღიარებს და აღნიშნული მოთხოვნის შესრულებას თავის ვალდებულებად მიიჩნევს. წერილის შინაარსი, სხვადასხვაგვარად შეიძლება იქნეს გაგებული, მათ შორის იმგვარადაც, რომ პარლამენტი შპს «...» პრეტენზიას საქართველოს ფინანსთა სამინისტროს უმისამართებს. იმის გათვალისწინებით, რომ მხარის მიერ გამოვლენილი ნება ბუნდოვანია, ზემომითითებული წერილი მოთხოვნის აღიარებად ვერ ჩაითვლება.

ვინაიდან აღნიშნული წერილი თავისი შინაარსით საერთოდ არ არის ვალის აღიარება, იმ საკითხის გარკვევას, იყო თუ არა პარლამენტის აპარატის უფროსი უფლებამოსილი პარლამენტის სახელით დავალიანების არსებობა ეღიარებინა, დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობა აღარ აქვს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა სამოქალაქო კოდექსის 137-ე და 341-ე მუხლები, აღნიშნული კი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-2 ნაწილის «გ» ქვეპუნქტის მიხედვით, გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველია.

იმავე კოდექსის 411-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში დაბრუნების საფუძველები.

იმის გათვალისწინებით, რომ საქმის ფაქტობრივი გარემოებები სწორადაა დადგენილი და არ არსებობს მტკიცებულებათა დამატებით გამოკვლევის აუცილებლობა, საკასაციო პალატა უფლებამოსილია თავად მიიღოს გადაწყვეტილება.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ვინაიდან საქმეში წარმოდგენილი 2007 წლის 28 მარტის წერილი ვალის აღიარებას არ წარმოადგენს, შპს «...» მოთხოვნის მიმართ სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის დენა შეწყვეტილი არ ყოფილა. ამასთან, საქართველოს პარლამენტის დავალიანება პერიოდულად შესასრულებელ ვალდებულებას განეკუთვნებოდა, კერძოდ, ყოველი წლისათვის გაწეული მომსახურებისათვის საფასური ცალკე უნდა ყოფილიყო გადახდილი. სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ხანდაზმულობის ვადა იმ მოთხოვნებისა, რომლებიც წარმოიშობა პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებიდან, სამი წელია. იმავე კოდექსის 130-ე მუხლის მიხედვით, ხანდაზმულობა იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან. მოთხოვნის წარმოშობის მომენტად ჩაითვლება დრო, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ.

პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებების დარღვევიდან გამომდინარე მოთხოვნის მიმართ ხანდაზმულობის ვადის ათვლის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ თანხის გადახდის თითოეული პერიოდისათვის ვალდებულების შეუსრულებლობა ცალ-ცალკე განიხილება როგორც პირის უფლების დარღვევა და ხანდაზმულობის ვადის ათვლა თავიდან იწყება. აღნიშნულის გათვალისწინებით, შპს «ფ-ს» მხოლოდ სარჩელის აღძვრამდე სამი წლით ადრე წარმოშობილი დავალიანება შეიძლება აუნაზღაურდეს. ვინაიდან სარჩელი 2008 წელსაა აღძრული, საქართველოს პარლამენტს მხოლოდ 2005 წლის დავალიანების – 2160, 41 ლარის გადახდა უნდა დაეკისროს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

იმავე კოდექსის 53-ე მუხლის 1-ელი ნაწილის მიხედვით იმ მხარის მიერ გადებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მე-2 მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. თუ სარჩელი დაკმაყოფილებულია ნაწილობრივ, მაშინ მოსარჩელეს ამ მუხლში აღნიშნული თანხა მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რაც სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული.

მოცემულ შემთხვევაში შპს «...-ს» პირველი ინსტანციის სასამართლოში გადახდილი აქვს სახელმწიფო ბაჟი 702,75 ლარი. ზემოაღნიშნული ნორმის საფუძველზე, საქართველოს პარლამენტმა მოსარჩელის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟიდან 70,25 ლარი უნდა აუნაზღაუროს.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე, 53-ე მუხლებით და

**გ ა და წ ყ ვ ი ტ ა:**

1. საქართველოს პარლამენტის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
  2. მოცემულ საქმეზე გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 7 დეკემბრის განჩინება და მიღებულ იქნას ახალი გადაწყვეტილება;
  3. შპს «...» სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
  4. საქართველოს პარლამენტს დაეკისროს შპს «...» სასარგებლოდ 2160, 41 ლარი;
  5. საქართველოს პარლამენტს ასევე დაეკისროს შპს «...» მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟიდან 70,25 ლარის ანაზღაურება;
- საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**ხანდაზმულობის ვადის დენა; სასამართლოს გადაწყვეტილებით დადასტურებული მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა**

**გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა**

1ას-1275-1543-09

11 იანვარი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),  
რ. ნადირიანი (მომხსენებელი),  
თ. თოდრია

საკასაციო სასამართლომ საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა თ. ა-აიას განცხადება სააღსრულებო ფურცლის გაცემის თაობაზე.

**პალატამ გამოარკვია:**

თბილისის გლდან-ნაძალადევის რაიონული სასამართლოს 1996 წლის 4 დეკემბრის გადაწყვეტილებით თ. და ი. ა-აიების სარჩელი სამკვიდროს მიღების ვადის გაგრძელებისა და მემკვიდრედ ცნობის თაობაზე არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობის გამო.

აღნიშნული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს თ. და ი. ა-აიებმა და მოითხოვეს მისი გაუქმება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა საკასაციო კოლეგიის 1997 წლის 4 თებერვლის განჩინებით მხარეთა შორის დამტკიცდა მორიგება და საქმის წარმოება შეწყდა.

2009 წლის 30 ნოემბერს თ. ა-აიამ განცხადებით მიმართა საკასაციო სასამართლოს და მოითხოვა სააღსრულებო ფურცლის გაცემა.

საკასაციო პალატა თვლის, რომ თ. ა-აიას განცხადება არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი გარემოების გამო:

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 142-ე მუხლის 1-ელი ნაწილის თანახმად, სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადასტურებული მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადაა 10 წელი მაშინაც კი, როცა ეს მოთხოვნა უფრო ნაკლებ ხანდაზმულობას ექვემდებარება.

მოცემულ შემთხვევაში თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიის მიერ მხარეთა შორის მორიგება დამტკიცდა 1997 წლის 4 თებერვალს, ხოლო სააღსრულებო ფურცლის გაცემის თაობაზე განცხადებით თ. ა-აიამ სასამართლოს მიმართა 2009 წლის 30 ნოემბერს, ე.ი. 10-წლიანი ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ თ. ა-აიას განცხადება არ უნდა დაკმაყოფილდეს ხანდაზმულობის ვადის გაშვების გამო.

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

**და ა ა დ გ ი ნ ა:**

თ. ა-აიას განცხადება არ დაკმაყოფილდეს.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება;



## ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტა

### განჩინება

1ას-1070-1337-09

3 თებერვალი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),  
ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),  
ნ. კვანტალიანი

დავის საგანი: სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულება

#### აღწერილობითი ნაწილი:

2007 წლის 8 მაისს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას სასარჩელო განცხადებით მიმართა შპს «ე-მ» მოპასუხე შპს «მ-ის» მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა სახელშეკრულებო ვალდებულების შეუსრულებლობის გამო მოპასუხისათვის 172 230.80 ლარის დაკისრება.

სარჩელში აღნიშნულია, რომ შპს «ე» წარმოადგენს სს «ე-ისა» და შპს «ე-2000-ის» უფლებამონაცვლეს და შექმნილია მათი შერწყმის შედეგად. შპს «მ-ა» წარმოადგენს შპს «ბ-ს» უფლებამონაცვლეს.

სს «ე-ისა» და შპს «ბ-ს» შორის 2000 წლის 21 მარტს გაფორმდა ურთიერთანგარიშსწორების ბუღალტრული შედარების აქტი, რომლის თანახმად, შპს «ბ-ს» დავალიანებამ ელექტროგადაცემის წინაშე 2000 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შეადგინა 47 342.50 ლარი.

2002 წლის 1 მარტს სს «ე-ისა» და შპს «ბ-ს» შორის გაფორმდა ხელშეკრულება «ელექტროენერჯის გადაცემის მომსახურების შესახებ», რომლის მიხედვით მომსახურების ღირებულების გადახდის სახელშეკრულებო ვადების დარღვევის შემთხვევაში ყოველი გადაცილებული დღისათვის გათვალისწინებული იყო დამატებით საურავის – გადასახდელი თანხის 0,2%-ის დარიცხვა. ხელშეკრულებით გათვალისწინებული იყო ვალდებულებების უფლებამონაცვლობით გადასვლა. ხელშეკრულებამ მოიცვა 2002 წლის 1 მარტიდან 2003 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდი.

მოსარჩელის მითითებით, შპს «მ-ის» დავალიანება 2007 წლის 1 აპრილისათვის შეადგენდა 172 230.80 ლარს, რაც სამოქალაქო კოდექსის 316-ე, 317-ე, მე-400 და 403-ე მუხლების საფუძველზე ანაზღაურებას ექვემდებარებოდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 18 იანვრის გადაწყვეტილებით შპს «ე-ს» სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელის მოთხოვნას წარმოადგენდა მხარეთა შორის ელექტროენერჯის გადაცემის მომსახურების შესახებ ხელშეკრულებიდან გამომდინარე 2003 წლამდე მიწოდებული ელექტროენერჯის ღირებულების მოპასუხისათვის დაკისრება. 2004 წლის 27 აპრილის 153 წერილით, რომელიც სს «ე-ს» ჩაჰბარდა 2004 წლის 3 მაისს, მოპასუხე შპს «მ-ის» ღირებულება აღიარა ვალის არსებობა კრედიტორის წინაშე.

საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელე ითხოვდა ელექტროენერჯის ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ფულადი ვალდებულების შესრულებას. მოსარჩელის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი იყო სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევა. შესაბამისად, უნდა გამოყენებულიყო სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლით გათვალისწინებული სამწლიანი ხანდაზმულობის ვადა. სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლის შესაბამისად ხანდაზმულობის ვადის ათვლა იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან. მოთხოვნის წარმოშობის მომენტად ჩაითვლება დრო, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ. ვინაიდან სს «ე-ისა» და შპს «ბ-ს» შორის დადებული ხელშეკრულების მოქმედების ვადად განისაზღვრა 2003 წლის 31 დეკემბერი, შესაბამისად, მოსარჩელის (შპს «ე-მა») მიმართ მოპასუხის (შპს «ბ-ს» უფლებამონაცვლე შპს «მ-ა») ბოლო შესასრულებელი ვალდებულება წარმოიშვა 2003 წლის 31 დეკემბერს. ამდენად, მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა იწყებოდა სწორედ ამ დღიდან. შპს «ე-ს» მოთხოვნის უფლება უნდა გამოყენებინა 2003 წლის 31 დეკემბრამდე. სარჩელის აღძვრის დროისათვის გასული იყო ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა.

საქალაქო სასამართლოს განმარტებით, მართალია, სამოქალაქო კოდექსის 137-ე მუხლის შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში 2004 წლის 3 მაისიდან (2004 წლის 27 აპრილის 153 წერილის მიღებიდან) შეწყდა ხანდაზმულობის ვადის დენა, კერძოდ, აღნიშნული ვადა შეწყდა 2003 წლამდე არსებულ დავალიანებაზე და სამოქალაქო კოდექსის 141-ე მუხლის შესაბამისად მისი ათვლა დაიწყო 2004 წლის 4 მაისიდან, მაგრამ ვინაიდან შპს «ე-მ» შპს «მ-ის» მიმართ სარჩელი აღძრა 2007 წლის 8 მაისს, ხანდაზმულობის ვადა ამ შემთხვევაში მაინც გასული იყო.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა შპს «ე-მ», რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღება.

აპელანტი მიუთითებდა, რომ სასამართლომ არასწორად შეაფასა საქმის მასალებში წარდგენილი მტკიცებულებები, კერძოდ, 2004 წლის 27 აპრილის 153 წერილი, რომელიც შპს «ე-ს» ჩაჰბარდა 2004 წლის 3 მაისს. ამ წერილით შპს «მ-ის» დირექტორმა აღიარა ვალის არსებობა კრედიტორის (შპს «ე-მა») წინაშე. მიუხედავად ამისა, სასამართლომ სარჩელი არ დააკმაყოფილა, რასაც საფუძვლად დაუდო შპს «ე-ის» მიერ სახელშეკრულებო ვალდებულებებისათვის დადგენილი სამწლიანი ხანდაზმულობის ვადის გაშვება. ამ შემთხვევაში სასამართლომ სრულყოფილად არ გამოიკვლია 2004 წლის 27 აპრილის 153 წერილის შინაარსი. აღნიშნული წერილის დასკვნითი ნაწილის თანახმად, შპს «მ-ა» შპს «ე-ის» მიმართ არსებული დავალიანების დაზუსტება-დაფარვას განხორციელებდა იმ პერიოდში მათ საზოგადოებებს შორის მიმდინარე სასამართლო დავების დასრულების შემდეგ. მითითებული სასამართლო პროცესი დასრულდა 2004 წლის 9 ივლისს, თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა პალატის გადაწყვეტილებით, რომელიც კანონიერ ძალაში შევიდა 2004 წლის 9 აგვისტოდან. აქედან გამომდინარე, აპელანტი მიიჩნევდა, რომ ხანდაზმულობის ვადის ათვლა უნდა დაწყებულიყო არა 2004 წლის 4 მაისიდან, არამედ – 2004 წლის 9 აგვისტოდან, საიდანაც სარჩელი ხანდაზმული არ იყო.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 27 იანვრის განჩინებით შპს «ე-ს» სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმეზე დადგენილად იქნა მიჩნეული შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

შპს «ე-მა» წარმოადგენს სს «ე-ისა» და შპს «ე-2000-ის» უფლებამონაცვლეს და შექმნილია ამ ორი საწარმოს შერწყმის შედეგად;

შპს «მ-ა» წარმოადგენს შპს «ბ-ს» უფლებამონაცვლეს;

სს «ე-ასა» და შპს «ბ-ს» შორის 2002 წელს გაფორმდა 23/57 ხელშეკრულება ელექტროენერჯის გადაცემის მომსახურების შესახებ, რომლის თანახმად, სს «ე-ას» უნდა გაეწია შპს «ბ-სათვის» ელექტროენერჯის გადაცემის მომსახურება ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ დადგენილი ტარიფით; ამავე ხელშეკრულების 4.3.2 პუნქტის თანახმად, მიმღებს – შპს «ბ-ს» ეკისრებოდა ვალდებულება, შპს «ე-სათვის» გადაეხადა საანგარიშო პერიოდში მიღებული ელექტროენერჯის მომსახურების საფასური ანგარიშფაქტურის მიღებიდან ხუთი კალენდარული დღის განმავლობაში; ხელშეკრულების 6.1.2 პუნქტის მიხედვით, მომსახურების ღირებულების სახელშეკრულებო ვადების დარღვევის შემთხვევაში ყოველი გადაცილებული დღისათვის გათვალისწინებული იყო დამატებითი საურავის დარიცხვა 0.2%-ის ოდენობით; ხელშეკრულების 1.1.2 პუნქტი ითვალისწინებდა მხარეთა შორის არსებული ვალდებულებების უფლებამონაცვლეობით გადასვლას. ხელშეკრულების 10.1 პუნქტის შესაბამისად, მისი მოქმედების ვადად განისაზღვრა 2002 წლის 1 მარტიდან 2003 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდი.

მოცემულ შემთხვევაში შპს «ე-ს» მოთხოვნას წარმოადგენდა მის მიმართ 2007 წლის 1 აპრილის მდგომარეობით არსებული დებიტორული დავალიანების – 172 230.80 ლარის შპს «ბ-ს» უფლებამონაცვლის – შპს «მ-ისათვის» დაკისრება.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნა იმის შესახებ, რომ შპს «ე-ს» მიერ შპს «ბ-ს» მიმართ დებიტორული დავალიანების მოთხოვნით სარჩელი აღძრული იყო სამწლიანი სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, შპს «ე-მა» ელექტროენერჯის გადაცემის მომსახურების ხელშეკრულებიდან წარმოშობილი დავალიანების გადახდის მოთხოვნის სამწლიანი სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის დასაწყისს უკავშირებდა შპს «მ-ის» დირექტორის 2004 წლის 27 აპრილის 153 წერილს, რომელიც შპს «ე-ს» ჩაჰბარდა 2004 წლის 3 მაისს. მოსარჩელის შეფასებით, აღნიშნული წერილი წარმოადგენდა მოპასუხის მიერ მის წინაშე არსებული დავალიანების არსებობის აღიარებას. ამასთან, წერილის შინაარსის გათვალისწინებით მხარე მიიჩნევდა, რომ ხანდაზმულობის ვადა ათვლილი უნდა ყოფილიყო არა 2004 წლის 4 მაისიდან, არამედ – 2004 წლის 9 აგვისტოდან, როდესაც მხარეებს შორის დასრულდა მიმდინარე სასამართლო დავა და კანონიერ ძალაში შევიდა თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა პალატის 2004 წლის 9 ივლისის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, სამოქალაქო კოდექსის 341-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, იმ ხელშეკრულების ნამდვილობისათვის, რომლითაც აღიარებულ იქნა ვალდებულებითი ურთიერთობის არსებობა (ვალის არსებობის აღიარება) აუცილებელია წერილობითი აღიარება. თუ სხვა ფორმას გათვალისწინებული იმ ვალდებულებითი ურთიერთობის წარმოშობისათვის, რომლის არსებობაც აღიარებულ იქნა, მაშინ აღიარებაც მოითხოვს ამ ფორმას.

კონკრეტულ შემთხვევაში ვალის არსებობის აღიარების დასადგენად სააპელაციო სასამართლომ უწინარესად აუცილებლად მიიჩნია შემდეგი გარემოებების შეფასება: ა) შპს «მ-ის» 2004 წლის 27 აპრილის 153 წერილი, მისი შინაარსის გათვალისწინებით, წარმოადგენდა მოპასუხის მხრიდან ვალდებულების აღიარებას, სადაც მოვალე გამოხატავდა ნებას და იძლეოდა დაპირებას ვალდებულების შესრულებაზე, თუ ფაქტის აღიარებას, სადაც მოვალე ახდენდა მხოლოდ ვალდებულების ფაქტის კონსტატაციას; ბ) აღიარება განხორციელებული იყო თუ არა უფლებამოსილი პირის მიერ.

საქმეში არსებული შპს «მ-ის» დირექტორის 2004 წლის 27 აპრილის 153 წერილის შინაარსიდან გამომდინარე სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ არ მომხდარა მოპასუხის მხრიდან ვალდებულების აღიარება, რომლითაც მოვალე გამოხატავდა ნებას და იძლეოდა დაპირებას ვალდებულების შესრულების შესახებ. აქედან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ დაუსაბუთებლად მიიჩნია აპელანტის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ აღნიშნული მტკიცებულება წარმოადგენდა სამოქალაქო კოდექსის 341-ე მუხლით გათვალისწინებულ ვალის არსებობის აღიარებას. ამავე დასაბუთებით სააპელაციო სასამართლომ ვალის არსებობის აღიარებად არ მიიჩნია საქმეში განთავსებული 177 ხელშეკრულების 2.8 პუნქტი.

რამდენადაც აპელანტი ვერ ადასტურებდა იმ გარემოებას, რომ მხარეთა შორის არსებული სახელშეკრულებო ურთიერთობიდან გამომდინარე დებიტორული დავალიანების მოთხოვნით, მის მიერ სარჩელი აღძრული იყო სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლით გათვალისწინებულ სამწლიან ვადაში, სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ სააპელაციო საჩივარი უსაფუძვლოდ გამო დაკმაყოფილებას არ ექვემდებარებოდა.

სააპელაციო სასამართლოს ზემოაღნიშნული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა შპს «ე-მ», რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღება.

კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა კანონი. სამოქალაქო კოდექსის 341-ე მუხლის 1-ელი ნაწილის თანახმად, იმ ხელშეკრულების ნამდვილობისათვის, რომლითაც აღიარებულ იქნა ვალდებულებითი ურთიერთობის არსებობა (ვალის არსებობის აღიარება), აუცილებელია წერილობითი აღიარება. თუ სხვა ფორმისათვის გათვალისწინებული იმ ვალდებულებითი ურთიერთობის წარმოშობისათვის, რომლის არსებობაც აღიარებულ იქნა, მაშინ აღიარებაც მოითხოვს ამ ფორმას. მოცემულ შემთხვევაში შპს «მ-ის» დირექტორის 2004 წლის 27 აპრილის 153 წერილით ადგილი ჰქონდა მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით ვალის არსებობის აღიარებას, კერძოდ, აღნიშნული წერილით შპს «მ-ის» დირექტორმა აღიარა შპს «ე-ს» წინაშე არსებული დავალიანება 164 159.04 ლარის ოდენობით, ნაცვლად მოთხოვნილი 173 230.77 ლარისა.

კასატორის მითითებით, სასამართლომ როგორც ფაქტობრივი, ისე სამართლებრივი თვალსაზრისით არასწორად შეაფასა საქმეში არსებული მტკიცებულებები, შპს «მ-ის» დირექტორის 2004 წლის 27 აპრილის 153 წერილით მოპასუხემ მოახდინა არა მხოლოდ ვალდებულების ფაქტის კონსტატაცია შპს «ე-ს» წინაშე, როგორც სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ განჩინებაშია საუბარი, არამედ გამოხატა ნება და განახორციელა დაპირება, რომ მასა და მოპასუხეს შორის მიმდინარე სასამართლო დავის დამთავრებისთანავე მოეხდინა არსებული დავალიანების დაზუსტება. ამის ძირითად მიზანს წარმოადგენდა სწორედ აღიარებული, არსებული ვალდებულების შესრულება, ანუ შპს «ე-სათვის» დაზუსტებული დავალიანების თანხის გადახდა, რაც აშკარად იკვეთებოდა შპს «მ-ის» წერილის შინაარსიდან. მხარეებს შორის არსებული სასამართლო პროცესი თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა პალატის გადაწყვეტილებით დასრულდა 2004 წლის 9 ივლისს, ხოლო აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდა იმავე წლის 9 აგვისტოს. კასატორის მოსაზრებით, სწორედ აღნიშნულ თარიღს უნდა დაუკავშირდეს ხანდაზმულობის ვადის ათვლა.

#### **სამოტივიციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, საქმის სასამართლო განხილვის შედეგად მიიჩნევს, რომ უნდა გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო საჩივრის დავის საგანია შპს «ე-ს» სარჩელის ხანდაზმულობა, რომელიც შეეხება შპს «მ-ისათვის» დებიტორული დავალიანების – 172 230.80 ლარის დაკისრებას. აღნიშნული დავალიანება (ძირითადი თანხა) წარმოშობილია 2000-2003 წლებში.

სარჩელი აღძრულია 2007 წლის 8 მაისს. მოსარჩელე შპს «ე-ა» მიიჩნევს, რომ სარჩელი აღძრულია სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლით გათვალისწინებულ სამწლიან ვადაში და არ არის ხანდაზმული. აღნიშნულთან დაკავშირებით მოსარჩელე ეყრდნობა შპს «მ-ის» დირექტორის 2004 წლის 27 აპრილის 153 წერილს და მიიჩნევს, რომ აღნიშნული წერილის საფუძველზე განხორციელდა მოვალის მიერ ვალდებულების აღიარება და შეწყდა ხანდაზმულობის ვადის დენა.

მოცემულ შემთხვევაში სარჩელის ხანდაზმულობის გასარკვევად გადამწყვეტია შპს «მ-ის» დირექტორის 2004 წლის 27 აპრილის 153 წერილში გამოხატული მხარის ნების სწორად განმარტება – აღნიშნული წერილი უნდა შეფასდეს მოვალის მიერ ვალდებულების აღიარებად თუ არა.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მიერ შპს «მ-ის» დირექტორის 2004 წლის 27 აპრილის 153 წერილის შინაარსის განმარტებას იმგვარად, რომ იგი წარმოადგენს მარტოოდენ ვალდებულების არსებობის ფაქტის კონსტატაციას.

შპს «მ-ის» დირექტორი კრედიტორ საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემისადმი გაგზავნილ 2004 წლის 27 აპრილის 153 წერილში სადავოდ ხდის დავალიანების ოდენობას და აღნიშნავს: «რაც შეეხება დავალიანების 10 დღის ვადაში დაფარვას, შეგახსენებთ, რომ ჩვენს შორის დასრულების ფაზაშია სასამარ-

თლო პროცესი, რომელიც ითვალისწინებს თქვენს მიერ ჩვენდამი არსებული დავალიანების დაფარვის მოთხოვნას და მისი დამთავრების შემდეგ იქნება შესაძლებელი ურთიერთდაზუსტებულ დავალიანებებზე საუბარი... საკასაციო სასამართლო აღნიშნული წერილის შინაარსის ანალიზის საფუძველზე მიიჩნევს, რომ მასში გამოხატული მხარის ნება სცილდება დავალიანების შესახებ ფაქტის ინფორმაციული დაფიქსირების ფარგლებს. აღნიშნულ წერილში შპს «მ-ის» დირექტორი გამოხატავს არსებული დავალიანების ოდენობის დაზუსტების სურვილს, ნებას და აღნიშნულ ნებას უკავშირებს გარკვეული ფაქტის (პირობის) დადგომას – სასამართლო პროცესის დასრულებას, რომლითაც შპს «მ-ისადმი» საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის დავალიანების საკითხი უნდა გადაწყდეს. ამდენად, მოვალემ ამ წერილით გამოხატა ნება სასამართლო პროცესის შედეგების საფუძველზე დავალიანების ოდენობის დაზუსტებაზე, და, ფაქტობრივად, ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვაზე, რამდენადაც ვალდებულების ოდენობის დაზუსტებას სწორედ ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვისთვის ჰქონდა მნიშვნელობა. ვალდებულების დაზუსტებაზე თანხმობის გამოხატვა კი ნიშნავდა მოთხოვნის არსებობის აღიარებას. კერძოსამართლებრივი ურთიერთობების მონაწილეებს, რომლებიც მოქმედებენ სახელშეკრულებო თავისუფლებისა და მხარეთა ავტონომიურობის პრინციპებით, არ ეკრძალებათ, შეთანხმდნენ ვალდებულების შესრულების განსხვავებულ დროზე, ფორმასა და საშუალებებზე, ვიდრე ეს მათ შორის თავდაპირველად იყო შეთანხმებული, მათ შორის, ვალდებულების შესრულება დაუკავშირონ გარკვეული პირობის დადგომას. ასეთი შეთანხმება ნიშნავს, რომ ვალდებულება უნდა შესრულდეს უკვე ახალი, შეთანხმებული პირობებით.

სასამართლო პროცესი, რომელზეც შპს «მ-ის» დირექტორის 2004 წლის 27 აპრილის 153 წერილშია საუბარი და რომელსაც მხარეებმა ურთიერთვალდებულებათა ოდენობის დაზუსტების დრო დაუკავშირეს, თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა პალატის გადაწყვეტილებით დასრულდა 2004 წლის 9 ივლისს. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სწორედ ამ საქმეზე გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან უნდა მოხდეს სადავო ურთიერთობაში ხანდაზმულობის ვადის ათვლა, რისი გათვალისწინებითაც, სამოქალაქო კოდექსის 137-ე, 144.3 მუხლების შესაბამისად, სარჩელი ხანდაზმული არ არის.

სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახალი განხილვისას არსებითად უნდა განიხილოს შპს «ე-ს» სარჩელის მოთხოვნის საფუძველიანობის საკითხი და გადაწყვიტოს დავა.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 27 იანვრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

### **ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტა**

#### **განჩინება**

1ას-374-347-2010

9 ნოემბერი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ლ. ლაზარაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. კვანტალიანი,  
პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** სატელეფონო მომსახურების დავალიანების ანაზღაურება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

2009 წლის 27 მაისს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სარჩელით მიმართა შპს «ა. ქ-მ» მოპასუხე ქუთაისის საკრებულოს მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა მოპასუხისათვის სატელეფონო დავალიანების – 47 540.03 ლარის დაკისრება.

სარჩელის თანახმად, შპს «ა. ქ.» წლების მანძილზე სატელეფონო მომსახურებას უწევს ქუთაისის საკრებულოს, რომელიც სარგებლობს შპს «ა. ქ-ს» 22 სატელეფონო ნომრით. შპს «ა. ქ-ს» ქუთაისის ფილიალის 2009 წლის 6 აპრილის 1256 ცნობით ირკვევა, რომ ქუთაისის საკრებულოს სატელეფონო დავალიანების სა-

ხით შპს «ა. ქ-სათვის» გადასახდელად ერიცხება 47 540.03 ლარი. 2009 წლის 24 მარტის ბუღალტრული ბრუნვის უწყისის შესაბამისად, 2003 წლიდან მოყოლებული ქუთაისის საკრებულო შპს «ა. ქ-ს» პერიოდულად უხდის სატელეფონო მომსახურების თანხებს, მაგრამ გადახდები ნაწარმოები არ არის სრულად და ვალიანება რჩება ამჟამინდელი მდგომარეობითაც.

მოსარჩელის მითითებით, მოპასუხემ აღიარა დავალიანების არსებობა. ამას ადასტურებდა მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ შედგენილი და დამოწმებული 2007 წლის 1 აპრილის შედარების აქტი, რომლითაც დავალიანების ოდენობა შპს «ა. ქ-ს» სასარგებლოდ განისაზღვრა 47 954.17 ლარით.

შპს «ა. ქ-მ» სამართლებრივად მოთხოვნა დააფუძნა სამოქალაქო კოდექსის 316-ე, 317.1 მუხლებზე.

მოპასუხე ქუთაისის საკრებულომ სარჩელი არ ცნო და მისი უარყოფა შემდეგი არგუმენტებით დაასაბუთა:

2007 წლის 1 აპრილის შედარების აქტს, რომელზე დაყრდნობითაც მოსარჩელე ცდილობს დაადასტუროს დავალიანების არსებობა, ქუთაისის საკრებულოს მხრიდან ხელს აწერს მერიის აპარატის მთავარი სპეციალისტი ც. ხ-შვილი. ამ უკანასკნელს საამისოდ საკრებულოს თავმჯდომარის მინდობილობა არ გააჩნდა, მაშინ როდესაც მესამე პირებთან ურთიერთობაში საკრებულოს წარმომადგენს სწორედ საკრებულოს თავმჯდომარე. ამასთან, მოსარჩელეს სასამართლოსათვის არ წარუდგენია რაიმე მტკიცებულება, რომლითაც დადასტურდებოდა, რომ ც. ხ-შვილი უფლებამოსილი იყო წარმოედგინა ქუთაისის საკრებულო შპს «ა. ქ-სთან» ურთიერთობაში.

გარდა ამისა, მოპასუხის მოსაზრებით, სარჩელი იყო ხანდაზმული. სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის 1-ელი ნაწილის თანახმად, სახელშეკრულებო მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა შეადგენდა 3 წელს. შპს «ა. ქ-ს» ეს ვადა გაშვებული ჰქონდა.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 9 ნოემბრის გადაწყვეტილებით შპს «ა. ქ-ს» სარჩელი არ დაკმაყოფილდა სახელშეკრულებო მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო.

საქალაქო სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის პოზიცია სარჩელში მითითებული დავალიანების თანხის მოპასუხის მიერ აღიარების თაობაზე. სარჩელზე თანდართული 2007 წლის 1 აპრილის შედარების აქტით დგინდებოდა შპს «ა. ქ-ს» ქუთაისის ფილიალსა და ქუთაისის საკრებულოს შორის სატელეფონო მომსახურების დავალიანების (47 954.17 ლარი) არსებობა, მაგრამ მასში მითითებული არ იყო დავალიანების წარმოშობის პერიოდი. ამასთან, აქტს ხელს აწერდა ქუთაისის მერიის მთავარი სპეციალისტი ც. ხ-შვილი, რაც დამოწმებული იყო ქუთაისის მერიის ბეჭდით.

საქალაქო სასამართლოს მოსაზრებით, ზემოაღნიშნული შედარების აქტი ვერ მიიჩნეოდა დავალიანების აღიარებად. ც. ხ-შვილი არ წარმოადგენდა საკრებულოს წარმომადგენელს და მას არ ჰქონდა უფლება ხელი მოეწერა ქუთაისის საკრებულოს სახელით შედარების აქტზე.

საქმის მასალებით და მოსარჩელის წარმომადგენლის მიერ სასამართლო სხდომაზე მიცემული ახსნა-განმარტებებით საქალაქო სასამართლომ დაადგინა, რომ მოთხოვნილი დავალიანება შეეხებოდა 1999-2005 წლების პერიოდს.

საქალაქო სასამართლოს მითითებით, მოდავე მხარეებს შორის 1999 წლის 2 ივლისს დადებული ხელშეკრულების 3.1 მუხლის თანახმად, სატელეფონო მომსახურებაზე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა ხელმოწერის შემდეგ ტელეფონის ჩართვის დღიდან. 3.2 მუხლის თანახმად, ხელშეკრულება იდება ერთი წლით; თუ ამ ვადის გასვლამდე არაუგვიანეს 10 დღისა აბონენტმა არ მიმართა შპს «ა. ქ-ს» ხელშეკრულების გაგრძელებაზე უარის თქმის შესახებ, ხელშეკრულება გაგძელდება მომდევნო ერთი წლით. 3.3 მუხლის თანახმად, ხელშეკრულება წყდება მხარეთა შეთანხმებით. ხელშეკრულების 3.5 მუხლით, შპს «ა. ქ-ს» არ შეუძლია ხელშეკრულების ვადამდე ცალმხრივად შეწყვეტა, გარდა ამ ხელშეკრულების 5.3 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა; 5.2 მუხლით, ყოველთვიური სააბონენტო გადასახადის დაფარვა სავალდებულოა მიმდინარე თვის 15 რიცხვამდე, თუ აღნიშნულ ვადებში აბონენტმა არ დაფარა დავალიანება, ის გაფრთხილებული იქნება ინდივიდუალურად, რის შემდეგაც აბონენტს ეძლევა დამატებით კიდევ 10 დღე დავალიანების დასაფარად; 5.3 მუხლით ყოველი თვის 25 რიცხვამდე დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში ტელეფონი ითიშება ცალმხრივად და 5 დღის განმავლობაში აბონენტი იხდის ჩართვის 5 ლარს, აღნიშნულ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში ტელეფონი ითიშება ორმხრივად და მომდევნო 30 დღის განმავლობაში აბონენტი მისი ჩართვისთვის იხდის 25 ლარს. თუ აბონენტმა ამ ვადაშიც არ დაფარა დავალიანება, მას კიდევ ერთი თვით ენახება ტელეფონის დადგმის ტექნიკური საშუალება. ხელახლა დადგმა მოხდება ძველი დავალიანების და შპს «ა. ქ-ს» აბონენტთათვის დაწესებული ტელეფონის დადგმის ღირებულების 50%-ის გადახდის შემდეგ. ამ ვადაში ტელეფონის დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში ხელშეკრულება უქმდება, ტელეფონი იხსნება და ნაწილდება დადგენილი წესის მიხედვით. აქედან გამომდინარე, საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელეს დავალიანების წარმოშობის შემდეგ მითითებულ ვადაში უფლება ჰქონდა, შეეწყვიტა მომსახურება, რაც მას არ განუხორციელებია.

საქალაქო სასამართლოს მოსაზრებით, სარჩელი არ ექვემდებარებოდა დაკმაყოფილებას სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო, ვინაიდან დავალიანება წარმოშობილი იყო 1999-2005 წლებში, ხოლო სარჩელი სასამართლოს წარედგინა 2009 წლის 27 მაისს.

საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ სასარჩელო ვადის დენის დაწყება დაკავშირებულია სუბიექტურ ფაქტორთან, ანუ იმ მომენტთან, როცა დაზარალებულმა შეიტყო ან უნდა შეეტყო თავისი უფლების დარღვევის შესახებ. ამ შემთხვევაში დადებული ხელშეკრულების თანახმად 1999 წლიდან მოსარჩელე ყოველთვიურად იგებდა თავისი უფლების დარღვევის შესახებ და არ მიმართავდა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შესაბამის ღონისძიებებს. მოცემულ შემთხვევაში ხელშეკრულებაში მითითებული იყო თანხის გადახდის გარკვეული დრო და მისი აღკვეთის კონკრეტული მექანიზმი, რასაც მოსარჩელე შეგნებულად არ იყენებდა და ამით ხელს უწყობდა დავალიანების გაზრდას.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა შპს «ა. ქ-მ», რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 26 თებერვლის გადაწყვეტილებით შპს «ა. ქ-ს» სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 9 ნოემბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, შპს «ა. ქ-ს» სარჩელი დაკმაყოფილდა, ქუთაისის საკრებულოს შპს «ა. ქ-ს» სასარგებლოდ დაეკისრა 46 836.47 ლარის გადახდა.

სააპელაციო სასამართლომ საქმეზე დადგინდა მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

ქუთაისის საკრებულოს სარგებლობაში გააჩნია შპს «ა. ქ-ს» სატელეფონო ნომრები;

მოპასუხის დავალიანება შპს «ა. ქ-ს» წინაშე შეადგენს 46 836.47 ლარს;

დასახელებული დავალიანება წარმოშობილია 2001-2004 წლებში. საკრებულო ნაწილ-ნაწილ ფარავს დავალიანებას და ამცირებს ვალს აპელანტის მიმართ.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ქუთაისის საკრებულო სადავოდ არ ხდიდა ვალდებულების არსებობას, მაგრამ მიუთითებდა მოთხოვნის ხანდაზმულობაზე. სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ხანდაზმულობის ვადა იმ მოთხოვნებისა, რომლებიც წარმოიშობა პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებებიდან, სამი წელია. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ, რამდენადაც აპელანტის მოთხოვნა წარმოშობილი იყო პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებებიდან, ყველაზე ბოლოს, 2004 წლის დეკემბერში წარმოშობილ მოთხოვნაზე ხანდაზმულობის ვადა გავიდა 2007 წლის დეკემბერს. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 137-ე მუხლზე, რომლის მიხედვით, ხანდაზმულობის ვადა წყდება, თუ ვალდებული პირი უფლებამოსილი პირის წინაშე ავანსის, პროცენტის გადახდით, გარანტიის მიცემით ან სხვაგვარად აღიარებს მოთხოვნის არსებობას.

სააპელაციო სასამართლომ საქმეზე დაადგინა, რომ 2005 წლის აპრილიდან ქუთაისის საკრებულო იხდიდა როგორც მიმდინარე დავალიანებას, ასევე წინა წლებში წარმოშობილი დავალიანების ნაწილს. ეს დგინდებოდა იქედან, რომ საკრებულო მუდმივად იხდიდა აპელანტის მიერ მოწინააღმდეგე მხარისათვის წარდგენილ ანგარიშ-ფაქტურებში მითითებულ თანხაზე მეტ თანხას. სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის მოწინააღმდეგე მხარის მითითება, რომ იგი ამ თანხას იხდიდა არა ძველი ვალდებულების შესრულების ანგარიშში, არამედ წინსწრებით, მომავალში გასაწევი მომსახურების ავანსად. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102.1 მუხლის თანახმად, ხსენებული ფაქტის მტკიცების ტვირთი ეკისრებოდა საკრებულოს, მას კი აღნიშნულის დამადასტურებელი მტკიცებულებები არ წარუდგენია.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, საკრებულოს პოზიცია დაუსაბუთებელი იყო იმიტომაც, რომ თუ საკრებულო თანხას ზედმეტად იხდიდა მომავალში გასაწევი მომსახურების ანგარიშში, მის მიერ ზედმეტად გადახდილი თანხა უნდა გამოკლებოდა გადახდის შემდგომი პერიოდის მიმდინარე დავალიანებას. ასეთ კი მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია. აპელანტი საკრებულოს მიერ ზედმეტად გადახდილ თანხას ითვლიდა ძველი დავალიანების ანგარიშში და საკრებულო ამაზე არ შედავებია.

აქედან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საკრებულომ აღიარა ვალდებულების არსებობა აპელანტის მიმართ და შესაბამისად, ხანდაზმულობის ვადა შეწყდა, ამიტომ შპს «ა. ქ-ს» მოთხოვნა ხანდაზმული არ იყო.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ქუთაისის საკრებულომ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

კასატორი აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად შეაფასა შპს «ა. ქ-ს» მიერ წარდგენილი მტკიცებულებები, რითაც დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მოთხოვნა. სააპელაციო სასამართლომ ყოველგვარი მსჯელობისა და შესწავლის გარეშე გაიზიარა შპს «ა. ქ-ს» განმარტება იმის შესახებ, რომ საკრებულომ მას ჩაურციხა გადასახდელზე მეტი თანხა და დეკემბერში 1 352.97 ლარის ნაცვლად გადახდილია 2 189.70 ლარი. სინამდვილეში საკრებულომ დეკემბერში გადაიხადა ოქტომბრის თვის 1 120.14 ლარი და ნოემბრის 1 069.56 ლარი, რაც შეადგენს 2 189.70 ლარს, ხოლო დეკემბრის თანხა – 1 352.97 ლარი გადაირიცხა 2010 წლის იანვარში, რასაც ადასტურებს საქმის მასალებში არსებული გადახდის ქვითრები.

კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა სამოქალაქო კოდექსის 137-ე მუხლი და არასწორად მიიჩნია, რომ საკრებულომ აღიარა ვალდებულების არსებობა. დასახელებული მუხ-

ლის სწორად განმარტების შემთხვევაში ხანდაზმულობის ვადა შპს «ა. ქ-ს» მიმართ შეწყვეტილად არ ჩაითვლებოდა.

კასატორის მითითებით, სააპელაციო სასამართლომ შეფასების გარეშე დატოვა ის გარემოება, რომ სადავო დავალიანება ადგილობრივ ბიუჯეტში არ ასახულა. ეს ფაქტი პირველი ინსტანციის სასამართლომ დადგენილად მიიჩნია. მოწინააღმდეგე მხარეს სასამართლოსათვის არ წარუდგენია კანონით დადგენილი წესით შედგენილი მტკიცებულება (საკრებულოს ან მერიის ადმინისტრაციული აქტები) დავალიანების დაფარვის მიზნით თანხის გადარიცხვის თაობაზე.

კასატორი მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტი, რომ თვითმმართველობის მიერ ზედმეტად გადახდილი თანხები წარმოადგენდა თვეების დაჯგუფებით გადახდილ თანხას და არა დავალიანების ნაწილის დასაფარ თანხას, არასწორად არ გაიზიარა.

#### **სამოტივიციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, საქმის სასამართლო განხილვის შედეგად მიიჩნევს, რომ უნდა გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 26 თებერვლის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს, შემდეგ გარემოებათა გამო:

განსახილველ საქმეზე სადავო სატელეფონო მომსახურების დავალიანების – 46 836.47 ლარის ანაზღაურება. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო დავალიანება წარმოშობილია 2001-2004 წლებში, ამასთან, ქ. ქუთაისის საკრებულო ნაწილ-ნაწილ ფარავს დავალიანებას და ამცირებს ვალს შპს «ა. ქ-ს» მიმართ. გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში აღნიშნული დასკვნის საფუძველად დასახელებულია საქმეში განთავსებული მტკიცებულება – ქუთაისის მერიის 2009 წლის 29 ოქტომბრის 1ს-282 წერილი ქუთაისის საკრებულოს თავმჯდომარისადმი. ამ წერილში ქუთაისის მერია პასუხად აცნობებს საკრებულოს, რომ შპს «ა. ქ-ს» დავალიანების სახით ერიცხება 46 806 ლარი, რომელიც წარმოშობილია 2001-2004 წლებში. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნული თანხის ქუთაისის საკრებულოსათვის დაკისრებას საფუძველად დაუდო ასევე ის ფაქტობრივი გარემოება, რომ მოპასუხე მუდმივად იხდიდა შპს «ა. ქ-სათვის» წარდგენილ ანგარიშ-ფაქტურებში მითითებულ თანხაზე მეტს, რითაც ვალდებულების არსებობა აღიარა. სააპელაციო სასამართლომ სამოქალაქო კოდექსის 137-ე მუხლის საფუძველზე მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა ხანდაზმულობის ვადის დენა შეწყდა.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს ზემოაღნიშნული დასკვნები დაუსაბუთებელია.

სააპელაციო სასამართლომ არ იმსჯელა, ქუთაისის მერიის 2009 წლის 29 ოქტომბრის 1ს-282 წერილი, თავისი შინაარსის გათვალისწინებით, წარმოადგენს თუ არა ვალდებულებების აღიარებას და ამდენად, სამოქალაქო კოდექსის 137-ე მუხლით გათვალისწინებულ ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტის საფუძველს. ამასთან დაკავშირებით გასათვალისწინებელია, რომ სამოქალაქო კოდექსის 137-ე მუხლით ვალდებული პირის აღიარება უნდა განხორციელდეს უშუალოდ უფლებამოსილი პირის და არა სხვა სუბიექტის წინაშე. მოცემულ შემთხვევაში წერილის ადრესატს არ წარმოადგენს შპს «ა. ქ». სააპელაციო სასამართლომ ასევე არ იმსჯელა, აღნიშნული დოკუმენტი გამოხატავს მხოლოდ ფაქტის აღიარებას თუ ვალდებულების აღიარებას. ამასთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სამოქალაქო კოდექსის როგორც 137-ე, ისე 144.3 მუხლით განსაზღვრული სამართლებრივი შედეგი უკავშირდება მოვალის მიერ ვალდებულების აღიარებას, სადაც მოვალე გამოხატავს ნებას, იძლევა დაპირებას ვალდებულების შესრულების თაობაზე და არა ფაქტის აღიარებას, სადაც მოვალე ახდენს მარტოოდენ ვალდებულების ფაქტის კონსტატაციას.

საკასაციო სასამართლო ასევე დაუსაბუთებლად მიიჩნევს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას იმ ნაწილში, რომ 2005 წლის აპრილიდან ქუთაისის საკრებულო იხდიდა როგორც მიმდინარე დავალიანებას, ისე სადავო პერიოდში წარმოშობილ დავალიანებას ნაწილ-ნაწილ. აღნიშნული გარემოება სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია იმ გარემოებაზე დაყრდნობით, რომ საკრებულო მუდმივად იხდიდა შპს «ა. ქ-ს» მიერ წარდგენილ ანგარიშ-ფაქტურებში მითითებულ თანხაზე მეტს. სააპელაციო სასამართლომ ისე გამოიტანა აღნიშნული დასკვნა, რომ არ დაადგინა, რომელი კონკრეტული პერიოდის გადახდებს შეეხება საქმეში არსებული საგადასახადო დავალებები, რა ადასტურებს, რომ მათში მითითებულ გადახდილ თანხაში შედის მთლიანად ან ნაწილობრივ სადავო პერიოდის დავალიანება, ამასთან, კონკრეტულად, რომელი პერიოდის (წელი, თვე) დავალიანება დაიფარა. სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახალი განხილვისას უნდა დაადგინოს, რომელი კონკრეტული პერიოდის გადახდებს შეეხება საქმეზე წარდგენილი საგადასახადო დავალებები, შედის თუ არა მათში სადავო პერიოდის დავალიანება.

სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახალი განხილვისას უნდა გამოარკვიოს ზემოაღნიშნული საკითხები და გამოიტანოს დასაბუთებული გადაწყვეტილება.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

### დაადგინა:

ქ. ქუთაისის საკრებულოს საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;  
გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 26 თებერვლის  
გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;  
საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.